

74 | 3



მეტეოროლოგია

7

1974

**ბ რ ძ კ ა ნ ე ბ უ ლ ე ბ ა ს ს რ კ ა ვ შ ი რ ი ს
უ მ ა ლ ლ ე ს ი ს ა ბ ჭ ო ს კ რ ე ზ ი დ ი უ მ ი ს ა**

**ჟურნალ „მნათობის“ „საპატიო ნიშნის“ ორდენით
დაჯილდოების შესახებ**

საბჭოთა ლიტერატურის დარგში დამსახურებისათვის და მშრომელთა კომუნისტურ აღზრდაში აქტიური მონაწილეობისათვის ქართული რესპუბლიკური ჟურნალი „მნათობი“ დაჯილდოვდეს „საპატიო ნიშნის“ ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ნ. კოტეგორნი

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე
მოსკოვი, კრემლი, 1974 წლის 5 ივლისი.

გნეათობი



საქართველოს ლიტერატურა-მხატვრული და საზოგადოებრივ-მეცნიერული შუროსი

წელიწადი 50-ე

№ 7

თბილისი, 1974 წ.

საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის ორგანო

შინაარსი

1974.3

კარლო კალაძე — ლექსები	3
ლალო ავალიანი — ასულბი. ნოველა	8
კახაჯი ქიმიძე — გვირგვინი ფოთელში. რომანი. გაგრძელება	22
სანდრო შანთიაშვილი — შიგრიანი ცხოვრება. ლექსი	44
გივი გვამბაყური — ლექსები	45
ნოდარ სვამიშვილი — ლექსები	50
ალექს ავალიანი — ღიმილი და კატარა მკაბდრის. რომანი. გაგრძელება	52
გიორგი გიგაური — ლექსები	74
ტაბუ მხარეშვილი — ლექსები	76
ევსენი ბარბაქაძე — რიკოტი. ლექსი	78
ალექსანდრე მხარეშვილი — ორი თვე სოფლად ანუ იმპროვიზირებული	
რომანი. გაგრძელება	76
არსენ ბაგრატიონი — ცხარისა. მოთხრობა	104
როსტომ ჩინაიანი — „სურათი რუსთაველი“ — რიგები	120

კრიტიკა და კულტურული სია

როსტომ ჩინაიანი — ლიტერატურათმცოდნეობის ახალი პერსპექტივები	130
ლევონი კალანდარიანი — აღმნიშნული ჩანაწერებიდან	138
ღმრთა მკაცრად — კობი და ისტორია	142
ღმრთა მკაცრად — ბალახების ერთი ლექსის ბავშვობა	145
მხატვრული აზროვნება — საბჭოთა საზოგადოების თეორიის საკითხები	148
გვამბაყური — ნიკო ავალიანი და სერგეი ბრეხტის „ღმრთა მკაცრად“	159

წიგნები, მოგონებანი



ალექსანდრე ბარამია — მცირე მოგონებანი დიდ მეცნიერზე
 ღამით მოგონებანი — კობახიას ახლოს

წიგნების მიმოხილვა

წოდარ ნათაძე — ბანუოგადამული თემა, კონკრეტული მასალა	180
ვასილ კოკალიანი — პირველწარმოების საფუძველზე	186
საზღვარგარეთ	190

შთავარი რედაქტორი გიორგი ნატროშვილი

საკრედიტო კოლეგია:

მ. აბაშიძე, რ. ანაწუქელი (პ/მე მდიანი), დ. ბანუშვილი, დ. ბანუარაშვილი, მ. ლაბანიძე, ე. მაღრაძე, ვ. ძლანდი, ა. სულაბაური, ა. ჯუღაშვილი, ს. შანთიაშვილი, დ. შანთიაშვილი, ვ. წულუაძე, თ. შილაძე, რ. ჯაფარიძე, ვ. ჯიბლაძე.

ტექნიკური რ. ჩაპუჩაძე

რედაქციის მისამართი:
 თბილისი, რუსთაველის პროსპექტი № 12.

გადაეცა ასაწყობად 23/V-74 წ., ხელმოწერილია დსაბეჭდად 9/VII-74 წ., ასაწყობის ზომა 7¹/₄ X 12, ქაღალდის ფორმატი 70 X 108¹/₁₆. ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 13, პირობითი ნაბეჭდი ფურცელი 16,8. სააღ-საგამომცემლო თაბახი 12.

ბეჭდვითი: რედაქტორის — 98-55-11. უკ 00116. ტირაჟი 13.000. შეკვ. № 1986
 პ/მე. მდიანის — 98-55-13. გაყოფილებზე. საქ. კვ ც-ის გამომცემლობის სტამბა
 ზის — 98-55-15, 98-55-17, 98-55-20. თბილისი, ლენინის ქ. № 14.



ათი საათი პარიზის დროით

გზაღმართი

გზა ზეგანზე გაბმული ცალფად
 და თუ მდინარის კვალდაკვალ მიჰქრი —
 შენც არაერთხელ გინახავს ალბათ,
 ზვირთცემით ფიქრს რომ მიჰყვება ფიქრა!

რა იცი, შენთვის რა ქუდებდია,
 რას ელი დილის ამ სიმყუდროვით!?
 დახედავ საათს — ცხრის თხუთმეტია,
 ცხრის თხუთმეტია, პარიზის დროით...

და უკვე შთა-შთა უბით ატარებ
 გზას, კალმის ერთი მოსმით ჩახატულს.
 არ დახწყევტ და არ დააპატარებ
 ერთ გრძელ სტრიქონად ქცეულ ნაკადულს!

რა იცი, შენთვის რა ქუდებდია
 გზაც ამ ზეგანზე გაბმული ცალფად...
 პარიზის დროით ცხრის თხუთმეტია,
 სადღაც კი ისევ დამეა ალბათ!

უცნობი ქარი

არა, გზადგამეღელს არ ევალემა
 იცოდეს ამბის დასაბამისი.
 ზის აგერ, მაცნე მწვანეთვალემა,
 მან უკეთ იცის რაა პარიზი.
 ირეკლავს ათას ნაპერწკალს სარკვე
 და ის ამ ათას სარკვეში ერთი —
 ერთ მაღალ ტიქას კვლავ უზის ცალკე,
 სიყვარულის და სიამის ღმერთი!
 ცალკეა, ცალკე! და ვისკით ხავსე
 ტიქაც შორიდან გვანიშნებს ამ წამს,
 როგორც შევალვით კარს, იმავ წამსვე
 შუქი კვალუცად გაუხელს წამწამს...
 აქ შემოდინან მხოლოდ წყვილ-წყვილად,
 მას კი წილისყრა აქაც არ უნდა,
 არ მიაჩნია ღზინი სირცხვილად,
 იყოს თუნდ ღზინი ხელმოცარულთა!
 მოხწონს ისევე, როგორც მოხწონდა

საწუთრო მათთვის აქ აგებული —
 კაფე — „როტონდა“, კაფე — „როტონდა“,
 კალამბურებით გაჩაღებული!
 ვინა ჰყავს მხატვრად ამ გასახარისს,
 ნითხარით, სიზმრად ვის ერგვება,
 რომ ხვალ მოვფინო ფერწერით პარიზს
 ფარდა ახდილი მისი მშვენიება!
 და რომელ სინზე არ უხატია
 პიკასოს მისი თეთრი მუხლები,
 მაგრამ არავის დაუქაღია —
 წმინდა არ იყოს და ხელუხლები!
 მაშ, რა ბინდ-ბუნდმა გადაუარა,
 ვინდა აკლია ამ დამის კოცონს:
 „მოფა თუ არა, მოფა თუ არა —
 თლილი თითები რომ დაუკოცნოს“...
 არა, სიგარეტს, თითებით აწვდილს,
 არ უნდა დარდის გამხელა ახლა,

და ბებედს კვამლი იისფრად ასდის,
როგორც პატარა სამსხვერპლოს, შალა!
და რა ახლომა იქნება ნატერის,
რა სასწაული სხეულდახელო —
გამოჩნდეს გულმკერდგაღვიღლ მხატვრის
შავი ხავერდი, თეთრი საყვლო!
გამოჩნდეს, დიახ! უკვე დროც არი —
ისეთი ცეცხლის მფრქვევი ღამეა.
გამოჩნდეს! — რაა გასაოცარი,
გასაოცარი ხულ სხვა რამეა:
ვარ სადღაც, უკვე სიბნელით წაშლილ
ათასი დღისა და ღამის გაღმა,
ვარ სადღაც ჩემთვის.. და აი, ცაში

მოულოდნელად იფეთქა ნალექი
და ღანღი განა ღანღს ქვეყნის
ნომდევს გზადაგზა დაშე პარიზის,
ნიცინის მაცნე მწვანეთვალუბა,
ნიცინის ისე, მან რომ არ იცის...
იყოს უცნობი, იყოს! ოღონდაც
ციდან ავ ნულარ წამართმევს ქარი,
თუ მისი ეშხით იწვივს „როტონდა“,
ნეც მისი ეშხით შევალე კარი!
სად არ ვყოფილვარ. სად არ ვიქნები!
და ის კი ისევ იმ ჭიქას უზის...
ეიქნებით მე და ჩემი ფიქრები
მართლმორწმუნენი მხატვართა მუზის!

აჲნიონი. არღი. გზადგზა ...

აჲნიონი. არღი. გზადგზა
ჩვენ კვლავაც ქედის კალთა გვიგია.
მთები ზღვისპირად ვინ სად გადასხა —
ფიქრით გართულებს არც გაგვიგია!

ჟან-ლუი ლეგრო ხელმარცხნივ მიზის,
ჟან-ლუი ლეგრო — ფრანგი შოფერი,
მზეა, და ბრწყინავს ფერწერა მიწის
ჯერ ისევ ცის-ნამ-შეუშრობელი.

მზეს შევხედრივარ მე ადრეც, ვიცნობ,
ასევე ადგა გალაგნის წკიდეს,
ვერ შეაკავა სარკმელმა ვიწრომ,
ჩვენებურივით მიღიმის კიდევ!

დილაა. მალღობს მალღობი წვდება
და აღტაცება თვალსაც ალაღებს:
ხნორედ იქ, სადაც ბილიკი წყდება —
აგებს ღრუბლებში ციხე-ქალაქებს!..

გზედვე თვალნათლივ და არ ავენთო?
თუნდაც შარა-გზის აურსაურში...
რახან ცას შეჩინენ საალაღბედოდ,
საუკუნეებს პწკარს არ წაუეშლი.

და გულიც: ჩემი უბის წიგნაკი,
გულიც, ვით დამსწრე ამ საოცრების
იწერს: „სიღნალი, ჩემი სიღნალი“!
წინ კი ციხე დგას საჩკინოზების!

— ჩემო ქორბუდა ციხე-ქალაქო,
აქაც და იქაც როგორ აშენდი! —
იყოდი იწნებ, რომ საარაკო
წემთხვევით ისევ აღმოგაჩენდი!

მამ, იდექ, იდექ, არ მოიწყინო,
იდექ! მამხნევეს შენი მშვენება,
სიმაღლე შენი, ჩემო ქვიტკირო,
ცაში ჩემს ფიქრებს შეეშველებ!

ა რ ღ ი. მ უ ა ღ ღ ე

უცბე გადასჭრის ხიდა გზატკეცილი,
უშვება წყალში ქვიტკირის ბურჯი,
და აბა, ჩრდილიც თმაგაწეწილი, —
ცალ ხელში ტილო, ცალ ხელში ფუნჯი!

მანს ხიდექვემ ჭავლი მზის ათინათის,
შუქით შემფოთდა სიჩუმე ლურჯი.
დადის ვან-გოგი, ქარივით დადის,
ცალ ხელში ტილო, ცალ ხელში ფუნჯი!



წყალ-გაღმა დარჩა ხმელი წიფელი,
და თუმცა ჟამმა გამოდრღნა კუნძი —
აჰა, მზისფერი, აჰა ცისფერი,
ცალ ხელში ტილო, ცალ ხელში ფუნჯი!

უყვარს ბინდბუნდის აკიაფრება —
მძაფრია მხატვრის გულისთქმა ურჩი:

მზეს ეძებს იგი, მზეს ეჯიბრება,
ცალ ხელში ტილო, ცალ ხელში ფუნჯი!

და მე ნასახლარ ქვებსაც შევატყუ
თუ როგორ ნუსხავთ სიმშაგე მუნჯი —
კვლავაც ვან-გოგი, კვლავაც შუადღე,
ცალ ხელში ტილო, ცალ ხელში ფუნჯი!

ს ა კ ვ ი რ მ ე ლ ე ბ ა

ეს ყველაფერი ჩემს თვალწინ არის,
სურვილი განგებ როდი იგონებს:
შემომეგება ტალღა მდინარის
და სტრიქონივით მოსდევს სტრიქონებს!

სად ალპი აბა, და სად ალპანა
ჩაგისი ჩრდილებაშლილ მდელოთი, —
კლდის და კლდის შუა შემომაპარა
ღზამ, სწორედ მაშინ — რომ არ ველოდი!

ამ ფერად-ფერად მთებზე, ცხადია,
წიფლის ხეებმა ახლაც ამასწრეს...

არ ვიცი, მატისს დაუსატია,
კლოდ-მონეს, მანეს თუ კაკაბაძეს!

ოცნებას მე რად ავეუგო ზღუდე,
რად არ დავარქვა რიონი რონას! —
ამ ნაპარალს ჰქვია „არწივის ბუდე“
ფრენა — ხევადახვე აქ ამოფრენას...

თუმც გადამიჭრეს ცა ფრინველებმა,
ეს ყველაფერი ჩემს თვალწინ არის...
საკვირველება... საკვირველება
ორი უცნობი მთის და მდინარის!

შვილი აღმსი...

ლექსი. მოხუცი პოეტის ლექსი
შენთვის საკუთრივ სად არ გარჯილა...
და მაინც სადღაც გაქრი ალექსი,
ლექსმაც კი ვეღარ გადაგარჩინა!

არა იმიტომ, რომ გარე-გარე
დაფარფატებდი როგორც ღამურა, —
მამა მზის სუქით არ გაასარე,
ბნელმა შენი დღე ისე გამურა.

დაადე მოხუცს სასაჯელი მკაცრი,
დაუხშე სისხლის მღელვარე დენა, —

ორმოცდახუთი წლის გახდი კაცო
და მაინც ვეღარ აიდგი ვნა!

სულს ლევდა მამა, სულს, სწორედ
იმ დროს,
როცა რომანსებს ღამეს უთედი, —
ბედმა აწ მეტი რა უნდა გიმტროს:
შეკბუტბუტებდი!
— O, maman! — maman -ს

გვიან გავიგეთ, ძალიან გვიან,
და შებრალებას ნუ გეთხოვ, ალექსი, —
გადაგვარებულს შვილი არ ჰქვია —
შვილიც რომ იყოს უსაყვარლესი!

ეროვნული
გზლიროთქან

სიცოცხლე, ჩემო...

ჰაჰა

გსურდეს, მიწოდე მოხუცი შეილი,
გსურდეს, ყმაწვილი მამა მიწოდე.
მე რა ეჭვითაც ვარ შებოჭვილი,
შენც იმავე ეჭვით გიმზერ, იცოდე,

სიცოცხლე, ჩემო!..

ამ ლექსს აქვს ძალა იგავ-არაკის —
სჯობდა მზის შუქი აღარ ენახა,
დაუბეჭდავი დარჩა აკაკის —
ამომკითხავი ასლა შენა ხარ!
მოხუცი გულის სასოწარკვეთა
შეიტყო — ახლა შენი ჯერია,
პარიზში, აგრე ნაწყვეტ-ნაწყვეტად,
უთვისტომოთა ხელს შერჩენია.
შენი ჩამოსვლა ვინ არ გაიგო,
მაგრამ ვინ — როგორ, ვაჰ თუ, არ იცი —
სასტუმროს ყველა კარი გაიღო
და აი, გეძებს, გეძებს პარიზი!
შენ არ შეგაკრთოს გარდახვეწილთა
ენამ, ელაგდეს მათი ფრანგული:
ფხა თუ გაკენწვლით არ გაეცვითა
სიმართლევც რაა ფხა-დაქანგული?
ამერ-იმერულ შეძახილებმა
შესძრეს უეცრივ სიმაღლე ჭერთა
და შეაგებე შენც გაღიმება
ღიმილს, რომელიც მოიჭრა შენთან,

სიცოცხლე, ჩემო!..

ჯერ არც-კი იცნობ იმ სიავკარგეს
შინ რომ შემოდის როგორც სტუმარი,
სწრაფი ფერწერით სარკიდან სარკეს
გადააქვს მხოლოდ ფიჭვი მღუმარი.
ფერს თუმცა ფერი ჩუმად ანათებს,
არაა სტუმრის ფერიც უცვლელი:
ასწყვიტა ძაფი ძველ-ძველ ბარათებს,
ამეტყველა ყველა ფურცელი!
და როცა კონა-წერილებს ჰკოცნის,
შენ უკვე ამბის დასასრულს ელი, —
აჰა, ხელწერაც მოხუცი მგოსნის:
სხვიტორი. ცხრაას ცამეტი წელი.
აკაკი გზა-გზა დაეძებს ცოლ-შვილს
და თვალის უპე ცრემლით ვესება,

ღის იქით, სადღაც ჩაფლულებს თოვლში,
დამცხრალ მუხებავით ეალერსება.
მაგრამ ალერსი რა ალერსია —
რა სიყვარული, რა საოცრება,
ან ის ალექსი რა ალექსია,
ყრუდ რომ ჩაუკლავს მამის ოცნება!
არა ჰქონია რა საამსოფლო
და სულერთია სად განისვენებს...
არც უცხოეთი და არც სამშობლო
კაცს უთვისტომოს არ გაიხსენებს!..
დღეს რომ აქ იდგეს — თვალს ამოკაწრი —
ვინც ერთხელ აგრე გიუკადრისა...
არა და, რაა სიცოცხლის აზრი,
ანდა, ვგ შენი „ბედი ქართლისა“...

სიცოცხლე, ჩემო!..

მამის ორგული და დედისერთა
თუ გაჰქრა, ღმერთსაც ნუ ემდურება...
წერდა მოხუცი წერილებს, წერდა —
ესაა სწორედ უბედურება!
და ეს წერილმანი წილადობილა
ნეტავი ერთად არც შეგკონათ, —
ერთი ბედკრული ვინმე ყოფილა
იგი, ვინც ყოვლად-შემძლე ეკონათ!
მზე იდგა იმის წკრიალა ხმაში
და არა ჩრდილი ბნელი ღრუბლისა —
მთელ საქართველოს ჰყოფნიდა მაშინ
ნათელი მისი მაღალ შუბლისა.
მაგრამ არ იყო ის ბედნიერი —
გრძნობდა აღსასრულს დასაბამიდან,
თუმცა ღმერთ-კაცის ჰქონდა იერი
ზეცად აპყრობილ თვალ-წამწამითა!
და აღესრულა იგი უშვილოდ
სასოწარკვეთით სულშეგებული...
იქნებ უშველოთ, იქნებ უშველოთ,
იქნებ ამღერდეს ბერი-ბუღბული!
იქნებ ამიტომ ავიდგით ენა,
თორემ ვინაა, აბა, „ლოლია“ —
ჩვენს ცხოვრებაში ვინ გაიხსენა —
გვეოლია თითქოს, და არც გვეოლია! —

სიცოცხლე, ჩემო!..

განსული ლაშქით

ზად გაექცევი ამ ცას, ამ მთვარეს —
ასე მგონია, კიდევ გამთვალეს.

ბნულა. მეც თითქოს წაგებული კაცის
ლანდი ვარ, —
ჩავაჭნეე ხელს და ვტოვებ მონაკოს,
დე, ჩემმა ორმა თვალმაც მონახოს
ღზა შუქით, როცა გადამალულ მთებს
გადავდივარ!

ვითვლი, რამდენი მილი დამრჩა,
რამდენი წამი...

ნუთუ ამ ჩამქრალ წამიდან ცამდე
არავის ვენდო, არავის ვწამდე —
ალარც რჯულს ჩემსას, მივიწყებულს,
ალარც ურჯულოს?!
ვიცი, კარგს არას მიქადის, მაგრამ
მსურს მაინც დღისა და ღამის გაყრამ
ყურში ავი რამ სავალალოდ
არ ჩამჩურჩულოს...

და ვებრძვი სიტყვაწართმეული
მე ჩემს მოწყენას!

მაინცდამაინც ჩემგან რას ელის
ჩუმი ცისკიდე ზღვის და მარსელის!?
ბნელს ვეშაპივით შეპარვია უკვე ღრუბელი!
ვანაბა სული არე-მარემატ
და საფრთხე საფრთხეს არ ვმალებ
ისე, ვით დუმოვს — მდუმარება
სულშემგუბველი.
სძინავთ, არ სძინავთ, ქვათა ლანდებს,
როგორ შევატყო...

უსიტყვოდ, როგორც გემებს გემები
ბეჭების რხევით მეც ვეგებები
და ზემართულ ჩირაღდნებით ბრწყინავს
მარსელი!
სხვა რა იღონოს ზღვათა ქალაქმა,
მკერდს აწერია ყველა ქარაგმა
მოცხაურ თვალთა ალაღობედად
ამოსახსნელი!

ყრუ ღამეც ალბათ, ჩამიჩუმით
თავის თავს ირთობს...

მე კი იმდენად შემბოჭა ჟინმა
სადმე კარს როგორც შევალბე — შინ ვარ!
შინაურივით ვვებე ყურმილს, ვურეკავ
თბილისს,
დრო შევურჩიე თითქოს და ვცდილობ
ჩემს სახლ-კარს ჩემი ხმა მივაწვდინო —
ვიდრე სარკმელთან ჩიმისწრებდეს
სინათლე დილის,

ვიდრე ცის ტალღა
ჩემი თვალის შუქს მიიტანდეს!

მიპყვება სიტყვა სიტყვას ხმაღდახმაღ,
ბანი-ბან, ბნელი ღამის გაღღმა,
იქით, საითაც უთვალავი ხმები მიჰქრინან
და თუ მიზანი მიზანს არ აცდა,
კვლავაც თუ სიტყვა გამიმამაცდა —
მე სხვა სიცოცხლის აღმოჩენა არც
მიფიქრია!

მე სისხლის ფასად
მიღირს ყველა წყვილი სტრიქონი!

არა, ის ცაშიც არ იკარგება,
საშვილიშვილოდ იცავს განგება,
საამირანო სიმღერაა და საარსენო...
არა, გრიგალიც გზას ვერ აურევს,
და თუ ვუყვარვარ შენს მეზღვაურებს
მარსელო, კვლავაც გამოღიმონ,
თუ გავახსენო

ზღვასა და ხმელეთს
ჩემი გულის ამოძახილი!..

ბნელს, როგორც შენი მეზღვაურები,
მეც ჩემი ღელვით ვეხმაურები
და არა არის რა საარაკო!..
ზღვათა ქალაქო, სხვათა ქალაქო,
მარსელიეზის მამაც, მარსელო, —
საამირანო სიმღერაა და საარსენო!



ასვალტი

ნოველი

საგონებელში ჩაეარდნის, ძილგატეხილს დილით წამოდგომა ისე გაუკირდა, ავად ხომ არ ვარო, გაიფიქრა და, თავს ძალა დაატანა, წელიც, რომ იტყვიან, მოწყვეტილივით აითრია. „რა უბედურება ყოფილა ეს გამუდმებული ფიქრი“... ლოგინის კიდებზე ჩამოქვდარმა უხალისოდ მიიხედ-მოიხედა... რაც ხელში მოჰყვა ჩაიკვა. მუქ მწვანე პერანგს რა ფერის შარვალი, წინდა ან ფესსაცმელი მოუხდებოდა, ამაზე ახლა აღარ უფიქრია. აღარც სარკეში ჩაუხედავს, წვერის გაპარსვაც არ გახსენებია, და, წარმოიდგინეთ, როგორც ჩვეოდა, დედასაც არ შეხმანებია — მივდივარო... დღეს თვითონაც, არ იცოდა სად მიდიოდა. ეს პირველი შემთხვევა იყო ოცდასუთი წლის კაცის ცხოვრებაში, რომ ასე მოულოდნელად ყველაფერზე ხელის ჩაქნევის წადილმა მოუთარა. ეს დღე რაღაც უცნაურად გათენდა. ამ განწყობილებამდე ის არც იოლად და, მით უმეტეს, არც ერთბაშად მისულა. გრძელი ისტორია იყო... მერაბის ამგვარ ფერიცვალეზას, მისთვის ესოდენ უცხო სულისკვეთებამდე მისვლას თითქმის წელიწადი დასჭირდა. ეს ყველაზე ძნელად გასაღელი და უსიამოვნო მოულოდნელობებით აღსავსე წელიწადი იყო, მისი რწმენის, ნებისყოფის, არა

მარტო ფიზიკური, სულიერი ძალის გამოცდის ხანგრძლივი და მომქანცველი პროცესი, როცა ბრძოლისათვის საკმარისი გამოცდილება არ გაგაჩნია, დასაწყისშივე მთელს იმედებს მხოლოდ შენს ბავშვურ ოპტიმიზმზე ამყარებ...

მერაბმა სადარბაზო მისასვლელის კარი დაუღვევრად გააღო. ზღურბლზე ცოტა შეუკვნდა. ქუჩის გაღალმა, მოპირდაპირე სახლის ფსადლმა უსიამოვნოდ მოსჭრა თვალი. იქნებ იმიტომაც, რომ სადარბაზოში ნახევრად ბნელოდა. ბაც ნარინჯისფრად შეღებილი სახლის ფასადი მზეს გაენათებინა და ეს არქიტექტურულადაც უგემოვნო, ახლა ასე მკაზხედ ალაპლაპებული ფასადი განა მარტო მხედველობას, ნერვებსაც აღიზიანებდა. მერაბმა სახე მოიჩრდილა, თავი დახარა და ერთბაშად ისეთი გაოცებით დააკვირდა ვიწრო ტროტუარის ასფალტს, რასაც მხოლოდ იშვიათი მოულოდნელობა იწვევს ხოლმე. ტროტუარის ასფალტი ამ ერთი კვირის წინ დაავეს, მაგრამ საკვირველი რამ მომხდარიყო. მერაბი ერთხანს გაოცებული დასცქეროდა ასფალტს, მერე სადარბაზო მისასვლელის ზღურბლიდან ქვის ორსაფეხურიან კიბეს გადააღაჯა და ერთბაშად ჩაიმუხლა. ტროტუარის გაოცებებზე ასფალტი აქა-იქ ამობურცუ-



ლიყო; ეს ბავშვის მუშტისხელა ბორც-
ვები ზოგან მხოლოდ დამსკდარი ჩანდა,
ზოგან კი ნორჩი ბალახის ორ-სამ ღეროს
ამოეყო წვერი. ერთგან ბალახის მთელ
ბლუქასაც ემძლავრა. სწორედ ამ მოზ-
რდილ ბლუქად ამოსული ბალახის წინ
ჩაიჩოქა მერაბმა და მის ჯერ კიდევ სა-
ოცრად ნაზ, ქათქათა მწვანე ღეროებს
გადაუსვა ხელი. სხვა დროს, სხვა გან-
წყობილებით შეპყრობილს ყურადღე-
ბა იქნებ ასერიგად არც მიექცია, შეიძ-
ლება გაკვირებოდა, გასცინებოდა, მაგ-
რამ გაოცება, აღტაცება არ დაუფლე-
ბოდა... რას ამბობთ... ის ცხელი, მყრა-
ლი, სულისმომხუთველი ასფალტი,
ამას წინათ რომ საგულდაგულოდ ამო-
ძირკველი ბალახის და მოსწორებული
ოდროზოდრო ტროტუარის გასწვრივ
დაახვავეს, გაშალეს, მერე მანქანის
უშველებელი ცილინდრული საგორა-
ვით ტროტუარს ლავაშივით გააკრეს...
დღეს ალაგ-ალაგ ასე უცნაურად ამო-
ბურცულა, დამსკდარა... მერე, და რას
მოუხდენია ეს სასწაული... რალაც გან-
გებით გაცოცხლებულ ბალახს ასე უძმ-
ლავრია და ახლა მისი გასაოცრად ნაზი
ღეროები რომ მზეს უცინის... არა, ეს
თითქმის დაუჯერებელია... დაუჯერებე-
ლია სიცოცხლის ძალის, რწმენის ეს
ყოვლისშემძლეობა... რა საოცარი გაკ-
ვეთილი იყო მერაბისათვის. მის თვალ-
ში ეს შემთხვევა უნებლიეთ ყველა სარ-
დლის გამარჯვებას და მოგებულ ბრძო-
ლებს ჩრდილავდა, რაც კი სახელმძღვა-
ნელოებს შემოუნახავთ. ჯერ გაოცებუ-
ლი, შემდეგ გახარებული ბიჭი უცნაუ-
რად ძალამოცემული წამოიჭრა ზეზე,
გიჟივით შევარდა სადარბაზოში. კიბე,
ხუთ-ხუთ საფეხურზე ტროპით აირბინა.
გასაღები თან ჰქონდა, მაგრამ ზარით და
კარზე რახუნით აიკლო ბინა. თუ აქამ-
დე დარღსა და უგუნებობას ასე თუ ისე
უმკლავდებოდა, ახლა სიხარულს რა-
ტომდაც ვეღარ იმორჩილებდა. სიხარუ-
ლი თითქო მოერია ჰაბუკს, როგორც
უბელო ცხენმა, ზურგზე მოიგდო და გა-
აქროლა... ამ სიხარულს ახლა ისე ჩას-

ვიდებოდა მერაბი, როგორც უბელო
ცხენის ქარში გაშლილ ფეხებს უბელო
უცდელი მხედარი. დედა ფრთხილად მო-
აწყდა კარებს. მერაბი რომ შერჩა ხელ-
ში, გაოცდა, ის შინ ეგონა, რაკი ჩვე-
ულებრივი გაფრთხილება — მივლივა-
რო, — არ გაუგონია. თანაც ასე ალგზ-
ნებული რომ დაინახა შვილი, შეკრთა.
ამ ყოფაში ის ჯერ არ ენახა. მერაბი
წყნარი, ზედმიწევნით თავაზიანი და
ერთი შეხედვით ბედის მორჩილი ბიჭი
ჩანდა... ეს მერაბი კი, ერთი წუთის წინ
შინ რომ დაფეთებულივით შემოიჭრა,
არაფრით არ გავდა იმ მერაბს, როგორ-
საც აქამდე იცნობდნენ შინაურები. თუ
მეზობლები.

რა წამს კარი გაიღო, მერაბი დედას
ეცა, ლოყაზე აკოცა. ბეჭებს ქვემოთ
მკლავებშემოხვეული დედა მსუბუქად
მოიქნია, შემოაბზრიალა.

— დედა! სანამ წვერისგასაპარს
წყალს გავაცხლებდე, გუშინ რომ გა-
მირეცხე, ის თეთრი პერანგი გამიუთო-
ვე, ზომ იცი, ყველაფერი მეხერხება,
პერანგის გაუთოვების მეტი.

დედა კი გაოცებისაგან ხმას ჯერ კი-
დევ ვერ იღებდა, ეკითხა — რა დაგემა-
რთა, რა მოხდა, რა ამბავია ჩვენს თავ-
სო, როცა სული მოითქვა და ენა მოი-
ბრუნა, ვინ მოუსმინა, ვინ აცალა რამის
კითხვა. მერაბი სამზარეულოსაკენ გა-
იქცა, გახქურა ანთო და, გასაპარსად
რომ ეყოფოდა, ჩაიდნით იმდენი წყა-
ლი შემოდგა ცეცხლზე. საპარსი მოწ-
ყობილობაც მოამზადა. წყალი ერთ
წამში გაცხელდა. ალუმინის ჭიქაში
აქაფებული საპონი ფუნჯით მოისვა,
ყბებზე სწრაფად ვაჩნდა ქაფის თეთრი
წვერი. აღრე თუ ყველაფერს აუჩქა-
რებლად აკეთებდა, ახლა წინააღმდეგ
ჩვეულებისა, წვერის პარსვას თვალის
დახამამებაში რომ მორჩა, თვითონვე
გაუყვირდა. არც ცივის, არც ცხელი-
წყლის ონკანში წყალი არ მოდიოდა.
გასაპარსად გაცხლებული წყლის მო-
ნარჩენი ჩაიდნიდან კილოიანი შუშის
ქილაში ჩაასხა, ცივით გადაანელა და სა-
პონშემშრალი პირისახე და კისერი

გულმოდგინედ ჩამოიხანა... სწრაფად შეიმშრალა და სანამ დედას უხმობდა, ტანისამოსის გამოცვლას შეუდგა. დედამ მერაბს საგულდაგულოდ გაუთოვებულ-გაქათქათებული პერანგი შემოუტანა; საყელოს გახამებაც არ დაეწყებია. მერაბს არ მორიდებია, დედას რომ სპორტული ტრუსის ამარა დახვდა. დედას ბიჭზე მზე ამოსდიოდა და ნახევრად შიშველს შეხედავდა, თუ ჩაცმულს, მისთვის ერთნაირად საყვარელი იყო. ახლა ხომ მერაბი მართლა კარგი შესახედავი იყო. სოფელში ჩასვლამდე, ერთი კვირით ზღვაზე ნაყოფს, მზეზე გარუჯული კანი, რომ იტყვიან, მართლაც ბრინჯაოსფრად ულაპლავებდა. უცნაურია, მაგრამ მზეში დამწვრის სიშიშველე იმდენად არ ეხამუშება თვალს, რამდენადაც ქალაღღივით კანგადათეთრებულისა.

— მერაბ... —

— ვიცი, ვიცი, დედა, რისი თქმაც გინდა. — ყურებში თითები დაიცო. მოდური ცეკვის რამდენიმე ილეითთ და შესაბამისი ჰანგით სცადა გამოეხატა ის სიხარული, რასაც გული ვერა და ვერ იტყვდა.

მერაბმა საგანგებოდ გაუთოვებული პერანგი მალლა ასწია, შეაბრუნ-შემოაბრუნა და სკამის საზურგეს ფრთხილად მიაფინა.

დედას გულის სიდრემში ეამა, რომ შვილს ასიამოვნა...

— დედა, ახლა ერთი კარგი მსუბუქი საუზმეც შენზეა... ერბო-კვერცი დაფშენილი ყველით! შიგა და შიგ პამიდვრის ნაჭრებსაც თუ ჩააწყობ, ხომ სულ უკეთესი!..

— მეტი არაფერი? — გაიცინა დედამ და გატრიალდა. მერაბი ახლა სველი ტილოთი იზელდა ტანს წელამდე. მერე თავის კარადას გადახედა, ოდნავ ცისფერი რომ გადაჰკრავდა, ის ნაცრისფერი შარვალი შეარჩია და ჩაიცვა. შარვალს საოცრად მოუხდა თეთრი პერანგი. პერანგს რომ იცვამდა, გახამებული სახელოები შიშველ მკლავებზე კვიად შეეზო და სიამოვნების ტრუნ-

ტელმა დაუარა. თეთრი წინდები და თავვისფერი, სინთეზური ტყავის ტუფლები მის ჩაცმულობას საუცხოოდ ეხამებოდა.

მერაბმა სასწრაფოდ ისაუბმა. საქალაქში რამდენიმე თავისი ნამუშევარი ჩასდო და გაიხედ-გამოიხედა. რაკი ოთახში არავინ იყო, თავისი პატარა მაგიდის უკრა გამოადო და ქალაქები აქექა. საიდნალაც გამოაძვრინა მწვანე ლედერინის გარეკანიანი საერთო რვეული. გადაფურცლა. ნაწერით ნახევარი რვეული უკვე სავესე იყო. მერაბმა ბოლო ჩანაწერი გულდასმით გადაიკითხა და მომდევნო ფურცელზე გაკრული ხელით რამდენიმე სტრიქონი დასწერა. რვეული ისევ უკრაში ჩასდო, თითქო მალავსო, ბოლომდე შეაეკურა და უკრა რომ მიჰკეტა, ისევ გაიხედ-გამოიხედა. ოთახში არავინ იყო, მაგრამ დედის თვალს მაინც არაფერი გამოჰპარვია.

მერაბმა ხმამალა გასძახა — დედა, მივდივარო, და პასუხისათვის აღარ დაუუცდია. კარი ისე გაიხურა, ოთახი შეიძრა... ერთხელ კიდევ შეიძრა დედის გული და სულს მყუდროებაც... რა წამს მერაბი სახლიდან გავიდა, დედა წინა ფანჯარას გადაეყუდა და ბიჭს თვალი გააღვენა... მერაბი ისე მხნედ, რალაც გამომწვევად მიაბიჯებდა, დედას ჯერაც ვერ აეხსნა მისი ასეთი ფერისცვალება... როცა ბიჭი თვალს მიეფარა, დედა ერთხანს კიდევ იცქირებოდა ფანჯარაში, მაგრამ ახლა უკვე ვერაეის ველარ ხედავდა ფიქრში წასული... როდის-როდის გამობრუნდა უკან, ანაზლად გაახსენდა, წელან თვალი რომ მოჰკრა — თავის პატარა მაგიდის უკრიდან მერაბმა მწვანე ლედერინისყდიანი საერთო რვეული რომ მალულად გამოიღო...

თვითონაც არ იცოდა რამ წააქეზა, რამ გააბედვინა — ვაჟის გამოუცნობი სიხარულის შეტყობის წადილმა, ათასმა ეჭვმა, ავის, თუ კარგის ვარაუდმა, ცნობისმოყვარობამ...

მწვანე ლედერინის ყდიანი რვეული უკრაში ადვილად იპოვნა. დედამ იცოდა, რომ სხვისი ნაწერის მალულად წა-

კითხვა ადამიანის სულში ჩახედვას ნიშნავს, და თუ აქამდე თავს ამის ნებას არ აძლევდა, დღეს შეილის საქციელმა ყველაფერი დააიწყო, ის კი არა, თავს ახლა ვალდებულადაც თვლიდა ყველაფერი სცოდნოდა, რაც მერაბს ეხებოდა... დედას ხომ შეილისთვის მხოლოდ კარგი ხერს... სანამ რვეულის პირველ ფურცელს გადაშლიდა, ისიც იფიქრა, რამე საიდუმლო რომ იყოს, უფრო უკეთესად დამალვაც არ გაუჭირდებოდაო და... მწვანე ლედერიანის ყდა ფრთხილად გადაეკეთა...

10 ხექტემ ბერი.

ერთი კვირა ზღვაზე ვიყავი, ათი დღე სოფელში გავატარე... იქ რომ სანტეჟნიკა ქალაქის დონეზე იყოს, ალბათ სოფელში ცხოვრებას ვამჯობინებდი. რა ახლოს არის ადამიანი არა მარტო ბუნებასთან, თავის ბუნებასთანაც კი... სოფელში სულ სხვაგვარად გრძნობ თავს... ქალაქში ისე დაღიხარ, თითქოს სული გაქვს ამორთმეული. ამ დილით ჩამოვედი თუ არა, „დეკორაცია შევცვალე“ — ტანსაცმელი გამოვიცვალე, „ქალაქურ კალაპოტში“ ჩავდექი და უმაღლესი გამომცემლობისაკენ გავეჩე... არ ვიცი რა უფრო მიზიდავდა იქით — გამოცემლობაში მხატვრად მუშაობის სურვილი, თუ მისი ნახვა... თუნდაც ერთხელ რომ დამელანდა...

გამომცემლობის დირექტორის მისაღები ოთახის კარი ღია იყო. ტექნიკურ მდივანს რაც კი შემეძლო მორიდებულის ცილოთი ვკითხე.

— დირექტორი თუ ბრძანდება... კაბინეტში?

— დირექტორი თავის კაბინეტშია, მხოლოდ უნდა დაელოდოთ. — თვალით იქ მყოფებზე მანიშნა. კაბინეტის კართან, აქეთ-იქით მცველებივით ისხდნენ ქალი და კაცი. ისინი მორიდებით შევათვალეირე. ქალი წყნარად, უძრავად, რაღაც გაქვავებულივით იჯდა. მხოლოდ მისი წითელი კაბა შეიძლება მოგხვედროდათ თვალში. მის მდუმარებაში, თუ გარინდებაში იყო რაღაც სიკარიელის გრძნობის აღმძვ-

რელი. სათვლიან, შუახნის მამაკაცი კი, რომლის გრძელ კანკებს შარველის სიუვიროვე კიდეც უფრო ათვალსაჩინოებდა, წუთი არ გავიდოდა, მუხლზე შემოდებული ფეხი რომ არ შეენაცვლებინა. ოცი წუთი მომიხდა ლოდინი, სანამ დირექტორი ჩემზე ადრე მოსულეებს გაისტუმრებდა. შემდეგ ჩემი შესვლის ჯერიც დადგა. მდივანმა ჩემი ვინაობა მოახსენა. კაბინეტში შესვლისას თან რაღაც შიში შემყვა. შორიახლოს შევჩერდი. დირექტორმა დამინახა თუ არა, უმაღლესი საყვედური შემომავება:

— სად ხარ ბიჭო? მე ორი კვირის წინ დაგიბარე... აგერ, ა, კალენდრის ფურცელზე მქონდა ჩაწერილი, — კალენდარი სწრაფად გადაფურცლა მინაწერი იპოვნა, — ხომ არ იფიქრე, დამავიწყდებოდა, ან გატყუებდი... შენ კი ძაბია... მოდი ახლოს, ჩამოეჭე.

თავი დაეხარე, მწვანე მუღღადაფარებულ გრძელ მაგიდას მივამურე, რომელიც დომინოს ქვასავით შუაში იყო მიბჯენილი დირექტორის ძველმოდურ ოთხკუთხ მაგიდასთან. მეტისმეტად უცნაური გამოდგა ჩემთვის ეს მეორე შეხვედრა. სულ დუმილი და დამუნჯებაც არ ივარგებდა, რამე უნდა მეთქვა, ან თავის გასამართლებელი, ან მოსაბოდიშებელი და მეც, როგორც იყო, ამოვიღე ხმა.

— ბატონო ვარლამ, მეგონა თქვენც შევბუღებაში იქნებოდით... მაშინ, თქვენთან რომ ვიყავი, დერეფანში ყური მოგყარი, ვილაცამ თქვა, ბატონი ვარლამი ამ ათ დღეში წავა დასასვენებლადო...

ჩემი დაგვიანება დედის ბრალი უფრო იყო, სოფლიდან დროზე რომ არ გამომიშვა, მაგრამ ამის გამხელა დირექტორთან შეიძლებოდა?... თანაც ჰკვიანი რის ჰკვიანია, თუ ყველაფერი სხვას გადააბრალა... ასე მარტო სულელები იქცევიან... მე კი მინდა ჰკვიანად მთვლიდნენ... ცხოვრება, მართალია, ჰადრაკის თამაში არ არის, მაგრამ, თუ ჰკვიანი და წინდახედული ხარ, შენს „სელას“ რა მოჰყვება, ხომ უნდა იფიქ-

რო, ჩემს წაჩურჩულებაზე ვარლამმა თავი ასწია, შემომხედა, ჩაიციხა და ისევ რაღაც ქალაღის კითხვა განაგრძო, მხოლოდ ერთი წუთის შემდეგ შენიშნა — ეგ ნიკო იქნებოდა, ალბათ უნდოდა, რომელიღაც აბეზარ ავტორთან შეხვედრა აეცილებინა ჩემთვის და თავისი ჭკუით ატყუებდა. აბეზარი ავტორის მოტყუებას, ისევ დროზე მოშორება სჯობია... მაშ ასე, მერაბ, იმედია აწი მაინც აღარ დაიკარგები... მე წინ გეწეოდე და შენ ბაწარმობმულ ხბოსავით სულ უკან იქაჩებოდე, რა გამოვა...

დირექტორმა ღილაკს თითი დააკირა. კარი უმაღლესი და ზღრუბულზე, ჩარჩოში ჩასმული სურათივით გამოიხატა ის ლამაზი გოგონა... ბიჭურად შეკრებილი. საფეთქლებთან ცოტა განზრახ აჩეჩილი შავი თმა, შავ-შავი თვალები და თეთრი სწორნაკეთებიანი სახე უნებლეთ იწყვედა მოწონების ცდუნებას, მაგრამ მე ახლა იმ, ელ-გრეკოს მადონასავით გოგონას მეტი აღარავინ მომწონდა ამ ჭვეყანაზე. ასეთი მსგავსება მაინც გამომცემლობის კორექტორსა და ელ-გრეკოს შორეულ მადონას შორის, გულუბრყვილოდ მიკვირდა.

— ასმათ, გურამი მოვიდეს. — შემოსვლისთანავე შეაგება დირექტორმა ტექნიკურ მდივანს.

— არ გახლავთ. შენობიდან გასულია.

— თუ იცი, ქალაქიდანაც ხომ არ „გავა“? — ირონიით შენიშნა დირექტორმა.

— სტამბაში გახლავთ.

— კარგი.

ცოცხალი გამოსახულება ისევ დაფარა შავი ლედერიანით აკრულმა კარმა.

— მერაბ, — დირექტორი წამოგდა, — რაც საჭიროა, გამომცემლობის მთავარ მხატვრსაც და ჩემს შემცველსაც ვეტყვი. ჰო, სულ დამაფიწყდა, მეთქვა... აქედან გადამიყვანეს, ბიჭო... დამაწინაურეს. — კილოზე შევატყვე, რომ დაწინაურება სულაც არ სიამოვნებდა ვარლამს, — მაგრამ ეს არაფერს არ ნი-

შნავს ჩვენი საქმისათვის, კვლავ არ გავეფრთხილო, ახალმა დირექტორმა როგორ შეიძლება უარი თქვას ნიკიერი მხატვრის მიღებაზე. ეს ასე. ახლა შენ, გინდა დაელოდე მთავარ მხატვარს, გინდა ხვალ მიაკითხე. მე გავეფრთხილებ, რამე კარგი გასაფორმებელი წიგნი მოგცეს... ან აქამდე სად იყავი, შტატში ჩარიცხვას რას ელოდებოდი...

ვარლამის მზრუნველობამ ცოტა გამოთამამა და ჩემი გულუბრყვილობა უმაღლესი გამოვამყდავნი.

— აქამდეც რამდენჯერ ვიყავი, მაგრამ... იმ ერთი გაფორმების მერე, თქვენც რომ მოგწონებიათ, სულ მეუბნებოდნენ — შენი შესაფერისი ჯერჯერობით არაფერი გვაქვს, წიგნების დიდი უმრავლესობა მხატვრულად უკვე გაფორმებულია, რადგან შარშანდელი გეგმიდან წლევანდელში გადმოიტანესო.

ვარლამმა ისევ ჩაიციხა, ბუკზე ხელი მომხვია, გასასვლელისაკენ დავიძარი. მისი მკლავი რაღაც მძიმედ მედო კისერთან. თითქო სიარულში მბოჰავდა.

— რაც ერთხელ არ გამოვა, ეს იმას არ ნიშნავს, რომ ის არასოდეს არ გამოვა. ხვალ უსათუოდ მიაკითხე მთავარ მხატვარს. ნახვამდის.

ცოტა გამხნევებული გამოვეშურე შინისაკენ. გზაში იმაზე ვფიქრობდი, ადრე, სოფელში წასვლამდე რომ გამომიტყდა გურამი გულახდილ საუბარში. ვარლამის ყურადღება სამხატვრო საბჭოს სხდომაზე ერთი უცხოური რომანის გაფორმებით მიმიტყვევია. სხვათა შორის, ვარლამს გემოვნება აქვს, მთავარი მხატვრის კარნახი — ეს კარგია, ეს მხატვრულად სუსტიაო, თურმე არ სჯირდება. ეს თვითონ გურამმა მოთხრა და აი, ამასწინანდელ სხდომაზე ნამუშევრები რომ მაგიდაზე გაუშლიათ საბჭოს წევრებისათვის საჩვენებლად, ვარლამს ისე მოსწონებია ჩემი ნამუშევარი, ვერ მოუთმენია, როცა მარტო დარჩებოდნენ, მაშინ ეთქვა გურამისათვის — მხატვარს ამ გაფორმებაში უმაღლესი ტარიფის მიხედვით გამოუწერე ჰონო-

რარო. მთავარი მხატვარი გამოიჩინა — ეს რომ მითხრა ვარლამმა, გამეცი-
ნაო.

— რა გაციენებს? — დაინტერესდა
ვარლამი.

— ერთხელ რომ უმადლესი ტარი-
ფით გამოვეწერო, მერე საშუალო ტა-
რიფით გამოწერილს აღარ დაგვჭერ-
დება.

— თუკი ისევ ასეთ საუცხოო ნამუ-
შევარს წარმოადგენს, საშუალო ტარი-
ფით რატომ უნდა გამოუწერო? შენც
კარგად ხედავ, ნამდვილად ნიჭიერი არც
ისე ბევრია!

— სამაგიეროდ, რომ იცოდეთ, რამ-
დენია პრეტენზიის მქონე... ბატონო
ვარლამ, ისე ვაბრალებ, თქვენ მე მხატვ-
რებს ამიჯანყებთ... ზოგიერთები, მერა-
ბის ასეთ გამორჩევას მე დამაბრალებ-
ენ და ათასნაირ კუდს გამოაბამენ...
შეიძლება ისიც კი დამწამონ... ჰონო-
რარს უყოფსო...

— ნუ გეშინია... ყველას ეტყობა რა
კაციცაა... საქმარისია ერთი თვალბში
შემოგხედოს... რომ..

— კაცი რომ სიგლახეს მიეჩვენვა, მე-
რე მის თვალბშიაც ძნელია ამოიკი-
თხო... მართალი!..

— ახლა, კაცმა რომ თქვას, შენ შეი-
ძლება აღარც მიგლო ყური, მე აქ დღეს
ვარ, ხვალ კი სხვა უფროსი მოგველი-
ნება. მაგრამ ეცადე, სინდისის გზით
იარო... ხალხს, ქვეყანას, საქმეს, მარ-
ტო ნიჭიერი გამოადგება. ეს იცოდე!

შინ კარგ გუნებაზე დაებრუნდი. სა-
ლამოთი საჯაროსაკენ გავსწიე, მაგრამ
გზაში ამხანაგებს გადავეყარე და გზი
შემაცვლევიანეს, კინოში ამოვეყავი თავი.
ყურში აქამდე მესმოდა, ვარლამს
რომ უთქვამს კაბინეტში თანამშრომლე-
ბის თანდასწრებით — მომწონს ეგ ბი-
ჭი, როგორც მხატვარი და როგორც
ადამიანი, მინდა ჩვენთან რიგით მხატვ-
რად მოვაწყო და თუ ივარგებს, წინ მე-
რე თაბისილია წაიწვიოს.

11 სექტემბერი.

გუშინდელს აქით სულ ის მახსოვ-
და, დღეს მთავარ მხატვართან უნდა მიე-

სულიყავი. დილით ძალიან ადრე გამე-
ღიძა... დრო ძლივს გავიდდა, ვერც
ზე ადრე ხომ ვერ მივადგებოდი გამო-
ცემლობას. თერთმეტის ნახევარზე უკვე
გამომცემლობაში ვიყავი. მთავარი
მხატვარი ორი საათის დაგვიანებით მო-
ვიდა. მთხოვეს, მაგრამ ოთახში არ მო-
ვიცადე; დერეფანში ვცემდი ბოლთას
იმის იმედით, რომ ელ-გრეკოს მადონა
ერთხელ მაინც გამოიხედავდა გარეთ,
მაგრამ ამაოდ. საკვირველია, იმ ოთახის
კარი ერთხელაც არ გაღებულა, სადაც
ის და კიდევ ორი კორექტორი ზის. დე-
რეფანში მთავარი მხატვარი გამოჩნდა.
დირექტორთან აპირებდა შესვლას. მე
ხელით ვანიშნე, ერთი წუთი მოეცადა
და ნაბიჯს აეუჩქარე.

— რა იყო, მერაბ? — სალამის მაგი-
ერად შემომავება თავისი გაოცება.

— არაფერი, ბატონო გურამ. გუშინ
დირექტორთან ვიყავი...

— ვიცი.

— მითხრა, თქვენთან უსათუოდ შე-
ნომეველო...

— მეც მითხრა. თუ დამიჯერებ,
შეილს გეფიცები, ახლა რაიმე საინტე-
რესო წიგნი კი არა, უინტერესოც აღარ
ღარჩა გასაფორმებელი...

— მეც ვიცოდი, მაგრამ ბატონი ვარ-
ლამი რატომღაც ვერ დაეაჩერე...

— აქ, შტატში მოწყობაზე რა ვითხ-
რა? ჩემთან რომ გგზავნის, რაც თვითონ
შეუძლია, ჯერ ის გაგიცეთოს...

გურამს ჩემთვის აღარაფერი უთქ-
ვამს, უკითხავად შევიდა დირექტორთან.

მე კი გაგიფიქრე — დაწესებულება-
ში ალბათ სხვაგვარად შეუძლებელია,
ყველანი ერთმანეთს კრიკაში უდგანან...
ზურგს უჯან. სხვის თვალში კაი კაცად
მოჩვენების და თვითდაზღვევის უკეთუ-
სი საშუალება ალბათ არ არსებობს. მე
კი პირში ჩალაგამოვლებულივით დაებ-
რუნდი უკან. რომელია მართალი? კაც-
მა რომ თქვას, ხომ შეიძლება ვარლამს
არ ჰქონდეს სწორი წარმოდგენა. რა ვი-
თარებაა მთავარი მხატვრის უბანზე?
მაგრამ მაშინ რაღა ხელმძღვანელია?
ერთი სიტყვით, ამ უბანზე ბურუსია...

12 სექტემბერი.

ამ დღით მთავარმა მხატვარმა ჩემს მეზობელთან დარეკა (მისი ტელეფონის ნომერი დავუტოვე გამოცემლობას). გუშინწინ დამავიწყდა გამეფრთხილებინე — ხელშეკრულება ვერ გავგიფორმებია იმ ნამუშევარზე, რომელიც უკვე მოწონებულია, ზოგიერთი ცნობაა საჭირო, უსათუოდ შემოიარეო.

ნახევარ საათში გამოცემლობაში ვიყავი.

მთავარ მხატვარს თავის დამსახურებად არ ჩათვლია, არ დაუფარავს, ვინც იყო ჩემთვის უმაღლესი ტარიფით გადახდის ინიციატორი. როდესაც ხელშეკრულების სამ, თუ ოთხ ცალს, კარგად არ მახსოვს, ხელი მოვაწერე და წასვლა დავაპირე, მთავარმა მხატვარმა კარებში დამადგენა სიტყვა.

— მერაბ, ახალ დირექტორს შენი ნახვა უნდა, შეიარე. მდივანს უთხარი — დაბარებული ვარ-თქო და შეგიშვებს, ხალხიც რომ იყოს, არ გალოდინებს.

დირექტორი მარტო არ იყო, მაგრამ მიღებაზე უარი მაინც არ უთქვამს. გულის სიღრმეში გამიხარდა, რომ არა მალოდინეს და ის სიამოვნება, რაც ჩემი ნამუშევრის უმაღლესი ტარიფით შეფასებას მოჰყვა, იქვე არ წამამწარეს.

დირექტორს მარცხენა ხელში ტელეფონის ყურმილი ეჭირა, მარჯვენათი, ის იყო, ნომრის აკრეფას აპირებდა, მაგრამ, რომ დამინახა, იმ ხელით უსიტყვოდ მიმიხმო და მანიშნა — დაქექიო. ეს ისე თავისუფლად და ძალდაუტანებლად გააკეთა, არ შეიძლებოდა შენი გული არ მოეგო ამგვარ უშუალობას, რასაც მხოლოდ ადამიანთან სიახლოვე და პატივისცემა განაპირობებს ხოლმე. მე კი ჯერ სრულიად უცხო ვიყავი მისთვის. ამ კაცს პირველად შევხვდი, და ახლა ის მიკვირდა, ასე სიტყვის უთქმელად როგორ მოახერხა ჩემი გულის მოგება-მეთქი. ვიჯექი და ვუსმენდი, რას გადაულაპარაკებდნენ ხოლმე ერთმანეთს მაგიდის ცალ მხარეს ჩამწყრივებული რედაქტორები.

დირექტორი კი რომელიღაც სტამბის ხელმძღვანელს ელაპარაკებოდა, უკმათებოდა, ბოლოს უკმაყრფილოდ უთხრა — კარგი ბატონო, აწი მეცოდინებო და, ყურმილი დაუდევრად დაიგდო ორკაპზე. ერთი შეხედვით, სულაც რომ არ იყო ამისი საჭიროება, მაგიდაზე ქაღალდები და ბროშურები აწეთ-იქით გადააწყ-გადმოაწყო, ალბათ ეს ნაცადი ხერხი იყო ნერვების დასაწყნარებლად; სახეზე შესამჩნევად წამოწითლებულს, ნახევარ წუთში სიწითლემ გადაუარა.

— ამ დასაწყვე საცარძელში მოკალათებულს, — დამცინავი ღიმილით შენიშნა დირექტორმა, — ყოველდღე თხასი უსიამოვნება რომ უნდა შეგემთხვეს... ეს ჩვეულებრივ ამბად იქცა და, ქვაც რომ იყო, ვერ გაუძლებდი, ერთი-ორი სიამოვნებაც რომ არ ახლდეს ჩვენს წვალებას.

რედაქტორებმა უმაღლესი ხასტიდეს ხელი დირექტორის შენიშვნას და, ვინ საით გამოაბა ყური, ვინ საით.

— მაგას თუ გინდა შევერიგდეთ, ეთქვათ დამფასებელი ყოველთვის არ ჩანს...

ტელეფონის ზარმა დირექტორს სიტყვა შეაწყვეტინა.

— გისმენთ... — და ჯერ მეტი არაფერი ეთქვა, რომ მოულოდნელად გადაიხარხარა, — არა, გენაცვალე, სისხლის გადასხმის ინსტიტუტი როგორ იქნება, როცა გამშრალი გვაქვს, და ცოტა მაინც თუ ვინმეს შეგვარჩა, ისიც ბოლმისაგან მოწამლულია. რა მესუმრება, რას ვიცინი?... აჰა კი მაინც არ წავიკითხავთ?... რომ სიცილი ზოგჯერ ცრემლზე მწარეაო... აი, სწორედ ეს ცრემლზე მწარე სიცილი მოგვისაჯა ატს-მა ჩვენც, თქვენც და მუშაობის საშუალებას არ გვაძლევს. კარგად, კარგად ბრძანდებოდეთ...

მართალია, რაც კაბინეტში შემოვედი, ამ ახალი დირექტორისადმი სიმპათიით გავიმსჯელებე, მაგრამ მისი ასეთი ბრტყელ-ბრტყელი ლაპარაკი ტელეფონით რატომღაც არ მომეწონა. თუ არ გინდა მუშაობა და ასე გაწუხებს თა-

ნამდებობა, მართლა მისჯილი ხომ არ გაქვს, რომ ვადამდე ითმენდე... როდის ყოფილა ხელმძღვანელის და მოღვაწის სივარძელი საქანელა, რომ თავს ბედნიერად გრძნობდე. მე მგონია, როცა ის საქმე გიყვარს, რასაც აკეთებ, სიძნელეც ნაკლებად გაწუხებს და, ზოგჯერ ვერც ამჩნევს...

— ბატონო გერონტი, ერთი-ორი ამხანაგი რომ იგვიანებს, როდემდის ველოდოთ, ხომ არ დაგვეწყოს...

«გერონტი», არ დამაფიწყდეს, გავიფიქრე და დირექტორს მივაჩერდი. მან, ის იყო, დილაკს თითი დააქირა და კარს რომ გახედა, მეც მოვხვდი თვალში. უმალ წამოდგა, ხელით თავისთან მიხმო. მე სწრაფად მივედი.

— აგერ ახლა არ მითხრა ჩემმა მდივანმა... რამ დამაფიწყა შენი სახელი.

— მერაბი, ბატონო გერონტი.

— მერაბ, შენს შესახებ ვარლამი მელაპარაკა, ნიჭიერი მხატვარია, ხელი შეუწყვით. მხოლოდ ახლა ცოტა გასაჭირი მაქვს... როგორც კი შტატს დამიმტყიცებენ... ჯერ კი შემციობაზეა ლაპარაკი. ერთი სიტყვით, უნდა შეგვახსენო ხოლმე თავი. შემოიარო, თუ რამე საჩქაროდ გადასაწყვეტი შეიქმნა, მდივანს დავარეკინებ შენთან. ტელეფონი ხომ გაქვს?

— დიახ, მეზობელს აქვს...

— ჰოდა ასე ჩემო...

— მერაბ.

— მერაბ, მერაბ... აბა ვიყოთ ამირიდან მეგობრები. ახლობლებით დავშორდით ერთმანეთს. გზაში იმაზე ვფიქრობდი, ხომ არ იქნება ნაადრევი, თავი დავაჭერო — ეს ახალი დირექტორი ძველს მგონია კიდევაც სჯობია-მეთქი. არა. ახალ ცოცხს კაცი აგრე ადვილად არ უნდა ენდოს.

18 სექტემბერი.

სად ველოდო შეკვეთებს...

გადაწყვიტე, ჩემთვის დავასურათო ლეო ქიაჩელის „ჰაკი აძბა“. ეს მოთხრობა ძალიან მომწონს თავისი მძაფრი დრამატული პერიპეტეებით, ხასიათების გამჟღავნების, განვითარების ლო-

გიკურობით საპირისპირო სიტუაციებში, ოსტატურად ნაძერწი პერსონაჟებით ხელშესახებად დახატული პერსონაჟებით პერსონაჟებისა... ფანქრით მოცინა-ჯეკუზმა მრისხანის და უჯუშ ემხას პორტრეტები. ნაშუადღევს შევიარე გამოცემლობაშიაც. მდივანმა მითხრა — ბატონ გერონტის თათბირი აქვს. მოცინდას არ გირჩევ, თუ გინდა, ვკითხავ. ვთხოვე გადაეცა, მერაბი კითხულობს — ახალი ხომ არაფერია-თქო. მდივანმარადაც ქალაქები და ახალი გამოცემული წიგნის სასაგნლო ცალი შეუტანა. ორიოდ წუთში კაბინეტიდან გამოსულმა კარც მაგრად გამოიკეტა და გასაღებიც გამოიღო. ეს ყველაფერი ცუდად მენიშნა. ვერც სახეზე შევატყვე ჩემთვის რაიმე სასიკეთო პასუხის მომსწავლებელი. დაჯდა, ფურცელჩატანებული წიგნი გადაშალა და სანამ კითხვას გააგრძელებდა, თავი არ აუწყვია. ისე მაუწყა — ვუთხარი, რომ მოხვედით, მაგრამ არაფერი მიბასუხა, დღის ბოლოს, ან ხვალ დამირეკეთ, კიდევ ვკითხავ...

არ ვიცი, ეკუთვნოდა თუ არა, მაგრამ მე მადლობა მაინც გადავუხადე მდივანს და, რაღაც შერცხვენილივით გამოვბრუნდი... თანამდებობის კაცს თუ თათბირი აქვს, აღარავინ აღარ ახსოვს. არა, რა თქმა უნდა, ამას ყველაზე ვერ იტყვი, ეს მხოლოდ სულით პატარა აღამიანებს ეხება... დღეს გამოცემლობაში მისვლა მაინც ღირდა თურმე. თუ დირექტორი ვერა, ელ-გრეკოს მაღონა ხომ ვნახე... რა სახე აქვს, რა საუესოოოოვალი, რა თვალები, რა მშვიდი გამოხედვა, რა მიმზიდველი იერი! მთავარ მხატვართან აღარ შევსულვარ. ელ-გრეკოს მაღონამ ისე დამარტყანა, არავის დანახვა აღარ მინდოდა, მით უმეტეს, საუბარი პროზაულ საგანზე... არის წუთები, როცა მხოლოდ შორეული ოცნებით შეიძლება იყვებებოდე...

25 სექტემბერი.

ერთი კვირა გავიდა, რაც გამოცემლობაში აღარც გამივლია, აღარც დამირეკავს. სიმაგიეროდ „ჰაკი აძბას“ ორი-

ილუსტრაციის დამთავრებას აღარაფერი უკლია. საღამოობით თითქმის ყოველდღე საჭაროში ვარ. ვეძებ წიგნებს, ეურნალებს, ვეძებ მასალებს. საოცარია, როგორ ამდიდრებს ადამიანს ძნელი ამოცანის დასახვა და მის გადასახვაედ მთელი შენი ფიზიკური და სულიერი ძალების მობილიზება. ვაცი ვერც წარმოიდგენს რამდენი ძიება, ფიჭრი და ხშირად აღმოჩენის სიხარულიც ახლავს დასახული ამოცანის ლაბირინთებში გზის საპოვნელად ხეტიალს. რამდენი რამეა გადასაწყვეტი ილუსტრაციის დონეზეც კი, შინაარსი, ხასიათი, ფორმა, ტენდენცია, პათოსი. რა ძნელია სანამ ნათლად გამოიკვეთებოდეს, რას აკეთებ. რატომ, და რისთვის... რა გასაღირი ადგას შემოქმედს, თუ პასუხისმგებლობას გრძნობს და, ამ დროს ფიჭრი იმაზე, დღეს რომ მიხვიდე გამოცემლობაში, დირექტორი მიგიღებს თუ არა? ან რა გუნებაზე დაგხედება... შენს გუნებას კი ვინ უწყევს ანგარიშს... ვაცმა რომ თქვას, აქამდე ერთხელ მაინც უნდა გამეულო: თუ მიატოვებ, შენი საქმე თავისით ხომ არ გაკეთდება... მაინც რა მიყო იმ ვარლამმა! ვიყავი ჩემთვის, ველოდი შეცვეთას, რას მაგულაინებდა, მხატვრად უნდა მოგიწვიო. შენსთანაა გემოვნებიანი ხალხი გვიჩრდება, გამოცემლობის სამხატვრო სექტორიც თავისებური სკოლაა. აკადემიის შემდეგ სხვაგან სად წავა მხატვარი-გრაფიკოსი, და, წარმოგიდგენია, ვინმე უნიჭომ რომ ჩაიჯდოს ხელში ეს უბანი, ნიჭიერებს რა დღეს დააყრიოს!... არა, წესით უნდა მივსულიყავი, თუნდაც იმ ელ-გრეკოს მადონას ხატით, თუმცა ჭერ არც კი მიცნობს... ვაცნობას და დაახლოებას კი რატომღაც არ ვეჭარობ.

29 სექტემბერი.

რამდენი ხანი ვემზადებოდი გამოცემლობაში წასასვლელად და... მერე, რა? ნეტავი არ წავსულიყავი, ერთი საათი ველოდი დირექტორს. „ბატონ გერონტის“ მდიენისთვის უთქვამს, მომიცადოსო... ბოლოს გამოირკვა, რომ

დირექტორი გვერდის კარიდან გასულა. მდიენმა რომ შეიხედა, მარჯვენა ხელი რიელი იყო. რაკი არ მთვროს, მთვრალს წასვლის თაობაზე, შეიძლება მალე დაბრუნდესო, დამამიედა მდიენმა. მე ალბათ შესამჩნევად თუ არა, ცოტა მაინც წამოეწითლდი სახეზე. რადვან ვიგრძენი, როგორ მომაწეა სისხლი თავში. ველოდი კიდევ ერთ საათს. ტელეფონის ზარის ხმაზე მდიენმა წიგნის კითხვას თავი ანება და მილაკი აიღო. როცა ყურმილი დადო, მითხრა — დღეს ტყუილად მოგიხდათ ლოდინი, დირექტორმა დარეკა — კომიტეტში ვარ, თათბირი შეიძლება დღის ბოლომდე გაგრძელდეს, ნურავინ დამელოდებაო. უხერხულად გავიღიმე. გალახულივით თავჩაღუნულმა დავტოვე იქაურობა. დერეფანში რომ გამოვედი, პირველად ის ვინატრე, ნეტავი ახლა ელ-გრეკოს მადონა არ შემხედებოდეს-მეთქი. იმ წუთში ალბათ სახეზე კიდევ მემჩნეოდა გაწიბილების, დამკირების, შეურაცხყოფის კვალი... სხვა თუ არა, საბედნიეროდ ეს სურვილი მაინც ამისრულდა.

2 ოქტომბერი.

ხელშეკრულებას რომ მიფორმებდნენ, მაშინ მთავარმა მხატვარმა გამაფრთხილა, თვის ორ, ან ჩვიდმეტ რიცხვში ბულალტერიას მიაკითხე. ხელფასთან ერთად იმ დღეებში ჰონორარისთვისაც ცოტაოდენი თამბა გამოაქვთ და... კარს ვინც დააკეცუნებს, იმას გაუღებენო!

დღეს ორი რიცხვია. მივაკითხე გამოცემლობის ბულალტერიას. ბევრი იტბნეს ჩემი ხელშეკრულების კვალი დაჯობებსა და რაღაც ბარათებში, მაგრამ ამოდ. ბოლოს მითხრეს, ისევ გურამს მიაკითხე. ის გეტყვის. უკვე გადმოუგზავნეს თუ არა შენი ხელშეკრულება ბულალტერიასო. ძალიან მიჭირდა იქით გახედვა. მაგრამ რას ვიზამდი. მოულოდნელად დერეფანში დირექტორს გადავეყარე. ჭერ თითქოს ვერ მიცნო, მერე მობრუნდა, გამოიცნა და მომძახხა, იმ საქმეს ჭერ კარგი პირი არ უჩანს, ცოტა კიდევ მოვიცადოთ,

ვნახოთ, რა გადაწყდება, შტატს დამიბატებენ თუ არაო...

ეს ყველაფერი ძალიან დამაჭერებლად და გამოკვეთილად თქვა, მაგრამ მე უკვე მაინც ვერცერთი სიტყვა ვერ დავიჭერე.

მთავარი მხატვარი ადგილზე არ დამხვდა. მისმა მდივანმა მითხრა — ჯერ ხელშეკრულებები ჩვენთან არის, დირექტორმა შემოგვითვალა, როცა საკმაოდ დაგროვდება, ხელს ერთად მოვაწერო... ელოდე, როდის ხელშეკრულებები დაგროვდება, როდის მოისურვებს დირექტორი ხელის მოწერას, როდის გასცემს განკარგულებას — ბუღალტერიას ჩააბარეთო და როდის მოეპირიანება ბუღალტერიას, მოწყალე თვალით გადმოხედოს... ნერვები... გაძლება... მოთმინება... გამომცემლობიდან ისე გაბრუნებული გამოვედი, ელ-გრეკოს მაღონაც კი არ გამხსენებია, იქნებ კიდევაც ჩამიარა გვერდით და ვერ შევაჩინე...

10 ოქტომბერი.

ბალზაკს უთქვამს — გამოსავალი ყოველთვის არსებობს, საქმე ის არის, თუ იპოვნით. გამოსავალი მე კი არა, ტარიელმაც ვერ იპოვნა, სანამ ავთანდილმა ტარიელი არ იპოვნა. ახლა იმის იმედად ვიყო, მეც გამოიჩნდება ავთანდილი და მიპოვნის-მეთქი... სწორედ ამან შემაგულიანა გამომცემლობაში კიდევ ერთხელ მისვლაზე. დირექტორის მოსაცდელში რომ შევიხედე, მდივანმა გოგონამ ერთი შემავლო თვალი და უმალ თავი ჩაღუნა, ვითომ უჭრაში რალაც ჭაღალდის ძებნით იყო გართული... დერფანში ის ორი რედაქტორი შემომხვდა. ამასწინათ დირექტორთან რომ ისხდნენ, მიცენეს, მაგრამ არ მომესალმნენ, თვალი ოსტატურად ამარიდეს... მივხვდი, ეს დირექტორის ჩემდამი არაკეთილგანწყობილების ბრალი იყო. ცოტა ადრე, ვარლამის დირექტორობის დროს, იგივე რედაქტორები სალამს ისე მაძლევდნენ, მათი გადაჭარბებული თავაზიანობა უხერხულობაშიც კი მაგდებდა... როგორც ბარომე-

ტრის მიხედვით ტყობილზე, ტყეფსსკი ცვლებადობას, ისე ხელშეკრულებების მოკიდებულების მიხედვით სულ ადვილად შეგიძლია გამოარკვიო, მათი უფროსის დამოკიდებულება შენდამი... ერთი პირობა, მწარედ გამეცინა გუნებაში „ბატონ გერონტის“ მისამართით... კაცის ფორმა თურმე ჯერ კიდევ არ ნიშნავს კაცობას. მთავარი მაინც ის კი არ ყოფილა, როგორია კურკელი გარეგნულად, არამედ შიგ რა ასხია. ამასწინათ ბიჭებმა რომ კინოში ძალით წამიყვანეს, სწორედ საამისო გაკვეთილი მივიღე. ჯელსომინას, ერთ საცოდავ გოგონას, თამაშობდა ჯულიეტა მაზინა... ასე საოცრად ულამაზო მსახიობი ჯერ ეკრანზე არ მინახავს, მაგრამ რა დიდებულად თამაშობდა, მიუხედავად ულამაზო გარეგნობისა. სურვილი აღმძვრა, ნეტავი ანა კარენინას როლში მაჩვენებთქი... და მე დარწმუნებული ვარ, ვერცერთი ლამაზი მას ალბათ ამ როლში ვერ შეედრებოდა. ამ ფიქრში მთავარი მხატვრის ოთახის კარს მივადექი, და როგორც ზღაპარში, კარი მოულოდნელად თავისით გაიღო. სინამდვილეში თავისით არ გაღებულა, შიგა სახელურზე ჯერ კიდევ ეპირა ხელი ერთ ხნიერ მხატვარს, მაგრამ კარს უკან მდგომს ვერ ვხედავდი. ხნიერი მხატვარი გამომეშვიდობა გურამს და წავიდა. დამინახა თუ არა გურამმა, უმალ ხელით თავისთან მიხმო. იერზე შევატყვე, რომ ჩემი გამოჩენით გაეახარა. ამან მეც გამახარა გუნებაში, რადგან იმაზე უარესი არაფერია, როცა შენი დანახვა არ სიამოვნებთ... ოთახში მართო ჩვენ ორნი ვიყავით. რომ შევედი, მითხრა, კარი კარგად დახურეო. უკვე ფეხზე წამომდგარი, ფანჯარასთან მივიღა. რალაც საეკვოდ იცინოდა. ეს სიცილი საოცარი ანარეკლი იყო იმისა, რასაც ფიქრობდა. მერე მომიბრუნდა და მითხრა:

— გუშინ გერონტიმ დამიბარა, მართო ვიყავით. საიდუმლოსავეთ მითხრა — მთხოვეს ერთი გოგოს ჩვენთან მხატვრის ადგილზე გაფორმება... ახლა რა ვქნათ... რა ვუყოთ იმ ბიჭს, ვარლა-

საქართველოს
საბჭოთაო
წიგნობა

მი რომ შეპირებია აქ მხატვრად მოწყობას, მეც, ერთი პირობა, დაბეჯითებით არა, მაგრამ ცალკეად ხომ მაინც ვპირდებოდი...

— მერე, რას შეპირდით, ბატონო გერონტი?

— როცა ვთხოვენ, გამოსავალი მხოლოდ ერთია... საქმე ისაა, შენ როგორმე უნდა გამომიყვანო ამ უხერხული მღვთმარეობიდან.

— როგორ? არ მესმის...

— რა არ გესმის, ამხელა კაცს ჰკუთმე გასწავლო?... იმ ბიჭს რა ჰქვია?..

— მერაბი.

მერაბს უნდა უთხრა, აუხსნა, დააჯერო, რომ ამჯერად მისი მიღება არ ხერხდება... და საერთოდ შენ იცი დასახუთების რა მარჯვე ვარიანტსაც გამოიხატავ...

— მე ვერაფერს ვერ გამოვიხატავ, ბატონო გერონტი...

— ბიჭო, უფროსს და ხელმძღვანელს ასე ვინ ელაპარაკება?

— თუ გნებავთ... განცხადებას დავწერ და წავალ!

გერონტი ერთბაშად აღშფოთდა და... აფეთქდა... შუა დარბაზში რომ მეთათბირებოდა, ერთბაშად ადგილიდან მოწყდა, თავის მაგიდას მიუჭდა, უნდოდა სადღაც დაერეკა, მაგრამ გადაიფიქრა და ისევ ზეზე წამოიჭრა...

— რას გავს ეს, რა ლაპარაკია... შენ ბიძია, გუნებაში იქნებ ის უფრო გესიამოვნოს, მე დავწერო განცხადება... ეს რომ გაეკეთო, შეიძლება სად გამგზავნონ ჩემმა უფროსებმა იცი?

— სად, ბატონო გერონტი, — კეთილმოსურნის ღიმილით შევეკითხე ბატონ გერონტის და მის მაგიდას ორივე ხელით დავეყარდნე...

გერონტიმ ბრაზით შემავლო თვალი და ხმადანლა მითხრა:

— სა-გაციეთში!

კაბინეტში მხატვრული ლიტერატურის სექტორის გამგე შემოვიდა.

ჩვენი ლაპარაკი შეწყდა.

— კარგი, წადი, იფიქრე, ხვალამდე

დროა. — მითხრა და უმაღლესი სექტორის გამგეს მიუბრუნდა.

მე კაბინეტიდან გამოვედი. ეს ხვალეც გათენდა, ჩემო მერაბ, ჯერ არ დავუძახნივარ...

მე დაძაბული ვუსმენდი. ჯერ გავბრაზიდი გუნებაში, მერე რაღაც სინანული მომეძალა, ზოგს რომ ასე ვადვილება ადამიანის ბედით და ინტერესებით თამაში. ეცადე შევრიგებოდე შექმნილ ვითარებას, მაგრამ სადღაც ამასობაში თავმოყვარეობამაც გაიღვიძა. გავიფიქრე, გადავწყვიტე, არასგზით არ შეიძლებოდა შერიგება, დათმობა. მართალია, იქნებ ის უფრო ადვილად და შეტს აღწევს ვინც რევერანსებით იწყებს, მაგრამ ჩემთვის რევერანსებით ლაპარაკი არ უსწავლებიათ... ბაბუა ძველი რევოლუციონერი იყო, მამა სამამული ომში დაიღუპა, დედა ილიას, ვაჟას, ყაზბეგის, ლეო ქიაჩელის ნაწარმოებების სულსიკვებებით მზრდიდა... ყურში სულ ის მესმოდა და ახლაც მესმის — ვერ მააწონებთ კარგ უმასა, რაც არ უჭდება ჰქვეშიათ... მე კი თავზე ლაფს მისხამდნენ. არარაობად მისახედნენ და ეს მოვიწონო?..

— რას იტყვი, მერაბ? — უეცრად ჩამესმა ჩაფიქრებულს და ამ კითხვამ ისე იმოქმედა, თითქოს კლდის პირას ვიდექი და ვილაკამ შემანჯღრია.

— თქვენ რას მირჩევთ? — ჩემს მდგომარეობაში უკეთეს პასუხს, თუ შეკითხვას კაცი ვერ მოძებნიდა.

გურამი ერთხანს დუმდა. მერე თავის მაგიდას მიუჭდა, მეც ხელით მანიშნა, ჩამოქექიო და მაგიდაზე იდაყვდაყრდნობილ ხელებში საკონტაქტში ჩავარდნილივით სახეჩარგულმა, რაღაც გაკვირვებით და გამომცდელის თვალებით შემომხედა.

— მე თუ რამე რჩევა შემიძლია, ისევ ჩემს თავს უნდა ვურჩიო. — მითხრა გურამმა, — როგორმე ავიცილო იმ გოგოს აქ ჩამოთესლება. შორიდან ვიციან, ერთი უნიჭო და ინტრიგანია.

— მერე.. თუ მასეთია, რათ უნდათ ან „ზევით“ ან „ქვევით“.

— არ დაიჭერო, ყველაფერი გერონტის მოგონილია... შეიძლება იმ გოგოს „ზევითაც“ ყავს ვინმე, მაგრამ მე ხომ ვიცი, საიდანაც მოდის ეს ყველაფერი. ის გოგო გერონტის ნათესავი ყოფილა!.. დღეს დილით, აქვე ყველაფერი გამოვარკვიე... მე მხოლოდ შენ გიქერ მხარს... ახლა უნიკოები მაკლია, აქაც რომ არ დავისვა და იმის მატრაკვეცობას ვუყურო, სისხლი ხმის ამოუღებლად გავაშრობინო?

— მხარდაჭერისათვის... მადლობელი ვარ, მაგრამ... ეს ძვირად რომ დაგიჭედეთ, ბატონო გურამ?

— მე მგონია... პირფერობა და უპრინციპობა უფრო ძვირად უჩდება ადამიანს საბოლოო ანგარიშით...

— მე შემიძლია ჩემმა თავოყვარებულმა არ დამაბეჯინოს უკან, მაგრამ, რას მივალწეე...

— რავა, ღათობით კი აღწევ რამეს? ამ წუთში ელ-გრეკოს მადონაც გამახსენდა. თურმე მის ყურამდე მიულწევი, რომ გამომცემლობაში რიგით მხატვრად ჩემი მიღების თაობაზე ყოფილა ღაპარაკი და... დაინტერესებულა... წარმოგიდგენიათ, რომ არ მიმიღონ, რა სირცხვილი იქნება... ყველა თუ არა, უმრავლესობა მაინც ხომ იმას იფიქრებს — არ შეეფერებოდ ალბათ საქმეს და იმიტომ არ მიიღეს... სადღა მიდინხარ, ელ-გრეკოს მადონასაც რომ ასეთი შთაბეჭდილება დარჩეს ჩემზე...

— თუ მოსვლა გიჭირს, ორ დღეში ერთხელ დამირეკე მაინც, მართალია, ტელეფონით ვერაფერს გეტყვი, მაგრამ იმის თქმას რა დამიშლის, უსათუოდ შემოიარე-მეთქი. ახლა, ვნახოთ, დღეს თუ კიდევ დამიბარა, რას მეტყვის ბატონი გერონტი. იცოდე, მე ჩემს სიტყვას არ გადავალ, იმ გოგოს დანახვა არ მინდა.. ვნახოთ, როგორ განვითარდება მოვლენები ჩვენს ფრონტზე!

მადლიერის ღიმილით ჩამოვართვი ხელი. ახლა ნიჭიერი და უნიკო ერთმანეთში აირია... თითქო სულ ერთი იყოს, იტალიური - სკოლის დონეზე ხარ, ვთქვით ტიტო ვობივით ბარიტონი, თუ

ესტრადის მხხავანა კატა მოდურე-პერტუარიო. იმასაც მომდგურა ჩემთვის ამასაც.

20 ოქტომბერი.

პირობა ვერ შევასრულე, გურამს ვერ დავურეკე. არ ვიცი რა მოხდა, კაცმა რომ თქვას, ღირს ამ უსინდისობაში შეტოპვა?

27 ოქტომბერი.

ამ დილით გამომცემლობის დირექტორის მდივანმა დამირეკა. ბატონი გერონტი ვთხოვთ, დღეს, სამ საათზე გამომცემლობაში მოხვიდეთ მასთანო, რას ვიზამდი. მივედი. მოახსენეს თუ არა, მაშინვე მიმიღო. სალამი შორიდანვე შემომავება. საუბარი შორიდან დაიწყო, ამ შემოდგომაზე წვიმამ რომ მოუხშირა, თბილისს ეს რომ არ სჩვევიაო, ამინდს ჯანმრთელობის საკითხები მოჰყვა, მერე მობოდიშება, პასუხზე ამდენი რომ გალოდინეთო.

— რა ვქნათ, ყველაფერი რომ ჩემზედ იყოს დამოკიდებული... რალა აჯობებდა... მერაბ, აქამდე შენ ჯჭონდა ჩემთან სათხოვარი, ახლა... მე მაქვს!

— რა ბატონო გერონტი! — გაკვირვებით შევხედე და გაუბედავად ვიკითხე...

— რა და... შენ თუ ახლა ამ გასაჭირიდან მიხსნი... ბიჭო, იმ ადგილზე, შენ რომ გპირდებოდით, უფროსებმა სხვისი დანიშვნა მთხოვეს... შენ არ იცი, ეს რას ნიშნავს....

— ვისი დანიშვნაც ვთხოვეს, თუ ის საქმისთვის უფრო გამოსადეგია...

გერონტიმ ერთი გაოცებით და უკმაყოფილოდ შეშავლო თვალი, დაცივით მკითხა:

— რამდენი წლის ხარ?..

მე რალაც შევეყოყმანდი, მაგრამ მაინც ეუპასუხე:

— ოცდა... ხუთის...

— მერე? — წამოიძახა გაოცებულმა. რავა, ამ ხნის კაცს სიბრძნის კბილი ჯერ კიდევ არ ამოგვლია? მე რომ აქ მნიშვნავდნენ, როგორ ფიქრობ, ამ საქმისთვის ჩემზე უკეთესი აღარ მოიძებნებოდა? მჯობნის მჯობნს ვინ ეძებს — ყვე-

ლაზე უკეთესი ის არის, ვინც შენ გამოგადგება!...

— ბატონო გერონტი, მართალია, თქვენი მოსაზრებით სიბრძნის კბილი ჯერ არ ამომსვლია, მაგრამ... მე მაინც იმას ვეტყობდი, აგრე მართო ოჯახის დონეზე შეიძლება იმსჯელო. სუფრაზე რომ სხდებოან. შინაურებში კრეტიანიც რომ ერიოს, იმასაც ვერ ეტყვიან უარს ლუქაზე, აქ კი დაწესებულება, სახელმწიფოს ინტერესების დონეზეა ლაპარაკი....

— შენ რა ფაქულტეტი გაქვს დამთავრებული?

— სამხატვრო აკადემიის გრაფიკის ფაქულტეტი.

— სხვა არაფერი? დაუსწრებლად იფრიდიულ ფაქულტეტზედაც ხომ არ სწავლობდი?

— რატომ მეკითხებით, ბატონო გერონტი?...

— რატომ და, სიტყვა ვერ მოგიგე! ძველი სასამართლოს ვექილივით გაქვს ენა მოქნილი. მე მეგონა, ახალგაზრდაა, უფროსების რიდი ექნება, ვეტყვი ჩემს გასაქირს, ჩადგება ჩემს მდგომარეობაში, დამეხმარება, მიხსნის-მეთქი, შენ კი...

ღირექტორის მსჯელობა და ჰკუა არც იმ მხრივ მომეწონა. რომ თითქმის ყველა ფრჩხილი გახსნა. ეს არ იყო გულახდილობა. ის მოელოდა, ერთ შეცდომას მაინც დაეუშვებდი ჩემს სვლებში. ის ალბათ ფიქრობდა, რომ თეთრი ფიგურებით თამაშობდა შავების წინააღმდეგ... მაგრამ რა უფრო მნიშვნელოვანია, ფიგურების ფერი, თუ უნარი?.. როგორ? შავებით პარტიას ვერ იგებენ?.. რაკი დარწმუნდა, პოზიციას არ ვთმობდი, სხვა ზერხს მიმართა.

— კარგი, საუბარი ამით დავამთავროთ. საქმეზე მოლაპარაკება კი სხვა დროისთვის გადავდოთ. ახლა გურამთან შეიარე, ერთი კარგი წიგნი აქვს გასაფორმებელი და მე ვთხოვე, სხვას არავის გადასცეს, შენ მოგანდოს მისი გაკეთება....

თავზიანად გამოვემშვიდობე და კა-

ბინეტიდან რომ გამოვედი, ასე შეგონა აქამდე სული მეხუთეზედა და მტკიცეს თავისუფლად ამოვისუნთქე-მეთქი. მოსაცდელში ბარე ხუთი კაცი ელოდა ჩემს გამოსვლას. ყველას ძალიან უკმაყოფილო იერი ჰქონდა, ღირექტორთან ჩემი საუბარი რომ იმდენხანს გაგრძელდა. აქვე, მოსაცდელში იყო ის ჩემი ოცნებაც: ელ-გრეკოს მადონა. მდივანს ეხვეწებოდა, რალაც ქაღალდის შეტანას თხოვდა ღირექტორთან. ერთი შევავლე თვალი და მოსაცდელიდან გავედი, რადგან ყველა მე შემომცქეროდა, თითქოს მე ვიყავი დამნაშავე, რომ ღირექტორის განკარგულებით მდივანმა კაბინეტში არავინ შეუშვა, სანამ იქ ვიყავი.

ვეახლე გურამს. ტელეფონით ლაპარაკობდა. ლაპარაკი რომ დაასრულა და ყურმილი დადო, სახევაბადრულმა სიცილით თქვა:

— კომედია!

მე ვიდექი და გაკვირებული შევეცქეროდი, რადგან სიტყვა „კომედიას“ და ჩემს მისვლას რალაც კავშირი ჰქონდა ერთმანეთთან.

— ბატონო გურამ, — წამოვიწყე ცოტა დარცხვენით, — ღირექტორმა დამიბარა. მელაპარაკა. მერე თქვენთან გამომგზავნა.

— ახლა სწორედ ღირექტორი მელაპარაკა. რა ვქნა, რა წყალში ჩავვარდე...

— რა იყო... — ცოტა არ იყოს შევწუხდი, თუმცა გურამი სიცილს ვერ იკავებდა...

— აგერ, დამირეკა და... მიბრძანა — შენ რომ ბოდღერის წიგნის გაფორმებას შეპირებიხარ, იმ მხატვრის მაგიერ ეგ ავტორი გასაფორმებლად მერაბს მივციო... მართალია ზელშეკრულება არ გამიფორმებია, მაგრამ ხომ დავავალე და ახლა როგორ გინდა უთხრა უარი, მერე კარგი მხატვარი და, თან ისე თავმოყვარე მაინც არ იყოს... ეს გერონტი ნამდვილად გამაგიყებს!..

— ბატონო გურამ, — წამოვიწყე მკორე ღუმლის შემდეგ, — თქვენ რომ



ეს ჩაიდინოთ. მე ავიღებ? რაც უნდა იყოს, ერთი წიგნის გაფორმებაზე მეტი არ ღირს პატივისცემა კოლეგასი და ეთიკის ცნება?

— მერე როგორ შევათავსოთ ეთიკის ცნების ეს განსხვავებული კატეგორიები... ჩვენსა და გერონტის შორის?

— რა მეთქვა, რა მერჩია ორ ცეცხლს შუა მოხვედრილ გურამისათვის.

— არ იცისრა-თქო, ასე უთხარო...

— კაცმა რომ თქვას, როგორ გაუბედავ, თორემ ხომ უნდა უთხრა, ნიკიერი და პატიოსანი ხალხი ასეთ ხაფანგში არ ებმება-მეთქი! ვითომ თავისი ვარაუდით შენი გულის მოგება სცადა. რა ფასი აქვს ასეთ გულის მოგებას, თუ თავს წაგაგებიანებს...

— გურამ, მადლობელი ვარ თქვენი მხარდაჭერისთვისაც და გულახდილობისთვისაც.

— შენ რა გიჭირს, წახვალ და... მე ვიკითხო რა მაგარ-მაგარ კაკაოს დამამტვრევს თავზე ბატონი გერონტი...

— მეტი რა გზა გაქვს — გამოვემშობებო გურამს და წამოვედი. გზაში ვფიქრობდი, აქ მომსვლელი აწი ნამდვილად არ ვიქნებოდი, ის ელ-გრეკოს მადონა რომ არ მეგულეებოდეს-მეთქი...

18 დეკემბერი.

ახლოვდება ახალი წელიწადი. რა დრო გავიდა და აქამდე „პაკი ამბას“ სამ ილუსტრაციაზე მეტი ვერ გავაყეთე. არ მინდა, მაგრამ გერონტიზე ფიქრი თავიდან არ მშორდება და მიშლის, მღიჯავს ორჯერ დაურეკავს მეზობელთან, გამომცემლობაში დავუბარებვიარ. თავს ძალა ვერ დავატანე, რომ წაესულიყავი. სულ ერთია, გერონტისთანებთან საერთო ენას ვერ გამოვინახებ...

20 აპრილი.

დღეს გამომცემლობას ავტარ-ჩავუარე, რამდენი ხანი გავიდა მას მერე და გერონტის უპირობა მაინც ვერ დავივიწყე... ის თავის ნათესავი ჭერ კიდევ არ დაუნიშნავსო, მითხრეს... ქუჩიდან მოულოდნელად დავინახე ელ-გრეკოს მადონა. სხვა გოგონებთან ერთად ფანჯარაში იცქირებოდა და იცინოდა. იშვია-

თია, ადამიანს რომ დემილიც და სიტყვილიც ასე ერთნაირად უხდებოდეს... 8 მაისი.

დღეს დილით გურამი შემხვდა. მისაყვედურა: სადა ხარ, რამდენი გირეკეთ, მეზობელი სულ ერთსა და იმავეს გვეუბნებოდა — თბილისში არ არისო...

— მართალია, სოფელში ვიყავი...

— კიდევ კარგი, შეგხვდი... თუ ხელი არ ჩაგიქნევია, კიდევ შეიძლება ჰქონდეს აზრი ერთ-ორხელ გაბრძოლებას, ის გოგო ჭერ არ დაუნიშნავს ჩემთან, მაგრამ ბევრიც აღარ უკლია...

— თქვენთან მუშაობა შარშანაც ძალიან მინდოდა, ახლაც მინდა, მაგრამ მეტი უსამოყენების ატანა აღარ შემიძლია... კიდევ კარგი, კრივს არ ვსწავლობდი, თორემ...

— გასაგებია... მაგრამ შენს საქმეში რა, ცუდი მოკრივე ხარ?..

არაფერი მიპასუხნია. ვაუღლიმე. ხელი ჩამოვართვი და წავედი. რამდენიმე ნაბიჯი რომ გავიარე, ანაზღად გავიფიქრე სინანულით, ნეტავი გურამი არ შემხვედროდა-მეთქი... ამ შეხვედრამ მოულოდნელად ამაღორაიქა...

9 მაისი.

მადლობა ბალახს!

რა მღელვარებით. რა გულისხმევით გადაიკითხა დღიური. სულ იმის შიშში იყო, მერაბმა არ მომისწროსო. ასეთი მღელვარება დედის გულს ჭერ არ გამოეცადა... უევირდა, რომ ამ ხნის განმავლობაში შეილი არაფერს ეუბნებოდა, რჩევას არ ეკითხებოდა. პირიქით, თურმე საოცარი ოსტატობით მალავდა თავის ჭირს. დედა მხოლოდ ბოლო ჩანაწერმა გააოცა. რას ნიშნავს ეს „მადლობა ბალახს“. ალბათ „მადლობა ბალახს“ უნდა იყოს, მაგრამ სინქარეში შეცდომა მოსვლია. ბოლო სიტყვაში მეორე შეცდომაც რომ არის — ვინ წერს ახლა „ბალახს“. უნდა იყოს „ბალახს“. ქართული ენის მასწავლებლის შეილი მაინც არ იყო მერაბი!

რაც მერაბმა იცოდა, ის მარტო დედამ კი არა, ალაშავეც არ იცოდა.

გვიგონის ფოთლები

რომანი

VIII

თეიმურაზ არჩევანიძე კუპირბეული ვაგონით მგზავრობდა. კუბეში მის მეტი არაყინ იყო და ქვედა საწოლი ეკი-რა. მაგრამ ღამით მაინც ცუდად ეძინა. ცალკე უსიზარულო ფიქრები ესეოდნენ, ცალკე გაურკვეველი მომავალი აღელ-ევებდა — მან ხომ არც კი იცოდა, ქვა-ნახშირის ქალაქში როგორ შეხედე-ბოდნენ, რა თანამდებობას შესთავა-ზებდნენ და საერთოდ, როგორ წავი-დოდა მისი საქმე. მესამე კიდეც ის იყო, რომ მეზობელ კუბეში ვიღაც ოხერ-ტიალი ისე შემაზრზენად ზერინავდა, რომ თეიმურაზმა რამდენჯერმე იფიქ-რა, ვაგონის თხელი კედლები ამ ციკ-ლოპურ ხმებს ვერ გაუძლებენ, დაიშ-ლებიან და მე ჩემი ჩემოდნიანად პირ-დაპირ რელსებზე დავეარდებო. ახალ-გაზრდა ინჟინერი რამდენჯერმე წა-მოდგა, შარვალი ამოიცივა და გარეთ, ტალანში გამოვიდა. აქ მიღებული ნა-თურები ბეჭუტავდნენ. თეიმურაზი ფანჯარასთან გაჩერდებოდა ხოლმე და ცდილობდა, ჩაბნელებულ ლანდშაფტ-ში რაიმე გაერჩია, მაგრამ საკუთარი ლანდის მეტს ფანჯარაში ვერაფერს ხე-დავდა. არადა, ზერინების ხმა მეზობელი

კუბიდან ტალანშიც ისევე ისმოდა, რო-გორც თეიმურაზის კუბეში. გულგასე-ნილი ინჟინერი ისევე თავის კუბეში შე-დიოდა, შარვალს იხდიდა და თხელ, ოდნავ ნესტიან ბალიშს თავზე იფარებ-და, მაგრამ არ იქნა და არ დაეძინა. ისევე უსიზარულო ფიქრები ესეოდნენ.

მაინც, რა უცნაური წესებია ამ რკი-ნიგზაზე. თბილისის საღებურში თეიმუ-რაზს არასგზით ქვედა საწოლის ბილე-თი არ მისცეს, არა გვაქვს და რაცა გვაქვს, ისიც დაჯავშნულიაო, მატარებ-ლის წასვლამდე ნახევარი საათით აღ-რე მობრძანდით და, თუ რამე გვექნა, მოგართმევთ. უთხრა თეიმურაზს, თმაქალარა, დარბაისლური იერის მქო-ნე ქალმა, რომელიც სადმე ქუჩაში შეხვედრისას ღვაწლმოსილი მანწაე-ლებელი გეგონებოდათ, და სარკ-მელი ზედ ცხვირწინ ისე გამე-ტებით მიუჯახუნა, რომ ახალგაზრ-და ინჟინერმა თავი შეუარცხყო-ფილად იგრძნო. მაგრამ რა უნდა ექ-ნა? ხელი ჩაიქნია და გამოტრიალდა. ის კი დაინახა, რომ ამ ამბის შემხედ-ვარე ვიღაც სამხედროებმა თავები ვადააქნიეს და ამოიხენეს. ისინი ფანჯარასთან იდგნენ, ვეებერთელა, ერთნაირი ჩემოდნები ფეხებთან ეწ-ყოთ და ალბათ, ვილაცას, ან რალაცას ელოდებოდნენ.

* გაგრძელება. იხ. „მნათობა“, № 6.

თეიმურაზი იმ საღაროსთან აღარ მისულა, არც მატარებლის გასვლამდე ნახევარი საათით ადრე, არც შემდეგ. ბილეთი მეორე საღაროში იყიდა. აქაც მხოლოდ ზედა ადგილი ჰქონდათ და, რაღას იზამდა, გამოართვა. მერე კი, მატარებელი რომ დაიძრა, დაინახა, ეკაონი სანახევროდ ცარიელი იყო. თავისუფალი ადგილები კუპეებში ზევითაც ბევრი იყო და ქვევითაც. თეიმურაზმა ტანდაბალ, ოდნავ წასვამ გამოყოლსთხოვა, თუ შეიძლება, ქვედა საწოლს დაეკავებო, გამოყოლმა ხელი ჩაიქნია და უთხრა, სადაც გინდა, იქ დაწევი, თუ გორში არაეინ ამოვიდა, მერე ნულარ გეშინიაო. თეიმურაზმა გამოყოლს მანეთიანი ჩაუდო ხელში და ქვედა საწოლზე მოეწყო.

ძილი კი არა და არ ეკარებოდა.

ნათია ავალიშვილზე თეიმურაზს ბევრი არ უფიქრია. ან რა იყო აქ საფიქრალი და სადავიდარაბო? განუბიერებულ ქალიშვილს მოეწყინა და ცოტათი გაერთო. ეს ახლა აშკარაა. თეიმურაზის ცოლობა მას ისევე არ უფიქრია, როგორც მეტეხის ხიდიდან მტკვარში გადახტომა. ცოტა გაერთო, ცოტათი, იქნებ ის მაგრაქველიძეც გააღიზიანა. ზოგ თბილისელ გოგონას ჩვევია ასეთი ილეთები... ახლა კი თეიმურაზი, ალბათ, აღარც კი ახსოვს და ზედალ თუ ზეგ ცოლად იმავე ბესარიონ მაგრაქველიძეს, ან ვინმე მისსავე მსგავს წაპყეება. ჩაცმა-დახურვას, ძვირფასეულობით მორთვას, დღეობებში სირბილს და ჭორიკანობას გადაპყეებიან. თეიმურაზს კი, სიმართლე უნდა ითქვას, იმ მოხუციგნო ბიჭებთან საქმის დაჭერა არასოდეს ეხალისებოდა. ჯანდაბას! ღმერთმა ერთმანეთს ტყბილად შეაბეროთ.

თეიმურაზის მთავარი სადარდელი დედა იყო. — ის სწეული, თვალცრემლიანი, გაცრეცილი მელანო, თბილისის ვეებერთელა სადგურზე მარტო რომ დარჩა, და ბოლოს, მატარებელი რომ დიდუბისკენ მთელი სიჩქარით გაქანდა,

ჩამოწოლილ ბინდ-ბუნდში შავე წერტილივით მოჩანდა. ვინ იცის, ენა დედა კიდევ რამდენ წელიწადს იცოცხლებს? ამ ბოლო ხანებში სულის ხუთვა ძალიან მოეძალა. ადამიანი ერთი წუთისააო, ნათქვამია. არა, გაკორეებით ამას იქით დედას აღარ უნდა გაუჭირდეს. თავის პენსიას ხომ უკლებლივ მიიღებს ჭერ-ჭერობით. ცოტას წიგნების აკონჭვითაც იშოვნის, ეს საქმე კარგად იცის და მუშტარი არასოდეს ელგვა — ბევრს არ უხდიან, მაინც... მარტო მას იმდენიც აღარ დაჭირდება. ამასობაში კი ალბათ, სულ რამდენიმე თვეში, თეიმურაზიც წელში გაიმართება. ბოლოსდაბოლოს, სამთო ინჟინერია, ინსტიტუტი წარჩინებით დაამთავრა და თავისი პროფესიით უნდა იმუშაოს. დედას ყოველთვიურად დაეხმარება — სამთო ინჟინრებს დიდი ხელფასები აქვთ, — ან სულაც თავისთან გადმოიყვანს და ერთად იცხოვრებენ.

მაინც, რა საოცარი ხალხი ვართ ეს ქართველები. ზოგიერთს რაიონში სამუშაოდ წამოსვლა პირდაპირ სასჯელად მიიჩნია. ვითომ რატომ? რა არის, რა უნდა იყოს ამ პროვინციაში ცუდი, აქაც ხალხი არ ცხოვრობს? დადევი, იმუშავე და იცხოვრე; როცა თბილისი ძალიან მოგენატრება, მატარებელში, ან ავტობუსში ჩაჯექი და ექვს-რვა საათის შემდეგ ფუნიაკულორს დაინახავ. რამდენიმე დღე დარჩი, ნაცნობ-მეგობრები მოინახულე. ოპერაში ან რუსთაველში წადი და — მერე ისევე შენ საქმეს დაუბრუნდი. რა არის ასეთ ცხოვრებაში ასე აუტანელი? არაფერი. ძალიან კარგია. მთავარი ის არის, რომ იმ პროვინციაში თავი არ შეიერცხვინო და ავტორიტეტი მოიხვეჭო, თორემ თბილისში სიარული რა პრობლემაა? ბოლოსდაბოლოს, საკუთარ მანქანას შეიძენ და იმით ივლი.

გუშინ, თბილისში, თეიმურაზი ქვანახშირის სამმართველოს კადრების განყოფილებაში შევიდა და პატარა საწერ მაგიდასთან მჯდომ ქალბატონ ინტე-

ლიგენტური შესახებ დაობის კაცს მორიდებით უთხრა, სამუშაოდ სადმე ქვანახშირის შახტში წასვლა მინდაო. იმ კაცმა გაზეთი მიაგლო და სქელი, შავი წარბები გავერცებით აწკიპა.

— თქვენი პროფესია?

— სამთო ინჟინერი.

— როდის დაამთავრეთ?

— წელს.

— წელს? დიპლომი თანა გაქვთ.

თეიმურაზმა ჯიბიდან თავისი წითელი დიპლომი ამოიღო და გაუწოდა. წითელი დიპლომის დანახვაზე ქალარამ წარბები კიდევ უფრო ზევით აწკიპა და თეიმურაზს საჩქაროდ სკამზე მიუთითა.

— დაბრძანდით! წლევანდელი გამოშვება ხომ უკვე გავანაწილეთ. თქვენ არსად გაგზავნეს? — ქალარამ წითელი დიპლომი მოწიწებით დასდო მაგიდაზე და თეიმურაზს ალერსიანად გაუღიმა.

— მე ასპირანტურაში მომცეს რეკომენდაცია.

— მერე?

— ასპირანტურაში წელს ადგილი არ იყო.

— ხა-ხა-ხა-ხა, — ქალარამ სარკასტულად, თავის ქნევით გაიციინა და მოციხტრო ხელოვნური კბილები გამოაჩინა, — გაისად კი ის რეკომენდაცია ძალას დაკარგავს, ხომ? ვიცი, ვიცი, დაკარგავს. ასეა. და უნდა გითხრათ, ძალიან სულელური კანონია. მაგაზე მე ბევრი ვიცი, ბევრი ვიდავიდარაბე, მაგრამ ჯერჯერობით ვერაფერს გავხდი. ეს დიდი სისულელეა, ჩემო ბატონო! ეს აღმამთვითბელი სისულელეა! — ქალარა ზეწამოიჭრა და პაწაწკინტელა ოთახში გაიარ-გამოიარა: ორი ნაბიჯი წინ, ორიც უკან, ორი ნაბიჯი წინ, ორიც — უკან, — აბა, ერთი დაუფიქრდით: თუკი თქვენ წელს ივარგებთ ასპირანტურაში, ივარგებთ და ისწავლით, ვითომ გაისად რატომ ვეღარ უნდა ივარგოთ? ვითომ, გაისად რატომ ვეღარ უნდა ისწავლოთ? პირდაპირ საოცარია.. ახალგაზრდა კაცს ამ ერთ წელი-

წადში ჰკუა მოგემატება, გამოვლილება შეგეძინება, დაეკაცადებინ დაეკაცადებინ, ცხოვრებას, როგორც ცხოვრებას, უფრო გონივრულად უფრო დინჯი თვალთ შეხედავთ. ასე არ არის? რა თქმა უნდა, ასეა. მაშ, რაშია საქმე? რატომ ჰკარგავს ის თქვენი რეკომენდაცია ძალას ერთი წლის შემდეგ? რა გამართლება აქვს ამას? არავითარი. სამუშაოდ, არავითარი გამართლება ამ ფაქტს არ მოეძებნება. და თქვენ იცით, აქ რაშია საქმე? ასეთი კანონი არ არსებობს. დიახ, დიახ! ასეთი კანონის გამოცემა ფიქრადაც არავის მოსვლია. მე თქვენ გარწმუნებთ. უბრალოდ, ჩვენებმა რუსული ტექსტი არასწორად თარგმნეს. არასწორად გაიგეს. რუსულად დებულებაში წერია, რომ წარჩინებულ სტუდენტებს უფლება აქვთ უმაღლესის დამთავრების შემდეგ ასპირანტურაში მოეწყონ — ნეპოსრედსტვენო! გესმით? ნეპოსრედსტვენო! ესე იგი, თქვენ საწარმოო სტაჟი აღარ გქირდებათ. სწავლის დამთავრების შემდეგ, ნეპოსრედსტვენო! თქვენ ხუთი წელიწადი ფრიადებზე სწავლობდით და ამიტომ საწარმოო სტაჟს აღარ გთხოვენ. თქვენ გამოინაკლისი და, მე ვიცოდი, ბედნიერი, სასახელო გამოინაკლისი ბრძანდებით; აი, ასე — უმაღლესს რომ დამთავრებ, ასპირანტურაში იმავე წელიწადს უნდა მოეწყოთ, გესმით? იმავე წელიწადსო. განა ეს სასაცილო არ არის? სასაცილო კი არა, ეს პირდაპირ საეალოა. განა „ნეპოსრედსტვენო“ ნიშნავს — „იმავე კალენდარულ წელსო“; არა, რა თქმა უნდა, არა. არავითარ შემთხვევაში. აი, ყური დამიგდეთ. გარკვეული ისტორიული პირობების მიზეზით ზოგი ქვეყანა სოციალიზმში გადადის ნეპოსრედსტვენო პოსლე ფეოდალიზმა, მიწუია, გესმის, მიწუია კაპიტალისტიჩესკოიე ფაზუ რაზვიტია — აი! ეს ხომ საზოგადოებრივი მეცნიერების ანბანია და მერე? განა ეს იმას ნიშნავს, რომ ის ქვეყანა ფეოდალიზმიდან სოციალიზმში

სულ ერთი კალენდარული წელიწადში გადადის? არა, რა თქმა უნდა, არა! ძალიან არ იქნება, ერთი წლის შემდეგ იმ ქვეყანას სოციალიზმში შესასვლელი კარები რომ დაუხერონ, კალენდარული წელი გავიდა და ამიტომ აქ შემოსვლის უფლება აღარა გაქვთო? ეს ხომ აბსურდია, ნამდვილი აბსურდია. და თქვენ ამ აბსურდის, ამ სამწუხარო გაუგებრობის მსხვერპლი ბრძანდებით. დაახ!

ქალარა დაჯდა და სული მოითქვა.

— იციო, — უთხრა თეიმურაზმა, — საერთოდ, მეც ეგრე ვფიქრობ, რომ აქ რაღაც გაუგებრობაა, მაგრამ... უკვე მივეჩვიე იმ აზრს, რომ ასპირანტურაში აღარ მოეხვედები.

— ან კი სხვა რაღაც დაგრაჩენია, ჩემო კარგო? — ქალარამ ხელები გაშალა, — ან კი მეტი რაღაც უნდა პქნათ? მაგრამ ეს სწორი არ არის; და იციო, კიდევ საქმე რაშია? საქმე იმაშია, რომ ჩვენ ფრიადოსანი, წარჩინებული სტუდენტი ვაყვები ძალიან ცოტა გვეყავს. მეტი რომ არ შეიძლება. ფრიადებზე რატომღაც მარტო გოგონები სწავლობენ. როგორც წესი. ფრიადოსან ვაყვებს ჩვენ თვალისჩინივით უნდა ვუფრთხილდებოდეთ, ჩვენ კი... თა-თა-თა! დაუყვირდით ერთი, როგორი სერიოზული, როგორი მძიმე პროფესიაა — სამთო ინჟინერი. სამთო! გორნოე დელო! სამთო საქმე! ეს თქვენ ფილოლოგია და ლექსების კითხვა არ გეგონოთ?

„ეს შეგეძლო ჩემთვის არ გეტქვა, — გაიფიქრა თეიმურაზმა, — მაგ სამთო საქმეს მე ხუთი წელიწადი ვსწავლობდი“.

მაგრამ თეიმურაზმა ქალარას არაფერი უთხრა.

— კეთილი, ბატონო! — ქალარას განწყობილება უცბათ შეეცვალა, წელანდელი ტრიბუნის ნაცვლად ახლა თეიმურაზის წინ საქმიანი მოხელე იჯდა და ახლაგაზრდა ინჟინერს განმსკვლავად მისჩერებოდა, — კეთილი და პატიოსანი! ამას რაღაც სჯობია? ფრია-

დოსანი, წარჩინებული სტუდენტი თაკისი ნებით მიდის შახტში. სამუშაოდ ძალიან კარგი. მე სულითა და გულით მივესალმები თქვენს ამ ნაბიჯს. მივესალმები არა მარტო ჩემი სამსახურებრივი მდგომარეობის გამო, არამედ როგორც ადამიანი და მოქალაქე. ჩვენ თქვენისთანა ხალხი ძალიან გვეჭირდება. ჩვენს შახტებზე საკომანდო თანამდებობებზე პრაქტიკოსები გვეყავს, უსწავლელი ხალხი. მაშინ, როდესაც ჩვენი სახელმწიფო პირდაპირ კრძალავს ამას. აიღეთ მეხუთე პარაგრაფი, აიღეთ მეშვიდე პარაგრაფი, აიღეთ მეცხრე პარაგრაფი... ინჟინრები არ გვეყოფნის, თქვენ კი, ვისაც საქმე შეგიძლიათ, — ნება მომეცით, ეს პირდაპირ გითხრათ, — თქვენ, ვისაც რაღაც შეგიძლიათ, პროვინციაში წასვლას გაურბიხართ და თბილისში ასფალტის ტყეპნას ამჯობინებთ. ამას, როგორც მამა შეიღს, ისე გუუბნებით!

„ერიპა“...

— რას გვეჩიოთ, ბატონო? ამ სამთო ფაკულტეტზე ძალით ხომ არ შემოგვიყვანიხართ? თქვენ თვითონ არ აირჩიეთ? ჩვენ კი გასწავლეთ. გზარდეთ, არაფერი დაგეყოლია... კეთილი ინებეთ და ახლა ეს ვალი ხალხს და სახელმწიფოს გადაუხადეთ. მეტს ხომ არაფერს გთხოვთ? ეს იცოდეთ ჩემგან, ყმაწვილო კაცო: დროის უმიზნოდ და უაზროდ ფლანგვა — ყველაზე დიდი დანაშაულია. ამას ყველაფერი სჯობია, დიახ!

— კი, მაგრამ... — თეიმურაზი ცოტათი გაწითლდა კიდევ. — მაგას მე რატომ მეუბნებით?

— ბატონო?!

— მე დროის მფლანგველი არასოდეს არ ვყოფილვარ. და არც პროსუპეტები...

— მერე და — თქვენ ვინ რას გეუბნებათ? პომილუიტე!...

— არა... თქვენ...

— რას ბრძანებთ!... ყმაწვილო კაცო, რას ბრძანებთ!... თქვენ ეს აბსოლუტურად არ გეხებათ. ვანა თქვენ ასე გამოიგეთ? მე ხომ...

— არა... უკაცრავად... მესმის. მესმის.

— თქვენ აქ რა შუაში ხართ?! .. პირიქით, პირიქით! მაგრამ... მაგრამ ვანა თქვენ უარყოფთ, რომ ჩვენ ძალიან მოგვიმარავედა უქნარა ახალგაზრდები. თქვენ ამას უარყოფთ? უკაცრავად, ბოდიში... აი, ბატონო ამ ერთი კვირის წინ, ჩემს ქუჩაზე, სწორედ ჩემს ქუჩაზე და არა სადმე სხვაგან, ჩემს ქუჩაზე ოცი წლის სტუდენტმა გაიტაცა თერამეტი წლის გოგო. დიახ, დიახ, დიახ! გაიტაცა. თითქოს ცამ ჩაყლაპაო. მშობლებმა მთელი ქალაქი გადააბრუნეს. გუშინ კი მოდის დეკემბაბათშიდან — ფული შემოგველია და გამოგვიგზავნეთო. მე თქვენ გეკითხებით, ეს საქმეა?!

— არა, რა თქმა უნდა.

— მოიტაცე, არა? არაფერი მკითხე, მშობლების აზრს ანგარიში არ გაუწიე... ხომ? მამ, მოდი და როგორც გინდოდეს, ისე იცხოვრე. სამუშაო ჩვენში ბევრია, ამ ფულს მე რაღა სინდისითა მთხოვ? მაგრამ ეს თქვენ პირადად სულაც არ გეხებათ. პირიქით! მე უაღრესად მოხარული ვარ, რომ ასეთი წარჩინებული, დინჯი ახალგაზრდა... დიახ!... ისა, ცოტა დაგვიანებულია, მაგრამ... ვთხოვთ, მიცნობდეთ: არკადი ჯადოკიშვილი, — ჰალარა წამოდგა და თეიმურაზს დიდი ამბით ხელი გამოუწოდა.

თეიმურაზი წამოიპრა და ხელი ჩამოართვა. ეს უცნაური ჰალარა კაცი მას უფრო და უფრო მოწონდა.

— მამ, ასე — ჯადოკიშვილმა ცხვირსახოცი ამოიღო და შუბლი მოიწმინდა. თვალის დახამხამებაში იგი ისევ საქმიან, გულცივ მოხელედ იქცა, მამ, ასე, ჩემო... — ჯადოკიშვილმა თეიმურაზის დიპლომი ნამალევად გადაშალა და ჩაათვალიერა, — მამ, ასე ჩემო ბა-

ტონო თეიმურაზ! თქვენ გადაწყვეტილი გაქვთ, პროვინციანში მსხტში სამუშაოდ გაემგზავროთ. კეთილი და პატროსანი! მე სულითა და გულით გზას გილოცავთ და ყოველგვარ წარმატებებს გისურვებთ, მთელი სულითა და გულით. თქვენ ნამდვილი ვაჟკაცი ბრძანებულხართ. გადაეცით ჩემი სალამი და საუკეთესო სურვილები თქვენს მშობლებს და ახლობლებს. ახლა... მე რა შემიძლია? აი, მე რა შემიძლია: მე თქვენ მოგცემთ მიმართვას ტრესტის, უფრო ზუსტად, კადრების განყოფილების სახელზე, იქ ჩაბრძანდებით და ადგილზე ყველაფერი გამოირკვევა. ასეთი დიპლომის პატრონს, — ჯადოკიშვილმა თეიმურაზის დიპლომი ისე ამაყად ასწია მალა, თითქოს მისი საკუთრება ყოფილიყოს, — ასეთი დიპლომის პატრონს არსად არაფერი გაუჭირდება. თქვენთან კი ერთი სათხოვარი მაქვს: პირდაპირ ტრესტის მმართველობას ნუ მოინდომებთ, ეე, ნეტ! ახლანდელ ახალგაზრდებს ცოტა აჩქარება გჩვევიათ. დიახ, დიახ, დიახ! ეს ნუ გეწყინებათ. თქვენ ყველაფერი უცბათ გინდათ — თანამდებობაც და ბინაც, ლამაზი ცოლიც და მანქანაც. ასე არ შეიძლება. აი, სამოცი წლის კაცი ვარ და მანქანა ჯერაც არ მყავს. ალბათ, არც როდისმე მიეყოლება. მერე რა მოხდა? არაფერი. გარწმუნებთ, სულ არაფერი. დაიწყეთ უბრალო საქმიდან. არაფერზე უარი არ თქვათ. სამთო ინჟინერმა ყველაფერი უნდა იცოდეს. ყველაფერი უნდა გამოსცადოს. სამაგიეროდ მერე თქვენი ფასი მუშაკი ჩვენ აღარ გვეყოლება და მე უდიდესი სიამოვნებით ჩამოვართმევთ თქვენ ხელს. და მე ვიპყებ, რომ მსხტში სამუშაოდ სწორედ მე გაგაგზავნეთ, დიახ!... ჩემო ძვირფასო. ოცდაათი წელიწადია, ამ მაგიდას ვუზივარ, რაც ახლა ჩვენს ქვანახშირის მრეწველობაში დიდი ხალხია — ნაჩინაია სემეველიანი ი კონჩაია უქმაჯურიძე, — ვი იხ, ნავერნოე, ზნაეტე, — დიახ, ყველამ ჩემს ხელში დაიწყო! და



მალა მწვერვალებზე მხოლოდ ისინი ავიდნენ, ვინც თავის დროზე სულ უბრალო საქმეს არ თაკილობდა, დიახ, კონსტანტინ პეტროვიჩ მეშველიანი ჩეტირე გოლა რაბოტალ პროსტიმ ზაბო-იმჩიკომ. ხელში ვეებერთელა ნიჩაბი ეჭირა და შახტიდან წელმოწყვეტილი ამოდიოდა, დიახ, დიახ, დაღლილობისაგან ადამიანის ფერი აღარ ეღო ხოლმე. თქვენ კი, ამ ახლანდელ თობას — აბა, ახლავე ყველაფერი! სიუ მინუტუ! არა ჩემო ძვარფასო! ეს არ გამოგადგებათ! და აი, მე თქვენ გეუბნებით: თქვენ ხომ წარჩინებული სტუდენტი იყავით? იყავით. აი, თქვენ ხომ წითელი დიპლომიცა გაქვთ? გაქვთ. ძალიან კარგი! მაგრამ მაინც — ნუ გაამყდებთ და ტრესტან ხელმძღვანელობამ რა თანამდებობაც არ უნდა შემოგოფავოთ, უყოყმანოდ დათანხმდით. იმათ არაფერი შეეშლებათ.

„ამას ახალგაზრდობაში ტრიბუნა და ორატორობა ეყვარებოდა“, — გაიფიქრა თეიმურაზმა.

იქვებ, არკადი ჯადოციშვილს კიდევ ბევრი ელაპარაკა, მაგრამ ზერიაცმა — ეს აშკარად შეეტყო, — უეცრად საშინელი დაღლილობა იგრძნო. თვალეზი ჩაუჭრა. რაღაც ბლანკები უხალისოდ ამოიღო, შეავსო, ბექედაც დაარტყა და თეიმურაზს გამოუწოდა, თან ახალგაზრდა ინჟინერს ისე უსიცოცხლოდ მისჩერებოდა, თითქოს პირველად ხედავო. თეიმურაზი რომ წამოდგა, ჯადოციშვილი აღარ წამომდგარა. აღარც ხელი გამოუწვდია, მხოლოდ თავი დაუტრა და ისე გამოისტუმრა.

„თავისი მისია შესრულებულად ჩათვალა“, — გაიფიქრა თეიმურაზმა და კარი გამოიხურა. „ალბათ, ყველა ინჟინერის წინაშე ასე ორატორობს“.



ახლა წევს თეიმურაზ არჩევანიძე ჩაბნელებულ კუბეში, მეზობლის შემზარუნ ხროტინს ყურს უგდებს, ღია თვალებით სიბნელეს მისჩერებია და თავის საფიქრალს ფიქრობს. თბილი-

სის სადგურზე ობლად დარჩენილ დედის ზატება მეხსიერებამ საღდაც გადინახა, დედას არკადი ჯადოციშვილიც მიჰყუა და თეიმურაზს ნათიაზე ფიქრი ისე შეუმჩნევლად შემოეპარა, რომ თვითონაც არ გაუგია.

„ჯადოციშვილი მართალი იყო, ერთბაშად ტრესტის მმართველობა არ უნდა ინდომო და არც პატარა საქმე უნდა იუკადროსო. ტრესტში, ალბათ, ჭკვიანი ხალხი ზის და თეიმურაზს ისეთ თანამდებობას არავინ აკადრებს, რომ მისთვის დამამცირებელი იყოს. ერთი სიტყვით, ეს თვითონ იციან... ეს მოგვარდება, მაგრამ... ნათია? არა, მაინც რა უნდოდა იმ გოგოს? ვითომ მართლა ისე, დროის მოსაკლავად ერთობოდა, მაგრაქველიძეს აღიზიანებდა და თეიმურაზს კი გულში დასციროდა? ერთი შეხედვით, თითქოს მართლაც ასე იყო. მაგრამ... თეიმურაზს რატომღაც ბოლომდე არ სჯერა ეს ამბავი. მაგრაქველიძეს რაღა გაღიზიანებდა უნდა, ნათიას ისეღაც ფეხქვეშ ეგება? ესეც არ იყოს, თეიმურაზი და ნათია ოქროყანის სანახებში ერთად რომ ისხდნენ ხოლმე, თეიმურაზს არაერთხელ შეუმჩნევია, ანაზღად როგორი ფიქრიანი და კავშირანიც კი ხდებოდა ნათია. თეიმურაზს კიდევ გაუკვირდებოდა ხოლმე, ამ შევლივით მოხდენილ, განებივრებულ ქალიშვილს რა ასეთი მძიმე დარდი ეწვევა ხოლმეო. ხუმრობისა და ოინბაზობისას ასეთი კავშირანი თვალებით როდი იცქირებოდა. მაგრამ ერთი ისიც ვიციოთხოთ, თუ თეიმურაზის სიახლოვე მართლა უნდოდა, ის თავისი დარდი ერთხელ მაინც რატომ არ გაუზიარა? დაიმორცხვა? თუ არ იკადრა? ვინ იცის... სადაა ამ კითხვების პასუხი... ოქროყანის მიდამოებში ხეტიალი, ბალახზე ჯდომა და... კოცნა იკადრა და დარდის გაზიარება — კი — არა? არა, რაღაც ძნელი დასაჯერებელია. მაშ, რა იყო; იქნებ, იმ მაგრაქველიძის ეშინია? არა, ამას არა ჰგავს. თუ იმისი ეფიქრება, მაგ-

რაქველიძემ თეიმურაზს არაფერი აუტეხოსო? ასეა?

თეიმურაზს ამისი და კიდევ ერთი, ერთადერთი კითხვის პასუხი აინტერესებს: ის და ნათია, ნეტავი, სამუდამოდ დაშორდნენ ერთმანეთს? ველარასოდეს შეხედდებიან? ბოლოსდაბოლოს, ისეთი რა მოხდა? თბილისი და ქვანახშირის ქალაქი ერთმანეთისგან სულ ერთი ლამის სავალზეა.

IX

ქვანახშირის ქალაქში მატარებელი დილის ექვსის ნახევარზე მოვიდა. ამბობენ, არის ამ ქვეყნად რკინიგზები, რომელთა მესვეურებიც ქალაქში ასე აღრიანად მისულ მატარებელს სათაღარიგო ლიანდაგზე ჩააყენებენ და მგზავრებს იმის საშუალებას აძლევენ, რომ დილაძვე გამოიძინონ, მერე წამოდგნენ, გასუფთავდნენ, გაკობტავდნენ, თუ უნდა, კიდევ ისაუზმონ და ქალაქში ცხრა თუ ათი საათისათვის გავიდნენ, როცა დაწესებულებები უკვე დიაა, სასტუმროებში ღირექტორები და ადმინისტრატორებიც მოსულნი არიან და დაღლილ მგზავრებს უცნობ ქუჩებში უაზრო ხეტიალი აღარ მოუწევთო. ვინ იცის, მართლა ასეა, თუ არა. ტყუილის თქმა რკინიგზაზეც შეიძლება. ეს კი იყო, რომ ქვანახშირის ქალაქის მატარებელში გამყოლებმა უთენია დაიწვეს ვედროების რახა-რუხი, ვაგონების ხვეტა, ლოგინების ალაგება-ბერტყვა.

კიდევ კარგი, რომ თეიმურაზს გაღვიძება არც კი პირდებოდა: მთელი ღამე თვალი არ მოუხუჭავს. ადგა, პირი დაიბანა, ჩემოდანს საკეტები მოუსინჯა და — ჩასასვლელად მზად იყო.

ქვანახშირის ქალაქი იხეინერ არქვანიძეს წვიმიანი, ნაცრისფერი დილით შეეგება. მახლობელი მთების ქენწეროები ლეგა ღრუბლებში იყო გახვეული. ფერღობებს შეფენილი ხის სახლების ჩაშავებული კედლები და აივნების ბოძები სისველისაგან ბრწყინავდა, სად-

გურის მოედნის უსწორმასწორო ასფალტზე პატარ-პატარა ქუჩებზე უსწორბოდნენ. სადგურის მონიშნულ მშაბამარილოსიატაკიან დარბაზში საკმაოდ ციოდა. ქურნალ-გაზეთების ჭიხური და ბუფეთი ჯერ დაკეტილი იყო. თეიმურაზი ისევ ბაქანზე გავიდა, წითელქუდიანმა სადგურის მორიგემ, მთქნარებას რომ ძლივს იკავებდა, თეიმურაზს უთხრა, ქვანახშირის ტრესტი აქვე, მეორე ქუჩაზეაო, და თეთრი, კედლებმსეველებული, მწვანესახურავიანი სამსართულიანი სახლი დაანახვა.

რა თქმა უნდა, ამ უთენია ტრესტში ჯერ არავინ იქნებოდა. თეიმურაზმა ჩემოდანი ბარგის შესანახ ავტომატში დატოვა და სადგურის ახლო-მახლო ქუჩებში გაისეირნა.

თეიმურაზი ამ ქალაქში პირველად როდი იყო. სამი წლის წინათ ინსტიტუტიდან ერთთვიან პრაქტიკაზე გამოგზავნეს. აქ შეექმნე შახტზე მიამარეს. თავის ვალდებულებებს პრაქტიკანტი სტუდენტი კეთილსინდისიერად ასრულებდა. იმ პატარა, სულ სამასტონიანი შახტის ყველა სანგრევი, შტრეკი, ბრეგმსბერგი თუ კვერშლაგი დაიარა და პირდაპირ გაიზეპირა: შახტში მუშებთან ერთად ჩადიოდა და ცვლის დამთავრებამდე რჩებოდა ზოლმე. მე-შახტეებმა ერთხელ გააგონეს კიდევც, ეს ბიჭი სხვა სტუდენტებს არ ჰკავს, თვალი სულ ზევით გაქცევაზე რომ უჭირავთ, ამისგან კარგი ინჟინერა გაპოვაო; ოღონდ ბოლომდე ასე უნდა გააგრძელოსო.

ესა თქვეს და თეიმურაზს აღმაცერად, გამომცდელად გამოხედეს — თეიმურაზს გაეცინა. მესახტეების შექებით ნამდვილად ნასიამოვნები იყო.

მაშინ შახტის ადმინისტრაციამ თეიმურაზს თბილისში კარგი დახასიათება გაატანა, და, ცოტა არ იყოს, დაამაღლა კიდევ — ჩვენო, უთხრეს, დახასიათებას ყველა პრაქტიკანტს კარგს ვაძლეკთ, არ გვინდა, სტუდენტებს ვაწყენინოთ, ვინ იცის, მათგან რა ხალხი



გამოვიდესო, მაგრამ შენ კი გამოორიე-
ულ დახასიათებას დაგიწერთო. მართ-
ლაც, შახტის კომკავშირის კომიტეტის
მდივანი, ერთი ჩასუქებული, ცისფერ-
თვალემა ახალგაზრდა, თითქმის ერთი
საათი დახვნეშოდა ქალაღს, სანამ თე-
იმურაზს „გამორჩეულ დახასიათებას“
დაუწერდა. ამ უჩვეულო საქმით ისე
იყო გატაცებული, რომ როცა თეიმუ-
რაზმა უთხრა, კარგი ახლა, ამდენსაც
ნუ წვალობ, სულ ერთია, ყოველნაირ
დახასიათებას ერთნაირი ფასი აქვსო,
— ცისფერთვალემა გვრათფერი ვაიგო.
თავი კი ასწია, თეიმურაზს თავისი
ცისფერი თვალემა უგონოდ მიაშტერა
და მერე ისევე ქალაღს დაუბრუნდა.

ერთი სიტყვით, ამ ქალაქიდან თე-
იმურაზს მაშინ კარგი მოგონებემა გაპ-
ყვა. ოღონდ ეს იყო, თვითონ ქალაქს
თეიმურაზი მაშინ მაინცდამაინც არ
მოუხიბლავს. და კაცმა რომ თქვას, მა-
შინ თეიმურაზი ქალაქით არც დაინ-
ტერესებულა. იყოღა, რომ ერთი თვის
შემდეგ თბილისში უნდა დაბრუნებუ-
ლიყო და ამიტომ თავისუფალ დროს
ისევე შახტზე და მის მიდამოებში ატა-
რებდა. ორჯერ თუ სამჯერ შახტის
კლუბში რაღაც ფილმემა ნახა. ერთხელ
ქალაქის სტადიონზე დააპირა წასვლა,
მაგრამ რატომღაც აღარ წასულა. ეს
იყო და ეს. პრაქტიკის თვემ შეუმჩნევე-
ლად გაიბრინა და თეიმურაზი თბი-
ლისს დაუბრუნდა. ერთხელაც არ და-
ფიქრებულა იმაზე, თუ ეს ქალაქი რა-
ტომ გულდასმით არ დაეათვლიერეო.

ახლა კი სულ სხვა იყო. ახლა თეი-
მურაზი ამ ქალაქში ერთი თვით სტუმ-
რად კი არ წამოსულა, არამედ სამუშა-
ოდ და საცხოვრებლად. ალბათ, საკმა-
ოდ დიდი ხნით. ვინ იცის, რა და რო-
გორ იქნება, ყოველ შემთხვევაში, უახ-
ლოეს თვეებში და წლებშიც ამ ქალა-
ქიდან წასვლაზე ფიქრიც კი ზედმეტი
იყო. ამიტომ ქალაქის მთავარ ქუჩაზე
აუჩქარებლად მიმავალი ახალგაზრდა
ინჟინერი გულდასმით აკვირდებოდა
გარშემო მიმოფანტულ სახლებს, მთი-

დან მთებზე გადაჭიმულ საბავრო
გზებს, ვიწროკალაპოტიანე რიგებს,
ღრიღა, გიემზე მდინარეზე მშენებელ
რკინაბეტონის ხიდს.

ეს ქალაქიც ისე გამოიყურება,
როგორც საქართველოს დაბა-ქა-
ლაქების უმრავლესობა ჩვენს დრო-
ში. ძველებური დასავლური ოდების
გვერდით თანამედროვე, ზოგან აგუ-
რით, ზოგან ბლოკით ნაგებემა, ოთხ და
ხუთსართულიანი სახლებემა აღმართუ-
ლიყვენენ. ცოლდა გამოტეხილი სკობიემა,
გარეგნული სილამაზით, მოხდენილო-
ბით, ლანდშაფტში ჩაწერილობით ის
ძველი სახლებემა ბევრად სკობდნენ
ახალ შენობებს. ეს უკანასკნელნი შე-
იძლებოდა, არქიტექტურული აზრის
სრულ უსუსურობისა და სილატაკის
ნიმუშებად ჩაგეთვალათ. ამ ძველი ქა-
ლაქის პატრიარქალური, მყუდრო, ინ-
ტომით აღსავსე, იერს ეს ახალი შენო-
ბემა პირდაპირ უღმერთოდ ამახინჯე-
ბდნენ, მაგრამ თეიმურაზმა მშვენიერ-
რად იყოღა, რომ სამაგიეროდ იმ ძვე-
ლებურ, ბუხრებთან, ყოველგვარ კომ-
ფორტს მოკლებულ სახლებში ცხოვრე-
ბემა ყოველი ცივილიზებული ადამიანი-
სათვის ნამდვილი წამება იყო. იმ ოდებ-
ში არ იყო არამც თუ ცხელი წყალი,
არამედ ზოგჯერ ცივიც კი. სახლის
პატრონემა საოჯახო წყალს ქუჩაში გა-
მართული ონკანებიდან, მეზობლის ქე-
ბიდან, საერთო სარგებლობის წყარო-
ებიდან ეზიდებოდნენ. კიდევ ბევრი
რამ აკლდა იმ ძველებურ, კომწია იმე-
რულ ოდებს. და თუ კარგ, თბილ და
მშრალ ამინდში იმ ოდა-სახლებში
ცხოვრება კიდევ შეიძლება, — და შე-
იძლება კი არა, სასიამოვნოც არა,
— სამაგიეროდ, წვიმასა და თოვლში
ამ სახლებს პირდაპირ კარცერის მაგიე-
რობა შეუძლიათ. იმერული, ნესტიანი
სიცივე პირდაპირ ძვალ-რბილში ატანს:
თუ ბუხართან ზინართ, წინიდან სიცხე
გწვავთ და არ იციო, სახე სად წაილოო.
ზურგი კი გეყინებათ. სახლში ყოველ
შემომსვლელს ფეხებით თითო ფუთი

ტალახი შემოაქვს, — არსადაა საიმი-
სო ადგილი და მოწყობილობა, რომ
ოთახებში შესვლის წინ ადამიანმა ფე-
ხიდან ის ტალახი მოიშოროს... იმ
ახალ, სახლებში ცხოვრება კი ნამ-
დვილი ბედნიერებაა. სითბო და
სინათლე, სიმყუდროვე და კომფორ-
ტი... ალბათ, ამიტომაცაა, რომ პრო-
ვინციული ქალაქების მცხოვრებლები
ჩვენს დროში ძველებური ოდა-სახ-
ლების სილამაზესა და კომპრობას
ალარ დაგიღევენ და ჭიქურ მიიწევენ
იმ უკერგელო კოლოფებისაგან, რომ-
ლებშიც მუდამაა ცხელი წყალი და
ელექტრონი... და ისინი მართლნი არი-
ან. ოღონდ, ღმერთმა ნუ ქნას, რომ ძვე-
ლებური ოდა-სახლების შნო და ლა-
ხათი უკვალოდ გამქრალიყოს ჩვენში...

თეიმურაზს მალე მობეზრდა ჩხრია-
ლა მღინარის გაყოლებით ძველებურ
ოდა-სახლებს შორის ჩაყუდებული
აგურისა და ბლოკის ყუთების თვა-
ლიერება. წვიმაც გადაღებას არ აპი-
რებდა. ახალგაზრდა ინჟინერი საღგუ-
რისაგან მიბრუნდა. დარბაზში შესე-
ლისთანავე დაინახა, რომ ბუფეტი გა-
ვლათ. თეთრხალათიანი სქელი მე-
ბუფეტე ქალი წელში მოხრილიყო და
ვედროში რაღაც თეფშებს ხენეშით
რეცხავდა. თეიმურაზი დახლთან მი-
ვიდა, თაროები შეათვალიერა და ქალს
მაგრად მოხარული კვერცხები, პო-
ლანდიური ყველი და ჩაი თხოვა.

ქალმა სველი ხელის ზურგი თმაზე
გადაისვა, თეიმურაზს გულლიად გაუ-
ლიმა და ერთი წინა კბილის ნაკლებო-
ბა გამოაჩინა:

— კვერცხები ძველია, ბატონო!

— აბა, აქ რატომ გიწყევიათ?

ქალმა მხრები აიჩეჩა.

— რა ვიცი... გვიწყვია. არა, წყენით
კი არ გაწყენთ, ოღონდ...

— ოღონდ რა?

— ოღონდ ძველს ახალი სჯობია, —
და ქალმა გულიანად გადაიკისკისა. გა-
ეცინა თეიმურაზსაც:

— არა უშავს, მომეცით.

— ახლავე, ბატონო! ქალმა სვე-
ლი ხელები ხალათის კვერცხებში შემ-
რალა და დატრიალდა.

კვერცხებს თეიმურაზმა მართლაც
ვერაფერი შეატყო. იმ ქალს რომ არ
ეთქვა, თეიმურაზი ვერც კი მიხვდებო-
და, რომ კვერცხები ძველი იყო. „ვინ
იცის, სასადილოებსა და ბუფეტებში
როდინდელ კვერცხებს გვაკმევენ ხოლ-
მე, — გაიფიქრა ინჟინერმა, — გამოც-
ნობა არ ვიცი და ვერაფერს ვხვდე-
ბით“.

დანახარჯის გასტუმრებისას თეიმუ-
რაზმა ქალს ჰკითხა, ტრესტი ხომ მარ-
თლა იმ მწვანესახურაიან შენობაშიაო.
ქალმა მყისვე დაუდასტურა და ეჭვსი
შაური ხურდა გამოუწოდა. თეიმურაზ-
მა ასე დაწვრილმანება არ იკადრა,
ქალს თავაზიანად დაემშვიდობა და გა-
მოვიდა.

ტრესტის დაბალ და განიერ, ყვით-
ლად შეღებილ კარებში ერთიმეორის
მიყოლებით შედიოდნენ წვიმიანგან
გალეშებული, აბუზული ქალები და კა-
ციები. თეიმურაზიც შევიდა და ხისფხვა
მეკარეს კადრების განყოფილება ჰკით-
ხა.

— კადრები — მეოთხეზე, პირდაპირ
და მარჯვნივ.

თბილისური სამმართველოსი არ
იყოს, აქაურ კადრების განყოფილება-
საც სამოცს გადაცილებული კაცი გა-
ნაგებდა, მაგრამ სათვალეიანი, ინტე-
ლიგენტური არკადი ჯადოკიშვილისა-
გან განსხვავებით, ლავრენტი ვარდოსა-
ნიძეს ავი, მოუხეშავი, უსულგულო
ადამიანის შესახედობა ჰქონდა. სქე-
ლი, მოკლე კისრის მოტრიალება არ
შეეძლო და დამახებაზე მთელი სხე-
ულით მობრუნდებოდა ხოლმე. თი-
თები მოკლე, უშნოდ დაკოტიტებული,
თითქოს წაპრილი ჰქონდა. პატარა, ნემ-
სივით მჩხვლეტავ თვალებს მოუსვენ-
რად ატრიალებდა... გესლიანი ღიმილი
ჩვეოდა და არც მკვახე ლაპარაკს და
მწარე სიტყვების ხმარებას ერიდებო-
და, მაგრამ ტრესტის ზოგი თანამშრო-

მელი დაფიქრებით იტყოდა, ხოლმე, — ხომ ასეთი უხიაკი შესახედობისა და საქციელისაა, მაგრამ ოქროს გული აქვს და რაც მაგ თანამდებობაზე ზის, ჯერ კაციშვილისათვის არაფერი დაუშავებიაო.

თეიმურაზი რომ კაბინეტში შევიდა, ლავრენტი მაგიდას უჯდა და რალაცას წერდა. კარის გაღების ხმაზე მთელი სხეულით მოტრიალდა, შემოსულს რკინის სათვალეებს ზევიდან გამსჭვალავად გამოხედა და უხმოდ, თითქმის ერთიანად მელოტი თავის მოძრაობით აწიშნა, დაჯექო. თვითონ ისევ წერა განაგრძო. კალამს სწრაფად არბენინებდა ქალაღზე და თეიმურაზისთვის ბარე ათი წუთი აღარავითარი ყურადღება აღარ მიუქცევია. მერე უცბათ ზეწამოიჭრა, კალმისტარი მაგიდაზე დაახეშა, თავისივე ხელით დაწერილი ქალაღი ნაქუწ-ნაქუწად აქცია და წვრილი, ქალური, თანაც ოდნავ ჩახრინწული ხმით დაიკვილა:

— გვირისტინე!

პასუხი, ცოტა არ იყოს, დაუგვიანეს. მერე გვერდითი ოთახის კარი გაიღო, ოციოდე წლის, ტანმაღალი, ქერა ქალიშვილი გამოჩნდა, კარებშივე გაჩერდა და ღიმილი შეიკავა — ვარდისფერ ქვედა ტუჩს კრიალა ზედა კბილები დააკირა. თან, ეტყობა, მოერიდა, ბერიკაცმა ღიმილი არ შემამჩნისო და სახე ოდნავ გვერდზე მოაბრუნა.

— მე შენ რა გითხარი?! — ლავრენტი მთელი სხეულით გვირისტინესკენ მიბრუნდა და გულხელი დაიკრიფა.

— ახლავე, — გვირისტინემ ღიმილი საბოლოოდ გაიჭრო სახიდან. ლავრენტის მაგიდასთან მივიდა, რალაც ქალაღები აკრიფა და წაღება დააპირა.

— მოიცა! მითხარი: ამას მუშაობა ჰქვია?

გვირისტინე გაჩერდა, თავი ჩაღუნა და ლავრენტის არაფერი უპასუხა. ღიმილი ისევ მიეძალა ბავშვურად ნორჩ და ნატიფ სახეზე. ნიკაბი აუთა-

მაშდა და ქვედა ტუჩს ისევ ზედა კბილები დააკირა.

— შენ გვეითხები და მიპასუხე: ამას მუშაობა ჰქვია? — ლავრენტომ სიტყვები ისეთი თავდავიწყებით ამოიკვილა, რომ თვითონაც აცახცახდა და ფანჯრის მიწებზე აზრიალდნენ. კადრების განყოფილების გამგეს სქელ, მაჩვიებურ კისერზე ძარღვები ისე დაებერნენ, რომ იფიქრებდით, დაუსკდებიანო.

მაგრამ გვირისტინემ პასუხის გაცემა და პაექრობაში ჩაბმა ზედმეტად ჩათვალა. ღიმილს ისევ ძლიერ-ძლივობით იკავებდა. ის ქალაღები გულზე ფრთხილად მიიხუტა და საიდანაც შემოვიდა, იმავე ოთახისკენ წავიდა, მაგრამ კარებში რომ გადიოდა, იქ თავი ველარ შეიკავა, თავდავიწყებით აკისკისდა და კარები სწრაფად მოაჯახუნა.

ლავრენტი ერთხანს დაბნეულობისაგან ენაჩავარდნილი იდგა. თეიმურაზს რამდენჯერმე დამნაშავესავით გამოხედა. მერე სათვალე მოიხსნა, მაგიდაზე დააგდო, თვითონ სკამზე დაეშვა და ხელები უმწეოდ გაშალა:

— ა, კაცო, შეხედე! — თეიმურაზს ვარდოსანიძემ ისეთი კილოთი მიმართა, თითქოს ეს ახალგაზრდა მისი ძველი, უგულითადესი მეგობარი ყოფილიყოს, — ერთი შეხედე! გუშინ, სწორედ ამ დროს, სასწრაფო საქმეზე შევიქენი წასასვლელი. ეს ქალაღები მაგას დაუტოვე, ზვალ დილისათვის გამიმზადე-მეთქი. და — ა! თითი არ დაუკარებია, ქალაღები როგორც დაეტოვე მაგიდაზე, ისევე დამხედა. ზედ არავის დაუხედავს. ამას მუშაობა ჰქვია? და ეს ყველაფერი — რატომ? ეს ყველაფერი იმიტომ, რომ იციან: ლავრენტი ვარდოსანიძემ მაგათ არ ჰგავს. ლავრენტი ვარდოსანიძეს კაბიკიანი საქმე რომ ჩააბარო, მილიონის ძალ-ღონეს მიახარჯავს და გაუკეთებელს კი არ დატოვებს. არაფრის დიდებით! აი, ეს ყველაფერი რატომ ხდება! — ლავრენტი მთელი ტანით თეიმურაზისკენ მიბრუნდა და რალაცის

კითხვა დააპირა. მაგრამ უეცრად გადაიფიქრა. მაგიდას მუშტი მთელი ძალით დაქრა და წელანდელივით დაიკვლა — გვირისტინე!

კარებში წელანდელი ქალიშვილი გამოჩნდა. არა, დიდად შეშინებული არც ახლა უნდა ყოფილიყო. მაგრამ დიმილის შეკავებას კი ახერხებდა.

— გააშხადე ბრძანების პროექტი, — შეუვალი კილოთი უბრძანა მას ვარდოსანიძემ, — მე შენ გიცხადებ სასტიკ საყვედურს თანამდებობრივი მოვალეობისადმი უსულგულო დამოკიდებულებისათვის. ასე! გესმის, თუ არა?

— მესმის!

გვირისტინე გავიდა და კარი მკვიდროდ მოხურა. თეიმურაზს მოეჩვენა თითქოს მეორე ოთახიდან ისევ კისკისი მოისმიაო. მაგრამ ვარდოსანიძეს მეორე ოთახისთვის არავითარი ყურადღება აღარ მიუქცევია. სათვალე მოირტო და მთელი სხეულით თეიმურაზისკენ მოტრიალდა:

— თქვენ, ახალგაზრდა, რა გნებათ?

არჩევანიძე წამოდგა, ჯიბიდან დიპლომი და მომართვა ამოიღო, ვარდოსანიძეს ხუწოდა და, ცოტა არ იყოს, გაუბედავად ჩაილაპარაკა.

— ნახეთ, ბატონო!

ვარდოსანიძემ წითელყდიანი დიპლომი გაკვირვებით შეათვალიერა და მზერა თეიმურაზზე გადაიტანა. წერილი, ტყვიისფერი თვლებით ქვევიდან ზევით ჯიქურ მისჩერებოდა.

— ეს რა არის?!

— სამუშაოდ ჩამოყვები.

— სამუშაოდ?!

— დიახ!

— მ... — ვარდოსანიძის თვლებში უნდობლობამ გაიელვა, — როდის იყო, რომ წითელდიპლომიანი ფრიადოსნები ჩვენთან სამუშაოდ ჩამოდიოდნენ?!

თეიმურაზმა ამ კითხვის პასუხად მხოლოდ ის მოახერხა, რომ მხრები აიჩეჩა.

— ერთი, აქ მომეცი, გენაცვალე!

ვარდოსანიძემ თეიმურაზს საბუთები გამოართვა და წინ დაეღვინა.

— დაბრძანდი, გენაცვალე, დაქექი... რატომ დგებარ? ასე... დიპლომი... მომართვა... ა? დიახ, კეთილი და პატიოსანი... — გაჩუმდა, თეიმურაზი ფიქრისანად შეათვალიერა და ერთხელაც გაიმეორა, — კეთილი და პატიოსანი... მაგრამ...

— ბატონო?

— არა, არა, არაფერი... ეს — ისე, მაგრამ... მაინც, რა სამუშაოს თხოულობთ? — ვარდოსანიძე სკამის ზურგს მიაწევა, გულზელი დაიკრიფა, თეიმურაზს აღმაცურად, გამოძვდელად გამოხედა და თითქოს ამნაირად ავრძნობინა, მთავარი ლაპარაკი ახლა იწყებო, — ესე იგი. თქვენ თვითონ... როგორ წარმოგიდგენიათ, ესე იგი, პირველი ნაბიჯები ამ ახალ ასპარეზზე? ა? ამას ჩვენთვის დიდი მნიშვნელობა აქვს.

„რა მასწავლებელივით აღაპარაკდა!“ — გაიფიქრა თეიმურაზმა, მაგრამ ვარდოსანიძეს არაფერი უთხრა.

— მითხარით, ყმაწვილო, მითხარით, — გაამხნევა ვარდოსანიძემ. მაგიდიდან წითელი დიპლომი აიღო, ხელში შეატრიალა და ისევ მაგიდაზე დასდო, — მიბრძანეთ! აქ მოსარიდალი არაფერია.

— მე... იწყინერი ვარ. — თეიმურაზმა ისევ მხრები აიჩეჩა.

— აი, — ვარდოსანიძემ წერილი თვალეში მრავალმნიშვნელოვნად დაკვესა და საჩვენებელი თითი ზეღმართა, — აი, მეც სწორედ მაგ პასუხს ველოდი. ეს გაგიკვირდათ? მე სწორედ, ზუსტად მაგ პასუხს ველოდი, მაგრამ ეს არაფერი. ამაზე შემდეგ, მერე? კეთილი და პატიოსანი, თქვენ იწყინერი ბრძანდებით. რაც მართალია, მართალია. აი, დიპლომი, თანაც — წითელი დიპლომი! მერე?

ვარდოსანიძე თავისი წერილი თვალეში ისე ჯიქურ, ისე სულში ჩამწვდომად მიაჩერდა არჩევანიძეს, რომ ახალგაზრდა იწყინებმა თავი შეურაცხყოფილად იგრძნო:

— თუ... თქვენ ანეინრებისათვის სა-
მუშაო არა გაქვთ...

— უცარავად, უუცარავად! — ვარ-
დოსანიძემ თავი მძიმედ გადააქნია, იმ-
დენად, რამდენადაც ამის საშუალებას
გაქვავებული კისერი აძლევდა, — არა,
მე ეგ არ მოთქვამს. არა, ბატონო, ეგ რა
სათქმელია? სამუშაო, ინეინრებისთვის-
საც და არაინეინრებისთვისაც, ჩვენ
თავსაყრელი გვაქვს, თავსაყრელი. გარს
რომ ფეხით უარა, მთელი სიცოცხლე
ვერ შემოუვლი. ეს იცოდეთ, მაგრამ...

— მაგრამ რა, ბატონო?!

— ეეეჰ — ვარდოსანიძე რატომღაც
უცხათ დასევდიანდა, — ეეეჰ უკვე
გული მოგვივიდა... უკვე გავგულის-
დით... ყმაწვილო, ეგ რა საკადრისია...
ასეთი ზრდილი, განათლებული ახალ-
გაზრდა, — წითელი დიპლომი ისევ
ხელში აიღო, შეატრიალა და მაგიდაზე-
ვე დასდო, — ჯერ ერთი, უპირველეს
ყოვლისა, ნება მომეცით მთელი სული-
თა და გულით მოგილოცოთ უმადლესი
სასწავლებლის ასე სახელოვნად და
წარჩი...

უეცრად კარმა გაიჭრიალა. მეორე
ოთახიდან ტანკენარი გვირისტინე გა-
მოვიდა. ხელში რაღაც ქაღალდი ეჭი-
რა და თვალები მზიარულად უციმცი-
მებდა. ალბათ, წელანდელი საყვედუ-
რის პროექტი მოაქონდა. თავს ძლივს
იკავებდა, რომ არ აეისკისებულიყო.

ვარდოსანიძე მთელი სხეულით მის-
კენ მიბრუნდა.

— გადი აქედან! — დაკვივლა უც-
ხათ ბერიკაცმა და სათვალე აცხატახე-
ბული ხელით მოიგლიჯა, — დამეკარ-
გე, ჩემმა თვალებმა არ დაგინახოს!

„ეს სად ჩავეარდი! — გაიფიქრა თე-
იმურაზმა, — თუცა, სხვა სამუშაო
არც მინდა, ოღონდ ყოველდღე ამ გო-
გონასათვის მაყურებინო“.

აეისკისებული გვირისტინე შევლი-
ვით ვაეარდა ოთახიდან. ბრძანების
პროექტი ხელიდან გაუვარდა და თეთ-
რი ოთხკუთხედი ქაღალდი კარგა ხანს
ფარფატებდა ჰაერში, სანამ მაგიდის

3. „მნათობი“, № 7.

ფეხთან დაეშვებოდა და მიისვენებდა.

აცხატახებული ვარდოსანიძე ენდობო-
ხანს და ძნელად მშვიდდებოდა. მისი
ბი ისევ უცხატახებდა. წითელი დიპ-
ლომი აიღო და მაგიდის კუთხეში მიაგ-
დო. არა, დოკუმენტისადმი იგი ახლა
აღარავითარ მოწიწებას აღარ გრანობ-
და.

„ამ გაბრაზებულ გულზე სადმე ცუდ
ადგილას არ შემჩხიროს“, — გაიფიქ-
რა თეიმურაზმა, — მაგის ხელში ვარ“.

ვარდოსანიძე დაჯდა, სკამის ზურგს
მიაწვა და გულხელი დაიკრიფა. კარგა
ხანს სდუმდა. ალბათ, ეს მისი საყვარე-
ლი პოზა იყო.

— ა, კაცო!... ისევ ძველი ნაცნობი-
ვით გამოვლავარაკა ბერიკაცი თეიმუ-
რაზს და მთელი ტანით მისკენ მობრუნ-
და, — ა! აღარც ზრდილობა, აღარც
უფროსისადმი პატივისცემა. სულ აღა-
რაფერი. ა, აღამიანი თბილისიდან ჩა-
მობრძანდი. უნდა მოგაწყოთ. უნდა და-
გაბინათ. პოდა, თანამშრომელი რომ
ხარ, მაცალე ახლა, მაფიქრე, საქმე გა-
მაკეთებინე. არა, როგორც თვითონ კუ-
სავენ თვალებს მთელი დღეობით უსაქ-
მურად, უნდათ, რომ მეც ისე არაფერი
ვაკეთო. ამ კადრების განყოფილებაში
მუშაობისაგან დემერტმა დაგიფაროთ,
დემერტმა! მაგრამ ნურას უცარავად!
ლაერენტი ვარდოსანიძეს ვერავინ გა-
დაახვევინებს სწორი გზიდან. მაცალე
შენ! — აუწია ხმას უეცრად ლაერენ-
ტიმ და მოხურულ კარს თითი გააფთ-
რებით დაუქნია. — მაცალე, კი მოვალ
მე შენს ობტში. ჯერ მაცალე. — და
მთელი სხეულით ისევ არჩვეანისისაკენ
მოტრიალდა, — დიახ... მაშ, თქვენ
ბრძანებთ, რომ დამთავრეთ ჩვენი პო-
ლიტიკური ინსტიტუტი და ინჟინე-
რი ბრძანდებით. დიახ, სწორია. ამას აი,
ეს დოკუმენტებიც ადასტურებენ. წი-
თელი, რასაკვირველია, დიპლომი. ეს
ძალიან სასიამოვნოა. უსათუოდ.

აქ ვარდოსანიძემ სათვალე მოიხსნა,
მთელი ტანით უკან მოტრიალდა, კე-

დელზე დააკაენა და დაიძახა, — გვირისტინე!

— დიას!

— ერთი ჭიქა წყალი მომიტანე.

— ახლავე!

— არა, ისე ეგ... მშვენიერი გოგოა,

— განუმარტა ვარდოსანიძემ თეიმურაზს, — ზრდილი, შენ ხარ ჩემი ბატონი, თავაზიანი... დიას... ახლა... ბავშვობა ვის არ გამოუცდია! ბავშვები ყველა ვიყავით... რას იზამ! ჰო... რაც შეეხება... ჰო, ახლავე!

ვარდოსანიძემ ოთახში უხმაუროდ შემოსულ გვირისტინეს ჭიქა გამოართვა, წყალი მოსვა, ჭიქა მაგიდაზე დადგა და გვირისტინეს თავით ანიშნა, გადიო. გვირისტინე ღიმილით გავიდა. ლაფრენტი თეიმურაზს მიუბრუნდა და მოულოდნელად ბებრულად, ტკბილად გაუღიმა:

— ეპ-ეპ, თქვენ არ იფიქროთ, ბატონო...

— თეიმურაზ...

— ჰო, თქვენ არ იფიქროთ, ბატონო თეიმურაზ, თითქოს მაგ ბავშვს ეს ყველაფერი მართლა ზარმაცობით მოსდროდეს. არა, თქვენ არ მომიკვდეთ? სრულიადაც არა. იშვიათი შრომისმოყვარე გოგონაა, მაგრამ... ქალაქი რუსულადაა შესავსები, რუსული კი მაგან არ იცის. ეს ჩვენი ახალგაზრდობის უბედურებაა საერთოდ. არ იციან, ბატონო, რუსული, და არა! ჩვენ, ამ ჩემს თაობას, ძველი გიმნაზიებიდან შემოგვარჩა. მე ამ საქმიან ქალაქლებს რუსულად უკეთესად ვწერ, ვიდრე ქართულად. კი! მაგათ კი უჭირთ. ძალიან უჭირთ, მაგრამ არა უშვს, ყველაფერს მოველემა. ახლა, სჯობია, ისევ თქვენს საქმეზე ვილაპარაკოთ. გვირისტინე არსად გამეჭიქევა, — ლაფრენტომ ეს აშკარად სწორი დასკვნა გააკეთა და სკამზე გასწორდა. თეიმურაზის დიპლომი მოიწია და წინ დაიღო: — ახლა, ჩემო ბატონო თეიმურაზ, მე უნდა მოგასხენოთ შემდეგი: თქვენ ახლა ისე გელაპარაკებით, როგორც ნამდვილად სერო-

ზულ ახალგაზრდას, რომელიც აქ/ზოგაერთბივით დროს გასატანებდა და უკანვე გასაქცევად კმისკმისსა, არამედ მართლა სამუშაოდ და... და საცხოვრებლადაც. ჩვენ თუ აქ ვცხოვრობთ, რა, ამიტომ ხალხი აღარა ვართ?!...

— როგორ გეკადრებათ!...

— ჰოდა, ძალიან კარგი. არ დაგიშლავთ: მე თქვენ პირველი დანახვითანავე მომეწონეთ. ჩემი ხნის ადამიანები იშვიათად ცდებიან. მაგრამ ეს არაფერი. ჩემთვის ყოველგვარ ეჭვსგარეშეა, რომ თქვენ, ასეთი დიპლომის პატრონს, შეგეძლოთ თბილისში დარჩენაც, მეცნიერული მუშაობის წარმოებაც. მალე, ალბათ, ბინასაც მოგცემდნენ... თუ გპირდებით, რასაკვირველია... დიას!... მაგრამ აი, თქვენ ჩვენიან ჩამობრძანდით. ეს კი ჩვენ, ერთგვარად, გავალდებულვას თქვენს წინაშე. და ჩვენ ეს ვალი, მე ვიტყვოდი, უსათუოდ უნდა მოვიხადოთ. ეს მიბრძანეთ, ხომ არაად მიგჩქარებათ?

— არა, ბატონო!

— არა, ამასწინათ მქონდა შემთხვევა: ასე, თქვენსავით ჩამოსულ ახალგაზრდა ინჟინერს მუსაიფი გავუბი... მე ეს მევალება კიდევ. მე თქვენ აქაური საქმეების კურსში უნდა ჩავაყენოთ. ჰოდა, გავუბი ამ ყმაწვილს მასლაათი, ყველაფერს ვუამბობ, ესე იგი, ორიენტაციას ვაძლევ... იმას კიდევ ეგერ. გორაზე. აქედანსულ ახლოს. ვაშაქიძეები სახლობენ... თურმე, ეს ყმაწვილი იმათ ენათესაება. იმათ იციან, რომ ჩამოსულია, პურმარილა გაუშლიათ და ელოდებიან. ამ ყმაწვილმა მისმინა და მისმინა, მითმინა და მითმინა, მერე ვეღარ მოითმინა და მითხრა, ბიძია, აგერ. ვაშაქიძეებთან ავიდეთ და ეს ლაპარაკი იქ გავაგრძელოთ. ხე-ხე! პატარაა ეს ჩვენი საქართველო, მოკეთესა და ნათესავს ყოველ ნაბიჯზე წააწყდები კაცი... გავუშვი, რასაკვირველია, მე კი არ წავყოლივარ. თქვენც ხომ არაინა?... — მე მგონი, არა.

— არა უშავს. ვინმე გამოგიჩნდებათ. ნათესავი თუ არა, მეგობარი მაინც. ჰო, მაშ ასე, როგორი მდგომარეობაა ახლა ჩვენთან? მდგომარეობა, ჩვენთან, ჩემო ბატონო, ასეთია: ჩვენ ხელმძღვანელ თანამდებობებზე გვყავს. ეგრეთწოდებული პრაქტიკოსები, ესე იგი, უსწავლელი, უდიპლომო ხალხი — და ამის უფლება ჩვენ არა გვაქვს, სახელმწიფო ამას გვიკრძალავს, — და გვყავს თქვენისთანა ინჟინრები. ჩვენ ყოველნაირად ვცდილობთ, რომ ხელმძღვანელ თანამდებობებზე ყველგან ინჟინრები გვყავდეს და ამიტომ, არ დაგიმალავთ, ყოველი ახალგაზრდა ინჟინრის ჩამოსვლა ჩვენთვის დღესასწაულია. ჩვენ პირდაპირ ვოცნებობთ იმ დღეზე, როცა შახტებში ყველა ხელმძღვანელ თანამდებობებს ინჟინრები დაიკავენ. თუ... — ვარდოსანიძე უეცრად გაჩუმდა და თეიმურაზს გამომცდელად შეხედა, — თუ თქვენ მაინცდამაინც აპარატში გინდათ?

— არა, ბატონო! არც მიფიქრია.

— ოჰ, შესანიშნავი პასუხია ნამდვილად! რა უნდა ტრესტში და აპარატში, ბატონო, თქვენისთანა ვეჯკაცს? თქვენი საქმე იქაა, სანგრევებში, შტრეკებში. ამ ქალაქებს კი ქალებიც კარგად გაუძღვებიან. არადა, ჩემისთანა ბებრეკებიც აქ არ ვყავართ? ა? ნამდვილად! თქვენი საკადრისი საქმე აქ ჩვენ არც კი მოგვეძებნება. ერთი მმართველის თანამდებობაა, და ისიც დაკავებულია. ხე-ხე-ხე-ხე!... დიას!... ოღონდ ერთი უნდა იყოდეთ, ბატონო... ბატონო თეიმურაზ, მე თქვენ ამას არ დაგიმალავთ: პირველ ხანებში — პირველ ხანებში მესახტეები, შეიძლება. ცოტა უნდობლად მოგეკიდნონ. ეს გასაგებიცაა. იმათ უფროსებად თავიანთი წრიდან გამოსული ხალხი ურჩევნიათ. ასეა. მაგრამ ეს მალე, ძალიან მალე გაივლის. მე ეპვიც კი არ მეპარება, რომ თქვენ შეძლებთ ჩვენს მესახტეებთან საერთო ენის გამოჩახვას და ნამდვილი წარმა-

ტებების მიღწევას. მე ამაში ეპვიც კი არ მეპარება.

— ახლა ერთი-ღა დაგვჭირდება იმურაზმა ვარდოსანიძეს გულლიად გაუღლია.

— სახელდობრ?

— სად და რომელი შახტის მესახტეებთან უნდა გამოვინახო მე საერთო ენა?

— ოჰ, მოინახება, მოინახება. ჰაერზე ლაპარაკი რა საკადრისია.

— ვინმე უნდა შეეცვალო?

— ალბათ... დიას, უნდა შეეცვალოთ. იყო აქ ერთი... კარგი ბიჭი იყო, კარგადაც მუშაობდა, მაგრამ... — ვარდოსანიძემ ხელები გაშალა, — ცოდნა, ბატონო თეიმურაზ, დიპლომი... დიას, ეს ყველაფერი — იოს! და იძულებული გავხდით. ერთი სიტყვით, რაღა დაგიმალათ, თქვენ პირდაპირ სულზე ჩამოგვისწარიოთ. ხე-ხე-ხე!... აღარც კი ვიცოდით, რა უნდა გვექნა.

— ეს... დღესვე მოხდება?

ლავრენტი ვარდოსანიძე გამოუთქმელად დასერიოხულდა. თითები მავრდამდე ფიქრიანად აათამაშა და კარგა ხანს დუმდა. მერე თავი ასწია და თეიმურაზს პირდაპირ თვალბეჭეში შეხედა:

— მე ვფიქრობ, რომ მოხდება! დიას, მოხდება. საჭიროა, რა თქმა უნდა, ტრესტის მმართველის თანხმობა, მაგრამ, ეს, ასე ვთქვათ, სხვათა შორის... ჰო, ბატონ აკაკის დღეს ცოტა დააკვირანდება. ამიტომ ჩვენ ასე ვქანათ: თქვენ გაისეირნეთ და ჩვენი ქალაქი დაათვალიერეთ. მით უმეტეს, რომ იგი ახლა თქვენიც არის. ზუსტად თორმეტ საათზე კი... უკაცრავად! ჰო, ზუსტად თორმეტ საათზე კი ჩემთან მობრძანდით.

— გმადლობთ! — თეიმურაზმა თავი დაუქრა და გამოვიდა.

• • •

ტრესტის მმართველი, აკაკი ნიშნიანიძე, შახტებიდან კარგ ხასიათსე დაბრუნდა. გეგმა ყველგან სრულდებოდა. უსიამოვნო ამბავი გასულ დღეღამეში არაფერი მომხდარა. მეტი რა უნდა

ქვანახშირის ტრესტის მმართველს? როგორც კი მდივანმა მოახსენა, თქვენთან შემოსვლის ნებართვას ლავრენტი ვარდოსანიძე თხოულობსო, აკაკიმ მაშინვე ნება დართო და კაბინეტში შემოსულ ლავრენტის ხალისიანად შეეგება.

— ჩემს ლავრენტის ვახლავარ! სხვა? როგორ გიკითხოთ?

— არა მიშავს. გმადლობთ! შენთან კი ისეთი ამბავი მომაქვს, რომ, ალბათ, შენც გესიამოვნება.

— ო! მართლა?... მერედა, მითხარი, შე კაცო, მასიამოვნე.

— სარდიონს, იქნება, ეშველოს!

— სარდიონს?! რაწაიარად?

ლავრენტიმ საქალაღდე გახსნა, თემურაზ არჯევანიძის წითელყდიანი დიპლომი ამოიღო და ტრესტის მმართველს საზეიმოდ გაუწოდა.

— ეს რა არის? — აკაკიმ დიპლომი გაკვირვებით შეათვალიერა.

— ნახე, ბატონო აკაკი!

ტრესტის მმართველმა დიპლომი გახსნა:

— ეგებ!... დიპლომი... წარჩინებით... თემურაზ არჯევანიძე... მერე? — თავი ასწია და ლავრენტის მიაჩერდა.

— გვეღირსა, — არ დაიბნა ლავრენტი, — ამას ველოდი და მოვესწარიო, აკაკის სიტყვები სწორედ ჩვენზეა ნათქვამი.

— მართლა?

— ნამდვილად, ბატონო! წითელი დიპლომი, ფრადოსანი, წარჩინებულ... მე თვითონაც ბარე ერთი საათი ველაპარაკე. ძალიან დიწვი, შენ ხარ ჩემი ბატონი, დაკვირვებული... ერთ ზედმეტ სიტყვას ვერ წამოაღდეინებ. პო ან არა. პო ან არა. მე მგონია.

— ა?

— გაკეთდა სარდიონ რაჰველიშვილის საქმე და ეგ არის. და ჩვენც: ერთი უდიპლომო უზნის უფროსი მოგეცილდა და ერთი დიპლომიანი მოგვემატა. დამიანე ჭყონიას ერთხანს მაინც

დავაშოშინებთ. მერე, დამერტიმე, მოწყალეა. კიდევ ვინმე გამორჩეულია?

— ესე იგი, ეს... ინჟინერი არჯევანიძე — სარდიონთან, ხომ? უზნის უფროსად? ხელთუფლიშვილის ადგილზე. ამას მთავაზობ, ხომ?

— დიახ, არჯევანიძე — სარდიონთან, ხელთუფლიშვილის ადგილზე. ახლა, შეიძლება, მეშახტეები...

— მოიცა, მეშახტეებს თავი დაანებე. მაგაზე მერე. ერთი ეს მითხარი, შვილიშვილი როგორა გყავს?

— ოჰ, ნულარ მკითხავ! — ლავრენტის სახე გაებადრა, — წინა კბილები ეჭრება... ფორთხავს და ფორთხავს... არაფერი იმისთანა მოუსვენარი და იმისთანა დაუღლევი მე არ მინახავს. ჭამითაც — იცოცხლე! ძუძუ დიდი ხანია აღარ ყოფნის, დედამისი ხან რას წაუმატებს და ხან რას. ხელში ვეღარ ეიმპარებ იმ მამაძალს, იმ სიმძიმეა.

— რას მელაპარაკები!

— აბა!... წინა ორი კბილი ერთად ამოეჭრა, დომენტი! ორივე ერთად ამოუღდის.

— ო, კარგია, კარგი... აბა, მოუსვენარი და დაუღლეია?

— ოჰ, ნულარ მკითხავ!... არაფერი მაგისთანა მე ჯერ არ მინახავს! ჩემი რომ არის, იმიტომ არ გეუბნები.

— კი, მჯერა, შე კაცო! მჯერა. ჰოდა, აბა, ჩვენ რა ექნათ, იცი იმ... არჯევანიძეს მოადგილე ხომ დაჭირდება? ჰოდა, ბარემ ეგ შენი შვილიშვილი გაეაყოლოთ. ენერგიული და დაუღლევი მოადგილე — კარგი საქმეა. ა? შენ რას იტყვი?

— ა?!... — ლავრენტის გოცებისა და დაბნეულობისაგან ენა ჩაუვარდა. ტრესტის მმართველს გამოლენებული მიაჩერდა.

— ეჰ, ლავრენტი, ლავრენტი! — აკაკიმ ამოიხვნეშა და თავი მძიმედ გადააქნ-გადმოაქნია, — რამდენჯერ მითქვამს, ადგიქი, სპეტკანსაცმელი და რეზინის ჩექმები ჩაიცვი, ჩაფხუტი დაიხურე, რომელიმე შახტში ჩაეშვი და

ტყუილად გაიარ-გამოიარე-მეტქი! რამდენჯერ მითქვამს! არა, არ შეგები! კაცი ქვანახშირის ტრესტის კადრებს განაგებ, აგერ ათი წელიწადია, და ჯერ შახტში კი არ ყოფილხარ! ეს საქმეა? არა, ჩემო, ძვირფასო და საყვარელო! ეს საქმე არ არის. ეს არაფერს არა ჰგავს. შენ შახტში ერთხელ მაინც რომ გაგესიერნა, ტყუილად მაინც, მუშაობას ხომ არ გთხოვ? ტყუილა მაინც რომ გაგესიერნა, მაშინ აღარ მეტყოდი, ეს... ეს მართლა ძუძუმწოვარა ბავშვი უბნის უფროსად დავაყენოთო. მაშინ მაგას ნამდვილად აღარ მეტყოდი.

— აჰ...

— მოიცა, თუ ხათრი გაქვს, არ შემიკამათო. ა, ეს წითელი დიბლომი, გამომართვი... ეგ ბიჭი მაინც სარდიონს გავეუგზავნოთ, რამეში გამოადგება, და მიწერით კი ასე მისწერე. გეგზავნება ესა და ეს ინჟინერი თქვენი შეხედულებისამებრ გამოსაყენებლად-თქო. სარდიონი მაგას რამეს კი მოუხერხებს, გაიგე?

— გავიგე, დომენტოვიჩ!

— აბა, კარგად და ბედნიერად იყავი! გეყურება: გეგზავნებათ თქვენი შეხედულებისამებრ გამოსაყენებლად-თქო.

— მესმის!

X

ნაშუადღევს სამი საათი იქნებოდა, სარდიონ რაკველიშვალი და მინაგო ჩარკვიანი ისევ ერთად იყვნენ შახტის უფროსის კაბინეტში. სარდიონი ის-ის იყო შახტიდან ამოვიდა, ტანსაცმელს პირდაპირ აქ, კაბინეტში იცვლიდა და თან მინაგოს მწარე სიცილით უყვებოდა, ერთ კვირაზე მეტია, მე და მთავარი ინჟინერი კახაბერ გურასაშვილი ჭიბრაილსა ვცვლით და არ იქნა, იმ წყულ ანთიმოზას ვერასგზივთ ვერც ერთ დავალებაზე ხელი ვერ მოვაწერინეთო.

— ნამდვილად დამიკერენ, — სარდიონი ამოხვნეშით დაიხარა და რეზინის ჩექმების გახდას შეუდგა.

— თუ გაგიგეს, მართლა დაგიკერენ,

— უხალისოდ დაუდასტურა ჩარკვიანი. ის კარგად ხედავდა, თუ რამდენს რამდენ შრომად, შევალე მასთან ნერვიულობად უჯდებოდა ეს ყველაფერი და გულით ეცოდებოდა, მაგრამ მინაგოს რა შეეძლო?

— არავისთან წამოვცდეს, — სარდიონმა მინაგოს თვალი ჩაუკრა, მარჯვენა ჩექმა კედელთან მიაგდო და ახლა მარცხენის გასაძრობად დაიხარა.

— არ წამომცდება, — ისევ უხალისოდ დაუბრუნა ხუმრობა მინაგომ.

კარზე დააკაუნეს.

— ვინ ეშმაკია?!... — სარდიონი წელში გაიმართა. მარცხენა ჩექმა ისევ ფეხზე შერჩა.

მინაგო კარებთან მივიდა, საკეტი გადაწია და კარი ოდნავ გამოაღო. გაიხედა და სარდიონს მიუბრუნდა.

— მარგალიტა...

— მარგალიტა... — სარდიონმა გამოიხედა და მარჯვენა ფეხი სასწრაფოდ ფეხსაცმელში ჩაპყო. — რა უნდა?... შემოვიდეს.

მარგალიტა შემოვიდა, კართანვე გაჩერდა და მოახსენა, თბილისიდან ინჟინერი ჩამოვიდა და თქვენიან შემოსვლა უნდაო.

— ვინაო?!... — სარდიონმა გაკვირვებული მხერა ჯერ მინაგოს ესროლა და შერე მარგალიტას მიუბრუნდა, — ვინ ჩამოვიდაო?!...

— ინჟინერი.

— ვინ ინჟინერიაო?!

— ინჟინერი. ჩამოსული. თბილისიდან.

— თბილისიდან?!

— ღიახ!

სარდიონს ვერაფერი გაეგო. თბილისიდან ინჟინრები ამასწინათ იყვნენ, რალაც დოკუმენტაცია შეამოწმეს, საკვანტილაციო შტრეკები დაათვალიერეს და წავიდნენ. ახლა ვინ-ლა უნდა იყოს?

— რა ხნის იქნება?

— ახალგაზრდაა.

— მაინც — როგორი ახალგაზრ-

და?!... ახალგაზრდა, ახალგაზრდას გაანია.

ამაზე მარგალიტამ მხრები აიჩეჩა.

— თხოვე, ერთი-ორ წუთში შემოიყვანე.

სარდიონმა მარცხენა ჩექმა გაიძრო და ფეხსაცმელი ჩაიცვა. მერე სწრაფად წამოდგა, თან საყელოს იბნეედა, და კაბინეტი მოათვალეირა. არა, აქ ყველაფერი წესრიგში იყო. სკამები კოხტად ჩამწკრივებულიყვნენ კედლების გასწვრივ. კარაქისფერი პარკეტი თვალისმომკრელად ბრწყინავდა. დიდრონ ფანჯრებზე, რაღაც იღბლად, ახალგაზრდები და გაუთოებული თეთრი პოპლინის ფარდები ქათქათებდნენ. მარტო ის არ ვარგოდა, რომ კუთხეში უწესრიგოდ ეყარა ბრეზენტის კუჭკუიანი სპეცტანსაცმელი, რეზინის ჩექმები, ჩაფხუტი, ევლო მესახტის ნათურა თავისი ბრტყელი აკუმულატორითა და ქაპრით. მაგრამ, ბოლოსდაბოლოს, ეს შახტის უფროსის კაბინეტი იყო და არა საკვლევი დარბაზი. შახტის უფროსის კაბინეტში კი გამურული სპეცტანსაცმლის დანახვა არავის არ უნდა გაუკვირდეს...

კარი გაიღო და მარგალიტამ კაბინეტში საშუალოზე მაღალი, კარგად მოყვანილი, ქალაქური შესახედობის, მაგრამ არც თუ ძალიან მდიდრულად ჩაცმული ახალგაზრდა შემოუშვა. რაღაც ხმადაბლა უთხრა, თვითონ კი გავიდა და კარი გაიხურა. ახალგაზრდა კარებთანვე გაჩერდა.

თეიმურაზ არჩევანიძე, ცოტა არ იყოს, დაბნეული და შემკრთალი იყო. არ იცოდა, ან ხელები სად წაეღო, ან სკამთან მისულიყო და დამუდარიყო, თუ მიპატივებისათვის დაეცადა. და საამისო მიზეზიც არსებობდა.

ტრესტის კადრების განყოფილების გამგესთან, ლავრენტი ვარდოსანიძესთან პირველი შეხვედრისა და საუბრის შემდეგ თეიმურაზმა დაასკვნა, რომელიღაც შახტზე უბნის უფროსად მგზავნიანო. ან ამ დასკვნამდე მისვლას რა

დიდი თავისტეხა და დაეიდარება... უნდოდა? ვარდოსანიძემ კი თეიმურაზს პირდაპირ უთხრა და საბოლოოდ გასაფორმებლად თორმეტი საათისათვის დაიბარა. თეიმურაზმა, ყოველ შემთხვევაში, ასე გაიგო. მაგრამ თორმეტ საათზე ვარდოსანიძე თეიმურაზს როგორღაც დარცხვენით შეხვდა, სახეს არიდებდა, წამლაუწუმ სათვალეს იხსნიდა, ცხვირსახოცი თმენდდა და ფანჯარაში იცქირებოდა.

— გეახელით, ბატონო ლავრენტი!

— ჰო, დიახ!... კი, გენაცვალე! ერთი სიტყვით, თქვენი საკითხი გარკვეულია, ახლავე მიმართვას გამოვიწერო, ოღონდ...

— ბატონო?

— არა, ისეთი არაფერი, ოღონდ... იცით, მე გამომჩნა... ეს სიბერე, სიბერე ოხერი... მე წელან გამომჩნა. ჩვენ არა გვაქვს უფლება, რომ შახტის უფროსს აქედანვე მივწეროთ, ესა და ეს პიროვნება ამა და ამ თანამდებობაზე დააყენეო. ამის უფლება ჩვენ არ გვაქვს. შახტზე საკუთარი კადრების განყოფილება აქვთ და შახტის უფროსი თვითონვე გადაწყვეტს, უფროსად იქ... რა ქვია... უფროსად იქ სარდიონ რაჰველიშვილია.

— ესე იგი?

— არაფერი, სულ არაფერი? აი, მომართვას მოგცემთ და მიბრძანდით, თანამდებობას ისინი თვითონ გამოგიძენიან. მორჩა და გაათავდა... ახლავე! — და ლავრენტი მიმართვის შეესებას შეუდგა.

ახლა თეიმურაზ არჩევანიძე ამიტომაც ღელავდა. არა, უბნის უფროსობაზე მას არასოდეს უფიქრია. მაგრამ, ცოტა არ იყოს, იმისი ეშინოდა, რაიმე შეუფერებელი თანამდებობა არ შემომთავაზონო. ის კარგად ხედავდა, რომ ეს ოთახი კადრების განყოფილება კი აღარ იყო, არამედ შახტის უფროსის კაბინეტი, და რომ მისი ბედი რამდენიმე წუთის შემდეგ აქ საბოლოოდ გადაწყდებოდა.

თეიმურაზმა ის მაინც მოახერხა, რომ სარდიონს თავი თავახიანად დაუტრა.

სარდიონმა თეიმურაზს თავის დაკვირვებულ უპასუხა და მინაგოს მოკლე შერა შეავლო.

„ვინ უნდა იყოს?!“

მინაგომ სარდიონს არაფერი უპასუხა.

— მობრძანდით, ბატონო, მობრძანდით! — სარდიონი წამოდგა, დინჯი ნაბიჯებით გამოვიდა კაბინეტის შუაგულში, გაჩერდა და შემოსულს ხელი აქედანვე გაუწოდა, — სარდიონ რაჰველიშვილი. შახტის უფროსი.

— თეიმურაზ არჩევანიძე.

ერთმანეთს ხელი ჩამოართვეს.

— ეს ჩვენი პარტკომის მდივანია.

მინაგო ჩარკვიანი.

— სსიამოვნოა!

— დაბრძანდით!...

ერთი წუთის შემდეგ სამივენი სარდიონის მაგიდას უსხდნენ: სარდიონი თავის ადგილას, ის ორნი კი — მის პირდაპირ, სკამებზე.

— როდის ჩამობრძანდით?

— დღეს დილით.

მცირე ხნით სიჩუმე ჩამოვარდა მერე თეიმურაზმა გულის ჯიბიდან საბუთები ამოიღო, წამოდგა და სარდიონს გაუწოდა.

— ეს რა არის? საბუთები? ო!... ახლავე ბატონო! — წითელყდიანი დიპლომის დანახვაზე სარდიონს წარბები შეუტოკდა. თეიმურაზს სწრაფად შეხედა თვალბში, მერე შერა მინაგოსაც შეავლო და ისევ საბუთებს დახედა: დიახ, დიახ... გასაგებია!... კი, ბატონო!... აგერ, წერია „თქვენი შეხედულებებისამებრ გამოსაყენებლად“... ესეც ასე... ერთი მიბრძანეთ, პრაქტიკას სად გადიოდით?

— პრაქტიკას... აქაც, კვათერაშიც.

— მესმის, გასაგებია, დიახ, დიახ! — სარდიონი უცბათ წამოდგა და ოთახში გაიარ-გამოიარა, — კიდევ ერთი შეკითხვა, თუ შეიძლება.

— მიბრძანეთ, — თეიმურაზმა გაიღიმა და მხრები აიჩეჩა.

— რატომ ასპირანტურაში არ დაბრძანდით?

— წელს ადგილი არ იყო.

— გაისად?

— არა, გაისად უფლებას ვკარგავ და... გარდა ამისა... რაკი ჩამოვედი, ჩამოვედი, — თეიმურაზმა თავი, ცოტა არ იყოს, გამომწვევად დაიქნია.

— ა?

— ასეა!...

— მესმის. კარგი. მაგრამ... — სარდიონს კიდევ რაღაც ეპიკებოდა.

— ბატონო?

— არაფერი. — მოწყვეტით ესროლა სარდიონმა. სწრაფად მაგიდასთან მივიდა და ზარის ღილაკს თითი დააპირა.

სანამ მარგალიტა შემოვიდოდა, ხმა აღარც ერთს აღარ ამოუღია. სარდიონი მაგიდასთან იდგა და, სამოქმედოდ გამზადებული, კარებისკენ იყურებოდა. აშკარად ეტყობოდა, რომ იმისგან, რაც გადაწყვიტა, არასდიდებით უკან აღარ დაიხევდა. თეიმურაზი ოდნავ დაბნეული იყო. ვერაფრით ვერ გაეგო, თუ რა მოელოდა. მინაგო კი ყველაფერს მიხვდა და, გაოცებული, სარდიონს თვალს არ აშორებდა.

მარგალიტა მალე შემოვიდა.

— რატომ მალოდინებ, გოგო?

— ახლა არ დარეკეთ?!

— კარგი. ნუ მეკამათები. ახლა კი არა, ხუთი წუთის წინათ დარეკე. ასე დაჯექი და დაწერე: მესამე საექსპლოატაციო უბნის უფროსად ამა წლის 26 აგვისტოდან, ერთი თვის გამოსაცდელი ვადით დაინიშნოს სამთო ინჟინერი თეიმურაზ არჩევანიძე. საფუძველი: არჩევანიძის განცხადება და შახტის უფროსის რეზოლუცია, გასაგებია?

— დიახ!

— ასე... თქვენ, თეიმურაზ, — სარდიონი თეიმურაზთან მივიდა და ხელი იდაყვზე მოჰკიდა, — თქვენ ახლა მარგალიტას გაჰყვით და ჩემს სახელზე განცხადება დაწერეთ. მარგალიტა,

ბრძანებაც დაბეჭდევ. მამის სახელი არ დაგავიწყდეს. მერე კი ორივენი ჩემთან შემობრძანდით.

თეიმურაზი და მარგალიტა გავიდნენ.

სარდიონმა მათ მშერა გააყოლა. მერე სკამზე დაჯდა, მაგიდიდან რაღაც ქაღალდი აიღო და მინაგოს აღმაცერად გახედა.

— რას მომიჩერებხარ, მინაგო?

— შეკაცო, კატამ დედოფალს შეტყუა და... მე ამ შახტის პარტკომში ვარ.

— პარტკომში კი არა, შენ ჩემი სულთამხუთავი ხარ.

— ეჰე!

— ნამდვილად! დახმარებით არაფერში მიხმარებები, კრიტიკით კი სულ მაკრიტიკებ.

— შე ჯერ ხმაც არ ამომიღია.

— ვიცო, გულში რაცა გაქვს.

— შენ?

— რა — მე?

— შენ რაღა გაქვს მაგ გულში?

— არაფერი! — სარდიონმა თავი ასწია და მინაგოს მშერა გაუსწორა.

— მეტი შენ რა გითხრა!

— ახლა... თუ არ გჯერა...

— ძალიან კარგად მოიქეცი?

— როდის?

— ა, ეს წუთია...

— არც კარგად და არც ცუდად.

— ბიჭს ჯერ შახტშიც არ ჩაუხედავს.

— ჩვენს შახტში თუ არ ჩაუხედავს, სხვანაირად ჩაუხედავს.

— შენ თვითონ დღეში ასჯერ იმეორებ, მთელ შახტს კი არა, ყოველ კუნძულს ცალკე შესწავლა უნდაო.

— შეისწავლის.

— მანამდე?

— მანამდე... როგორც ახლა ვწვავლობთ, ისე ვიწვავლებთ.

— ჰოო... მაგრამ... მე შახტეები? იყაბულეებენ?

— მე შახტეები? არა... — სარდიონმა ნეკით წარბი მოიქეჭა. შახტის უფროსი ახლა უკვე ძალიან სერიოზულად გამოიყურებოდა, წარბიც კი შეიკრა. — მე შახტეები, ალბათ, არ იყაბულეებენ.

— მერე?

— მერე, პარტკომში ხარ და დამხმარე... აი, შენი დახმარება სწორედ ახლა დამჭირდება.

— კარგი, ბატონო, რაც შემეძლება, დაგეხმარები, ოღონდ...

— შენ ხომ იცი, სარდიონ: თუ მე შახტემ სხვაგან გადასვლა მოინდომა, ვერ გააჩერებ, უფლება არა გაქვს.

— ვიცო, მერე?

— არაფერი.

— გმადლობ!... — სარდიონმა ის ქაღალდი მიავლო და ახლა სხვა აიღო.

მინაგო სკამის ზურგს მიაწვა, გულსელი დაიკრიფა და გაიჩინდა.

რამდენიმე წუთის შემდეგ კაბინეტის კარი გაიღო და მარგალიტა შემოვიდა. მას დაბეჭდილი ბრძანება მოჰქონდა. უკან სახეაწითლებული, უხერხულად მომღიმარე თეიმურაზი მოსდევდა. ახალგაზრდა ინჟინერი შემოვიდა და კარებთანვე გაჩერდა.

სარდიონმა მარგალიტას ბრძანება გამოართვა და ჩაიკითხა. მაგიდიდან კალმისტარი აიღო, ბრძანებაში ერთ ადგილას წერტილი ჩაუმატა და ხელი მოაწერა. მერე კალმისტარი თავის ადგილას დასდო, მუშტებად შეკრული ორივე ხელი მძიმედ დააწყო მაგიდაზე და თეიმურაზს სერიოზულად, შუბლქვეშეიდან შეხედა. — გილოცავთ, მეგობარო! გილოცავთ ჩვენთან მოსვლას და ჩვენს ფერხულში ჩაბმას. ალბათ, კარგად გესმით, თუ როგორ სერიოზულ თანამდებობაზე დაგნიშნეთ. მინაგო! — მოუბრუნდა სარდიონი პარტკომის მდივანს, — მიულოცე შენც... შენგან უფრო ეს იამოვნება კიდევ. აჰ...

— გილოცავთ, მეგობარო! — მინაგომ თეიმურაზს თავი დაუკრა და გულთბილად გაუღიმა, — გილოცავთ!

— გმადლობთ!

— ასე, — სარდიონი წამოდგა, — შახტზე და საქმეებზე მერე. შენ, მარგალიტა, დღეს განთავისუფლებ ყოველგვარი საქმეებისაგან, გარდა ერთისა, ამხანაგი თეიმურაზი უნდა დაა-

ბინავო. ჯერ, პირველ ოიგში, რა თქმა უნდა, ავანსი. ნიკანდროს უთხარი ჩემს მაგიერ. მერე — საერთო საცხოვრებელში შენ თვითონ წაპყევი და მარიაში ჩემი სახელით უთხარი, რომ... ერთი სიტყვით, გასაგებია?

— გასაგებია.

— აბა, ყოჩაღად და ბედნიერად!

XI

თეიმურაზ არჩევანიძე თბილისიდან ოთხშაბათს წავიდა, ნათიას იგი არ გუთხარებია, რატომ — თვითონაც არ იცოდა, ხელშაბათ საღამოს კი ნათია საკუთარ თავს ველარ მოერია, თბილისის სადგურს მიაშურა, უზარმაზარი მოედანი გადასჭრა, ნაძალადევთან ხიდზე ავიდა სადგურს თავზე რომ გადაუდის — გაჩერდა და მატარებლების ურიცხვი ვაგონებით გაჭედვით სადგურს ზევიდან გადმოხედა.

სწორედ ბაქანთან, პირველ ლიანდაგზე, მწვანეკვლებიანი, ჟანგისფერ-სახურავიანი, მრგვალსაკვამურებიანი ვაგონების უგრძესი მწყრივი გაჭიმულიყო. ელმავალი დიდუბის მხრიდან ება. მატარებლის ვაგონებთან ისეთი ალიაქოთი იყო, მგზავრები თუ გამცილებლები ისე აგზნებულად ლაპარაკობდნენ, იცინოდნენ, გაჰყვიროდნენ და მიმორბოდნენ, რომ ეტყობოდა მატარებელი მალე უნდა დაჩრდილყო.

ალბათ, გუშინ, სწორედ ამ მატარებლით წავიდა თეიმურაზ არჩევანიძეც. აქი ნათიას ტელეფონით უთხრა. რვის ნახევარზე გავდივარო. ახლაც სწორედ რვის ნახევარი სრულდებოდა.

გუშინდელი მატარებლის ვაგონები ახლა, ალბათ, ქვანახშირის ქალაქის სადგურზე დგანან და მათ აქეთ წამოსასვლელად ამზადებენ. რვის ნახევარზე აქედან ეს მატარებელი გავა, ერთმანეთს შეუღამისას სადღაც შეაგზაზე, ხაშურში, ან ხარაგოულში შეხვდებიან, გვერდი გვერდს ჩაუვლიან და თავ-თავის გზას გააგრძელებენ. ნათია

კი, აი, ხიდზე დგას და თვითონაც არ იცის, სად წავიდეს და რა ჰქნას. ვაგონების შესასვლელებთან ხალხი უკვე ბუხებივით ირეოდა. იმატა შედახილებმა, სიცილ-ხარხარმა, გინასმა. ერთ ვაგონთან ვილაც შავებიან ქალს თვრამეტიოდე წლის კბამუკი გულში ჩაეჭრა და გაუთავებლად კოცნიდა. იფიქრებდით, ეს მატარებელი რვა-ათი საათის სავალზე კი არა, მთვარეზე, ან უფრო შორსაც კი მიდისო. ცნობით კი აქედან, ხიდიდან ვერავის იცნობდით. სახეები ძნელი გასარჩევი იყო. მით უმეტეს, რომ არე-მარეს სწრაფად ედებოდა ლურჯი ბინდ-ბუნდი. ასე რომ, ნათია გუშინაც რომ მოსულიყო და აქ, ხიდზე გაჩერებულიყო, თეიმურაზს, ალბათ, მაინც ვერ დაინახავდა. ნეტავი, თვითონ თეიმურაზს თუ მოუვიდოდა აზრად, შეიძლება ნათია ხიდზე იდგესო? ალბათ, არა. რა თქმა უნდა, არა.

„ერთი მკითხოს კაცმა, რატომ გუშინ არ მოვედი და ადამიანურად არ დავემშვიდობე?“

მატარებელი მოულოდნელად დაიძრა; ზარი თუ სხვა რამ სიგნალი არავის მიუტია. ელმავლის მოკლე შეკვივლებაზე ნათიას გული შეუხტა. ხიდქვეშ აუჩქარებლად, ერთიმეორის მიყოლებით გაიარა, თხუთმეტმა თუ თვრამეტმა გრძელმა ვაგონმა. ბოლოს ხიდქვეშ იდან უკანასკნელი ვაგონის წითელი ნათურებიც გასხლტდნენ და ლურჯ ბინდ-ბუნდში დიდუბისაკენ გაეცურდნენ. ნათიას ყელში რაღაც მოაწვა. ქალიშვილმა უკვე შორს წასულ მატარებელს ერთხანს გაუნძრევლად უყურა და მერე ხიდს ნელი ნაბიჯით გამოაჰყვა, ისევე სადგურის მოედნისაკენ.

ქვევით, ხიდის კიბესთან, ბესარიონ მაგრაქველიძე და მისი ამფსონები იდგნენ.

ნათია შეჩერდა.

— ქალბატონ ნათიას ჩვენი უმდაბლესი საღამო! — ბესარიონმა მარჯვენა ხელი მყერდის მარცხენა მხარეს,

გულთან მიიღო და წელში მოიხარა. ამფსონებმა გაიღიმეს.

ათიოდე ნაბიჯის დაშორებით, ტროტურთან შავი „ვოლგა“ იდგა. შიგ არავინ იჯდა. შოფრის კარი ღია იყო. ნათია მიხვდა, რომ ეს „ვოლგა“ მას ელოდებოდა. მივიდა, მარჯვენა კარი გამოაღო და ჩაჯდა. ბესარიონი მყისვე შოფრის ადგილზე მოეწყო, გასაღები გადაატრიალა და მობტორი ჩართო. მანქანა აძიკძიკვდა. ბესარიონის ამფსონებმა უკანა სკამი დაიკავეს. ბესარიონმა მიიხედ-მოიხედა, მანქანა დაძრა და ჩელუსკინელების ქუჩისკენ წამოიყვანა.

— საით გვიბრძანებთ? — ბესარიონი თავაზიანად დაიხარა ნათიასაკენ.

ნათიამ არაფერი უბასუხა. მუხლზე ჩანთა გაისწორა, კაბა ჩაიკიმა და მზერა ბინდში გახვეულ, ხალხითა და ხმაურით საესე ქუჩას გაუსწორა.

— მიჯავრდებით? — ბესარიონმა ნათიას აღმაცერი ღიმილი სტყორცნა.

ნათია სდუმდა.

ამ პამიდორივით ღაჭღაჯა, რობროხა ბესარიონს თავში სულ ცოტა ჰკუთნა მანც რომ ჰქონდეს. აქამდე უაპველად მიხვდებოდა, რომ ნათიასაგან ვერასოდეს ვერაფერს ეღიროსება. თავს ვაყკაკობაზე სდებს, ღლეღღამე რესტორნებში გდია, ერთ დაჯღღამაზე ხუთი ბოთლი ღვინო არ ჰყოფნის და, როგორც ამბობენ, მუშტი-კრივეშიც შეუპოვარია. მისი ამხანაგები ირწმუნებიან, ბესარიონი ჯერ არ გალახულაო. მაგრამ ამავე დროს ისეთი ჩვარივით ხასიათი აქვს, ნათიას ისე ყურმოჭრილ მონასავით, ისე მღიქვენელურად ეპყრობა, რომ მას პირდაპირ ზიზღი ერევა. ნათიას კარგად ახსოვს, ერთხელ მას ტანში გააყრყოლა იმის წარმოდგენაზე, რომ შეიძლება, როდისმე ბესარიონმა ხელი მომხვიოს და კოცნა დამიპიროსო.

ახლა ეს „ვოლგა“ ნეტავი, ვის გამოართვა? ალბათ, ერთ იმათგანისაა, უკანა სკამზე რომ ჩაკუპულან და ხმას არც

კი იღებენ. თვითონ ბესარიონს მანქანა არა ჰყავს. აი, კიდევ უცნაური ამზავი: ბესარიონის მამა მთელ თბილისში ცნობილი კომბინატორი და ფულიანი კაკია, ყველამ იცის, რომ მაგრაქველიძეები ოჯახში უამრავ ფულს ხარჯავენ. მთელი ქალაქის სალაპარაკოა მაგათი დღეობები თუ სადილ-ვახშმები, ჩაცმადახურვა, ძვირფასეულობა, სერვისები თუ ვერცხლეული, აგარაყები და საზღვარგარეთული კრუიზები. ჰოდა, აი მანქანას კი ბესარიონის მამა, კალისტრატე მაგრაქველიძე, არასდიდებით არ ყიდულობს — არავინ მკითხოს, მანქანის საყიდელი ფული საიდან იშოვნეო. მიღი ახლა და იმას ჰკუთნა ჰკითხე!

ბესარიონმა ჯერჯერობით მხოლოდ ის მოახერხა, რომ ნათიას სხვა თაყვანისმცემლები ჩამოაშორა. მას შემდეგ, რაც მაგრაქველიძე აეტორილა, ნათიას სხვები, განსაკუთრებით თანაკურსელი სტუდენტები, ახლოსაც აღარ ეკარებიან. გაცილებასაც ვეღარ უბედავენ და ერთი-ორჯერ შუალამისას ქუჩაში მარტო მიატოვეს. ჰოდა, კისერიმც უტენიათ! ვისაც ამ რობროხა სულელის შეეშინდება, ის ნათიას გვერდით გაეღის ღირსიც კი არ არის. ნათიას იმათი ჩამოცილება არც კი სწყენია. თვითურაში კი... რატომღაც ბესარიონმა თემურაზი თვითონვე არაფრად ჩააგდო. ალბათ, ამ გაზულუქებულ დარდიმანდს ვერც კი წარმოუდგენია, რომ ეს გამხდარი, ჩაუცმელი, თავდაბალი და მორიდებული ბიჭი, — ვილაც ფრიადოსანი სტუდენტი — მის მეტოქეობას მართლა გულში გაივლებდა.

ისე კი, ბესარიონი თემურაზისა და ნათიას ურთიერთობას თავისებურად აფასებდა. იგი დარწმუნებული იყო, ნათია ყველაფერ ამას ჩემს გასაღიზიანებლად აკეთებსო. ჰოდა, არაფრად აგდებდა. კი, ქალბატონო ნათია! ყველაფერი თქვენი ნებაა! ეგრე გნებათ? ეგრე მოიქეცი, ოღონდ იცოდეთ, რომ ბესარიონი არაფერში მოტყუებდა. აჰ! თქვენი მოსატყუებელი კბილი ბე-



სარიონ მაგრაქველიძემ დიდი ხანია მოიყვალა! ქალები? და მათი ეშმაკობები? ბესარიონი თქვენსეტი წლისაც არ იყო, რომ მამამისის დავალებით თმა-ხეჭუჭა, ჩაპუტკუნებულ კლარასთან მიიყვანეს... და მას აქეთ... თუმცა, არა! გავჩერდეთ. ასეთი რამეებით ტრაბახი ქართველ ვაჟებს არ შეშვენის. ნათია კი გაერთობ, ბატონო! ვინ უშლის? ოღონდ, თუ ბესარიონის გაღიზიანება მართლა უნდა, ვინმე უფრო შესაფერი სი მონახოს. თორემ იმ თეიმურაზს ზეირიანი ფეხსაცმელიც კი არ აცვია. არა, ჩვენს დროში ჩაცმა-დახურვას ისეთი მნიშვნელობა აღარა აქვს. კაცს დღეს რომ დაკერებული ფეხსაცმელები აცვია, ეს კაცა, შეიძლება, ზვალ პროფესორი, ან მინისტრი გახდეს. მაგრამ... ქალებს მაინც თავისი ფსიქოლოგია აქვთ. ბესარიონმა ესეც მშვენიერად იცის. ის გაცვეთილფეხსაცმლიანი თუ გახდა მინისტრი ან პროფესორი, მაშინ კარგი შენ! მაგრამ თუ არ გახდა? არა, ქალს ზვალინდელ პროფესორს დღევანდელი კბრვად ჩაცმული და დარდიმანდი ვაჟკაცი ურჩევნია.

— სამადლოზე ავიდეთ? — ბესარიონმა მანქანა ტროტუართან მიიყენა, გააჩერა და მიჰოხედა.

ნათიამ ახლაც არაფერი უპასუხა. უკანა სკამიდან ბაიბური არ ისმოდა. ალბათ, ელოდნენ, ნათია რას იტყვისო. მერე, ნათიას ხმა რომ ევლარ გაიგონეს, რომელიღაცამ წაილაპარაკა:

— შეიძლება, მაგრამ...
— მაგრამ რა? — ბესარიონმა მობრუნდა.

— გვიანია, ბესარიონის კირიმე! რაც რამე ხეირიანი აქვთ ხოლმე, ამ დროს უკვე გასაღებულია.

— ნამდვილად ეგრეა.
— აბა, რა ვქნათ?
— აგე, ფუნიკულიორი და იმის ჯანი!

— ან, ჰა, „კრწანისი“...
— კარგი, ნუ გამაგიყეთ! სად „კრწანისი“, სად „ინტურისტი“? აი, გუებნებით: ინტურისტისთანა ჯაზი ახლა თბილისში არ არის.

— ჯაზი კი... ეგ მართალია:
— ქალბატონო ნათია! — ბესარიონი თავაზიანად დაიხარა ნათიასკენ, თქვენ როგორ ინებებთ?

— ფუნიკულიორი!
— მესმის, თქვენი ნებაა. ოღონდ...
— ბესარიონმა სქელი, პამიდორივით წითელი კისერი მოგრიხა.

— ოღონდ რა? — ნათიამ მოშვილდული წარბები გაკვირვებით აწკიპა.

— ის, რომ... იმ მატარებელს ახლა ევლარც ფუნიკულიორიდან დაინახავთ. ის ახლა უკვე გორს იჭნება გაცილებული. — და თავის მოსწრებულ სიტყვებზე ბესარიონმა თვითონვე გადაიხარხარა — ჰა-ჰა-ჰა-ჰა!. ჰო-ჰო-ჰო-ჰო!...

— წაივით! — მოკლედ მიუგდო ნათიამ.

□ გაგრძელება იქნება □

სკანდრო შანშიაშვილი

შიქნები სხოვრებაზე

ზოგს აცილებენ მდულარე ცრემლით,
ზოგს საქორწილო სუფრას უშლიან,
ზოგს ახსენებენ პატივისცემით,
ზოგს ცილს სწამებენ, რომ ის მრუსია.
ზოგს ზეიმის დღე გასთენებია,
ზოგს მწუხარება წილად რგებია.
კეთილს ბოროტი ასდევნებია...
ზოგჯერ ცხოვრების ორომტრიალში
ლელოს გამტანი დაღიწყებით.

ჩვენი ცხოვრება ჭკავეს საქანელას,
მიეკანები, ადიხარ მაღლა;
თუ გამარჯვებამ თავბრუ დაგხვია
და დაივიწყე მოძმეთა დაღლა,
საქანელადან ჩამოვარდები...
მოიხრისება შენი ვარდები
და სამუდამოდ დაგვეკარგები.

ზოგჯერ სიმართლე არის ჩახშული,
თუ გსურს ამხილო შენზე ძლიერი;
კრიტიანი კაცი არაფერს გარგებს.
თუნდაც იცოდეს, რომ ხარ მშვიერი.

წვიმა კარგია და თუ გაგრძელდა,
აფუჭებს ნათესს, ჩნდება ტალახი:
ყვავილთა შორის არავეინ დარგო,
თვინით ამოღებ მავნე ბალახი.
თუ არ მოგლიჯე ის უფარგისი,
მისგან დაჭენება ტურფა ნარგიზი.

მხოლოდ დგას ხალხი, როგორც დუღაბი,
ორომტრიალში სულგრძელი გმირი;
მეც ვარ მის მიერ ამღერებული,
ჩემი ჭამანიით და ჩემი სტივრით!
იყავ ხალხისთვის თავდადებული.
შენს ნამოქმედარს ვერავინ ჭმობდეს;
ერთი მიზანი უცვლელად გჭონდეს;
დღე ხვალინდელი დღევანდელს სჯობდეს!

შოკენი

პონტეპრტი მი-მინორი

მე შეკუთვნოდი,

გაქრობამდე მე შეკუთვნოდი,

შენ, იდუმალთან ზიარების ძვირფასო წამო!..

გაღვიძებული ანგელოსის თეთრი მუხლები

აფრიალებდა იისფერი ხავერდის სამოსს...

მე დავინახე,

როგორ მივქროდი,

იყო გასული წელი ათასი.

და მე მივქროდი,

ვარსკვლავების გასწვრივ მივქროდი,

ტკბილი ნაღველით შერბეული სულის კადანით.

უძვლო,

უხორცო,

მდუმარების ერთგული პირმშო

და ასტრალური იმპერიის ერთი ნამცეცი.

მივქროდი ციურ გზაჯვარედინზე

უთანხმოება გამქრალიყო სულს ამწევი.

ჩემი ცხოვრება დღის და ღამის მონაცვლეობა

არ იყო მხოლოდ,

არც ფუსფუსი,

არც შეხვედრები,

არც უწესრიგოდ თაემოყრილი მოგონებები,

არც სახეები გატანჯული ჩუმი ვედრებით.

არც ნაღვლიანი თაობები,

აღარც წამება

ოქროს ღვთაებით,

მიწიერით,

ამაობებით,



მე ბედნიერი,

ვარსკვლავების გასწვრივ მივჭროდი,
მარადისობის ოცნებებით ნასაზრდოებში.

ო, იდუმალთან ზიარების ძვირფასო წამო,

მე შეკუთვნილი გაქრობამდე ყველა რეგისტრით,
მე შეკუთვნილი შენს წინაშე თავის დაბრისთვის
და შენს წინაშე მუხლმოდრეკისთვის!..

ღ ა ბ რ უ ნ ე ბ ა

ქსენოფონტის პოპლიტები.

ისინი დგანან ზღვის ნაპირთან.

გადარჩენილი მხოლოდ დროებით.

ამ აზრს წინასწარ შეურიგდნენ, რადგან უაუოდ
წინასწარ უნდა შერიგებოდნენ.

სიკვდილს მრავალი მოკავშირე ეყოლებოდა.

გზის დასასრულთან მხოლოდ ორნოა.

ისინი დგანან ზღვის ნაპირთან.

გამარჯვებული ლტოლვილები.

ქგავს ბატების ფრთების ფათქუნი

დაგვიანებულ ტაშისცემას.

დგანან და ჩემი თავყანისცემით

განებიერებულ მზეს შესცქერიან.

და მათ ჟანგიან თვალეში პონტო

ლურჯი ბორცვების დამფრთხალ ფარას მიერგება.

ველური თაფლით დანისლული მიაჭეთ გონება,

გათეთრებული თმები მიაჭეთ

და ქვიშიანი ჯიბეები.

აქ არის მათი სულის სხეული.

შორს არის მათი სხეულის სული.

როდესაც, ღამით იძინებენ,

იღვიძებენ იმათი მკედრები.

და დაქანცულებს ის ახსენდებათ,

რასაც ძვალივით გადმოუგდებს მუხსიერება.

არეულია თავის ქალაში სამეფოები და ქალაქები,

სადაც ოდესღაც შედგოდნენ,

ვით ლოკოკინის ნიქარაში ჭიანჭველები.

სასახლეების კესონების ორნამენტები

და ციცაბოდან გადავარდნილი

ჩემი ცოლის და ბავშვის კივილი.



აქ თვლემენ ჩემი ამრდილები
და ბუტბუტებს ლერწმის ქალაში
წვერგანეჩილი წყლის დეთაება.
ხოლო ხილული მდინარის გვერდით
არის მდინარე უსილავეი...

საუკუნეთა წყვდიადიდან მიხმობს მამალი.
უნდა ყვილით გააცოცხლოს დაეწყებულნი,
რასაც მრავალი საუკუნის მანძილზე სძინაეს
ჩემს გაწამებულ სულში ღრმა ძილით,
რაც მამის ვნახე დილის ბურუსში,
ამ ქვეყანაზე როცა ერთხელ უკვე ვიყავი.

ბეკელითი ოთახი

პროზა ლექსად

ყოველ სურათს არა აქვს ჩარჩო.
ისინი სხედან გვერდით ოთახში.
როცა ჭიქაში სახმელს ასხამს, კანკალებს ხელი.
ქალებს მუხლებზე უდევთ საჭოსვი.
შენ გესმის, ზოგჯერ რომელიდაც დგება მათ შორის
და მიდის უხმო ნაბიჯებით, ძირს დაეარდნილი,
გაგორებული რომ აიღოს ხელში გორგალი
და ისევ სკამს რომ დაუბრუნდეს...

ო, ის იქ არის, ვინც წითლდებოდა
და თვლებს ისე აცეცებდა, თითქოს დახტოდა
შემფოთებული ორი ჩიტი ტოტიდან ტოტზე;
ზამთრის ღამეში ვინც ღუმელთან გითბობდა საბანს
და მერე ისე გახურავდა და მარტოობას
რომ გაქცეოდა, გეხუტებოდა;
ის, ვისაც სუნი ასდიოდა ჭინძის და ობის;
და ვისაც პური მიჰქონდა გულთან,
რომ ასე გულზე მიხუტებული
სამზარეულოს დანით დაეჭრა;
და ვისაც ჰქონდა ფრინველივით მსუბუქი ძვლები,
როცა ხუმრობით აყავდა ხელში;
ვინც ადიოდა სახურავზე ქარიან ღამით,
როცა ამტვრევდა კრამიტებს თუთა;

ვინც გიკითხავდა და სულს გიმღვრევდა
ძველი წიგნების ნალელიანი ეპილოგებით;
ვინც შენ გიბოძა გაწითლებული
და საპნიანი ხელებით ბევრჯერ



გაუგებარი ბედნიერება
და ვის კალთაზეც მოჭიდებული
ისე იდგეი, როგორც ტაძარზე
მიშენებული პატარა სახლი...

ისიც იქ არის, იქ არის-მეთქი,
ვინც პალტოს თავზე წამოიცვამდა
და მერე ხელებს სახელოში ისე უყრიდა;
ვინც სამჭედლოში უროსა სცემდა
და ვინც ლოგინად ჩაეარდა ბოლოს
და სიკვდილის წინ მოისურვა ვენახის ნახვა;
ორმა ჩააცვით შარვალ-ხალათი
და რადგან დარჩა შეუკრავი შარვლის დილები,
როცა მანქანა მიჯაყყებდა,
ვანსნილ ხვანჯარში ქათქათებდა პერანგის ბოლო;
ვინც მერე ღამით ხროტინებდა ძალიან დიდხანს
და როცა სული ამოუვიდა,
გამოტილს ხელი ისე დარჩა გაწვდილი, თითქოს
სურდა გაეგო, წვიმა ხომ არ წამოვიდაო...

ისიც იქ არის, ვისაც უყვარდა
დარბაისლური საუბარი ქვეწამეტრისა
და მეცხრამეტე საუკუნის ჩუქურთმიანი
ქვის შენობები და ფასადები;
ვისაც მოხუცი ცოლი მაკრატლით
კისერში ჩაპულ თმას უსწორებდა
და ვისაც ძლიერ ეშინოდა ორპირი ქარის;
ვინც შენ ოდესღაც გეცოდებოდა,
როცა რვეულებს ახწორებდა წითელი მელნით;
ის, ვინც თვრებოდა საკუთარი ენამჭევრობით,

უყვარდა სიტყვა „გაცისკროვნება“
და კიდევ სიტყვა „უზენაესი“;
ვისაც უყვარდა ნამცხვარი ნუშის;
ვისი კოსტუმიც გაატანეს ერთ მეძველმანეს,
ხოლო ვიღებტი იატაკის ტილოდ იხმარეს...

და ვინც ჯდებოდა როიალთან, ისიც იქ არის;
ის, ვისაც თავი გვერდზე ჰქონდა გადაწეული,
თითქოს ხის ტოტებს ვრიდებოდა;
მუშიკა იყო უბედური სულის ნაყოფი,
მაგრამ მოჰქონდა ბედნიერება;
შენ გახსოვს, როგორ მოძრაობდა იმისი მუხლი,
როგორ მღეროდა და ერთი ბგერა
მეორე ბგერის დაბადებით როგორ კედებოდა;
ისიც იქ არის, იქ არის-მეთქი,
და იმ ოთახის კედლებს აწყდებდა
მისი ღიმილის ციციანათელა...

ისიც იქ არის, გატაცებული
მხედართმთავრების მემუარებით.


ის, ვინც ქუჩაში ისე ფრთხილად ადგამდა ნაბიჯს,
როგორც პირველად ხარაჩოზე ასული კაცი.

და ის, ვინც ქალის სიახლოვით ისე თვრებოდა,
ვით სათაგურის ნიგვზით — თავგვი.

ისიც იქ არის, ვინც ქალმერთივით
იყო ზვიადი, იყო ამაყი,
თითქოს მიჰქროდა სამეფო ეტლით;

ის, ვისაც ეცვა სარაფანი უბრალო ჩითის;
ვისაც თმა ჰქონდა გაყოფილი მუდამ შუაზე,
თითქოს გორაკზე ადიოდა ვიწრო ბილიკი;
ვისაც უყვარდა სურათები ცალყურა მხატვრის;
შენ გახსოვს მისი პირქუში მზერა
და მათრახივით მოქნეული მისი სიცილი;
ის, ვინც სარკესთან ტრიალებდა თმარამოშლილი,
როცა ცისფერი პერანგის ბურუსს
მისი სხეული ვერ უსაბუთებოდა;
ვინც თავზე კაბას გადაიცვამდა
და ქმარი უკან ღილებს უკრავდა;
ვინც შავი ლაკის ფეხსაცმელში ფეხებს ადგამდა
და კაცს სანამდე მოთმინება დაელოდა,
მანამდე სარკეს ვერ შორდებოდა...

არა! არა ხარ შენ ის კაცი, დღის სინათლეზე
ქვეშარიტ გზიდან რომ გადავიდა
და მოგონების წყვედიადში დამჩნის...
ისინი სხედან გვერდით ოთახში
და ალბათ რაზეც ლაპარაკობენ,
ბავშვთან იმაზე საუბარი უხერხულია,
ბავშვმა არ უნდა დაუგდოს ყური
და ოთახიდან გამოგისტუმრეს...



ნოდარ ხვედელიძე

ქაღაძი აღმოსავლეთით

თბილისის ახლო აღმოსავლეთით თუ ხედავ სტელას,
თუ ხედავ კოლოსს,
ფრთიან წარწერით, რომ ამ ქალაქში შეყვარებულნი
ცხოვრობენ მხოლოდ.

თუ ხედავ არიშს,
ამირანს, ყამარს და მზეს აღმომხდარს ვარდის კალათით,
ეგ ხვალინდელი
დღე არის შენი და ერთადერთი ჩემი ქალაქი.

მოყვე ვინცა

ნახეს, მაგრამ ელდა ეცათ, ვის უნახავს ყრმა მტირალი?
დაუყვავეს... მომგვარეთო ცხენი მალე!
შეჟდა, შეველო კარიბჭენი,
მალრიბელნი

იხარებენ მაშრიყელნიც, რა თქმა უნდა, წინ არიან.
დაათენდათ, ნაკვალევზე მიჰყვნენ ვისაც,
გზა კი არა, მდინარეა
პირმზითისა.

მოაქვს განგის სანახები და ევყრატის დიდი ხივრცვა,
იბერიის მოაქვს მზე და მოცელილი,
ზამბახივით ჩაკეცილი
წიგნში სიბრძნე.



რ ა ჟ ნ ა

უცებ აკივლდა
 ზარი მესამე
 და კრონიონმა
 ზეცით იგრგვინა.
 ასე უბრალოდ
 დაფნის გვირგვინებს
 ნუ დაარიგებ,
 შენი კვნესამე!

ხოხბისფრთიანი
 თრთოლა თუ ელდა,
 ნიჭთა იმედი
 იყო უგ ტოტი,
 რუსთაველამდე
 რომელიც თვლემდა,
 რუსთაველიდან
 რომელიც მოდის.

გ თ ვ ა რ ი რ ა ნ

მთვარეზეც შენი ნათელი მახლავს,
 ვარსკვლავთა წვიმა და წვიმაში შენვე დაგეჭებ.
 ის, რაიც მოჩანს მთვარიდან ახლა,
 ძლიერ გავს იმას, რაც მიწიდან მოჩანს მთვარეზე.

იქ, სადღაც ძალი აღავლავდება,
 აყმუვლდებიან ხეობები შესუდრულები,
 თითქოს ყორანთა ფრთებით ღამდება —
 დედამიწაზე დაცემულან მთვარის ღრმულები.

ქოგრიტში ელავს მწვერვალი ციდა,
 ქიმალიდან შემომცქერენ ბუდეშურები,
 მე გამოვრბივარ სიმშვიდის ზღვიდან
 და კვლავ ქარიშხლის ზღვებისაკენ მივეშურები.

ვინძლო აფრინდა

ბედი შენი რომ საქართველო დღეს მაღალია,
 ვინემ დიდგორზე, ავ თვალთაგან ჯვარიმც სწვრია,
 რომ მყინვარწვერიც მყინვარწვერია,
 ხვამლიც ხვამლია.

ღომისის მაღლმა, ქართლის გულსაც გაუხარია,
 ფაზისი ისვე ფაზისია, მტკვარი მტკვარია,
 პირმშითებია, შუქურებია,
 კვლავ საოცნებოდ ორთავ ფრთებია.

ვინძლო აფრინდე! წამომშველო!
 ყველგან თან ახლდე მის მზეს და ჰელას,
 საქართველოდან გატანილ ლელოს,
 ხალიბეთიდან გატყორცნილ ელვას.

ღიჟი და კატარა ეკატერინა

რეზანი

ნაწილი მეორე

კატარა ეკატერინას მოთხრობები

I

დღეს დედაჩემის ორმოცია.
რომ ამბობენ, დრო სწრაფად გარბის, სიცრუე ყოფილა!

უთუოდ მხიარული დრო გარბის სწრაფად, გვენანება მხიარულ დღეებთან გამოთხოვება და ამიტომაც გვეგონია, დრო სწრაფად მირბის.

მეც ასე მეგონა დედაჩემის გარდაცვალებამდე. დედაჩემის გარდაცვალების შემდეგ კი ჩემთვის დრო ტაატი, ძალიან მდორედ მიდის, ხანდახან კი მგონია, თითქოს ერთ ადგილზე დგას. მაგრადაც დგას და არასოდეს არ დაიძვრება. მზე კი ამოდის და ჩადის, თენდება და ღამდება, დრო კი მაინც იგივეა, დღევანდელი დღე გუშინდელსა ჰგავს, გუშინდელი გუშინდელს და იმისწინანდელი კიდევ იმისწინანდელს. ნამდვილად დრო ერთ ადგილზე დგას, ზოლო ჩვენ მოვდივართ და მივდივართ, — ვიბადებით, ვიზრდებით, თანდათან ვბერდებით, ვკარგავთ სიცოცხლის უნარს და მივდივართ მოუსავლეთში.

... ეს ორმოცი დღე ჩემთვის ერთ დღედ გაიწეა.

დედაჩემით ადრე ვდგები. ჰაიპარად მივხედ-მოვხედავ სახლყარს. უმთავრესია, გუტა არ დამრჩეს მოუწველავი. ძროხა თუ დროზე არ მოწველავი, ჩიქანი ატკივდება და შესაბრალისად აბლავდება. დედაჩემის დაკრძალვის მეორე დღეს მე გუტა არც გამხსენებია, სული შინ ვერ დავატეი და გათენებისას წავედი სასაფლაოზე. კიდევ კარგი, დედა ანეტას გაეგონა გუტას ბლავილი და სირბილით მოვარდნილიყო ჩვენსას.

ოპ, ინათებს თუ არა, სული ამიფორიაქდება, შინ ვერ ვჩერდები და სასაფლაოზე მივდივარ. მივდივარ რომელია, სატეველას ბოგირზე რომ გადავალ და თავს მარტო დავიგულებ, აღმართიან ბილიკს სირბილით შეგუყვები, გულს ბაგა-ბუგი გააქვს, მაგრამ მაინც მივრბივარ, მივალწეე სასაფლაოს, დედაჩემის სამარეს დავხედავ, ჩაეჩიქებ, სამარის ფხვიერ მიწას ხელის თითებით ვითომ უფრო გავაფხვიერებ და სული უმალ დამიმშვიდდება...

დასაფლავების მეორე დღესვე გულასპირ ჩაფიჩაქემ სამი თეთრი ვარდი მიწიანად ამოთხარა თავის ეზოში და დედაჩემს ფეხებთან დაურგო.

* გაგრძელება. იხ. „მნათობი“, № 6.

დღედაღამს თეთრი ვარდი უყვარდა, ეს მთელმა სოფელმა იცოდა და ბავშვებსაც მხოლოდ და მხოლოდ თეთრი ვარდები მოჰქონდათ დღედაღამთან.

სასაფლაოსთან ახლოს წყაროა, იმ წყაროდან დოქონი მოვიტან წყალს, მაგრამ არც სამარეს და არც ვარდებს ჭერ არ მოვრწყავ. ისევ ჩავიჩოქებ და ხელის თითებით ისევ სამარის ფხვიერ მიწას ვითომ უფრო ვაფხვიერებ და მერე ისე, როგორც დღედაღამი მეფერებოდა, ცოც სამარეს ვეფერები: ჭერ ფესვებზე მსუბუქად, ძალიან მსუბუქად გადავუსვამ ხელის თითებს, მერე ხელისგულებს გავშლი, თანდათან ზევით-ზევით წამოვიღებ და მუხლისთავეს მოვეალერებები, მერე, როგორც თვითონ იცოდა, გულმკერდზე მიმოვუტარებ ხელისგულს, თავს დავხრი და თვალებში ჩაეხედავ.

— რაო, დედი, გამოგაღვიძე? ჩემმა ციკმა ხელებმა გამოგაღვიძეს?

ხმადაბლა, ძალიან ხმადაბლა, ჩურჩულით ვიტყვი მე.

სიჩუმე.

გარშემო მივიხედ-მოვიხედავ და ისევ ჩავეკითხები:

— ვერ გამოაღვიძე, დედი?

— შეძინება, ეკა, დედაშვილობას თავი დამანება, — დღედაღამის მაგივრად ვიტყვი მე. დავუჩქრებ, ავდგები, ჭერ თეთრ ვარდებს მოვრწყავ, მერე სამარეს მსუბუქად მოვასხურებ წყალს, ქოთანში მინდვრის ყვავილებს გამოვცვლი და მოთავებულია ჩემი საქმე.

სამარის თავთან დიდი, სწორზედაბირიანი თეთრი ქვა დევს, დავაფენ ჩემს შავ თავსაბურავს ამ ქვაზე და დავჭდები.

ცოტახნით დაეჭდები. დიღინითაც შემიძლია დავისვენო, მე შენ გეტყვი და, რამე საქმე მქონდეს, მაგრამ ეს თეთრი ლოდი ძალზე ცივია... მე სატეველას ვებანობდი, სატეველას სველ ლოდებზე გავწოლილვარ და აგრე არ შემცივინია. ეს ლოდი, სატეველას ლოდებზე უფრო ცივია; უთუოდ სამარის სიცივე წყალზე უფრო აცივებს ლოდს. ჰოდა, მოდი

და გაუძელი სამარის სიცივეს! გაუძლებ? ვერა! ეტყობა, მიცვლემულნი ცოცხლებზე ძლიერნი არიან და ამიტომაც იტანენ სამარის სიცივეს.

ამ გაგანია სიცივეში ვზივარ დღედაღამის სამარესთან და მცივა, ძალიან მცივა, ხანდახან კბილებსაც კი მაცემინებს. ავდგები ლოდიდან, გავალ სასაფლაოს ეზოდან, მზეს მივეფიცები და მაინც ვერ ვთბები.

სიცივე სულში მაქვს ჩაპრილა და მზე სულს ვერ მითბობს.

...ერთხელ ძალიან შემცივდა და გასათბობად სასაფლაოს ეზოდან რომ გავედი, შემთხვევით დავხედე ჩენის სოფელს... აგერ საჯარისოს მინდორი, აი, ჩვენი სკოლაც, მერე მარცხნივ გავაყოლე მზერა და ჩვენი ეზო-კარი დავინახე. ვითომ საღამოხანია, ოდასახლის აივანზე დღედაღამი ზის, წიგნს კითხულობს და მე ველოდება. და მე გავქანდები, ჰო, სირბილით გავეშურები, ხმაურით ვალბე კიშკარს და ეზოში შევრბივარ, დღედაღამი ჩემი ნაბიჯების ხმას გაიგონებს და უხარია, მაგრამ არ გამოიხედავს, ვითომ ვერ შემამჩნია და ისევ აგრძელებს წიგნის კითხვას და როცა კბილებზე შევდგამ ფეხს, ვითომ შეკრთება, მწყურალად გამოიხედავს და მაინც დაყვავებით მკითხავს.

— ვისთან იყავი, ეკა?

— დღედაღამთან იყავი, დედი, — მეც დაყვავებით ვუბასუხებ.

ამხედ-დამხედავს, თვალს გამისწორებს, წიგნს დაეკეცავს და წამოდგება.

— ასე დიღინას? სხვასთანაც გამოივლიდი შენ, — დარწმუნებით იტყვის დღედაღამი, ნელი, უხმაურო ნაბიჯით ჩაივლის კბიებს და სამზადისკენ წავა.

„სხვასთან“ მინიშნებით თქვა დღედაღამმა. „სხვასთან“ — ეს ალექსანდრე ჩაფიჩაძის ოჯახია — ალექსანდრე, რევაზი და სანდრო. მე უთუოდ გამოვივლიდი ჩაფიჩაძეებთან, ამაში დარწმუნებულია დღედაღამი, ეს საკითხავი არ გაზღავთ მისთვის, ოღონდ არ იცის, მე რომ ჩაფიჩაძეებთან გამოვიარე, შინ იყო თუ არა რევაზი. ამას მე არ მკითხავს, თე-

ონ ვერ მიმხვდარა, ძალიან კი აინტერესებს და არის ხმაგაკმედილი და გაბუსუნებული...

ცხადად წარმოვიდგინე ეს და მე გაეთბი, დამცხა კიდევაც, ისე დამცხა, მზეზე დგომა ვერ შევიძელი, შემოვბრუნდი სასაფლაოზე, მივედი დედაჩემის სამარესთან, დავაფინე ჩემი შავი თავსაბურავი თეთრ ლოდზე, დავეჭქი და უშაღ შემცივდა, ჰო, უშაღვე ამიტანა სიცივემ.

მაინც ვზივარ ლოდზე, ვფიქრობ დედაჩემზე და ჩემს თავს ვეკამათები...

II

დედაჩემის უეცარი სიკვდილის მიზეზად ჩემი თავი მიმაჩნია, ნამდვილად ასეა და ეს ვერ მიპატიებია ჩემი თავისთვის.

გარდაცვალების წინ ღამით ცუდად ეძინა. გვიანობამდე ვიჭექი მის ფეხებთან, მერე დამითხოვა, წადი და დაიძინე, სადაცაა გათენდებაო. დავარწმუნე, ჩემს ოთახში რატომღაც ვერ ვიძინებ-მეთქი და ლოგინი ზალაში გავიშალე. ვიფიქრე, ახლოს მაინც ვიქნები დედასთან, თუ რამე დასჭირდება, დაბალი ზმითაც რომ დამიძახოს, მაინც გავიგონებ-მეთქი.

დაეწქი. ლოგინში გავიტრუნე და ფეხიზლობ. ვგრძნობ, დედაჩემსაც არ სძინავს და ფხიზლობს. ვართ ასე ცალცალკე გატრუნულები. გავიდა მცირე ხანი და დედაჩემი მეკითხება — ეკა, დაიძინე? მე თავი მოვიმძინარე. დარწმუნდა, მეძინა და სინათლე ანთო. ცოტასანს ვაცალე. მერე შევეხშიანე: დედი, ხომ არაფერი გჭირდება-მეთქი. არაო, მიპასუხა, შენ დაიძინე, მე ცოტას წავიკითხავ და დამეძინებო.

მე რომ დილით გამოვიდვიძე, დედაჩემი ფეხზე იყო. ფეხზე იყო კი არა. საშხადში რომ შევედი, კეცი ცაცხლზე იყო გადახობილი და ყველი ამოყავდა. მეწყინა.

დედაჩემი მიმიხვდა.

— უქმად ყოფნა არ შემიძლია, ეკა! — დაყვავებით მითხრა და გამიღიმა.

ღიმილი ნაძალადევი იყო და ტუჩებზე უცებ შეაშრა.

...ნასაუზმევს დედაჩემი შოირათო. თმა კობტად დაივარცხნა და თეთრკოპლუბიანი ცისფერი კაბა ჩაიცვა. ეს კაბა ახალგაზრდად აჩენდა დედას და ხშირადაც იცვამდა. შავი ფერის ტანსაცმელი ჭირავთ ეჭაერებოდა, ფეხსაცმელსაც არ იცვამდა შავი ტყავისას. მე რომ მოვკვდებო, ხშირად მეტყოდა ხოლმე, მხოლოდ ორმოცი დღე ჩაიკვო შავი ტანსაცმელი. ორმოცდამეერთე დღეს უსიკვდილოდ გაიხადე და დაწვიო, თორემ სული ამიწრიალდებაო. მე პირობა მივეცი: ხეალ ჩემს შავ კაბას, შავ თავსაბურავს, შავ წინდებს და შავ წალებს გავიხდი და დაეწვაე.

...ჰო, შოირათო დედაჩემი და მეუბნება.

— ცოტას ჰაერზე გავივლი, ეკა!

შევხედე და ძალიან ფერწასული მეჩვენა, ნამდვილად მიტკალივით ჰქონდა სახე, გულმა მითხრა, დაუშალო, მაგრამ ვერ შევებდე და დედაჩემი წავიდა.

მე ფანჯრიდან ვუთვალთვალედი. ნელი, ძალიან ნელი ნაბიჯებით გაიარა ეზო, ჰიშკართან შეუყოვნდა, ეზო მოათვალეერა, მერე კუტკარი გააღო და ქუჩაში გავიდა. ვხედავ, ჩენი სახლისკენ გულასპირ ჩაფიჩამე მოაბიჯებს, გამოხარდა, მეგონა, დედაჩემი გულასპირს შინ შემოიწვევდა, მაგრამ მოეტყუვდი, გულასპირმა, დედაჩემის ავადმყოფობისას ჰიშკართან რომ გრძელა სკამი დაგვიდგა, იმაზე დასხდნენ. მცირე ხანს ისხდნენ, მერე გულასპირი ადგა და მეურნეობის კანტორისკენ ჩქარი, ძალიან ჩქარი ნაბიჯებით წავიდა.

სახტად დავრჩი.

დედაჩემი სკამიდან ადგა, ეზოში ჩამოიხედა და საგულდაგულოდ მოათვალეერა, მერე ოდას შემოაქცერდა, კარგახანს იდგა ასე, ვიფიქრე, მე თუ მიხმობს-მეთქი და აივანზე გამოვედი, არაფერი მანიშნა, ეგებ ვერც კი დამინახა, და წავიდა.

ნელი, ძალიან ნელი ნაბიჯებით წავიდა.

როგორ ვიფიქრებდი, რომ დედაჩემმა უკანასკნელად გაიარა ეზოში, უკანასკნელად მოათვალღერა თავისი ეზო-კარი და უკანასკნელად გაიხურა კიშკარი.

...კიშკარამდე სვენებ-სვენებით რომ გაიარა, უნდა ავლენებოდი, შეთქვა, შენთან ერთად წამოვალ-მეთქი, ვიცი, დამიშლიდა, მაგრამ გავკვირდებოდი და ეგებ შინ მობრუნებულყო დედაჩემი... იცოცხლებდა კიდევ კარგახანს...

კიდევ კარგახანს იცოცხლებდა, ნამდვილად.

და ვიტანჯები მე, ეს ორმოცი დღეა სასაფლაოზე ვიღამებ და ღამე ლოგინში ვფხიზლობ და ვწრიალებ.

აჰავაი, გვიანია სინანული.

...გულასპირ ჩაფიჩაძის სახლში რომ შეხვედრი რევან ჩაფიჩაძეს... ჰო, პირველი შეხვედრისთანავე სულში ჩამიძვრა რევან ჩაფიჩაძე. ეგებ თვითონ არა, ეგებ მე ჩავიძვრინე სულში და გულზე დავიქდიე!

დედაჩემმა ეს იგრძნო.

იგრძნო და აწრიალდა.

რისი გეშინოდა, დედაჩემო?

დედაჩემი: რევან ჩაფიჩაძე უკმაყოფილოა რუსუდანიო, მაგრამ ჩვენ ვერ დავადასაშაულებთ რუსუდანს. ორი ბავშვის დედა, თბილისში დაბადებული და აღზრდილი, მხატვარი, საკუთარი სახლი, შეუძლე — კათედრის გამგე. მშობლები — ხელმისაწვდენზე... მიართვე ყოველივე ეს, აიყარე და გადაბარგდი სოფელში, რომელსაც ხეირიანი გზაც კი არა აქვს... რევან ჩაფიჩაძე რატომ მოიქცა ასე? მშობლიურმა კერამ დაუძახა. მოხუცმა მამამ, დაუქმებულმა ეზოკარმა, ხემაღალის ბილიკებმა, სატეველამ, აბესალომ კიკნაველიძის წისკვილმა და გულასპირ ჩაფიჩაძემ დაუძახეს და გულმა აქეთ გამოუწვია. სკოლამაც გამოიხმო რევან ჩაფიჩაძე. ჩვიდმეტმა მოსწავლემ, ორმა მასწავლებელმა, იმ ჩვიდმეტი მოწაფის დი-

დიდებმა და პაპებმა, — ჰო, ესენი გამოეძრახნენ რევან ჩაფიჩაძეს, მოგვეშველეო, მან გაიგონა მათი ძახილი და თბილისში აღარ დაედგომებოდა... ალექსანდრე ჩაფიჩაძის სახლში მთელ ღამეები სინათლე ენთო, ფხიზლობდა ალექსანდრე და ის ანთებული სანთელი და ალექსანდრე რევან ჩაფიჩაძეს ელოდნენ... დაედგომებოდა თბილისში? არა, არ დაედგომებოდა. ადგა და წამოვიდა. წამოვიდა და გაუმართლდა. და მას ვაჟიშვილმა გაუმაგრა გული. ის სანდრო პატარა რევან ჩაფიჩაძეა. სწორედ სანდროსხელა რევან ჩაფიჩაძე სწავლობდა ხემაღალის სკოლაში, საფუძველი დაქონდა აბესალომის წისკვილში, სატეველაში ბანაობდა და ხელობდა სატეველაში, ხემაღალის ბილიკზე დახტოდა, უბელო ცხენს დააჩირითებდა დაობერებზე... მამა-შვილს რომ შეეხვედები, ორ რევან ჩაფიჩაძეს ვხედავ — ყმაწვილს და დაქარამაგებულს. სანდროსავით ბეჭითი მოწაფე იყო რევან, სანდროსავით მოკრძალებული და მოუსვენარიც... ეგებ ყველაზე უფრო დედის სამარემ უხმო რევან ჩაფიჩაძეს? დიხახაც, რომ დედის ძახილს სხვათა ძახილზე უფრო გაიგონებდა, ჰო, დედის მოსიყვარულე გულმა უსაყვედურა, რად მიმატოვე, შეილოო, და დაედგომებოდა თბილისში? არა, არ დაედგომებოდა! ადგა და გამოსწია და შეილი დაუბრუნდა დედას. აჰი, კვირაში ერთხელ მაინც მოინახულებს დედის სამარეს რევან და სანდროსაც თან იახლებს. კმაყოფილია რევან, ძალიან კმაყოფილია და, ღმერთო, ყოველთვის გაუმარჯვე მას! რუსუდანიო? მკითხავ შენ და მე გიპასუხებ: იყვენ რუსუდანი და თათია თბილისში. თათიამ ხომ თბილისში უნდა ისწავლოს. სანდროც ჩვენს სკოლას დაამთავრებს და თბილისში წავა სასწავლებლად. წავიდეს, მამამისივით აბრეშუმის უიას არ გამოეცილებო? დიასამიძეებივით ისტორიას უკირკიტებს? მიუძალოს ისტორიას, ისტორიკოსად მოგვევლინოს სანდრო ჩაფიჩაძე, ქვეყანა არ დაიქცევა ამით! ის-

ტორიკოსები, ლიტერატორები, მხატვრები, მათემატიკოსები, აგრონომებთან და ექიმებთან ერთად იმოღვაწებენ სოფელში და ისტორიკოსი სანდრო ჩაფიჩაძე იპოვის საასპარეზოს... და მაშინ დარწმუნდება რუსუდანი, რომ რევანი სწორად მოიქცა, გულს მოიბრუნებს, ჯავრს გადაიყრის და ჩაფიჩაძეთა ოჯახი გამოელდება. ხვალ თუ არა ზეგ მაინც ასე იქნება, შენ? შენ ეს მცირე დრო გინდა მოიხელთო, ოდნავ გაბზარული ოჯახი დაშალო, თათიას და სანდროს მამა წაართვა, რუსუდანს მეუღლე და რევანს ჩაფიჩაძე დაისაკუთრო...

განა ასე არ არის?

პაუზა.

ისევ დედაჩემი: ვიცი, რევანს ჩაფიჩაძეს შეხვდი და შენმა გულმა იფეთქა. არ გადანაშაულებ. ქალიშვილობა მარტოობაში გაატარე, უმეგობროდ, უამხანაგოდ. უფერული, სევდიანი წლები, სკოლა, წისქვილი, ხერგაში ფეხით სიარული, ინსტიტუტში დაუსწრებლად სწავლა, ზამთრის გაუთავებელი ღამეები, მარტოობა და მარტოობა... შეგხვდა რევანს ჩაფიჩაძე, ავიწროაღდა და აგიფეთქდა გული, გაიღიმეს შენმა უსიხარულო თვალებმა, — ეს ბუნებრივია და არ გადანაშაულებ, ეკა! შენ სიხარულით მიიჩქარი სკოლაში, იცი, სკოლაში რევანის შვილი დაგხვდება, რიდიო მოგესალმება, შენ გაუღიმებ, სანდრო გათამამდება და სანდროც გაგიღიმებს, და შენ გგონია, თითქოს სანდროს ნაცვლად რევანს გაუღიმე და შენც სანდრო კი არა, რევანს გელიძობლება.

ასეა, ზომ?

პაუზა.

ისევ დედაჩემი: სიმართლე გითხარი და მიტომაც გაიქვავე ენა, ეკა! სკოლიდან შინ მობრუნდები და გუნება გეცვლება. პაიპარად მოითავებ საქმეს, ეზოსაც დაჰხედავ ვითომ, სადღაც მიგეშურება და ჩიტვიფთ გაფრინდები. საით გაგიწევია? მეურნეობის კანტორისკენ, კანტორაში გულასპირი ზის, საანგარიშოს აჩნაკუნებს და დაეთრებს

ფურცლავს და ფურცლავს, შენ ვითომ გულასპირთან გაქვს გადაფრებულა: საქმე, ნამდვილად კი რევანსაა! სასანაშაუად მიდიხარ. შეხვალ მეურნეობის კანტორაში, თვალს მოჰკრავ რევანს, გული გაგიხალისდება და სახე გაგიწითლდება, გაგიღიმებს რევანსი და სხვათაშორის გკითხავს — რაო, რა გვიბრძანაო დიდნა ეკატერინემ? შენ დაიბნევი, თავს დაზლა დახრი და ხმადაბლა, ჩურჩულით იტყვი — დედამ გულასპირთან გამოგზავნაო. რა მიბრძანა დიდმა ქალბატონმაო, ახლა გულასპირი გკითხავს და შენც რაღაცას მიკობ-მოკობავ...

და შინ მხიარული და აცეტებული ბრუნდები.

როგორ ფიქრობ, გულასპირი და რევანი ვერ ხვდებიან, მათთან უსაქმოდ რომ შეივლი? მიპასუხე, ეკა!

მე: ჩემს სათქმელს შენ ლაპარაკობ, დედი!

დედაჩემი: შენს გატაცებას ფრთხილად აქვს შეპირილი. მებრალები, ეკა!

მე: ვიცი, მაგრამ არ მინდა დავიჯერო! ჩემს გატაცებას შეეფიქრები? შეეფიქრო! უთუოდ ეგ მიწერია და აღსრულდეს! გული არ დამწყდება, დედი!

დედაჩემი: ჩემს თავს ვის უტოვებ, ეკა!

პაუზა.

ისევ დედაჩემი: მარტო ჩვენს თავს არასოდეს ვეკუთვნივ ჩვენ!

მე: ეგვეც ვიცი, მაგრამ ახლა მარტო ჩემს თავს ვეკუთვნივ....

დედაჩემი: მაგრამ რევანსი მარტო თავისთავს არ ეკუთვნის?

მე: ეგ არ ვიცი, დედაჩემო.

დედაჩემი: ეს ბოროტებაა, ეკა!

მე: ბოროტებისათვის დავისჯები.

დედაჩემი: მოვა დრო და დაისჯები, ნამდვილად დაისჯები და მებრალები, ეკა!

მე: შენ ზოგი რამ არ იცი, დედაჩემო! პაუზა.

ისევ მე: შენ გგონია, მარტო მე მიყვარს რევანსი და მას არ ეუყვარვარ? ასე ფიქრობ, ზომ?

პაუზა.

ისევ მე: დიახაც ასე ფიქრობ, დედაჩემო, და ნამდვილად ასე არ არის... ეს შარშან იყო, მაისის მიწურულში, რატომღაც დღე ვერ დავიმახსოვრე.

სალამოხანი. წისქვილიდან შინ ვბრუნდებოდი დალილი და მოწყენილი.

საქარისოზე ამოვედი, ნაკრულა მოლზე დავედე, მეც მოლზე დავჯექი და სანისლეს ქედს გავხედე.

რამდენჯერ დავკვირვებია შინ ჩასვლისას სანისლეს ქედს, ყოველთვის სხვადასხვანაირი იყო, მაგრამ არ გამკვირვებია, იმ საღამოს კი ვანსაკუთრებულად სხვანაირი და უცნაური ჩანდა: ქედის ქიმი თითქოს ელავდა, თითქოს კი არა, ნამდვილად ელავდა. ოდნავ უფრო დაბლა ქედი შინდისფერს დაიკრავდა, ცოტა უფრო ქვემოთ მრუდვ იყო, ხოლო უფრო ქვევით — მოლისფერი, ჩამავალი მზე კი მთელ ქედს თანაბრად ანათებდა. შევეცქეროდი სანისლეს ქედს და სული ჩემი ისვენებდა, თითქოსდა ფრთებიც გამოვსხა, აფრენა შემიძლია და ნელნელა მართლაც ავფრინდი.... ჰო, სანისლეს ქედი მიხმობს; ჯერ თვალი გამიქვავა სანისლეს ქედმა, თანდათან მომნუსხა, მერე ამამსუბუქა. ფრთები გამომასხა და ახლა თავისკენ მიმფრენს... და ვიღაცამ ხელი მხარზე დამადო, ვიგრძენი, რევანის მარჯვენა იყო, შევკრთი, მაგრამ არ შევიმჩინე.

მოლზე ჩემს გვერდით დაქდა რევანს ჩაფიჩაძე, მარცხენა ხელი სანისლეს ქედისკენ გაიშვირა, ლოყა ლოყაზე მომადო და ყრულ თქვა:

— უცნაურია, ხომ?

პაუზა.

— საქართველოში არც ერთი ქედი ასე მრავალფერად არ იქარგება შინს ჩასვლისას, თვით ცხრაწყაროს ქედებიც და კოდინიც! — დარწმუნებით თქვა რევანმა და მე მხარზე მისი მარჯვენის სიმძიმე ვიგრძენი.

ვზივართ მოლზე, გავცქერით სანისლეს ქედს, თანდათან მუქდება სანისლეს ქედი და ჩვენს გარშემოც ბნელდება თანდათან.

რევანს არ უკვირს, მარჯვენა ხელი

მხარზე რომ დამადო და მე არ ვიუცხოვე, არც მე მიკვირს, შეღამებულზე დათქმულივით რომ შემხვდა ამ მინდორზე და ჩემს გვერდით ზის.

არ მახსოვს რამდენხანს ვისხედით.

უცებ ნაბიჯების ხმა შემომესმა, ვიფიქრე, დედაჩემი ხომ არ წამოვიდა ჩემს შესაგებებლად-მეთქი, შევტოვი, ზეზე ავიკერი, არ დავშვიდობებია რევანს, არც ნაკრულა გამხსენებია, სირბილით გამოვქანდი სახლისკენ.

— ეკა! — ვითომ მსუბუქად დამიძახა რევანმა, მაგრამ მისი ხმა გაბზარული მეჩვენა.

არ შევყოვნდი. მალე მისი ნაბიჯების ხმა შემომესმა, დამეწია, ნაკრულა მიწანზე დადო და წინ დამიდგა.

— რატომ არ თხოვდები, ეკა?

პაუზა.

— რატომ არ თხოვდები, ეკა? — ხმამალა თქვა რევანმა, ხელები მხრებზე დამადო და თვალბში ჩამაქცერდა.

— არავის ვუყვარვარ, — ჩემად, ჩურჩულით ვთქვი მე და თავი დაეხარე.

— სცდები! დიახაც სცდები! — ხმამალა, ძალიან ხმამალა თქვა რევანმა, — ხელები კისერზე შემომამდო, მიმიზიდა და ტუჩებში მაკოცა... მერე უცებ შემიშვა ხელები და უკან, თავის სახლისკენ, ჩქარი ნაბიჯით წავიდა.

თვალი გაგადევნე, მაგრამ სიბნელეში მალე გაუჩინარდა.

მოლზე დავჯექი, მოლი გრილი იყო და მემბა.

„სცდები! დიახაც სცდები!“ ეს სიტყვები გულში ჩამეჭრა, მერე გულიდან მთელ სხეულს ხანძარივით მოედო, და ვზივარ მოლზე, გარშემო ვიხედები და ყველაფერი თეთრი და ნათელი მეჩვენება, მზე სანისლეს ქედს მოჰფარვია და მაინც მზით განათებული ჩანს სანისლეს ქედი, სოფელსაც მზე ადგას, სატველას ხეობაც მზეში ჩაბეუულა, ხმაურობს სატიველა, ბალახი და მინდვრის ყვავილები მღერიან და ქვეყანა სიკეთით ავსებულია.

პირალმა გავწყვი ბალახებში, ზეცას მივაპყარი მხერა, ცა შავი იყო, შემეშინ-

და და თვალები დავხუტე.

— ზომ გაიგონე, დედაჩემო, მასაც ვუყვარვარ!

— ხმამალა და თავმომწონედ ვთქვი,

— გადავბრუნდი, გულმკერდით დავუყარი მიწას, ვიგრძენი მიწაც მომეკრა, ჰო, მომიალურსა მიწამ და გავიტრუნე.

შესაწლოა ვიტირე, ბალახი დაცვარული იყო და უცებ ცვარმა დამისველა სახე.

ავდექი, ნაკრალა მოვიძიე და საჯარისოს მინდორი მსუბუქი ნაბიჯებით გადმოვიარე.

შენ ჰიშვართან დამხვდი.

— რატომ დაგაგვიანდა, ეკა? — გულმოსული, მაგრამ შიშნარევი ხმით შეითხე.

მე არაფერი გიბასუსე. ჰიშვარი ჯიქურ გავადე და სამზადისკენ წავედი.

შენ ჰიშვართან დარჩი.

ფქვილი გავცერი, ჰვლისთვის ცომი მოვზალე და შენ შემოხვედი სამზადში.

— წისქვილში ბევრი იყავით? — გამომწვევად მკითხე და სამფეხა სკამზე დაჯექი.

— მარტო მე ვიყავი! — ცივად ვთქვი მე.

— მარტო არ იქნებოდით!

პაუზა.

— მარტო ვიყავი, დედი!

— არა!

— წისქვილი ხომ არ მოშლილა?

— არა!

— მაშ მარტო არ ყოფილხარ! — დარწმუნებით თქვი შენ და თვალი თვალში გამიყარე.

— მე მას ვუყვარვარ, დედი, გესმის, ვუყვარვარ! — წამოვიძახე მე, ავტირდი და სამზადიდან გავიქერი.

მერე ფეხშიშველი დავდიოდი ეზოში. დავდიოდი და ისე ჩამესმოდა რევანის სიტყვები „სცდები, დიხაც სცდები!“ მცოდნა და მაყრყოლებდა. მერე, როდის-როდისღა, შენ ხმადაბლა მიხმე, მაგრამ მე მაინც გავიგონე შენი ხმა და სამზადში შემოვივდი.

ტაბაკი გაწყობილი იყო.

ისე ვივარდით, ერთმანეთისთვის ხმა არ გაგვიცია. შენ ერთი ჰიქა ლუღის არაყიც კი შესვი, მინდობდა დამეშალა, მაგრამ ვერ შემოგბედე.

შენ ჩემზე აღრე გახვედი სამზადიდან და ოდის კიბე ისეთი ნაბიჯებით აიარე, მაგრძნობინე, ძალზე გულმოსული იყავი.

მე ტაბაკი ავალაგე, ცეცხლი შევავიე, უკან კარიდან შემოვედი ოდაში, ზალა ფეხაკრეფით გავიარე, ჩემს ოთახში შევიპარე და დავწექი.

ვწევარ, მაგრამ ვაი ასეთ წოლას.

ჯერ რევან ჩაფიჩაძე დამიდგა თვალწინ. თვალი ჩამიკრა და ოთახიდან გამიტყუა, მერე ეზოდან გამიტყუა, საღარისოს მინდორს გამიყვანა, იპოვნა ის ადგილი, სადაც ორიოდ საათის წინ ვისხედით, წინ ჯიქურად დამიდგა, მხრებზე დამადო ხელები და მკეითხება:

— რატომ არ თხოვდები, ეკა?

პაუზა.

— რატომ არ თხოვდები, ეკა? — ხმამალა თქვა რევანმა.

— არავის ვუყვარვარ! — ჩუმად, ჩურჩულით ვთქვი მე და თავი დავხარე.

— სცდები! დიხაც სცდები! — ხმამალა, ძალიან ხმამალა თქვა რევანმა, — ხელები კისერზე შემომაჭლო, მიმიზიდა და ტუჩებში მაკოცა... მერე უცებ შემეშვა ხელები და უკან, თავის სახლისკენ, ჩქარი ნაბიჯებით წავიდა...

წავიდა და ტრიალ მინდორზე მართოდ დამტოვა. მე მეშინია, მინდა შინ წამოვიდე და ადგილიდან ვერ დავძრულვარ... ბედად თანდათან ნათდება და ვხედავ, სანდრო მოაბიჯებს მინდორში, ხელში მინდვრის ყვავილების თაიგული უჭირავს და ჩემსკენ მოდის თავდახრილი, დარცხენილი, არეული ნაბიჯებით. მომიახლოვდება სანდრო, ყვავილების თაიგულს გამომიწვდის, მე თაიგულს გამოვართმევ და გავუღიმებ, სანდრო არ შემომხედავს, ზურგს შემაქცევს და სახლისკენ გაიქცევა.

— სანდრო! — დავიყვირე მე. —

სანდროს ჩემი ყვირილი არ ესმის და გარბის...

ისევ მარტო დავრჩი ტრიალ მინდორზე და ისევ შემეშინდა. შინ მინდა წამოსვლა და ფეხი ვერ გამიდგამს... და ბედად, ისევ შემომესმა ნაბიჯების ხმა — ეს ბატონი ალექსანდრე ჩაფიჩაიე გახლავთ, უთუოდ აბესალომ კიკნაველიძესთან იყო სტუმრად, ახლა ძილის დროა, შინ შვილი და შვილიშვილი ელოდება, შინ მიეშურება. მე დამინახა და გაიოცა; ასე, ათიოდე ნაბიჯზე მომიახლოვდა და შედგა. ამხედ-დამხედა. კარგახანს იდგა და გოცბული შემომცქეროდა. ეუცხოვა ჩემი ალანძული სახე, მომიახლოვდა, თვალი გამისწორა, ნაოჭებიანი სახე უფრო დაემანჯა ალექსანდრეს და ვიგრძენი, შევებრალე.

— აქ რატომ დგებარ, ეკა? — აღერსიანი ხმით მკითხა ალექსანდრემ, — მერე ნაღვლიანად გამიღიმა და ნელი, ძალიან ნელი ნაბიჯებით წავიდა სახლისაკენ.

მინდვრის ყურეს რომ მიაღწია, შედგა და გამომხედა. კარგახანს იდგა, მერე ზეღით მანისშა, შინ წადიო. შორს იყო. მაგრამ მაინც დავინახე, ისევ ნაღვლიანად რომ გამიღიმა, მერე ისევ დამიქნია ზელი და თვალს მიეთარა.

ქანდაკებასავით ვდგევარ ტრიალ მინდორზე. მეშინია, შინ წამოსვლა მინდა და ფეხი ვერ გადამიდგამს... მერე მანქანის ხმა შემომესმა. სულ ახლოს გაჩერდა მანქანა, და ჩემს წინ რუსულდანი და თათია გაჩნდნენ, ხელებში მსუბუქი ხელჩანთები უჭირავთ, მე შემომცქერა და ერთმანეთს რაღაცას ეჩუბჩულებიან. მინდა მათ გავეცალო და ფეხი ვერ გადამიდგამს. ვწითლდები და თავს დაბლა ვხრი. თათია მომიახლოვდა, დაჩხარა და დაბლიდან შემომაცქერდა თვალებში, ვითომ თვალი ჩამიკრა და დამცინავად გაიღიმა. მერე თითი დამიქნია და ახარხარდა, დიდი ქალივით ახარხარდა, ზურგი შემომაქცია და გაიქცა, კისრიხტებით გაიქცა... სანდრო შემოგება თათიას, ხელჩანთა გამოართვა, ერთმანეთი გადაკოცნეს, მე ზეღით მა-

ნიშნეს, შინ წადიო და დამამ ხტუნვა-ხტუნვით ვადირბინეს მინდორი.

რუსულდანი კი ისევ ჩემთან დგას, მერე რუსულდანიც თათიასავით დამცინავად გამიღიმა, ხმამალა თქვა — საბრალოთ — და წავიდა. გულმოსული ნაბიჯებით წავიდა... რევაზი შემოგება რუსულდანს, ხელჩანთა ჩამოართვა და მიწაზე დადო, ჯერ მხრებზე შემოაჭვია ხელები, მერე კისერზე შემოაქლო, მიიზიდა და ისე აკოცა ტუჩებში, როგორც, ორი საათის წინ მე მაკოცა. მერე მარცხენა ხელით ჩანთა აიღო, მარჯვენა მკლავში გაუყარა რუსულდანს და მსუბუქი ნაბიჯით სახლისკენ წაიყვანა.

მინდვრის ყურეში შედგნენ, ჩემსკენ შემოტრიალდნენ და რევაზმა ზეღით მანიშნა, შინ წადიო.

მონუსხული ვდგავარ ტრიალ მინდორში, შინ წამოსვლა მინდა და ფეხი ვერ გამიდგამს. მეშინია და ვცახცახებ.

...ამ დროს შენ შემოხვედი ჩემს ოთახში და გონს მოვეგე, შუქი არ აგინთია, იცოდი, ვფხიზლობდი, ჩემს ლოგინზე ჩამოყექი და მშვიდად, აღერსიანად მკითხე.

— რევაზი ნასვამი იყო?

— არა! — წამოვიძახე მე და ლოგინში წამოვიმართე.

— ნასვამი იქნებოდა! — დარწმუნებით თქვი შენ და მერე გესლიანად დაუმატე: შენ რუსულდანზე ახალგაზრდა ხარ, პოდა, თავის მეუღლეზე ახალგაზრდა ქალი, დიახაც, მოეწონება მამაკაცს. ეს ჩვეულებრივი ამბავია, და რევაზიც, ჩვეულებრივი მამაკაცია, ეკა!

ჩემი პასუხისათვის არ დავიცდია და ოთახის კარი ხმაურით გაიხურე.

შენი სიტყვები მახვილივით მეძგერა, გულში და მაშინ მე პირველად ვიგრძენი გულისტკივილი.

მძიმე ყოფილა...

შენ კი ოცდაათი წელიწადი გტყიოდა გული.

III

სექტემბრის თბილი, უქარო საღამოა.

ვზივარ ოდასახლის აივანზე და სანისლეს ქედს გავცქერო.

ხშირად საღამოხანზე ასე ვისხედით დედაჩემი და მე ოდასახლის აივანზე, გავცქეროდით სანისლეს ქედს და ვდუმდით.

დედაჩემი ქსოვდა, მე უსაქმოდ ვიჯექი ხოლმე.

დიდხანს ვისხედით ასე.

— არ დაიღალე, ეკა? — ვითომ დაცინვით მეტყუოდა დედაჩემი.

— დავიღალე, დედი, და ვისვენებ.

— ასედაც უნდა, როგორც კი იგრძნობ დაღლას, საქმეს უნდა შეეშვა და აუცილებლად დაისვენო. კარგია, რომ ისვენებ. — დიხჯად, დარწმუნებით იტყოდა დედაჩემი, მერე გამიღიმებდა და დაუმატებდა — შენი არ იყოს, მეც დავიღალე და ცოტას მეც დავისვენებო, — ადგებოდა, ერთს გამომხედავდა, კიბეს სვენებ-სვენებით ჩაათავებდა და ქიშკრისკენ გააბიჯებდა.

ჩვენა ქიშკრიდან უფრო ლამაზად ჩანს ჩამავალი მზეო, — მიმტკიცებდა დედა.

დედაჩემი ქიშკარს მიეყრდნობოდა, ხელებს ოდნავ განზე გასწევდა და თითებს ქიშკრის ზედა ლარტყას მსუბუქად ჩაეღებდა, ისე ჩანდა, იფიქრებდით, სადაცაა აფრინდებაო.

და იდგა ასე, ვიდრე მზე სანისლეს ქედს ამოეფარებოდა.

იდგა და რაღაცას მღეროდა, ისე ხმადაბლა მღეროდა, სიტყვებს ვერ ვარჩევდი, ჰანგი კი ჩამესმოდა და სევდიანი იყო ის ჰანგი.

ერთხელ ძალიან ახლოს მივეპარე, ისევ ისე მღეროდა, მაგრამ სიტყვები მაინც ვერ გავარჩიე. მერე გავებდე და პირდაპირ მხარში ამოვუდექი, იგრძნო, მაგრამ არ შემომხედა და სიმღერა-ლინი განაგრძო. დავაყურადე, და დავრწმუნდი, დედაჩემი უსიტყვოდ მღეროდა, მაგრამ შევცდი, სულ უსიტყვო

არ იყო მისი სიმღერა, ერთსიტყვიან სიმღერას მღეროდა, და ამ ერთი სიტყვა კი ვერ გავიგონე, ვაგულისხმე, რომ „ნანაია“ იყო. და ეს „ნანაია“ მის სიმღერა-ლინში მრავალნაირად ეღერდა. უფრო სევდიანად ეღერდა. ადამიანს დიდი სევდა რომ შემოაწვება გულზე, ამოიკენესებს ხოლმე. „ეკ, ნანაია ჩემი ცოდვაო“, და დედაჩემის ლინში ასე შემომესმა „ნანაია“.

ვდგევართ ქიშკართან, შევცქეროთ ჩამავალ მზეს, მე ვდუმვარ, დედაჩემი კი ხმადაბლა, ძალიან ხმადაბლა ლინინებს.

ჩაეიდა მზე. დედაჩემმა ხელები შეუშვა ქიშკარს, მხრებში გაიმართა, გაილიმა და ხალისიანად, ძალიან ხალისიანად და ხმამალა ამოიძახა, — „ნანაია!“ თითქოს ვილაცის მოლოდინში იყო დედაჩემი, გამოჩნდა იგი, გაუხარდა დედაჩემს და ისეთნაირად ამოიძახა ნანაიაო, თითქოს ეუბნებოდა, შენ გავახაროს ღმერთმა, შენი მოსვლით მე რომ გამაზარეო.

ახლაც მახსოვს, მხარზე დამადო ხელი, თვალებში ჩამხედა, გამიღიმა.

— გიტარა გამოიტანე, ეკა, დაუქარი და იმღერე, ხომ ხედავ, მზე ჩაეიდა და სანისლედან სიჩუმე მოეფინება, დაუქარი და იმღერე.

...ახლა მარტო რომ ვზივარ აივანზე და ჩამავალ მზეს გავცქერო, მეჩვენება, თითქოს დედაჩემი ისევ ისე დგას ქიშკართან, ხელები ოდნავ განზე გაუწევდა, ქიშკრის ზედა ლარტყისათვის მსუბუქად ჩაუეღია თითები, ძალიან ხმადაბლა, უსიტყვოდ მღერის და სადაცაა აფრინდება.

ქიშკარს სანდრო მოადგა. დამინახა. კუტკარი შემოაღო და ეზოში შემოვიდა. ხელში თეთრი კალათი უქირავს და ნელი, გამოზომილი ნაბიჯით მოდის.

აივანზე ამოვიდა, მომესალმა და კალათი იატაკზე დადო.

მსხლით და ლეღვითაა კალათი სავსე. ასეთი წულაღეღე ხემალაში მარტო ალექსანდრე ჩაფიჩაძის ეზოში დგას, ისიც ერთადერთი ძირი.

— მამაშენმა გამომიგზავნა? — დაუფიქრებლად ვკითხე სანდროს.
პაუზა.

სანდრომ თავი დახარა, იატაკი მოათვალიერა, მერე კალათს გაუსწორა თვალი, წელწელა აწია თავი ზევით, შემომხედა და გამოიღიმა.

— მე დავკრიფე, ეკა დეიდა, — მორცხვად თქვა და გაწითლდა.

შემრცხვა და სანდროზე უფრო მე ვაწვითლდი. სანდრომ ლელვი და მსხალი დაკრიფა. იცის, ჩემს ეზოშიც მწიფს ლელვი და მსხალი, მაგრამ მე ხეზე არ ავლივარ და არ ვკრეფ არც ლელვს და არც მსხალს, გადამწიფდა და ახლა თანდათან ლტება ჩემი ეზოს ხილი. დედაჩემის გარდაცვალების შემდეგ არ ავლივარ ხეზე, თორემ ადრე? ადრე მეზობლებს მე თვითონ ვუკრეფდი ხილს, კაკლის ხეებს ვუბერტყავდი, ერთ კაკალსაც არ შევარჩენდი ხეს... ესეც კარგად იცის სანდრომ. ჰოდა, სანდროს შეგებრა ეკა დეიდა, ლელვი და მსხალი მოუტანა, გაეხარდებო, ეკა დეიდამ კი არც აცხელა, არც აცივა და მიახალა.

— მამაშენმა გამომიგზავნა?...
და სანდროს ეუხერხულა, თვალი ძლივს გამისწორა და თუმცა ღიმილით, მაგრამ ბოღიშვივით მითხრა:

— ეკა დეიდა, მე დავკრიფეო, — და სახეზე სიწითლე შემოენთო...

ღიმილით უნდა შევვებებოდი, მაღლობა მეტქვა, რატომ შემიწუხდი, სანდრო, აგერ ჩემს ეზოშიც მწიფს ლელვი და მსხალი. მე კი, დაუფიქრებლად — მამაშენმა გამომიგზავნა? — სანდროს ეუხერხულა ასეთი კითხვა და მიმიხვდა, მე ამ მწუხარების ჟამსაც მამამისზე ვფიქრობ და მაინტერესებს, მამამისი თუ ფიქრობს ჩემზე, ეახსოვარ? ჩემთან არაფერი დააბარა? სანდრო ნამდვილად მიმიხვდა და გაწითლდა. ეგებ რევანში ურჩია, ლელვი და მსხალი დაეკრიფა სანდროს და ჩემთან მოეტანა? ურჩია და თან დაარიგა, თუ ეკამ გკითხოს, მამაშენმა ხომ არ გამომიგზავნაო, უპასუხე, რომ შენ თვითონ დაკრიფე. ეგებ ასეა, ა? ეგებ ასეა და სანდროც ისე

მოიქცა, როგორც მამამისმა დაარიგა. სანდრო იმხელა... ჰო, სანდროს ხელში ბიჭებს ვერაფერს გამოაპარებ...

— საფუკავი თუ გაქვთ, წავიღებ, — თქვა სანდრომ.

— ხვალ კოკი წაიღებს.

— კოკი რატომ? მე წავიღებ!

— ახლა სადაცაა დაღამდება და წისქვილში წასვლა გვიანაა, სანდრო, — დაეყვირებით ვთქვი მე.

— სახლში წავიღებ, ხვალ ღილით სათევზაოდ მივდივარ სატყველანზე, დაეფუკავ და ამოგიტანო.

ახალა დავინახე, რომ სანდრო ფეხზე იდგა. ოთახიდან სკამი გამოვიტანე და სანდრო და მე ერთმანეთის გვერდით დავსხედით.

— რატომ არ მიირთმევთ? — სულ ახლახან დავკრიფე, აბა გასინჯეთ, ეკა დეიდა!

კალათი ოთახში შევიტანე. ლარნაკი მსხლითა და ლელვით ავავეს, ერთი სკამიც გამოვიტანე და სანდროსა და ჩემს შუა ჩავდგი.

— ორივემ ეკამოთ, — ვთქვით მე და ლელვი ავიღე.

სანდრომ მსხალი აირჩია.

— სათევზაოდ მარტო დადიხარ? — ვითომ სხვათაშორის ვკითხე სანდროს.

— მამასთან ერთად.

„აჰა, მამამ დაგაბარა, ეკა დეიდას და საფუკავი ექნება და წამოიღეო. ხვალ ღილით სათევზაოდ მივდივართ სატყველანზე. დაეფუკავთ და მერე შენ აუტან. თევზსაც წაუღებ ეკას. დიახაც ასე გითხრა მამაშენმა. ვიცი, ასე გითხრა, მაგრამ შენ ვითომ დაგაიწყა და არ მეუბნები. გაეშმაკებულხარ, სანდრო!“

— ანკესით იჭერთ? — ისე ვკითხე, თითქოს ღიდად ვიყავი დაინტერესებული ვაშეგო, სანდრო და რევანში ანკესით თევზაობენ, თუ ბადით.

— ბადეებით! მე ჩემი ბადი მაქვს, მამას — თავისი! — ამაყად თქვა სანდრომ.

— ნამდვილი ბადე გაქვს? ღიღი ბადე?

— ისეთივე, როგორიც მამაჩემს.

— მერედა დიდ ბაღეს ბოლომდე შლი?

სანდრო გაწითლდა.

— ცოტა ნაოკი მრჩება, მაგრამ თევზს მაინც ვიჭერ, — იმდენს ვერა, რამდენსაც მამაჩემი.

„ჰოდა, ხვალ დილით მამაშენი სატყველაში პირველად ჩემს სახელზე გადასვრის ბაღეს, ბაღე ბოლომდე გაიშლება და ბევრი თევზიც მოჰყვება ბაღეს, იმდენი მოჰყვება, რომ წვალებით ამოიღებს. ათიოდე მურწას გადაარჩევს და ჩემთან გამოგატანს. რევებში იცის, რომ მე სატყველას მურწაზე ვვციდები. გადაარჩევს და გამომიგზავნის. შენ მომიტან და შეტყვი: ეკა დეიდა, მე დავიჭირო, ასე იმიტომ შეტყვი, რომ მამაშენი დაგაბარებს ასე; მე მადლობას მოგახსენებ, მაგრამ არ დავიჭერებ, დიახაც არ დავიჭერებ და მე მართალი ვიქნები, ამიტომაც არ გავწითლდები, შენ კი გაწითლდები და თვალს ვერ გამისწორებ. ნამდვილად ასე იქნება, ჩემო პატარა მეგობარო!“

— ხვალვე მამას ხერგაში მივყვები, ხომ არაფერს დამაბარებთ? — საქმიანად მკითხა სანდრომ.

„ესეც ვითომ სანდრომ მოიფიქრა? რამდენჯერ წაუყვანია მამამისს სანდრო ხერგაში, მაგრამ ჩემთვის არასოდეს უკითხავს, რამე ხომ არ გვჭირდებათ, რამეს ხომ არ დამაბარებთ ხერგაშიო. რევებ ჩაფიჩაძემ იცის, დედაჩემის გარდაცვალების შემდეგ მე მხოლოდ-დამხოლოდ სასაფლაოზე დავიარები. მეზობლებთანაც კი არ გამიდგამს ფეხი, მთელი ორი თვეა ეკა ხერგაში არ ყოფილა, აღრე კი კვირაში ერთხელ მაინც ჩადიოდა საყიდლებზეო, იფიქრა, უთუოდ რამე სჭირდებაო და სანდროს დააბარა. მადლობა მომიხსენებია, ბატონო რევებ, ყურადღებისათვის.“

— თქვენ მანქანით მიდიხართ?

სანდრომ დასტურის ნიშნად თავი დამიქნია.

— თუ არ შეწყუბდებით, ცოტა პურის ფქვილი მიყიდე, ხუთიოდე კილოგრამი.

— პურის ფქვილი ჩვენს კოოპერატივში იყიდება, ეკა დეიდა! რა შეგჭირდებალად და ცოტა გაოცებით თქვა სანდრომ. — სხვა არაფერი?

პაუზა.

ვერაფერი მოვიფიქრე.

— სხვა არაფერი, სანდრო!

და სანდრომ უცებ მოიწყინა. მოუცბეჩავე მსხალი ლარნაკზე დადო, ხელისგულებით მუხლისთავები მოისრი-სა, შევატყვე, წასასვლელად შევშვალა.

„საფქვეს წაგიღებო და ვიუარე. ხერგაში მივდივართ მამაჩემი და მე და ეგებ რამ გჭირდებათო, ცოტა პურის ფქვილი მიყიდეთ-მეთქი და პურის ფქვილი აგერ, ჩვენს კოოპერატივში იყიდება თურმე... წავა ახლა სანდრო სახლში, ჰიშკართან, დანამდვილებით ვიცი, მამამისი დახვდება. და მოაქვს სანდროს მარტო კალათი და რევებში იფიქრებს, ეკას მიერ გამოტანებული საფქვევი კალათში უდევს სანდროს. ცოტა მსუბუქად კი მოაქვს სანდროს კალათი, მაგრამ ეკას პატარა ნაკრავლათი დააქვს საფქვევი, ის პატარა ნაკრავლა სანდროს არ ემძიმება და ასე მსუბუქად მიტომაც მოაქვს კალათი... მიუახლოვდება სანდრო ჰიშკარს, გარეშემო მიმოიხედავს რევებ ჩაფიჩაძე და როცა დარწმუნდება, ახლომახლო არავინაა, ხმამალა ჰკითხავს სანდროს:

— როგორაა დეიდა ეკატერინე?

— კარგად. — რატომღაც ცივად უპასუხებს სანდრო და რევებში ამას შემჩნევს.

— შენი მისვლა გაუხარდა?

— ეს ლეღვი და მსხალი მამაშენმა გამომიგზავნაო? მისვლისთანავე მკითხა.

— შენ რა უპასუხე?

— მე დავკრიფე-მეთქი. — შორცხვად იტყვის სანდრო.

— მერე?

— კალათი გამომართვა, ზალაში შეიტანა, ლარნაკი აავსო ლეღვითა და მსხლით და შემომთავაზა, მიირთვიო და მე მსხალი ავიღე.

— თვითონ?

— თვითონ ერთი ლეღვი გაფქვენა

და შექცა. ძალიან გემრიელიაო, თქვა-
ვითომ სანდროს რამე დაეშავებინოს,
რევაზი მწყურალად ჰკითხავს:

— საფქვავი გამოგატანა ეკატერინემ?

— არა, ხვალ კოკი წაიღებსო.

— კოკი ვინდა? — გაცხარდება რე-
ვაზ ჩაფიჩაძე.

— როგორ არ იცი, მამი, კოკი ვინაა?
ჩემი ამხანაგი. — მშვიდად იტყვის სან-
დრო და ცოტა არ იყოს, ნიშნის მოგე-
ბით გაუღიმებს.

— ჰოო, ჩვენი კოკი? აბესალომ კიკ-
ნაველიძის შვილიშვილი? — და რევაზი
დამშვიდდება.

— საყიდელი? საყიდელი არაფერი
დაგაბარა?

— ცოტა პურის ფქვილი მჭირდებო...

— ვუყიდოთ! ხომ არ დაგავიწყდება?
პაუზა.

— პურის ფქვილი ჩვენს კოოპერა-
ტივში იყიდება-მეთქი და გაიკვირვა,
არ ვიცოდი ჩვენს კოოპერატივში თუ
იყიდებოდა პურის ფქვილი და რახან
ეგრეა, მე თვითონ ვიყიდო.

— არ უნდა გეთქვა, პურის ფქვილი
ჩვენი სოფლის მაღაზიაში რომ იყიდებ-
და, დიხხაც არ უნდა გეთქვა! — გაჯავ-
რებით იტყვის რევაზ ჩაფიჩაძე. — რა-
კი გთხოვა მიყიდეთო, მორჩა და გათა-
ვლა! კარგო, ვეტყოდი და წამოვიდო-
დი. მერე-და, ჩვენი სოფლის მაღაზიაში
ყოველთვის როდი იშოვება პურის
ფქვილი! იშოვება? არა! გუშინ ბაბუა-
შენი ხელცარიელი მობრუნდა, იმკვირია
მოგვაკითხოვო, უთხრეს. არ დაგავიწყ-
დეს, აუცილებლად ვუყიდოთ ხვალ
პურის ფქვილი ეკა დეიდას...

მერე სანდროს თვალს აარიდებს რე-
ვაზი და გულში იტყვის: „სანდრომ არ
იცი რატომ თხოვა პურის ფქვილის
ყიდვა ეკატერინემ. ნამდვილად არ იცის,
არ იცის და მე უმიზეზოდ ვუჭავრდები.
იმ პურის ფქვილით ხაჭაპურებს გამო-
აქნობს პატარა ეკატერინე და ჩვენ,
არა, მე და სანდროს არა, ალექსანდრეს
გამოუგზავნის, ლეღვის არაყსაც ჩა-
დებს კალათში, ქოთნით ლობიოსაც...

ებრალემა პატარა ეკატერინეს ალექსა-
ნდრე ჩაფიჩაძე. ადრე ხშირად უგზავნი-
და მოსაკითხებს, მაშინ დიდი ეკატერინე
რინეც ყოჩაღად იყო და ისიც შველო-
და. დიდი ეკატერინე ავად რომ იყო,
მაშინაც უგზავნიდა, ოღონდ ხანდახან...
იცის ჩვენი ოჯახის დისახლისი რომ
ალექსანდრეა და ებრალემა ბერეკაცი
პატარა ეკატერინეს, ჰო, ებრალემა და
შრომას უმსუბუქებს“...

რასაც ნამდვილად ფიქრობს, იმას
გულსაც არ ათქმევინებს რევაზ ჩაფი-
ჩაძე, ეშინია, არავინ გაუგოს ჭულის-
თქმა.

ეზოში კოკი შემოვიდა. მე და სანდ-
რო აივანზე რომ დავვინახა, გამოიქცა,
აივნის კიბეც სულმოუთქმელად ამოიბ-
რინა.

— გულასპირმა გამომგზავნა, ეკა დე-
იდა, — ამოხენეშით თქვა კოკიმ და
მე შეეშინდი.

— რაო, ცუდად ხომ არ არის?

კოკიმ გაიღიმა.

— ხვალ დილით, შემოგიტვალა ძია
გულასპირმა, დილით კი არა, ოღნავ
რომ ინათებსო, ეკამ, მე რომ მეკადრე-
ბა, ისეთი საუზმე დამახვედროს ოთხი-
კაცისათვისო, მეტი არაფერი უთხრა,
თვითონ მიხვდებაო.

და მე მიგხვდი.

გულასპირი დედაჩემის სიცოცხლე-
შიაც ასე იქცეოდა. ოღონდ კი არ შე-
მოგიტვლიდა, საღამოხანზე თვითონ
მოგვინახულებდა, საგულდაგულოდ შე-
ათვალეერებდა მსხლისა და ლეღვის
ხეებს, მერე ჩაილიღინებდა და დედა-
ჩემს ეტყოდა:

— ხვალ დილით, ქალბატონო ეკატე-
რინე, გულასპირ ჩაფიჩაძეს რომ ეკად-
რება, ისეთი საუზმე დამახვედრე.

ცოტა მბრძანებლურად იტყოდა გუ-
ლასპირი, ხეხილის ხეებს ერთხელ კი-
დევ შეავლებდა თვალს და ეზოდან ლი-
ლინ-ლილინით გავიდოდა.

მეორე დღეს გულასპირი დილაუთე-
ნია მოგვადგებოდა და ლეღვით გი-
დელს რომ გაავსებდა, ხმამალა, ძალი-
ან ხმამალა დაიძახებდა.

— ეკუსი, გამიცალე. გოგო, გიდელი! მე ლოგინიდან წამოვხტებოდი და აივანზე გამოვიჭრებოდი.

— აი, შე ძილის გულაო, — ჩამომხტებდა ხიდან, — მალე ჩაიცივი და მომეშველეო.

სულ ცოტა ხანში მეც ხეზე ავფოფხდებოდი და გულასპირს ვშველოდი. დედანიჩემი კი მიშლიდა ხეზე ასვლას, ეშინოდა, მაგრამ გულასპირი ამხნევებდა.

— მე რომ ჩამოვხტებოდი ამ სიმალიდან, სული არ დამყვება, თორემ ეკუსიას რა უჭირს! ეკუსია ჩიტია, ფრთები აქვს, გაშლის ფრთებს და მიწაზე ფრენა-ფრენით დაეშვებაო.

...ერთი თვის შემდეგ, ისევ საღამო-ხანზე გამოვივლიდა გულასპირი ჩვენსას, ლელითა და მსხლით საცხე ქურებს თავეებს მოხდიდა, ხირკათი წვენი ამოიღებდა, დაუნოსავდა და ენითაც გასინჯავდა წვენს და — მაგრა ამყავებულაო, იტყოდა. ეკაო, ეტყოდა დედაჩემს, ზვალ დილით, გულასპირ ჩაფინაძეს რომ ეკადრება, ისეთი საუზმე დამახვედრეთო... და მეორე დღეს დილაუთენია მოვიდოდა გულასპირი და ვხდილით არაყს. რახის გამომხდისას გულასპირი ოხუნჯობდა, დედაჩემი მხარს აუბამდა და საყვარულანად იყენენ, ხოლო როცა მეორე ნახადზე მიდგებოდა საქმე, ერთი ვაიუშველებელი ატყდებოდა.

— დიასახლისი მე ვარ, არაყიც ჩემია და მე უნდა დამიჭეროო, — ბოხი, მაკაყურტი ხმით ეტყოდა დედაჩემი გულასპირს.

— ბოდინში მოიხადეთ, დიდო ქალბატონო, გულასპირ ჩაფინაძე უკეთესი ოსტატია, ვიდრე ეკატერინე ხიდაშელი და რატომ უნდა დაუჭეროს გულასპირმა ეკატერინეს. ჰა? რატომ უნდა დაუჭეროს? თქვენო, დიდო ქალბატონოო, — ამას უკვე გესლიანად ამბობდა გულასპირი, — მანდილოსნების დასაღწევი არაყი გნებათ გამომახდევენოთ, მე კი გავითამაშელებით და მოგახსენებთ, რომ მანდილოსნები ახლოსაც არ უნდა ეყარებოდნენ არაყს. აბა, ერთი მიბრძა-

ნეთ, რომელი კეთილშობილი მანდილოსანი ყლურწავს არაყს? მანდილოსნი, შენთვის მიბატებოდა, უკვე მხარტო შენთვის! შენ მაგარი ქალა მყევხარ!

— მაგარი არაყი ცალკე გამოხადე შენთვის, — ჭუჭღუნით, მაგრამ ღიმილიანად ეტყოდა დედაჩემი (ეს უკვე დამომა იყო), ისე კი გირჩევ, — მაინც ჩაუგესლავდა, — შენთვისაც მსუბუქი გამოხადო, ალექსანდრეს მაგარ არაყს ერთ ჭიქას რომ გადაკრავ, ქადაგად დავარდები და ჭვარი აქაურობას, ისეთ რამეებს ბეჭტურობო...

ამ დროს კი იფეთქებდა გულასპირი...

— აბა, ერთი დამიმტკიცე, ჰო, გამახსენე, აბა, რას ვბეჭტურობ!

— სიმთვარელში ნეტავ შენ არ ჩურჩუტობდე იმ სისულელეს, თორემ მე როგორ გავიმეორებო, — ახლა გამარჯვებულივით გაიღიმებდა დედაჩემი, — მითხარი, გამახსენეო! ჭვარი აქაურობას!

მაგრამ გულასპირი მაინც არ გატყდებოდა.

— მსუბუქი არაყი გინდა გამომახდე-გინო და ვიცი, იმერტომაც ჰორაობ, — ერთ ჭიქა არაყს გადაკრავს გულასპირი და გამობეჭტურობდა, ასეო და ისეო... სიცრუეა! მაგრამ, აბა, იყოს ნება შენი, — გულმოსოლოდ ირყოდა გულასპირი და ცეცხლს შეუმატებდა.

— შერე-და, მე როდის ესიამ? — ძალიან გაჭავრდებოდა დედაჩემი.

— იპი, — ქირქილ-ქირქილით იტყოდა გულასპირი, — ეითომ არა სევამს ქალბატონო ეკა. — ვიცი, დიახაც ვიცი, რომ ჩუმჩუმად, ნამალევად სევამ, გულასპირ ჩაფინაძეს არაფერი დავამალემა.

— ჰა, ბოლო დადგმაზე რასაც გამოხდის, შენი იყოს და როგორიც გინდა, ისეთი გამოხადე! მორჩა და გათავდა, — დამთავრებულად ჩათვლიდა დავას დედაჩემი და საშხადში წავიდოდა.

— იპ, კაი გაყოფაა, მე და ჩემმა ღმერთმა, — ორმოცი ლიტრი ქალბატონს და ათილა, გულასპირ ჩაფინაძეს.

მონა ვარ მე შენი? — ვითომ გულმო-
სულად მიძახებდა გულასპირი, უკვე
მარანიდან გასულ დედაჩემს.

და გრძელდებოდა ასე მთელი დღე
შებლა-შემოხლა, ჯუჯღერი, ღიმილიანი
გაიღვლა... გულასპირი კი მაინც ისეთ
მსუბუქ არაყს გამოხდიდა, როგორც
დედაჩემს ესურვილებოდა.

სალამოხანზე ალექსანდრე და აბე-
სალომი მოგვეკითხებოდნენ, უფრო გვი-
ან გულასპირას მეუღლე კესარია და
აბესალომის რძალი დედუხანა. დედა-
ჩემი ოდასახლის აივანზე გააწყობდა
სუფრას, დაესხდებოდათ ვახშმად და
გვიან ღამემდე ქილიკობდნენ სტუმრე-
ბი, ვიშუროდით და ვიღებდით...

ის სამი დღე დღესასწაულივით იყო
ჩვენს სახლში.

— ვინ ოთხი კაცი მოჰყავს-მეთქი, —
ვკითხე კოკის.

— დედაჩემი, სანდრო და მე. მეოთ-
ხე — თვითონ ძია გულასპირი.

— სანდრომ და შენ დღეს ადრე დაი-
ძინეთ, ზვალ დასაძახებელი არ გამოი-
დეთო, და წავალთ ახლა სანდრო და მე.
— თქვა კოკიმ და სანდრო და კოკი აღ-
გნენ.

— ზვალ სანდრო ზერგაში მიჰყავს
მამიძის, მეოთხე მე ვიქნები, ახლა კი
წადით, — ეთქვი მე და სანდროს თვა-
ლებში შევხედე.

— არ წავალ ზერგაში, ეკა დეიდა! —
მზიარულად თქვა სანდრომ და გამო-
ღიმა.

— როგორ თუ არ წახვალ? აკი მამას
მივეყვარო?

— მამა თბილისშია, ეკა დეიდა!

— თბილ.სში? აკი დილით სატყვე-
ლაზე მივდივართო? — როდის წავიდა
თბილისში? — გავიოცე მე.

— უკვე სამი დღეა თბილისშია. წას-
ულისას დანიბარა, ჩემი ბადის ჩიბეები
აქა-იქ მორღვეულია და ამომიკმსეო,
კვირას სატყველაზე წავიყვან, მერე
ზერგაშიო. ამაღამ ჩამოვა მამა. — ვეტ-
ყვი. დღეს დეიდა ეკას უნდა მივებმა-
რო-მეთქი თა არ წავალ.

კოკი და სანდრო წავიდნენ და მე ავ-
S. „წიგნობი“, № 7.

ტირდი, მერე სულელივით გამეცინა.

...ზვალ დილაუთენია მოვა გულასპირი,
რი, კოკი და სანდროც მოვლენ...

ეკა, ამაღამ დედუხანა გადმოვა
ჩემთან და თადარიგს დაიჭერს: არყის
სახდელ ქვაბებს გამორეცხავს, ქათამს
დაკლავს და გაბუტავს, ლობიოსაც მო-
ხარშავს, მწვანილს დაარჩევს, მერე ნა-
შუალამევს ადგება და გულასპირი, სან-
დრო და კოკი რომ მოვლენ, ქათამსაც
მემწვარს დაახვედრებს, ლობიოს შეკ-
მაზულს და ჰადსაც გამომცხვარს.

დაიკრიფება ჩემი ეზოს მსხალი და
ლეღვი და ტურებში ჩაიყრება... გაივ-
ლის ერთი თვე და აუცილებლად შაბათ
სალამოს გამოძივლის გულასპირი. ტუ-
რებს თავებს მოხდის, ხირკათი წვეწს
ამოიღებს, დაყნოსავს და ენის წვერი-
თაც გასინჯავს წვეწს, — მაგრა ამეაგე-
ბულაო, იტყვის და გააპურტყევს, მერე
მე გამომხედავს და დედაჩემს რომ ეუ-
ბნებოდა, ისეთნაირად დამიბოხებს,
ზვალ დილით. ეკა, გულასპირ ჩაფიჩაძეს
რომ ეკადრება, ისეთი საუბრე დამახ-
ვედრეო.

კვირა დილით უთენია მოვა გულას-
პირი, მე საუზმეს დაეახვედრებ, წაი-
ხეშებს და არყის გამოხდას დაიწყებს
გულასპირი, მერე სანდროც და კოკიც
მოვლენ. შეეშველებიან ძია გულასპირს.
შელამებულზე ალექსანდრე და აბესა-
ლომი მოგვინახულებენ, უფრო გვიან
ქალბატონი კესარია და დედუხანაც
შემოგვიერთდებიან, კესარია, დედუხანა
და მე ოდასახლის აივანზე გავშლით
სუფრას, ჩუმიად, სიტყვაუთქმელად შე-
მოუსხდებიან სუფრას გულასპირი, ალე-
ქსანდრე და აბესალომი, ალექსანდრე
სანდროს დაისვამს გვერდით, აბესალო-
მი — კოკის, მერე ქალებიც დაესხდე-
ბით სუფრასთან. ადგება ძია გულასპირი
და წარმოსთქვამს პირველ სადღეგო-
ბელს.

— ღმერთმა გაანათლოს ჩვენი ეკა-
ტერინეს სული!

ყველანი უთქმელად შევსევამთ დე-
დაჩემის სადღეგობელს. გულას-
პირს, ალექსანდრეს და აბესალომს

თვალეზი აუცრემლდებათ, მაგრამ თავებს დაბლა დახრიან და მე დამიშლავენ ცრემლს, მე კიდევ მათი მომერიდებ, თავს შევიკავებ და არ ავტირდები, ძაფი კი ჩამიწყდება გულში და გული დამიშლიდება.

...დაღამებამდე აივანზე ვიჯექი. მერე ჩამძინებოდა. დედუხანამ გამომადვიძა, წაევიანშმეთ. საუბარი არ აეწყო და დავექით. დედუხანას მალე ჩაეძინა, მე ავდექი, ზალა ფეხაკრეფით გამოვიარე და პერანგისამარა გამოვედი აივანზე, ნიდაყვებით დავეყრდნე აივნის მოაჯირს და სანისლეს ქედს ვავხედე.

ღამის სიბნელეს წაუშლია სანისლეს ქედი, სიბნელეში, ჩამალულა ხემაღალი, თბილა და სიჩუმეა, არც სატეველას ხმაური ისმის, კრიჭინობლებსაც ხმა გაუკმენდათ, სძინავს სიბნელეში შეხვეულ სოფელს და სასაფლაოზე სძინავს დედაჩემს, მე პერანგისამარა ვდგევარ აივანზე, ვფხიზლობ და მინც ვერაფერს ვხედავ.

IV

საახალწლო არდადეგების დამთავრებამდე ჩვენი სკოლის დირექტორად არაგინ დაუნიშნავთ. ვერ ვიტყვი, დედაჩემის ხსოვნას სცეს პატივი, თუ შესაფერისი კანდიდატურა ვერ შეარჩიეს.

სკოლის ახალ შენობაში დირექტორის კაბინეტი დაკეტილი იყო და ეს მე მსიამოვნებდა. რატომ? ვერ ავხსნი. რალაცნაირად კი მიხაროდა, თითქოს მემამყებოდა კიდევ.

საახალწლო არდადეგების დამთავრებამდე არც მე მივსულვარ სკოლაში.

შევცდი.

ერთი მისვლა კი მივედი.

ორი თვე თუ იყო გასული დედაჩემის გარდაცვალებიდან, სასწავლო ნაწილის გამგემ, ქეთევან კიკნაველიძემ, სანდროს ხელით, ბარათი გამომიგზავნა და სკოლაში დამიბარა.

დილაადრიან ავდექი, სახლი ჰაიპარად მივალაგ-მოვალაგე, ცოტახანს დედაჩემის ოთახში დაეჯექი, ვითომ ბოდში მოვუხადე დედაჩემს, მაპატიე, სკოლაში

რომ მივდივარ და სახლში შენ მართო გტოვებ-მეთქი და წავედრიწინეშლი
ის იყო, კიშკარიდან გაქცევის დასტა-
ჩემის ხმა შემომესმა.

— მეც მოვდივარ, ეკა!

შევშინდი.

ირგვლივ საგულდაგულოდ მიმოვიხედე, ეზოშიც ჩაეხედე. საშხადი და ოდა-სახლიც მოვათვალიერე, ახლომახლო არაგინ იყო, დედაჩემის ხმა კი გარკვევით შემომესმა. შინ დაბრუნება გადავწყვიტე, მაგრამ ქალბატონ ქეთევანისა მომერიდა და შეშინებულმა გაჩვავარძე გზა.

ჩქარა, ძალიან ჩქარა მივდიოდი. მერე გული მომივიდა ჩემს თავზე. დედაჩემის ხმას როგორ შევეუშინდი-მეთქი, — და როცა სკოლის კიშკარი შევალე და კვლავ შემომესმა დედაჩემის ხმა — აჰა, მოვედით, ეკა, ჩქარა მოვდიოდით და დავიღალეო, იქვე სკოლის კიშკართან ძელსკამზე დავექეი და წარმოვიდგინე, თითქოს დედაჩემიც ჩემს გვერდით დაჯდა, ისიც ჩემთან ერთად მოვიდა სკოლაში, ცოტას დავისვენებთ და მერე სკოლაშიც ერთად შევალთ.

ჰოდა, ახლა მეშინია კი არა, ძალიან მიხარია, ვითომ დედაჩემის გვერდით რომ ვზივარ და მინდა დიდხანს, ძალიან დიდხანს, თუნდაც დაუსრულებლად გაგრძელდეს ასე.

— მაპატიე, დედი, შენი ხმის გავონებაზე რომ შევშინდი, — გულში ვთქვი და თვალეზი დავხუჭე.

თვალდახუჭული ვზივარ ძელსკამზე და მინც ვხედავ სკოლის ახალ შენობას, იმ შენობაში დედაჩემის კაბინეტს ვხედავ. მის სამუშაო მაგიდას, სამუშაო მაგიდაზე მიდგმულ გრძელ მაგიდას, დედაჩემის საგარძელს და გრძელი მაგიდის გარშემო შემომწყრივებულ სკამებსაც ვხედავ. ძალიან დიდი სიჩუმეა, კედლის საათის მომართვა დავიწყნიათ, საათიც დაჩუმებულა, შეხუთული ჰაერი და სიჩუმე, ძალიან დიდი სიჩუმეა დედაჩემის კაბინეტში.

ჩქარა ვიარე და დავიღალე, ცოტახანს, სულ ცოტახანს დავისვენებ, მერე

შვეალ სკოლის შენობაში, მესამე სართულზე ავიტრები, გვაღებ დედაჩემის კაბინეტის კარებს, საათს მოვმართავ და საათი დაიწყებს ტიკტიკს, ფანჯრებს გავაღებ, გადავწევ აბრეშუმის თეთრ ფარდებს, დილის სუფთა ჰაერი, მოწაფეთა ჩვილ-ხვილი შემოიჭრება და მოწყენილობა და სიჩუმე გაიძიწრება დედაჩემის კაბინეტიდან...

— ძალიან ჩქარა მოდიოდი, ეკა, მოგდევი და ვერ დაგეწიე.

ხმა ვერ შევიციანი, გონს მოვეგე და თვალი გავახილე.

ჩემს წინ ქეთევან კინაველიძე იდგალიმილიანად მომესალმა და ძელსკამზე ჩამოჯდა.

— ასე ჩქარა რატომ მოდიოდი, ეკა? რაც შემძლო, მეც ავუჩქარე ნაბიჯს, მაგრამ ვერ დაგეწიე.

ქეთევანმა მაჯის საათს დახედა.

— კიდევ ოცი წუთი უკლია მეცადინეობის დაწყებას.

პაუზა.

ქეთევანი ხერგას სკოლაში ასწავლიდა, შარშანწინ ჩვენი სკოლა რომ გასრულდა, დედაჩემმა სასწავლო ნაწილის გამგედ და ისტორიის მასწავლებლად მოიწვია.

— ასე განმარტობა და სახლში ჩაკეტვა როგორ შეიძლებაო, — მისაყვედურა ქეთევანმა, — რა მარტოობა და რა სიკვდილიო, მარტოობა და სიკვდილი ერთი და იგივეა, ახალგაზრდა ხარ, ცხოვრება წინ გიძევსო, შენ კი... — კიდევ ბევრი რამ თქვა ქეთევანმა, მაგრამ მე ბურანში ვიყავი და ესლა დამამახსოვრდა.

სამასწავლებლოში შევედით თუ არა, მეგობრები შემომეხვიენენ, — ძალიან გაეხარდათ ჩემი სკოლაში მისვლა, ზოგი ისე შემომაცქერდა, თითქოს დიდხანია არ ვენახე, მე გული ამიჩვილდა, თავი ვერ შევიკავე და ავქვითინდი.

ბედად ზარი დაირეკა და ქალბატონმა ქეთევანმა რატომღაც ხმამალა შეუძახა მასწავლებლებს — ხომ გაიგონეთ, ზარი დაირეკა და აქ რას უდგებართო.

სამასწავლებლოში მარტონი რომ დავრჩით, ქეთევანმა ყურში მიჩურჩულა, იტირეო და თვითონაც ატირდა.

შემრცხვა, როგორღაც ცრემლი შევიკავე და გულსაც ძალა დავატანე.

— მაპატიეთ, ქალბატონო ქეთევან, — ვედრებით ვთქვი მე.

— რა უნდა გაპატიო? — ამოოხვრით თქვა ქეთევანმა, — დედაშენი სხვა ქალი იყო, ეკა როცა გამახსენდება, მეც შესწავით ვტირი.

პაუზა.

— შეიდი წელიწადი მასწავლიდა დედაშენი, შენ მაშინ დაბადებული არ იყავი და უთუოდ არ იცი.

— ვიცი.

— მერე მაშიდამ თბილისში წამიყვანა. უნივერსიტეტში შესასვლელად რომ ჯენზადებოდი, ეკატერინემ თბილისში ჩამომავითხა, მთელი ერთი თვე დარჩა ჩვენსას და მამეცადინებდა, — ესეც იცი?

— არა. ეს არ უთქვამს დედაჩემს ჩემთვის.

— არ უთქვამს ხომ? — ჩამეითხა ქალბატონმა ქეთევანმა, — ასეთი იყო, თავის ამაგს ყოველთვის მალავდა...

ქეთევანს ისევე აუცრემლდა თვალები და სახე მომარიადა.

— დირექტორს არ გვინიშნავენ? — განზრახ ბანზე ავუგდე სიტყვა ქალბატონ ქეთევანს.

პაუზა.

— დირექტორს კი დაგვინიშნავენ, მაგრამ ეკატერინეს შემცვლელს ვერ იპოვიან, — დამარცვლით თქვა ქეთევანმა და ვითომ ჩემგან ნამალავად შეიმშრალა ცრემლი და თვალებში ჩამხედა.

— თქვენ?

— როგორ თუ მე? — მე შემიძლია ეკატერინეს შეცვლა? — უცებ გაბრახდა და აენთო ქეთევანი.

უკან არ დავიხიე.

— განა არ შემოგთავაზეს?

— შენ საიდან იცი? ვინ გითხრა? — ხმას აუწია ქეთევანმა.

— თვითონ ვიგულისხმე! აბა სხვა ვინ უნდა დანიშნონ? — გაგიკვირე მე.

თითქოს მენდო, მაგრამ ისე გამოიხედა, მაგრძნობინა, ვიცი, რომ სიმართლეს არ ამბობო.

— უთუოდ ვილაყამ ვითხრა! — დარწმუნებით თქვა ქეთევანმა და მაჯის საათს დასვდა.

„თვითონაც კარგად იცის ქალბატონმა ქეთევანმა, რომ ახლა მასწავლებლად არ გამოედგები მე. ეგებრალეები და ფიქრობს, ეგებ მუშაობაში გავერთო და მარტოობას და სევდას დავაღწიო თავი, ამიტომაც ვითხრა, შენი შვებულება დამთავრებულია და ხვალვე დაიწყე მუშაობა. ეჭირდები მე ახლა სკოლას? არა. დედაჩემმა ხომ ჩამომართვა შენგან და მეშვიდე კლასეზი და ლია გურგენიძეს ვადასცა. ახლა ჩემს მაგივრად მეოთხე და მეხუთე კლასეზშიც ლია გურგენიძე ასწავლის, ხელფასი კი მე მომიტანა ლია გურგენიძემ, მადლობა მოვახსენე და უკანვე დავებრუნე. ესეც იცის ქეთევან კიკნაველიძემ. ამიტომაც ეგებრალეები და უნდა როგორმე მისაშველოს“.

— წავალ. — ვთქვი მე და ავდექი.

— სად უნდა წახვიდე, ეკა! — ძალიან გაიოცა ქეთევანმა, მკლავზე მომკიდა ხელი და დამსვა.

— სახლში წავალ, ქალბატონო ქეთევან. აქ გაჩერება არ შემიძლია...

დარწმუნდა, სკოლაში გაჩერება არ შეეძლო. მეორე გაკვეთილი თავისუფალი მაქვს და მეც გამოგყვებით, — თქვა და წამოვედით.

როგორც კი სკოლის კიშკრიდან გამოვედით, ისევ შემომესმა დედაჩემის ხმა.

— მეც მოვდივარ, ეკა! — და თითქოს მისი ნაბიჯების ხმაც ვავიგონე.

შევდექი.

ხომ არაფერი დაგჩა სკოლაში?

პაუზა.

— რამე დაგჩა? — ჩამეკითხა ქეთევანი.

— დედაჩემის ხმა შემომესმა. — ნაღვლიანად ვთქვი მე და ქეთევანს თვალებში შევჩაჩრდი.

— დამშვიდდი, ეკა! — მომესიყვა-

რულა ქეთევანი, — დედაჩემი და შენ ერთად მოდიოდით სკოლაში. დამშინაც ერთად ბრუნდებოდით, გაგახსენდა ახლა და უთუოდ მიტომაც შემოგესმა მისი ხმა, წავიდეთ.

ცოტა რომ გავიარეთ, ოღნავ დაემშვიდდი.

„ახლა კი ნამდვილად დარწმუნდა ქეთევანი, რომ მე უკვე შესილივით ვიქცევი, არარსებული მეჩვენება და შელანდება, თითქოს დედაჩემის ხმაც იმისი; ეგებ ეშინია კიდევ, გვერდით რომ მომყვება. მაგრამ ეგებრალეები ეკატერინე ხიდაშელის ქალოშვილი ქეთევანს და შინ რომ მიმიყვანს, მომეალერსება, გამამხნეებს, დამარიგებს და ხმამალა მეტყვის: სევდას უნდა მოერიო, ეკა! ყველანი სიყვდილის შვილები ვართ! ასეა, ჯერ შშობლები ტოვებენ ქვეყანას, მერე. დაფიქრდება ქეთევანი, ხმას დაადაბლებს, თვლებში შემომხედავს — შენზე ახალგაზრდას გარდამეცვალა დედა. მეც შენსავით ვიგლოვებ. მერე ხანი გავიდა, ძალა მოვიკრიბე და სევდა გადავიყარე, სკოლასაც დავებრუნდი და გავთხოვდი. ისევ დაფიქრდება ქეთევანი, გულს გაიხალისებს და გამიღიმებს და დასტურებით მეტყვის. შენც ასე მოიქცევი, ეკა! დაუბრუნდები სკოლას და საქმე გაგიჩარებებს სევდას. ჰოო, შენი მოწყალებები გელოდებიან, შენი მეგობრები და ამხანაგები, მე გელოდები, ეკა!“.

სკოლიდან ჩემს სახლამდე ისე მივალწიეთ, ერთმანეთისთვის სიტყვაც არ გვითქვამს.

კიშკართან შემაჩრა ქეთევანმა.

ვიფიქრე, ლექციას ახლა წამიკითხავს-მეთქი.

შევცდი.

ქეთევანმა მაჯის საათს დახედა და შეცბა.

— გავქანდები ახლა სკოლაში, თორემ გაკვეთილზე დამავიანდება. — ისევ დახედა საათს, ჰო, გავქანდები და სამ საათზე მოვალ, აუცილებლად მოვალ...
დავიბენი.

„მე სასულაოზე მინდა წასვლა. ქალბატონი ქეთევანი სკოლიდან პირდაპირ მე გამომივლის, მოშიებულები იქნება და რამე რომ არ დავახვედრო“...

— დუღუხანამ დამიბარა, ქალბატონო ქეთევან, რალაც საქმე მაქვსო, — ვიცრუე მე.

— ოჰო, კიდევ უკეთესი, — ღიმილით თქვა ქეთევანმა, — მეც დუღუხანასთან მოვალ, ერთ კოვზ ლობიოს და ერთ ნატყვ მჭადს ჩემთვისაც მოიძიებს დუღუხანა.

ხელი დამიქნია და წავიდა. ჩქარი, ძალიან ჩქარი ნაბიჯებით წავიდა.

მთელი გზა ისე გამოვიარეთ, ვერ შევხებდნენ ხელახლა მეკითხა, რატომ იუარა სკოლის დირექტორობა, თვითონ კი არაფერი თქვა. ერთხელ რომ ვკითხე, იმისთვისაც გამოიჩაგრდა — საიდან მოიგონეთ. ნამდვილად შესთავაზეს...

მე კი წვრილად ვეცი, რატომ თქვა უარი სკოლის დირექტორობაზე ქეთევან კიკნაველიძემ, და, პატარა ეკატერინეს ამ მოთხრობაში, ამ ამბავს, ეკატერინეს ნაცვლად, მე ჩავწერ.

დიდი ეკატერინეს ორმოცზე კალისტრატე ტაბატაძე ამოვიდა ხერგადან. მას განათლების განყოფილების თანამშრომლები ახლდნენ, პანაშვიდზე მოკლე სიტყვა წარმოთქვა კალისტრატემ და დამსწრეთ აუწყა — რაიონის ხელმძღვანელობის შემადგომლობა დააკმაყოფილეს და დღეიდან ზემოქალაქის საშუალო სკოლა ეკატერინე ზიდაშელის სახელობისა გახლავთო.

სიტყვა რომ დაამთავრა კალისტრატემ, ქეთევანი მოიხშო და მეორე დღისათვის ხერგაში დაიბარა, მერე პატარა ეკატერინეს ბოდიში მოუხადა. რაიკომში მელოდებიან და ამიტომ მივდივარ, ჩემი თანამშრომლები კი დარჩებიანო.

და მეორე დღეს ქეთევან კიკნაველიძე ხერგაში ჩავიდა.

კალისტრატე მხიარულად შეეგება, საგარბელი შესთავაზა და გაუღიმა, მერე მაგადის უკრა გამოაღო. უკრიდან საქაღალდე ამოიღო, საქაღალდიდან

ერთი ფურცელი, ადგა და ფურცელი ქეთევანს გაუწოდა.

— მომილოცნია, ამხანაგო ქეთევან! აბა თქვენ იცით, როგორ გაამართლებთ ჩვენს ნდობას.

ქეთევანმა ფურცელი გადაათვალიერა, წარბები მოღუშა და ფურცელი ცივად დალო მაგიდაზე.

— მე თანახმა არა ვარ! — გადაწყვეტილად თქვა ქეთევანმა.

— მიზეზი? — ხმას აუწია კალისტრატემ.

— დროზე რომ გეკითხათ, მოგახსენებდით.

— საკითხი გადაწყვეტილია, ამხანაგო ქეთევან, ბრძანება ბრძანებაა, — ახლა უფრო აუწია ხმას კალისტრატემ, წაიღეთ ბრძანება და წაბრძანდით, საქმე დამთავრებულია.

კალისტრატემ დამცინავად გაუღიმა ქეთევანს და ქეთევანმა იფეთქა.

— მე არ დავემორჩილები თქვენს ბრძანებას! თქვენი ბრძანება თქვენთანვე დარჩეს, — ახლა ქეთევანმა გაუღიმა დამცინავად კალისტრატეს. — მე კონსტანტინე კაჯუბერთან წავალ, — ბრძანების ქალღალი მაგიდაზე დატოვა, ადგა და კარისკენ გააბიჯა.

— მიბრძანდით კაჯუბერთან, კარგს იზამთ, თუ კაჯუბერთან წახვალთ, სწორედ მან მიჩნია თქვენი დანიშნა, — ნიშნისმოგებით მიამაზა კალისტრატემ კართან მისულ ქეთევანს და როცა ქეთევანმა კარი გაიხურა, კალისტრატეს ხარხარი შემოესმა.

ქეთევან კიკნაველიძე ჩინებულად იცნობს კალისტრატე ტაბატაძეს. სხვა რომ არა იყოს რა, ერთი წელი ერთად სწავლობდნენ ზემოქალაქის სკოლაში, მერე, ხერგაში რომ მასწავლებლობდა ქეთევანი, უფრო ახლოს გაიცნო განათლების განყოფილების გამგე. ქეთევანი ასწავლიდა ისტორიას. კალისტრატეს ვაჟიშვილს და კალისტრატეც, როგორც განათლების განყოფილების გამგე და მშობელი, ხშირი სტუმარი იყო ხერგას პირველი საშუალო სკოლისა და ერთხელ, სრულიად მოულოდნელად, პირ-

ველი საშუალო სკოლის ქიმიის მასწავლებელია სხვა სკოლაში გადაიყვანა კალისტრატემ და სკოლის დირექტორი, რომელიც ცოტა უხერხემლო კაცი იყო, ადვილად დაარწმუნა, თითქოს ეს კონსტანტინე კაკუბერის სურვილი ყოფილიყო. ნამდვილი და ერთადერთი მიზეზი კი ის გახლდათ, რომ კალისტრატეს ვაჟიშვილი ქიმიასში მოისუსტებდა და ქიმიის მასწავლებელი მას არ ეშვებოდა.

და ახლა, კალისტრატემ ნიშნისმოგებით რომ უთხრა, სკოლის დირექტორად შენი დანიშვნა სწორედ კაკუბერმა მიჩნიაო, კალისტრატეს ჩვეულებრივ ფანტაზიად მიიჩნია და ქეთევანმა პირდაპირ რაიკომს მიაშურა.

ზედად, კაკუბერი რაიკომში იყო და მისაღებ ოთახშიც არავინ უცდიდა.

როგორც კი მოახსენა მდივანმა კონსტანტინეს, ქეთევან კინაველიძე გთხოვთ მიღებასო, კონსტანტინემ თვითონვე გამოაღო კარი, ქეთევანს გაუღიმა, მერე თავი ოდნავ დაბლა დახარა, — ახალი სკოლის ახალ დირექტორს ჩვენი უმდაბლესი საღამოო, — ხმამაღლა თქვა და ქეთევანი კაბინეტში შეიწვია.

ქეთევანი შეცბა.

„ეტყობა ზოგჯერ სიმართლეს ლაპარაკობს კალისტრატე ტაბატაძე“.

კონსტანტინემ ქეთევანს რბილი სავარძელი შესთავაზა და თვითონაც გვერდით მიუჯდა.

ქეთევანი ხმას არ იღებს, არც კონსტანტინე ეკითხება არაფერს.

— უთუოდ სკოლის საქმეებზე, არა?

— უფრო სიჩუმის დასარღვევად თქვა კონსტანტინემ.

— დი-ი-ახ! — დამარცვლით, მაგრამ ცოტა დაბნეულად თქვა ქეთევანმა და კონსტანტინემ ეს შეამჩნია.

კონსტანტინე სამუშაო მაგიდას მისწვდა, სიგარეტის კოლოფი აიღო და გახსნა.

— შეიძლება მოვწიო?

ქეთევანმა გაუღიმა და თანხმობის ნიშნად თავი დაუქნია.

— ახლა მასწავლებლების კარგი კოლექტივი გყავთ. — ისეთივე მტკიცე კონსტანტინემ, დასტურსმ დასწავლეს ებდა.

— კარგი, ძალიან კარგი! — ალაღად თქვა ქეთევანმა.

— შენობაც კარგია.

— ჩინებული შენობაა.

— რევაზ ჩაფიჩაძეს ვუმაღლი. მშენებელთა კარგი ბრიგადა ჰყავს მეურნეობაში, მთელს რაიონში ვერ მოიძიებ ასეთ ოსტატებს. განსაკუთრებით სპორტული დარბაზი და კლუბი! საშუალო სკოლის ასეთი შენობა, არა მგონია, რესპუბლიკაში მეორე იყოს. — კმაყოფილებით თქვა კონსტანტინემ და სიგარეტს მოუკიდა.

— სპორტული დარბაზი კი ნამდვილად კარგი გვაქვს...

— ვიცი, ფიზკულტურის მასწავლებელი არ გყავთ, — შეაწყვეტინა კონსტანტინემ, — რაიონში ვერავინ შეარჩია ვერც განათლების განყოფილებამ და ვერც ფიზკულტურის კომიტეტმა. ახლაბან თბილისში ვიყავი, ფიზკულტურის რესპუბლიკურ კომიტეტს ვთხოვე და უეჭველად შემპირდა. მალე გეყოლებათ ფიზკულტურის მასწავლებელი.

„მე არ დამიბარებია, თვითონ მოვიდა, არაფერს მეკითხება და არაფერს თხოულობს“.

— მე ჩემს საქმეზე მოვედი, ბატონო კონსტანტინე. — თითქოს ფიქრს მიუბვდა ქეთევანი.

— ბრძანეთ, ნუ მომერიდებით!

— სკოლის დირექტორობას ვერ შევძლებ მე, — ყრუდ თქვა ქეთევანმა და თავი დახარა.

კონსტანტინე სავარძლიდან ადგა, კაბინეტის ერთი ფანჯარა ღია იყო და მიხურა, მერე თავისი სავარძელი უფრო ახლოს მიაჩოჩა ქეთევანის სავარძელთან.

— მიზეზი?

პაუზა.

— გთხოვთ, ნუ მკითხავთ! — ისევ ყრუდ თქვა ქეთევანმა.

ქეთევანს მხრები აუცახცახდა და თვალები აუტრემლდა.

კონსტანტინემ უხერხულობა იგრძნო, სავარძლიდან ისევ ადგა, წელი ნაბიჯებით გაიარ-გამოიარა კაბინეტში, მერე სამუშაო მაგიდას მიუჯდა, უჯრა გამოალო, უჯრიდან საქალაღდე ამოიღო და გადაშალა.

— სიძე და ქალიშვილი უკანვე ხომ არ გიხმობენ ხერგაში? — ისე თქვა კონსტანტინემ, თითქოს ეს იმ საქალაღდეში ამოიკითხა. კონსტანტინემ საქალაღდე დახურა, ისევ უჯრაში ჩადო და ქეთევანს შეაქეპრდა.

— სიძე და ქალიშვილი მეურნეობაში გადმოყავს რევანზ ჩაფიჩაძეს, — თამამად თქვა ქეთევანმა და უცებ გახალისდა. — ჩემი სიძე აგრონომია, ქალიშვილი — ბიოქიმიკოსი...

— ვიცი, მე მათ კარგად ვიცნობ. რევანზმა იცის, ვინ უნდა მოიწვიოს მეურნეობაში. კარგი საქმეა. გამეხარდა. შვილიშვილი გყავთ?

— ველოდები. — ახლა უკვე სახე გაებადრა ქეთევანს.

— ბედნიერი ქალი ყოფილხართ, მალე ელოდებით შვილიშვილს?

— მალე! ჰა და ჰა, ერთი კვირა და...

— ოჰო, — თავი მოიმხიარულა კონსტანტინემ, — ნათლობაში რომ არ დამპატიოთ, მეწყინება.

კონსტანტინე კაკუბერის ფიქრი: „თავდაპირველად რევანზ ჩაფიჩაძემ გვირჩია, მერე მთელმა სკოლამ მოითხოვა ქეთევანის დანიშვნა სკოლის დირექტორად. ჰო, მთელმა სკოლამ — მასწავლებლებმა, კომპაგშირის კომიტეტმა, მშობელთა საბჭომ... ეკატერინე ხიდაშელის გარდაცვალების დღიდან ქეთევანი უძღვება სკოლას, კარგადაც უძღვება. ამიტომაც დავნიშნეთ დირექტორად, ეგ კიდევ უარზეა და მიზეზსაც არ მიმხელს... ვიფიქრე, ხერგაში შვილი და სიძე უხმობს-მეთქი და მოვტყუედი!“

— თქვენი დირექტორად დანიშვნა რევანზ ჩაფიჩაძემაც გვირჩია, — დინჯად თქვა კონსტანტინემ და მაგიდის

უჯრიდან ისევ ის საქალაღდე ამოიღო და გადაშალა.

— რევანზ ჩაფიჩაძემ? — გაიოცა ქეთევანმა, — რევანზს სკოლასთან რა საქმე აქვს?

— ცდებით, ძალიან ცდებით, ამხანაგო კინაველიძე. — გულმოსულად თქვა კონსტანტინემ, — რევანზს არა თუ თქვენი სკოლის, ჩვენი რაიონის ყველა საქმე ეკითხება!

კონსტანტინემ საქალაღდე დახურა, სიგარეტს მოუკიდა და ადგა.

— როგორ თუ რა ესაქმება ჩაფიჩაძეს სკოლასთან ეგ როგორ თქვით? — გაცხარდა კონსტანტინე, — სწორედ თქვენი სკოლის გადასარჩენად წამოვიღა თბილისიდან ჩაფიჩაძე, განა თქვენ ეს არ იცით? თქვენი სკოლა გაუქმებული იყო, ეკატერინე ხიდაშელმა სოფელს დაუშალა ეს, ქალიშვილსაც დაუშალა, ერთი წელი უხელფასოდ ასწავლიდა ეკატერინე ხიდაშელი, ქალიშვილს კი თავისი პენსიიდან აძლევდა ხელფასს, ჰო, ერთი წელი კერძო მასწავლებლებლივით იყო თქვენი სკოლა. განა ესეც არ იცით?

— არა, არ ვიცოდი!

— მეურნეობის კანტორის და ლაბორატორიის მშენებლობა უფრო ადრე დაიწყო ჩაფიჩაძემ, თუ სკოლის შენობისა?

— ვერ გეტყვით. მე მაშინ ხემაღლაში არ ვიყავი.

— ჰოდა, მე გეტყვით! — ჭერ მეურნეობის კანტორა და ლაბორატორია დაასაძირკვლა, მერე სკოლის შენობა უფრო ადრე რომელი ააშენა?

— სკოლა. ეგ კი ვიცი.

— როგორ ფიქრობთ, ამისათვის მადლობა მოახსენეს ჩაფიჩაძეს? კლუბი? კლუბის შენობა ცალკე უნდა აეგოთ, მეურნეობის ტერიტორიაზე, ასე იყო დაპროექტებული. ჩაფიჩაძე კი იმდენს ეცადა, კლუბი სკოლის შენობას მოადგა. რატომ? მხოლოდ იმიტომ, რომ სკოლაშიც ისარგებლოს კლუბით. თქვენ კიდევ ამბობთ, სკოლასთან რა ესაქმება რევანზ ჩაფიჩაძესო, თქვენგან არ მო-

ველოდი ამას, ქალბატონო ქეთევან, ნამდვილად არ მოველოდი!

— თქვენ ვერ გამოგეთ, ბატონო კონსტანტინე, — მობოდიშებით თქვა ქეთევანმა.

— კარგადაც გავიგეთ, — დამციანავედ გაიღიმა კონსტანტინემ. — აქაოდა, რევანი მეურნეობის დირექტორია, ლაბორატორიის გამგეა და თავის მეურნეობასა და ლაბორატორიას მოუაროს, სკოლასთან რა ესაქმებაო, — ასე იყო თქმული და მეც ასე გავიგე!

— მამაბაბიეთ, მაგრამ ცდებით! — მტკიცედ თქვა ქეთევანმა და კონსტანტინეს თვალი გაუსწორა. — მე უკეთ ვიცი სკოლაში რა მდგომარეობაა. ვიდრე რევან ჩაფიჩაძემ-მეთქი, — ეს მინდოდა მეთქვა, ეტყობა, გასაგებად ვერ გამოვთქვი.

— მერე, და რატომ არ მეტუბნებით, რა უჭირს სკოლას?

პაუზა.

— თქვით, ნუ გერიდებათ!

— ჩვენს სკოლას მამაკაცის ხელი სჭირდება, ბატონო კონსტანტინე, — დინჯად თქვა ქეთევანმა.

— მამაკაცის ხელი? — გაიკვირვა კონსტანტინემ, — სიგარეტს მოუკიდა და ქეთევანის გვერდით დაჯდა.

— აუცილებლად მამაკაცის ხელი, მაგარი მამაკაცის ხელი, — დასტურებით თქვა ქეთევანმა. — მეცხრე და მეათე კლასელმა ბიჭებმა ლამის აიკლონ სკოლა. თამბაქოს ეწევიან, უწმაწურად ლაპარაკობენ, გაკვეთილებზე ხმაურობენ, აცდენენ გაკვეთილებს... დანამდვილებით ვიცი, ზარსაც თამაშობენ. ისეთი თავქეიფა მეთაური ჰყავთ...

— ვინ?

— მეცხრე კლასელია... ასკალონ ჯინორიძე.

— გრამიტონ ჯინორიძის ვაჟი?

— თქვენ იცნობთ გრამიტონ ჯინორიძეს? — გაიკვირვა ქეთევანმა.

— კარგადაც ვიცნობ. პურსაცხობის გამგეა, არა? — ისევ აენთო კონსტანტინე. — პირველი გაიძურწა ხემაღალიდან, სურამში თონის გამგის ადგილი

იყიდა, მყიდველებს ატყუებდა, სახლკარი არ მოიშალა ხემაღალის მკურნალის ხილს სურამში ეწიღებოდა, პირველად უარი თქვა ხემაღალში მობრუნებაზე, როცა გაიგო, პურსაცხობის ვაშენებდით, ისე დატრიალდა და ისე შეაყვარა თავი რევან ჩაფიჩაძეს... დიდი გაიძვერა, ბანქოსაც თამაშობს და ზარსაც... ყველაფერი ვიცი. გრამიტონს მოვახსენებინებ პურსაცხობის გამგეობიდან. თუ მოისურვებს, მეურნეობაში იმუშაოს მუშად, მისი ვაჟიშვილი გააფრთხილეთ და თუ არ გამოსწორდა, გარიცხეთ სკოლიდან.

ჩაუშქრალი სიგარეტიდან ახალ სიგარეტს მოუკიდა კონსტანტინემ.

— სხვანაირი წარმოდგენა მქონდა თქვენს სკოლაზე. — დანანებით თქვა კონსტანტინემ, — შარშან, შარშანწინ ასე იყო?

— არა! — დარწმუნებით თქვა ქეთევანმა. — ეკატერინე ხიდაშელი სხვა ქალი იყო, ბატონო კონსტანტინე, ხორხოს თუ ატეხდნენ მოწაფეები დერეფანში, ვითომ შემთხვევით გაივლიდა ეკატერინე და მორჩა და გათავდა. არავითარი ხმაური გაკვეთილებზე, არავითარი უმიზეზო გაცდენები. თვითონ ხომ ხმამალა არ დაილაპარაკებდა და მოწაფეებს ხმაწეულად არ ეტყოდა სიტყვას. ისეთი გამოხედვა იცოდა... მაგარი ქალი იყო, ბატონო კონსტანტინე, ეკატერინე ხიდაშელი, მისი შემცვლელი არა მგონია გამოიძებნოს...

— მართლაც მაგარი ქალი იყო ეკატერინე ხიდაშელი. — დაუდასტურა კონსტანტინემ. — ერთხელ ძალიან აღლევებული შემოვიდა ჩემთან, სწორედ ამ კაბინეტში, — ამხანაგო კაკუბერო, — რატომღაც ეკატერინე ყოველთვის გვარით მომმართავდა მე, — ჩვენი სკოლის სახურავი ქარმა წაიღო. რაიგანათლება და რაიღამსკოში ორივე ფეხს ითრევს, თქვენი სკოლის რემონტი წლევანდელ ბიუჯეტში არ გვიზის, ამიტომაც ვერ გადავხურავთო. დალპეს შენობა? უსკოლოდ დარჩეს სოფელი?

უბრძანეთ რაილმასკომს და რაიგანათ-
ლებას გადახურონ ხემაღლის სკოლა.

— მე შემძლია განათლების სამინის-
ტროს ვთხოვო, ეგებ დაგვეხმარონ...

— ეგ უარს ნიშნავს! დიპლომატიური
უარია. — მკვახედ მიპასუხა.

— ვთქვათ, სახურავის მასალა ვიშო-
ვეთ, ხემაღლაში როგორ ავზიდოთ, გზა
რომ არ არის?

— მერედა თქვენი რაიკომი რას აკე-
თებს? რატომ არ გაჰყავს გზა?

— ხემაღლაში გზის გაყვანა ძნელი
საქმეა, ქალბატონო ეკატერინე.

— ჰოდა, რაიკომმა ძნელი საქმეები
უნდა მოაგვაროს, — ძნელ საქმეებს
რომ ვერ გააქეთებს, ისეთი რაიკომი
რად გვეპირდებაო, — ირონიულად თქვა.

გაეწითლდი და ვერაფერი ვუპასუხე.

წავიდა თბილისში ეკატერინე ხიდა-
შელი და ერთ თვეში ყავრით კი არა,
კრამიტით გადაგვახურვინა ხემაღლის
სკოლა. შეიდი ათასი ცალი კრამიტი
ცხენებით აგვაზიდვინა ხემაღალში. მა-
გარი ქალი იყო ეკატერინე ხიდაშელი,
მარტო სკოლას კი არა, მთელ სოფელს
პატრონობდა.

კაბინეტი თუთუნის კვამლით აივსო.
კონსტანტინემ ფანჯარა გააღო და ქალ-
ბატონ ქეთევანს მოუბოდიშა.

— მაპატიეთ, როცა ავლელდები, ასე
ვეწევი, — და ისევ სიგარეტს მოუკი-
და, — ოღონდ აქ, ფანჯარასთან მოვწეე.

და კონსტანტინე კაუბერმა ეკატერი-
ნესთან ბოლო შეხვედრა გაიხსენა.

„ეს შარშანწინ იყო. ზაფხული. ხემა-

ღალი. ალექსანდრე ჩაფიჩაძის ოდა-
სახლის აივანზე სუფრას ვუსხედდნენ
ეკატერინე ხიდაშელი, ალექსანდრე ხიდაშელი
გულასპირ ჩაფიჩაძეები და მე. თამადა
გულასპირ ჩაფიჩაძე. ჩემი სადღეგრძე-
ლო. ეკატერინემ, ალექსანდრეს და გუ-
ლასპირს რომ არ გაეგონათ, ყურში მი-
ჩურჩულა — შეცდომის დაშვება კი
არ არის უბედურება, უბედურება შეც-
დომის გამეორებააო, დარწმუნებული
ვარ, აწი აღარ შეცდებიო, — დამიყვავა,
მომეალერსა, შუბლზე მაკოცა, მაპატი-
დანაშაული“.

კონსტანტინეს ცრემლი მოადგა თვა-
ლებზე, ეს ქეთევანმა შეამჩნია, ეუხერ-
ხულა და ადგა.

— მე წავალ, ბატონო კონსტანტინე,
— მორიდებით თქვა ქეთევანმა.

— მაპატიეთ, ფიქრმა გამიტაცა, —
სევდიანი ღიმილით თქვა კონსტანტინემ
და ცრემლიანი თვალები შეანათა ქე-
თევანს.

კონსტანტინემ ფანჯარა მიხურა, სიგა-
რეტი საფერფლეში ჩაასრისა, ჯიბიდან
ცხვირსახოცი ამოიღო და ცრემლი შეი-
მშრალა.

— წაბრძანდით. რამეს ვიღონებთ. მე
თვითონ ამოვალ თქვენთან... პირდაპირ
სოფელში მიდიხართ?

— დიახ, საღამოს მშობელთა კრება
გვაქვს.

— სადარბაზოსთან ჩემი მანქანა-
დგას, შოფერს უთხარით და სოფელში
წაგიყვანთ.

ვიტორვი ვიგაური

ნ ყ ა ღ თ ა შ უ ა

ბაღდათის ახლოს არის ორწყალი
და სოფელს წყალთაშუას ვეძახით,
შვირთების რემა —
მთის მკერდს მომწყდარი —
გაშლილ ველზე წვეს,
როგორც ვეშაპი.

ხანის წყალს ერთვის ჩქარი საირმე
და გზას მიიკვლევს ტუნებ-ტუნებით,

ეფერებიან ქართულ აივნებს
მდინარეები — თეთრი ცხენები.

მეც მინდა შენთვის ტრფობის გამხელა.
წემო ძვირფასო,
იცი თუ არა,—
გადავიკიდე შარი რამხელა
და დაბნეული ორწყალშუა ვარ...

პ რ ო შ ე ს ო რ ი

ვასილ მახუზაძის

ის ფეხაკრეფით დადის და თვალებს
უნათებს ხალი გონების სიბრძნე,
უნახავს ბევრი ტკბილი და მწარე,
გაუგეს, გააყვინენ,
იწამეს,
იძმეს.

კავკასიონის დადგა კლდეკართან,
ძმადგაფიცული ჯარისკაცებთან,
როცა უმწური ფაში რეკავდა
და თერგს ღებავდა სისხლი დამცემთა...

კვლავაც სიცოცხლეს უდგას დარაჯად,
ზრუნვას ვერავინ გადააჩვია,
ალარ აცვია ტანზე ფარაჯა,
მიინც უბრალო ჯარისკაცია.

ნ ვ ი ბ ა შ ი

ვიწრო ხეობა გადაინისლა
და აქვითინდა ქარაფის ტინი,
ასე რად ზღემა,
ტალღა ივრისა,
რომ არ დაგიდევს ტინების ტირილს.

კანკალეებს კლდესთან პატარა კვლია,
ელვის მათრახი კლდეებზე კვესავს,
ტყე მოუხიბლავს მდინარის ღრიალს,
სულაც არ ესმის ყვავილის კვნესა.

უცებ აკივლდა უღრანი ტევრი,
მეხის რკალებმა თვითონ ტყეც სძლიეს,
წარბსაც არ იხრის ბორბალოს წვერი,
დეღგმაში სუსტი არ ახსოვს ძლიერს.



ტაკო მებურიშვილი

ისევ ეთაბაშება

ხობისწყალში აგვისტოს
მზე ბიჭვივით გადახტა,
ბრიალებენ ზურგები
ტანმოწითულ კალმახთა...
დაცხრა,
წინანდებურად
დარდი აღარ ვიშვიშებს,
ჩქერში გადიკისკისა
ქალიშვილის სიშიშველემ.

ყვლზე ლურჯი ფრინველი —
ტალღა ეფათქუნება,
ისევე ეთამაშება
ჩემი გული ცთუნებას.
მკერდზე მოედინება
შავი თმები ღვარ-ღვარა...
ღმერთმა ის გაახაროს,
როგორც მე გამახარა.

• • •

ნუ გეწყინება,
მიძნელდება საკუთარ თავის
წინანდებურად მოტყუება,
ნუ გეწყინება.
მიედინება დღე და ღამე —
თეთრი და შავი
არაგვი
ჩემი სიცოცხლიდან მოედინება.
მიედინება საყვედურით,
შენებით,
მსხვერვით.
მიედინება
სიყვარულის დამტყანარ იებად,
მძიმდება მხრები,
ცოდვა-ბრალით
მძიმდება მხრები!
მონანიება!

ვიღას ახსოვს მონანიება!
სისულელეა ლაპარაკი
წარსულის ხათრზე,
ის ერთგულება
შეიწირეს
წლებიან ყინვებმა...
წინანდებურად
(გადამეცი ღმერთზე და ხატზე)
არ შემოძლია დავიჯერო,
ნუ გეწყინება.
ნუ გეწყინება,
მიძნელდება საკუთარ თავის
წინანდებურად მოტყუება,
ნუ გეწყინება.
მიედინება დღე და ღამე —
თეთრი და შავი
არაგვი,
ჩემი სიცოცხლიდან მიედინება.



ივლის გზა

ხის საფერფლეში
ჩასრესილი,
ჩამწვარი ღამე
გამომაქვს გარეთ...
სიწყნარეა,
არ ისმის ჩქამი.
თეთრი მთებიდან
ქარს გადააქვს
ღრუბლები ქაფი,
მზე იმოსება
საკუთარი

სინათლის კაბით.
სადღაც მამალმა
დილას ისევ
ჩაქყივლა ყურში
და ანგელოსი დააფეთა —
სიჩუმე ლურჯი.
თრთის ჩუმი ჩრდილი
მარადიულ სასახლის კარზე...
მე აქ ამომდის,
აქ ამომდის
იმედის ცხრა მზე.

• • •

ცა სინათლის სისხლისგან
დაიცალა,
დაღამდა.
დატყნა სოფლის ყიფინი
და სიჩუმე აყვავდა.
დედამიწა გაცვივდა,
მიწა აღარ ხმაურობს
როგორც ბუდე უბარტყო,
გული — უსიყვარულო.
გაიფლინთა პაერი
ბუზრის კვამლით, სიგრილით.
ზეცას თავზე აგვრა
თეთრი ნისლი ლიბრივით.
მივაბიჯებ წარსულზე,

(მე ის ცრემლით მოვთესე...)
მივაბიჯებ დღეებზე —
ჩამოცვენილ ფოთლებზე.
რიგრიგობით მინათებს
თეთრი მზე და რუხი მზე,
მივაბიჯებ საკუთარ
სიხარულზე, წუხილზე.
ჩუმი ამოკვნესებით
სურვილები მზაფრავენ.
მორიდებით ვაბიჯებ
ოცნებათა საფლავებს.
ამ წარსულში ფესვი მაქვს,
იმ მერმისში — ყლორტები;
ვერც ერთს ვერ შეველგვი,
ვერც ერთს ვერ მოვშორდები.



ვერსიონი ბარათი

რ ი კ ო თ ი

ასე მგონია, ცას მივწვდი ხელით —
ცა დარაიას ყაბალახს იხდის...
რიკოთის თავზე მზე ბრუნავს ცხელი,
ფიჭვის წვეროზე თამაშობს ბინდი!
დაბლა სურამის დაბლობი გდია —
მტკვარს დაუჭრია მახვილით ველი.
შუადღის ზვატში გახვეულ ნიავეს
ამოშრობია თვალეზი სველი.
შორს — ჰორიზონტზე თბილისი მოჩანს,
ახლოს — გორის და სურამის ციხე...
ქარი ღრუბლებში ხეტიალს მორჩა
და ახლა ახალ სიმაღლეს იღებს...

მთებსა და ხრამებს აწყდება ქარი,
მზის ჩასვლის დროა და ქრება ბინდი.
გორაზე წითლად ამოდის მთვარე
და რიკოთს ფერი დაედო შინდის.

დღისა და ღამის შესაყარს ვხედავ —
რიკოთზე გაწვნიენ ჩრდილები ხეთა.

ტოტიდან ტოტზე გადადის მთვარე
და ხეთა ჩრდილი მხვლება შუბლზე.
თითქოს შევადე მეცხრე ცის კარი
და დედამიწას ზეციდან ვუმზერ...
ციცკარია თუ ვარსკვლავი ნეტა,
თბილისის ცაზე ასე რომ ბრწყინავს!
თბილისს რიკოთის ღამეშიც ვხედავ —
თბილისს მთაწმინდის კალთაზე ძინავს.
მწვეანე ფერს მთვარის შერწყმია ფერი
და მეწამული ფერებით ხატავს.
ძირს კალმასივით მოქნიულ წელით
გარბის მტკვარი და თან ფიჭრებს ვატან.
გავცილდი გორს და გავცილდი მცხეთას
და ბინდიც მოდგა რიკოთზე დილის.
წამოიშალნენ ჩრდილები ხეთა
და ისევ ვხედავ საყვარელ თბილისს.



ორი თვე სოვლად ანუ იმერული ქოროლი

რომანი

18.

უეცრად რაღაცამ გამომაღვიძა, თვალები მოვიღშენიტე და მივიხედ-მოვიხედე. ისევ ჩემს ბოსელში ვიყავი. სულ ახლოს კასიანე იდგა და გოცებული დამცქეროდა. მისი სახე ნეტარ მოლოდინს გამოხატავდა...

— ყველაფერი დაწვრილებით მომიყვები, — ხელი შემახო კასიანემ.

მეც მოვუყვები, რაც თავს ვადამხდა. ჩემმა ნაამბობმა ისე გულიანად გააციანა კასიანე, რომ კუთხეში დაბმული თხა აწრიალდა, შიშით დაიკიკინა, და როცა კასიანემ საბელი შეხსნა, თხას უკან არც კი მოუხედავს, შურდულივით გავარდა გარეთ.

— შენ გაგახარა ღმერთმა, — ხითხითებდა კასიანე, — ძან გამართე და გამაცინე... მე კი იმისათვის მოვედი, რომ ჭანდაკებისათვის წყალი მესხურებინა, როგორც მასწავლევ. ვფიქრობდი, ვინ იცის, სად არის ახლა ლადო, ვინ იცის იქნებ უკვე თბილისში ამოყო-მეთქი თავი!

უცებ გარედან ბებიჩემის ხმა მომესმა:

— ლადო, რატომ გამოაგდე გარეთ მოუწველავი თხა? ახლა მიდი და დაიქვირე!

— ახლავე, ბებია!

ძლივს დავივირე დამფრთხალი პირ-უტყვი.

ბებია თხას წველიდა. მე ისევ ტახტზე ვიჯექი. უხალისოდ ვიყავი. კასიანე ბაბუა დროდადრო შემომხედავდა ხოლმე და სიცილით იგუღებოდა.

წველა რომ მოათავა, ბებია მკაცრად შეუტია კასიანეს:

— რა დაგემართა, ნეტა რა გაქვს ასეთი სამზიარულო?!

— რას ამბობ, თებრონე, აბა, როგორ არ გაიცინოს კაცმა! ვაიგე, რა უქნია შენს ბიძაშვილს ამ ჩვენი ლადოსათვის?

— არ ვამიგია და არც მინდა ვაევიგო!

— არა, უნდა იცოდე, უსათუოდ უნდა იცოდე. ლადო, ნუ დაგეზარება, უამბე, თორემ ორივეს უკუანაკლულად ჩაგვთვლის.

მე ვავიმეორე ჩემი ნაამბობი, ოღონდ

წინანდელი გატაცებით არა მიაშინა. ბენიამ შინც ვერ შეიკავა თავი, რომ არ გაღიმებოდა.

— გეყოფა, კასიანე, სასაცილოდ კი არა, სატირლად არის ჩვენი საქმე... მე შენი იმედი მქონდა, ვფიქრობდი, დამეხმარება, ამ ჩემს ქარაფშუტას ჰკუთხედ დაარიგებს-მეთქი, მაგრამ, შენც არ მომიკვდე, დაარიგებ კი არა, თვითონაც აპყლოხარ.

— მე კიდევ ჰკუთხის სწავლება მჭირდება? — თვინიერად ამოვიოხრე.

— გაჩუმიდი, ლენჩო, — ხმა ჩამაწყვეტინა ბებია.

— იცი კი, კასიანე, თავიდანვე როგორ დაიწყო ყველაფერი?

— რა ცოდნა უნდა? ლადოს მოხარულს ვიცნობ. ის ცუდს არაფერს იკადრებს.

— მეც ვფიქრობ, რომ ლადო უნამუსობას არ ჩაიდენს, მაგრამ არც უკან დასახვევი გზა აქვს. ძალიან ღრმად შეტოპა. იმაზე ალბათ არაფერი უთქვამს როგორ დაიწყო თავიდან საქმე. მე ხომ ადრე გავაფრთხილე — მოეშვი მავნიორაძეებს, შარიანი ხალხია-მეთქი, ვუთხარი: თუ მენატრე გინდა, აგერაა ჩვენი დარეჯანი. რა დასაწუნია, ტანად მრგვალია, სახით თეთრყარმიში, როგორც კარგად გარეცხილი თვის ბოლოკი-მეთქი. არა და არაო, დაიყინა, გინდა თუ არა ნუცა მომიყვანეთ. მის მებრძოლს მომწონსო. ხომ შენი სიტყვებია ეს, ლადო?

— ჩემია!

— დიხ ასე! მერე, ბატონო, წაბრძანდა ეს ვაჟბატონი ბესარიონთან მოსალაპარაკებლად! იქ სადილი გაუმართეს. ნიშნობა იყო, თუ ღრეობა — მოდი და გაარჩიე ახლა! ბესარიონის სიმემა, თერაფონტემ, ტყიბულში რომ ცხოვრობს, გულახდილად წამოაყარანტალა, ასე და ასეო, მოხარული ვიქნებით დავუნათესავდეთ კულტურულ ადამიანსო, სულით და გულით ვუსურვებთ, რომ შექმნან მტკიცე ქართული ოჯახიო. ეს ჩემი სულელი ბიჭიც გადაეხვია, გადაიკონა, მადლობა გადაუხადა. უთხრა,

ვეცდები გავამართლო თქვენი კეთილი სურვილებიო. ხომ ასე იყო, ლადო?

მე ვლუმდი, ვერაფერი გავიხსენებ თერაფონტეს ნათქვამიდან, ვერაფრის თქმა ვერ მოვახერხე. მე ხომ მაშინვე, ბესარიონთან გამართულ ქეიფშივე მომეჩვენა, რომ რაღაც ხდებოდა... შემთხვევით არ იყო, რომ თერაფონტეს სადღეგრძელომ, ცოტა არ იყოს, შემამფოთა, სულ ვერაფერი გავიგე რას ამბობდა, ის კაცი. ირგვლივ მყოფთ ვეხვეწებოდი, თქვენი ჰირიმე, მაგის ნათქვამი ქართულ ენაზე გადამითარგმნეთ-მეთქი.

— შენ ოდესმე მოგისმენია თერაფონტესათვის? — ვკითხე ჩუმაღ ბებიაჩემს.

— როგორ არა! ყოველ ახალ წელწადს სადღეგრძელოებით აკლებული ჰყავს მთელი სოფელი.

— ვერცერთ სიტყვას ვერ გაუგებ!

— ნუ აჭარბებ. კაცს ენა ებმის და ბორძიკობს. რაც არ უნდა მარწმუნო, არ დაგვიყრებ, რომ შენ ვერ მიუხვდი მას, თუ რას გუბნებოდა!

— კასიანე, — შევყვირე და წამოვხტი, — კასიანე, ეს ხალხი ჰკუთხე შემშლის!

— დამშვიდდი, ლადო, — კასიანემ მხრებზე ხელი მომხვია, — დამშვიდდი, დაჯექი.

— ბებია, ყველაფერს გეფიციები, ვერაფერი ვერ გავიგე მისი სადღეგრძელოსი. მხოლოდ ორი სიტყვა „კულტურული“ და „ქართული“ დამამახსოვრდა.

— ერიპა! აბა სხვებმა როგორ გაიგეს.

— ეს არ ვიცი... ალბათ იმიტომ, რომ ისინი დიდი ხანია იცნობენ მას, რამდენი წელიწადია უსმენენ. მე კი როგორ ვეხვეწებოდი ყველას — გადმომიითარგმნეთ ქრისტიანულად მისი სიტყვა-მეთქი.

— ეგ დიდი არაფერი, ლადო! — მოთხრა ბებია. ბოლოს და ბოლოს, ჩვენ რა გვესაქმება რა იჩერჩეტა იმ ენაბლუმ! შენ სხვებს მოუსმინე, რას ლაპარაკობენ. შეიძლება, მე არ დამიჭერო,

მაგრამ აგერ აქ არის შენი კასიანე და ამას ჰკითხებ. ხმა ამოიღე, კასიანე!

კასიანემ პირქუშად შეხედა ბებიას, მაგრამ კრინტი არ დაძრა.

— არაა კარგი, მამაო, — ბებიამ გამკიცხავად გაიქნია თავი, — არ იქცევი წესიერად!

— ეხ, თებრონე, მერე რა, ხალხი რომ ლაპარაკობს? — ამოიხვნეშა კასიანემ.

— როგორ თუ რა? ჩვენ ხალხში არა ვართ? ტყეში ვცხოვრობთ? ხალხი გკიცხავს შენ, ლაღო, და ძალიანაც გკიცხავს. ზოგს ისეთი გესლიანი ენა აქვს, რომ, ღმერთმა დაგვიფაროს, პილ-პილზე უარესი! არც შენს ნუცას ადგას კარგი დღე. რად გინდა, რომ საბრალო გოგოს მთელ სოფელში სახელი გაუტეხოს! რით დამსახურა ასეთი სასჯელი! ნამუსიანი ქალიშვილია, კრავივით სულ უკან დაგდევდა ყველგან, ტყეშიც, მინდორშიც, ბოსელშიც კი არ გშორდებოდა. ახლა გინდა ხელი ჰკრა და ჩამოიცილო?

— ერთი რამ ვერ გამიგია, — ჩაილაპარაკა კასიანემ, — ამ ნიორაძეებს რა აჩქარებთ, რა ცეცხლი წაეკიდათ? ნუცა ხომ ჯერ თვრამეტი წლისაც არ არის!

— ესეც რომ ამას ემბრობა! — ბებიამ ღლინჯი შემოიყარა და ნახუცარს მრისხანედ გახედა, — კარვად აუხვევია თვალები შენთვის ლაღო ინაშვილს, კარვად გაუბრიყვებიხარ! — ბებიამ კასიანე სახელოთი მოსწია და, როცა თავისკენ შემოატრიალა, ჩასჩურჩულა: — ჩემთან, ჩემს თვალწინ ჰკოცნიდა ნუცას. დღემდე ემაღავდი, სიტყვა არავისთან დამიძრავს. შენც გაჩუმდი, არავის არაფერი უთხრა. თავის დროზე, როცა გავეწყვრი, ამას რას შერებინებოქი ბიჭო, იცი რა მიპასუხა? მეო, ასე გკოცნიდი შენცაო, პავლიასაცო და ბაბუა კასიანესაცო. ამის მერე, მოდი და ერწმუნე მაგის სიტყვებს!

ბებია გაჩუმდა, დაფიქრებული შემომყურებდა. მერე უცებ თქვა:

— რას ფიქრობს ეს ჩემი უგუნური შვილიშვილი. ჰგონია, ჩვენ ყველაფერი დაგვაეციწყდა? აღარც სიყვარული გვა-

ხსოვს, არც კოცნა, არც ჩვენი ახალგაზრდობა?

ერქონესული

მე ძალუნებურად გამეკლმე, მტყუანმა შემამჩნია და აღშფოთდა:

— შეხედეთ, ამ უსირცხვილოს. ლანდა დამსგავსა საწყალი გოგო! სინდისის ნატამალი არ გაგანია? არ იფიქრო, რომ არ მოგთხოვონ პასუხი! აგერ კოლია ქათამაძემაც თქვა, ლაღო ვალდებულება ნუცა ითხოვოსო...

— კოლია ყველაფერს იტყვის, თუ მაგრად დაუცაცხანებ, — შეენიშნე მე.

— რა გინდა ამით სიტყვა?

— მხოლოდ ის, რაცა ვთქვი. ეგ კაცი კი არა, ჩვირია!

— სამაგიეროდ, შენ მყავხარ კაცი! — დაცინვით თქვა ბებია, — შენც მყავხარ რაღა ინაშვილი!

კასიანემ კვლავ მძიმედ ამოიოხრა. მის სახეს ისეთი გამომეტყველება ჰქონდა, თითქოს ქვეყნის საღარდებელი ამას აპყიდესო.

— ლაღო! — დამიძახა ბებია.

— რა იყო, ბებია?

— ახლა რამდენი წლისა ხარ?

— ოცდაექვსისა.

— ბიჭს მალე ოცდაშვიდი შეუსრულდება, — უთხრა ბებია კასიანეს, — რამდენ ხანს უნდა დარჩეს მარტოხელად? ნათქვამია, უცოლო კაცი, ნახევარი კაციაო. ნუ ოხრავ, ოხვრას თავი დაანებე, კასიანე, თვითონ შენ რამდენი წელიწადია ბოგანოდ ცხოვრობ! ქალაქში გასათხოვარი ქალიშვილი უთვალავია... ჰო, ქალაქში ქალიშვილებიც არიან, ქმარგაყრილინიც. ვისაც როგორ მოეპრიანება, ისე იქცევა. რას იზამ? ჩვენ — მიმავლებს არ გვმართებს მსაჯური დაედოთ ახლანდელებს, მაგრამ მითხარი, გაიგებ კი, ბედი ვის შეგახვედრებს? მარგალიტს დაგივდებს გზაზე, თუ მტვერში ამოგანგულულ ქვის ნატესს? აქ კი გვერდით, ერთი ნაბიჯის გადადგმაზეა ჩვენი ნუცა, როგორც ცისკრის ვარსკვლავი, პატიოსანი დედ-მამის პატიოსანი ქალიშვილი. არც ჩემთვის და არც შენთვის ბესარიონ ნიორაძეს არაფერი მოუპარავს... არც კასიანესთვის... მერე

წარმოგიდგენია, რა სიხარული და ბედნიერება იქნება, — ისევ მიუბრუნდა ბებია კასიანეს და მკერდზე რძით სავსე ქოთანს მიიხუტა, — გაივლის რალაც ერთი წელიწადი და ბავშვი ხელში ჩავიგორდება. მოვეფერებით პაწია ანგელოსს, მივულოლიავენთ, ჩვენი მდინარის წყალში გავბანთ. ჩვენი ფესვი არ აღმოიფხვრება, გვარი არ გადაშენდება, მომგონებელი არ დაგვეღვევა. ამაზე მეტი ბედნიერება იქნება?

— ეს, თებრონე, თებრონე! — დაიგუგუნა კასიანემ, — ჰკვიანი ქალი ხარ და მეც ჰკვიანური სიტყვით გაგვემ პასუხს, მაგრამ ჩემი სიტყვით კი არა, ხალხის ბრძული სიტყვებით. ფიცხი ცხენით ცოლის სათხოვნელად ნუ წახვალ, არ გაგიგონია? რატომ აკეთებს ბესარიონი ამ საქმეს ასე ჰაიპარად? არ ვარგა ეს, ჩვენს ზნესა და ადათს ეს არ შეეფერება.

მე მადლიერი დავრჩი კასიანესი ამ პასუხისათვის, მან მარჯვედ გამომიყვანა მძიმე მდგომარეობიდან.

— ტყუილად ფიქრობ, ჩემო დაო, თითქოს მე თავს ვირთობდე, სასერიო ამბებს დავეჭებდე და ლადოს საქმეშიც ამიტომ ვერეოდე. არა, ჩემო თებრონე! შენი ყმაწვილი უკვე ვაქაცია, — განაგრძო კასიანემ, ისე, რომ ბებიისკენ არ შემობრუნებულა, — მას თავისი თავმოყვარეობა აქვს. ახლახან ნამდვილი ვაქაციური სიტყვები მითხრა და ამიტომ ყველაფერს ვაპატიებ, ყოველ შეცდომასა და დანაშაულსაც კი.

მე ყურები ვცქვიტე: „ანეტა რას გულისხმობს ეს კაცი, რა ვუთხარი ასეთი? და ის იყო კასიანეს წამოძახილიც მომესმა:

— შემოდი, კოლია! რაკი მოსულხარ, ბარემ შემოდი კიდევ, კარგი კაცი ხსენებაზეო.

მე შეეტრიალდი. კარებში კოლია ქათამაქე იდგა.

ანეტა დეიდა კვალდაკვალ მოჰყვა კოლიას სახელოსნოში. ჯერ ცნობისმოყვარეობით შემოიჭვრიტა, მერე

მსხვილბეჭდიანი თითი კარზე დააკაკუნა.

— გამარჯობათ, ხალხო, თი, რანდენო შეკრებილხართ! უიმე, კასიანეც აქ ყოფილა!... სალაში, მამაო კასიანე — ანეტა ხალხში მალავდა ნახუცართან თავის ნამდვილ ურთიერთობას, — ეს რა გნისი აგიტეხიათ, თითქოს ისიდორეს ბატეში ყაყანებდნენ, როცა პატრონი მათ მინდვრიდან შინ მოერეკება. ღმერთს გეფიცებით, გზაჯვარედინზე ისმის თქვენი ხმაური. მეკი მეგონა, ლადო მართო დამხედებოდა.

— გეყოფა, ანეტა, ამდენი ლაპარაკი. — ვაწყვეტინა ბებია, — რისთვის მობრძანებულხარ?

ბებიას არ უყვარდა ენატარტარა და ეშმაკი ანეტა. შეიძლება იმიტომაც არ უყვარდა, რომ ანეტა გულჩვილი იყო, შვენიოდა ქალური სინაზე, რაც ბუნებას ბებიაჩემისთვის არ მოემადლებინა. ანეტას კი სიბერემდე შერჩენოდა.

— ნუ ყვირი, ჩემო დაო! — იწყინა ანეტამ, — საქმეზე მოვედი, ტყუილუბრალოდ ხომ არ მოვსულვარ!

თურმე იმ დილით ანეტას დაუყოლებია ელენე ნიორაქე და ექიმბაშ მინალორასთან წასულან სამკითხაოდ. როგორც ანეტასაგან გავიგე, შკითხავს ვერაფერი გამოუცენია და ისინი უკანვე გამოუსტუმრებია, ლადოს ერთი ბლუჯა თმა უნდა მომიტანოთ.

გაიგონა თუ არა, ბლუჯა თმაო, ბებია უმაღვე წამოხტა ტახტიდან, წინ ამეფარა, მრისხანე დედააწვიეს დაემსგავსა და ანეტას ეჭვგარა.

— რაო? ერთი ბლუჯა თმაო? იქნება, სართად თავსაც ინებებ! ვიცი, ვიცი, რისთვის სჭირდება მინალორას ბალანი. შესალოცად, საჯადოჭროდ უნდა! თუ ასეა, მაშინ რაღა ლადოს, ბესარიონის გოგოს წაჰკრიკეთ, ლადოს თავიდან ერთ ბეწვსაც არ ჩამოგავდებინებთ! ასე გადაეცით თქვენს მინალორას. უთხარით, ჩვენს საქმეებში ნუ მოძვრება. წადი, წადი-მეთქი...

მგონი, ანეტას მინცდამინც, არც სწყენია ბებიას სიტყვები, გასასვლე-

ლისაკენ გაეშურა, თან ღიმილით ხელებს შლიდა. ახლო რომ გამიარა, წამით შეჩერდა, ღიმილი მყისვე ჩაიჭრო და თითი დამიქნია, ახლოს მოდიო...

მე პირი დავაღე და, თითქოს მის კაბის კალთაზე ვყოფილიყავი მიბმული, უკან მივეყვი.

ანეტამ მდელი გადაჭრა და თუთის ქვეშ გაჩერდა.

— მოიწი ჩემსკენ, ცუღლუტო! — სიცილით მითხრა ანეტამ, — ნუ მალავ, გამოტყდი, რა წამალი დააღვეინე გოგოს?

ძალიან მეჩოთირა ანეტას კილო და შეუბღმუქმუნენილი, მკაცრად მივაშტერდი.

— რას მებუტები, ლადო! — მერე ხმას დაუდაბლა და საიდუმლოდ ჩამილაპარაკა: — შენთან ნუცამ გამოგზავნა.

— ნუცამ? — გავიკვირვე მე.

— პო, ნუცამ, მეგონა, მარტო დამხედებოდი. აი რატომ დამქირდა მკითხაობაზე დამეწყო ლაპარაკი.

— რა უნდა ნუცას?

— უყვარხარ და ის უნდა. ძალიან უყვარხარ.

და ანეტას ჯერ კიდევ დაუბერებელმა სახემ ფერი იცვალა, თვალები აღერსიანი შექით გაუწათდა, ხმა სინანულით და ნაღველით აუღერდა. რაზე ნაღველობდა, რას ნანობდა ანეტა? იმას, რომ თავისი სიცოცხლის მეთუთმეტე გაზაფხულზე, როცა მინდორ-ველი თითქოს მარტო მისთვის აყვავდა, როცა სული სიხარულით იყო სავსე, თითქოს გაფრენას ლამობსო, სწორედ იმ დროს მიათხოვეს იგი მოუხეშავ, უღამაზო პროკოფის და მთელი ოცდაშვიდი წლის მანძილზე მის ჰერქვეშ ცხოვრობდა, აი სწორედ მაშინ ეს გოლიათი კასიანე, რომელსაც მთელი თავისი სიცოცხლე ეტრფოდა (ახალგაზრდობაში კასიანეს მეტსახელად შავ მერცხალას ეძახდნენ), სოფლად ანაფორით დადიოდა და საცეცხლურს იქნევდა ეკლესიაში. პროკოფის სიკვდილიდან ერთი წლის მერე ანეტა მარტოხელა ქვრივს — ლუკას

მისთხოვდა. ლუკაც ბუზღუნა და აბეზარი კაცი იყო: მხოლოდ სიცოცხლის მსახურით ათეული წლის მიწურულში ანეტა ბედმა შეიბრალა, ახალა შეახვედრა კასიანე — გულკეთილი, ლალი, მხნე და მხიარული დევკაცი. ანეტამ განა არ იცოდა. რომ მოსილიო დედაკაცებო მასზე ჰორობდნენ? იცოდა, მაგრამ რა უნდა ექნა? მისი ცხოვრება ასე უკუღმართად, ასე სულელურად, ასე უკუღმართი გზით წარიმართა და მაინც მისი სული პირთამდე სავსე იყო დაუხარჯავი სინაზით.

— უყვარხარ, ლადო, თავდაიფყებოთ უყვარხარ, — იმეორებდა ანეტა, — რას უშვრები საცოდავ გოგოს? ნუთუ გულის ნაგივრად ქვა გიდევს მკერდში? შენ იმას ხელისგულზე უნდა ატარებდე.

რა უცნაურია: ბეზიას თითქმის არასოდეს არ წარმოუთქვამს სიტყვა „სიყვარული“ და მართალიც იყო. ანეტა კი დაუსრულებლად იმეორებდა ამ სიტყვას და ისიც მართალი იყო.

— მითხარი ანეტა, მართლა ნუცამ მოგგზავნა?

ანეტა გაჩუმდა, ჩაიციხა.

— ხედავ, რა მოინდომა? თუ ამას უცდი, ლადო, ტყუილ-უბრალოდ ირჩები, მაგას ვერ ეღირსები. დაგავიწყდა, ვისი სისხლი ჩქეფს მის ძარღვებში? ვისი და ფაღავასი! რომ გაიგოს, რაც გითხარი, მომკლავს, ღმერთს გეფიცები. ჩემთან ერთხელაც კი არ დაუძრავს კრინტი ამაზე. მაგრამ განა თვითონ ბრმა ვარ? ამ ქვეყანაზე შეიძლება ყველაფერი დაფარო, ჭურდობაც, სიცრუეც, გაიძვერობაც, ხრიკიც, სიყვარულს კი ვერა, ვერ დამალავ... უყვარხარ და იტანეება საცოდავი, ხმება მოუვლელი ვაზივით!

მე მოუთმენლად შევაწყვეტინე სიტყვა და ვკითხე, გარეთ რატომ არ უშვებენ ნუცას-მეთქი.

— მამის ბრძანებაა. ნეტავი გაჩვენა რა ამბავია ბესარიონის სახლში! ნუციკო ყველას გაებუტა, წაეკიდა. ჩიკოს პირისაზე დაუკაწრა. დედასაც კი ახლოს

არ იცარებს, თავის ოთახში არავის უშვებს.

ანეტამ ჩემსკენ მოიწია, ხმას დაუმდებლა და ჩამხურჩულა: „გუშინ ღამით ბესომ სცემა გოგოს, ეს მაშინ, როცა თავის ღღეში თითქმის არ დაუჯარებია“.

— რატომ სცემა? — ვკითხე მე.

— ეს კი არ ვიცი. ღამით მოხდა ეს ამბავი. გათენებვისას ელენემ მოირბინა ჩემთან და ხელების მტვრევით ამოიკვინეს: „რა ვქნა, ანეტა, რა ვქნა?“ რა უნდა მეპასუხნა? აედექი და ბებია მიწადროასთან წაიყვანე სამარჩილოდ...

მე ერთხელ კიდევ ვცადე შემეტყო, ნუცას რაიმე ხომ არ დაუბარებია ჩემთვის გადმოსაცემად:

— იქნებ რამე ბარათი გამოგატანა?

ანეტამ თავი ჩაქინძრა, თვალები ჩაუჭრა, სახე მოელუშა.

— არა, ლაღო! ბარათს მოფიქრებდა უნდა. ნუცას ამისი არც თავი აქვს, არც გამოცდილება, — ანეტამ ამოიხრა, — ნუცა გთხოვს, რაც შეიძლება მალე წახვიდე აქედან.

— რატომ?

— აბა, რა ვიცი!... დაიტანჯა საცოდავი, დაიბნა, არ იცის რა მოეღოს. ამას ისიც ემატება, რომ ამბობენ, მალე თორნიკე ჩამოღისო.

— რომელი თორნიკე, ნუცას ძმა?

— ჰო, მისი ძმა.

— ჩამოვიდეს! ამ თქვენმა თორნიკემ ვერ იქნა და აქამდე ვერ ჩამოაღწია!

— ვინ არის მისი გამკითხავი და მბრძანებელი! მოესურვება და შუა გზიდან უკან დაბრუნდება.

— სად უკან? საპატიმროში?

— თუნდაც იქ!

როცა ბოსლისაკენ გავემართე, ანეტამ დამიძახა:

— ნუ მეტყვი, შეილო უარს! მომეცე ნება ერთი ბლუჯა თმა შეგაკრიჭო, მაკრატელი თანა მაჭვს, აი აგერ...

მე ჩავეცივინე და დახრილი თავი მივუშვირე.

— ამისთვისაც მადლობა! — ამოიხრა ანეტამ, — ღმერთი შეგეწიოს უსუსის იყო, ბოსლის ზღურბლში გადგება ბიჭე, ბებია უკმაყოფილო ხმით შემეკითხა:

— გამაგებინე, რას გეჩურჩულებოდა ამდენხანს ეგ ენატარტარა?

— არაფერი ახალი არ უთქვამს, — მოკლედ ვუპასუხე მე.

— დამიხედეთ ქალბატონს! მინადორას ბებიას ეძახის, ვითომ თვითონ პატარძალი მყავს!

შეცბუნებულმა კასიანემ ჩაახველა. ჩანს, ბებიას დაავიწყდა, რომ კასიანე იქვე იყო. როცა მას თვალი მოჰკრა, ბებიაც მოიღუშა, პირი მოკლე და უცებ გულღია მეგობრული ღიმილით გაუღიშა.

— რას მეტყვი, შავო მერცხალო?

კასიანემ თვალები მოჰკურთა, თავი გააქან-გამოაქანა და ამოიხვნეშა.

სახლიდან ბოსელში იმ იმედით გადავედი, რომ იქ მაინც მოვისვენებდი. მაგრამ ვინ დამაცალა?

ალბათ ანეტა ჭერ კიდევ გზის მოსახვევამდე არ იქნებოდა მისული, რომ დარეჯანმა, მამაჩემის ბიძაშვილის შვილმა, სწორედ იმან, ვისაც ბებია მირჩევდა მენატურედ, ბოსელში ერთი სტუმარიც მოიყვანა, პირდაპირ ვიტყვი — მოულოდნელი და ფრიად არასასურველი სტუმარი.

ეს ჩვენს მხარეში საკმაოდ ცნობილი გერმოგენ სიმართლიშვილი გახლდათ, — ბაბუა აფრასიონის სოფლის ფერშალი. მისი ახლანდელი გვარი ოდესღაც მისი ფსევდონიმი იყო, მერე თანდათან გვარად გაიხადა. ოცდაათიანი წლების დასაწყისიდან გერმოგენმა მჩქეფარე მოღვაწეობა გააჩაღა, თუმცა იმდენად საქმიან სარბიელზე არა, რამდენადაც საზოგადოებრივ ასპარეზზე. უაქტიურესი სოფლკოორი გახლდათ, სიმართლისა და სამართლიანობისათვის თავდადებული მებრძოლი და თავის თავს ამიტომ სიმართლის შვილს უწოდებდა. გერმოგენი ამხილებდა და ნიღაბს ხდიდა



მიმალულ კულაქებს, ხუცებს და ნაციონალისტებს. როგორც ყოველად უანგარო ადამიანი, თვით თავის ძალზე მცირე პონორარსაც კი ექვის თვალით უყურებდა, ქრთამად არავინ მიიჩნეოდა. ამაცობდა თავისი პატიოსნებით, არ უყვარდა ხელმოუწერელი წერილების წერა და ყოველი განცხადების თუ საგაზეთო შენიშვნის ქვეშ კარგი კალიგრაფიული ხელით მკაფიოდ გამოჰყავდა ხელმოწერა: „გერმ. სიმართლიშვილი“. არ ვიცი, როგორ წერილებსა წერდა გერმოგენი თავისი სოფლკორთული გზის დასაწყისში, მაგრამ მისი შენიშვნები, რომლებიც მე წამიკითხავს (დროდადრო სარაიონო გაზეთში იბეჭდებოდა), მაღალფარდოვნებითა და რაღაც თავისებური ასკეტიზმით გამოირჩეოდა. ჩვენი სოფლკორი ერთნაირი მრისხანებით ესხმოდა თავს ახალგაზრდა ექიმ ქალს, რომელიც თურმე იმდენად გაკადნიერებულა, რომ სამუშაოზე შარვლიანი მოსულა, წამგლეჯს — საწყობის გამგეს, რომელსაც მოპარული სახსრებით სასახლე წამოუჭიმავს და კოლმეურნეობის მკვდელს, რომელიც დიდ ხუთშაბათობით, უხმოზე, სამჯერ ურტყამდა გრდემლზე უროს. ამ თემაზე მან ასეთი შენიშვნა დაწერა:

„ჩვენ, სრულიად შემთხვევით, მოწმე გავხდით ერთი უხამსი ამბისა, რომელმაც არ შეიძლება აღშფოთება არ გამოიწვიოს. საქმე ეხება დრომოკმულ წეს-ჩვეულებათა შესრულებას. ამ წეს-ჩვეულების დაცვა მხოლოდ ჩამორჩენილობასა და გაუნათლებლობაზე მეტყველებს. ამ წესჩვეულების აზრი მდგომარეობს შემდეგში: მკვდლები, სამგზის ურტყამენ რა გრდემლზე უროს, თითქოს ამით ამაგრებენ იმ ჯაჭვს, რომლითაც საყორნიის გორაზე მიბმულია ლეგენდარული ამირანი. მაგრამ, როგორც საბჭოთა მეცნიერებმა გაარკვიეს, ამირანი არის ტვირთმძიმეთა და მასწავლელთა ქომავი. მას რატომ იქცევა ასე მკვდელი დუტუ ჩანტლადე და, ბოლოს, როდის იქნება მიღებული გადამწყვეტი ზომები ამ რეაქციული წეს-ჩვე-

ულების შესრულების წინააღმდეგ? უკანასკნელ წლებში გერმოგენის შენიშვნები იშვიათად იბეჭდებოდა, გერმოგენი სიმართლიშვილს დაუგროვდა სხვადასხვა საკითხზე თითქმის ყველა ინსტანციაში (სასოფლო საბჭოდან დაწყებული უმაღლეს საბჭომდე დამთავრებული) დაგზავნილი წერილების საჩივრების და პროექტების საკმაოდ მოზრდილი, გულდასმით დანომრილი არქივი. გერმოგენი არ უყვარდათ და, ცოტათი ეშინოდათ კიდევ მისი. თუ სიმართლეს ვიტყვი, არც მისი გარეგნობა იყო სიმპათიური. გერმოგენი ძალზე გამხდარი, სათვალისანი ძია იყო. გაძვალტყავებულ მხრებზე ხალვათი ტილოს კოსტიუმი ეკიდა, სამკერდე ჯიბეებიდან ამოშვებული ჰქონდა ავტოკალმების თავები.

გერშლის მოულოდნელმა გამოჩენამ ყველა აგვაწრილა. ეს შემთხვევით არ მომხდარა. გამოირკვა, რომ მეზობელი სოფლიდან ჩვენი წამოსვლის შემდეგ აფრასიონ ბაბუა ავად გამხდარიყო, ერთბაშად, წნევას აეწია და ახლა თურმე ჰარხალივით გაწითლებული, თვალეზღამოკარკლული, კისერზე წურბელებმოკიდებული იწვა ლოგინში და, დროდადრო, ღონეზე მოსული, სწყველიდა თავის ბებერ მეუღლეს.

— მისთვის აუცილებელია სიმშვიდე და მოსვენება, — დაასკვნა გერმოგენმა, — ჰიპერტონიის დროს სიმშვიდე — გამოჯანსაღების პირველი პირობაა.

მაგრამ გერმოგენი მარტო ამის სათქმელად არ იყო მოსული.

— მე, როგორც მოგვხსენებთ, შიკრიკი არ განლაგარათ, რომ ვინმეს თხოვნით სოფელ-სოფელ ვიარო, — განაცხადა გერმოგენმა, — მე აქ იმითომ გვახელით, რომ ჩემი აზრი გამოვთქვა, (ჯერჯერობით ზეპირი ფორმით) იმ მოვლენის გამო, რომელმაც აქ ყველა შეაშფოთა და ააწრილა. მე დაქინებით მოვითხოვ ქორწინებას. რატომ?

გერმოგენმა სათვალე გაისწორა და, ჩემთვის გაცეცხლებული მზერა არ მოუშორებია, ისე განაგრძო: — თქვენ

ყმაწვილო, უნდა მოგაგონოთ, რომ არსებობს წესი და მორალი, რომელსაც ვერა უნდა დაეწიო ჩილოს. პირდაპირ ვიტყვი: ჩვენი სოფლის საზოგადოებრიობა აღმფოთებულა თქვენი საქციელით. და განა მართა ჩვენი სოფელი? ამ დილით ხარაგოულში ვიყავი — ბაზრის სანიტარული მდგომარეობა შევალოვებ, და იქაც ვველა, ყასაბიდან დაწყებული უბრალო მეფხოვემდე — შენს უნაპუსობაზე ლაპარაკობს. გულუბრყვლო გოგონას გამოუცდელიობით ისარგებლა, სინდისის ნატაპალიც კი დაკარგა. გოგო ბოსელში შეიტყუაო.

— ჰეი, ჰეი, ექიმო, ნამეტანი მოგდის! — ვერ მოვითამინე მე.

ამ შემთხვევაში თვით ბებიაჩემმაც კი ჩემი მხარი დაიჭირა:

— მართლაცაა, გერმოგენ, ეს რა ღმერთი გიწყრება! რას ამბობ?

მაგრამ გერმოგენმა ხელის აქნევით შეგვაჩერა:

— ნუთუ გინდათ, რომ თქვენს ბავშვს მამა არ ჰყავდეს? ეს არ მოხდება! უმაგობა დიდი ბოროტებაა. საბავშვო დაუცვლობათა თითქმის სამოცდაცამეტი პროცენტი და ბავშვთა დანაშაულის ოთხმოცდათხუთმეტი პროცენტი იმ ბავშვებზე მოდის, რომლებსაც წილად უმამობა ხვდათ.

გერმოგენმა არც ბებიაჩემის გულისწყრომით აღსავეც შეძახილებს მიაქცია გურადლება, არც შეცბუნებულ კოლიას დარცხვენელ ღინილს, არც კასიანეს ამკარა ხმამაღალ სიცილს, და დააბოლოვა:

— ჩემი აზრით, მოტყუებული ქალიშვილის მამას სრული უფლება აქვს საჩივარი აღძრას სასამართლოში; თუ მას ეს ჯერ კიდევ არ განუზრახავს, მაშინ თვითონ მე ვიზრუნებ, რომ ზუპარი თუ წერილობით ფორმით ჩემი აზრი მას ვაცნობო.

— ესეც ჩვენი გერმოგენი! ბისმარკია, ბისმარკი და არა გერმოგენი!

თვით გამხიარულებული კასიანეც კი სავგონებელში ჩაავლო ასეთმა დაბო-

ლოებამ. სული რომ მოითქვა, ფერშალს გესლიანად მიმართა, —
— უჩივლოს, უჩივლოს სასამართლოში. თვითონ ბესოს უფრო ძვირი დაუჯდება.

— ბესარიონის პიროვნება ჩემთვის ზედმიწევნით ცნობილია, — არ შეცბუნებულა, ისე უპასუხა ფერშალმა კასიანეს, — მაგრამ ამჯერად სიმართლე მის მხარეზეა.

— ცული ამბავია, ლაღო! — შესძახა კოლიამ.

— არა, სასამართლომდე საქმეს არ მივიყვანოთ, — შეძრწუნდა ბებია.

გამომშვიდობებისას გერმოგენმა ბავშვსმული თავაზიანობით დაუკრა თავი ბებიაჩემს და წავიდა.

ერთს წუთს ვველა მდუმარედ ვიყურებოდი კარისაკენ.

— გაიგონე? — ბებია ელოდა ჩემს პასუხს.

— მეცოდება მოხუცი, — ვთქვი მე, — თუმცა თვითონაც დამნაშავეა, მაინც მეცოდება.

— ეს რომელი მოხუცი გეცოდება?

— რომელი? რომელი და შენი ძმა.

— არა, მე აფრასიონზე არ ვლაპარაკობ, — განა ახლა მისი დარდი მაქვს?!

— ნუ გეშინია, თებრონე! — შეეცადა მის დამშვიდებას კასიანე, — დამიჯერე, ბესარიონს ცეცხლზე უფრო პროკურატურისა ეშინია.

— ასეა, — კვერი დაუკრა კოლიამ,

— ზუსტად ასეა. მე ვიცი, ეს ასეა.

— არა, სასამართლომდე საქმეს არ მივიყვანოთ, ლაღო! ღმერთმა დაგვიფაროს.

— პირდაპირ მთოცებს, ასე როგორ შეგაშინათ ამ ძველმა მოკინკლავემ, — გავიკვირე მე.

— ლაღო! — წამოიძახა უცებ კოლიამ და ტახტიდან წამოხტა, — რა იქნება, რომ დაეასწროთ.

— ესე იგი, როგორ? — ვერ გავიგე.

— თვითონ ბესოზე რომ შეიტანო სასამართლოში საჩივარი.

კოლია ჩემს წინაშე თავს დამნაშა-

ვედ გრძნობდა, და ახლა ცდილობდა როგორმე ჩემი გული მოეგო: — უჩივლუ პიროვნებაზე ძალდატანებისათვის. არის ასეთი მუხლი, კარგად ვიცი, რომ არის...

მე გამეცინა.

— ო, არა.. არა მგონია, ბესარიონთან საქმე ისე გამწვავდეს, რომ სასამართლომდე მივიდეს.

— მართალი ხარ, ლადო! — მხურვალედ დამიჭირა მხარი ბებია, — რაც გინდა ქენი, სასამართლოსაგან კი ღმერთმა დაგვიფაროს.

ბებიას სიტყვა არ დამეთავრებინა, რომ ვილაყამ დამიძახა. შევკრთი და მაღლა ავიხედე, რადგან ხმა ზევიდან მოისმოდა. ბოსლის სახურავზე ჩიკო ნიორაძე დავიხანა.

— დიდი ხანია სახურავზე ზიხარ? — ვკითხე მე.

— იმ ხნიდან, რაც ავედი!

— სინდისი არა გაქვს?

ჩიკომ თავი გააქნია და მიპასუხა:

— ისე, როგორც შენ.

— მომეცი სიგარეტი.

ჩიკო ჩამოხტა სახურავიდან და გამარჯვებული კაცის უდარდელი ღიმილით სახეგანათებულმა, სიგარეტების კოლოფი გამომიწოდა.

— შენ წითური სიმონი გელოდება.

— სად?

— სახლში. პავლია შემხვდა და იმან მითხრა.

— რა უნდა სიმონს?

— შიდი და გაიგებ.

— მე სიგარეტი ვავაბოლე, ნაფაზი დავარტყი და გამწარებით წამოვიძახე:

— გამოდის, რომ ყველა ჭკუაზე შეიშალა, ყველა, გამოუკლებლივ! თვით წითური სიმონიც კი.

19.

მაგრამ თურმე ტყუილუბრალოდ დავწამე ცილი სიმონს, ტყუილუბრალოდ მივიტანე მასზე ეჭვი. იგი ძალიან გულითადად დამიხვდა.

— გამარჯობა, ლადო, შემოდი, ძვირფასო! დიდი ხანია არ მინახავხარ.

მასპინძელი შემიძღვა ვრცელ ოთახში, რომელიც ძველ ქართულ კაფეზე იყო მორთული. აქ იდგა პატარა მიჩუქურთმებული მაგიდები ნარდით, ჭადრაკით და საოჯახო ალბომით; ოთახის შეაგულში — ვეებერთელა მაგიდა. კედლებზე გადიდებული ფოტოგრაფიები შეეჩარჩოებში, ზიჩის სურათის ძველი რეპროდუქცია.

ყოველ სახლს თავისი იერი, თუ შეიძლება ითქვას, თავისი ხასიათი აქვს. ჩვენი, მაგალითად, ასე გვეგონება მთლიანად მოგონებებშია ჩაძირულიო, ხოლო ეს? ეს მშვიდია, უბრალო, და არაფრით არ ჰგავს სიმონის აფორიაქებულ, არეულ-დარეულ კაბინეტს, რომელიც კანტორაში ყოფნის დროს ვნახე.

ახლა, როცა სიტყვა სიმონ თორაძეზე ჩამოვარდა, არ შეიძლება სინანული არ გამოვთქვა ერთი გარემოების გამო: მოხდა ისე, რომ ჩემს მიერ მოთხრობილ ამბებში სიმონი არსად გამოჩნდა, ყველაფერი უიმისოდ ზღებოდა. კანტორაში ჩვენი პირველი შეხვედრის შემდეგ, ძლივს სამჯერ თუ ვნახეთ ერთმანეთი, ძალიან ცოტა ხნით, და რამდენადაც მე კვლადაკვალ მიყვებოდი ამბებს, წითური სიმონი დარჩა ჩემი მოთხრობის ფარგლებს გარეთ. მწერალი, ჩემს ადგილზე, ასე არ მოიქცეოდა, გადაადგილებდა ეპიზოდებს, ოღონდ სიმონს დაეკირა მასში თავისი შესაფერი ადგილი, მაგრამ მე მოქანდაკე ვარ და არა მწერალი. და მე მოხარული ვიქნები, თუ შეეძელი ყველაფრის ისე მოყოლა, როგორც ნამდვილად ზღებოდა.

— აბა, დროა ანგარიში ჩამაბარო! — სიმონი პირდაპირ საქმეზე გადავიდა.

მოუწყვეი ჩემს ქანდაკებაზე. ნათქვამი რომ მოისმინა, სიმონი ანგარიშს შეუდგა, დაინტერესდა, რამდენ ხანს ვმუშაობდი გაუცდენლად და გამოსასვლელი დღეების გამოუყენებლად, რომ შესაბამისად გადაეხადა, ისე, რომ არც მე დავრჩენილიყავ ნაწყენი და არც კოლმეურნეობა დაზარალებულიყო. გამოიჩქვა, რომ ამის შესახებ სიმონს უკვე

ეფექტა, მოთათბირებოდა კიდევ კოლმეურნეობის თავკაცებს.

— გადავიხდი იმდენს, რასაც კარგ ბრიგადირს ვუხდით, რამდენსაც დებულვობს საქმიანი ბრიგადირი, რომელიც გათენებლადან დაღამებამდე ვენახში ფუსფუსებს... გადავიხდით ნატურით — სიმინდით, ღვინით, ყველაფერს ამას მანეთებზე გადავიყვანთ, და ნაღდ ფულს მოგართმევ. პა, რას იტყვი?!

— შენ უკეთ იცი, ბიძა სიმონ, მაგრამ მე ხომ თავიდანვე ვითხარი, არაა საჭირო ვადამიხადოთ-მეთქი.

— ასეთი რამე მეორედ არ გამავონო! — შუბლი შეიკუმუხნა სიმონმა, — არ გამავონო-მეთქი, უკვე ბავშვი აღარა ხარ, მოწიფული კაცი ხარ, ფულს პატივი უნდა დასდო. ჩვენ ღარიბები როდი ვართ. ამაში ეპვი ნუ შეგეპარება. ჩვენი ანგარიშით, სულ ათასი მანეთი მოგიწევს. მიიღებ ამ ათასს, როგორც ერთ კაპიკს, შენ კი ფიქრობდი... თუმცა გლეხები კი ვართ, მაგრამ არა ვართ ძუნწები.

სიმონი მეტისმეტად კმაყოფილი იყო თავისი საზრიანი გულუხვობით და არ იცოდა, რომ საქმე ეხებოდა შემოქმედების კიდევ ერთ პარადოქსს — მანეთებში ხელოვნების ნაწარმოების შეფასების შეუძლებლობას. მხატვრული ნაწარმოების შეფასების ცდა — ყველაზე დიდი პირობითობაა პოლიტიკონომიის ყველა პირობითობათა შორის; ამიტომაცაა, რომ ხელოვნების ისტორია სავსეა მხატვრული ნაწარმოებების გასაოცრად უსამართლო შეფასების ფაქტებით. ნუ ვიდავებთ თანამედროვეებზე — მათ დაფასებს შთამომავლობა, მაგრამ უფროსი თაობის მხატვრებს ახსოვთ, რომ ვიღაც გაქნილ ოსტატს, გერმანელი შტიუკეს მსგავს მოსაქმეს ყოველი თავისი უხამსი აღგვორიხისთვის შეეძლო მიეღო ათასჯერ უფრო მეტი თანხა, ვიდრე უიღბლო მოდილიანის ყველა თავისი შესანიშნავი ნაწარმოებისათვის. აბა, შეფასების რა კრიტერიუმზე შეიძლება ლაპარაკი!

მე მომიწონა სიმონის ბუხპალტერის

სიღიბილე და პატიოსნება, მაგრამ მე მიინც ვთქვი:

— მაღალი ტანის მქონე მეტი ღირს, ბიძა სიმონ!

უნდა გენახათ სიმონის გაკვირება, უფრო მეტი, მისი აღშფოთება.

— ბევრად მეტი? რამდენი მაინც? ორი ათასი? იქნებ, სამი?

— მე იმისათვის კი არ გუუბნები, რომ მეტი მივიღო. სულერთია, მე ერთ კაპიკსაც არ ავიღებ.

— აბა, მითხარი, რას აკეთებთ თქვენ ასეთ იშვიათს და არაჩვეულებრივს? სამი ათასით მე ჩაის მთელი პლანტაცია გავაშენე, იგი აურებელ შემოსავალს იძლევა, ხალხს კვებავს, კლუბს ინახავს, კლუბის ხარჯების ნახევარზე მეტს ის ფარავს.

— ჩვენ კი, რას ვაკეთებთ, ღმერთმა უწყის, არა? უფრო მეტს გეტყვი — ხელოვნების ნაწარმოების შეფასება მანეთებით იგივეა, რაც მანძილის გაზომვა კილოგრამებით...

სიმონი გაჩუმდა. ჰკვიანი, დაღლილი თვალებით შემომხედა, ჩაიცინა.

ერთხანს ჩაფიქრებული იყო, მერე მითხრა:

— ლაღო! შენ ჩემზე დიდ იმედებს ნუ დაამყარებ... მე ხომ აკადემიები არ გამოვიღია და შენს ფილოსოფიებში ბევრი არაფერი გამიგება. რაც არის, ეს არის: სამას მანეთს მოგიმატებ, გაკმაყოფილებს?

— არაფრის მომატება არ მინდა, ბიძა სიმონ, სულ ერთია, ერთ კაპიკსაც არ ავიღებ.

— მაშ, ზუთასი იყოს! ათასზეუთასი მანეთი, ლაღო! მომეცი ხელი... — მან მარჯვენა გამოიმწიოდა, მაგრამ მე თავი გადაქნიე.

— არა და არა, არ ავიღებ, ქანდაკება ჩემი სოფლისათვის მომირთმევია საჩუქრად. გარწმუნებ, ამაში არაფერი იშვიათი და უჩვეულო არ არის! არა ერთს და ორ მოქანდაკეს უჩუქებია თავისი ნამუშევარი კლუბისათვის, ან ქალაქისათვის, თავისი მეგობრებისათვისაც კი.

— ამას ჩაღიან აღზათ ისინი, ვისაც

ფული თავზე საყრელადა აქვთ, — შე-
მეკამათა სიმონი, — იქნება, შენც მდი-
დარი ბობოლა ხარ? მე ხომ შენი არა-
ფერი ამბავი არ ვიცი.

მე გავჩუმდი. თავი დაეხარე და დავი-
ნახე ჩემი დაჯღანულ-გაცვეთილი ფეხსა-
ცემლი, გამახსენდა ბუბუტისათვის გა-
დაუხდელი ბინის ქირა და სხვების ვა-
ლები, ძეგლის ქვები საფლავებზე და
დაუსრულებელი ხეტიალი შეკვეთების
საძებრად.

— მდიდარი ბობოლა! — ჩაეციინე
მე.

ჩანდა, მიხვდა, რასაც ვფიქრობდი,
მაგიდაზე ჩემკენ გადმოიხარა და სახე-
ში შემფოთებით შემომხედდა.

— რა იყო, ლაღო?

მე ხმა არ ამოვიღე.

— რა იყო, ყმაწვილო? ძალიან გი-
ჭირს?

ხელი ჩავიქნიე და უდარდელად
ვთქვი:

— არა, ბიძია სიმონ, არ მიჭირს. და-
ვამთავროთ ამაზე ლაპარაკი!

სიმონი დუმდა. მე მიყურებდა, ბო-
ლოს ესლა წამოიძახა:

— ვნანობ, რომ მაშაშენი ვერ მოეს-
წრო, რა ყოჩალი ბიჭი გამოხვედი!

მე გამეციინა.

— გინდა, იმდენი ქნა, რომ ცხარე
ცრემლით ამატირო?

— ღმერთმა დამიფაროს! უბრალოდ,
შევხარი შენს კარგ ყმაწვილკაცობას.

— ძალიან ნუ მაქებ, თორემ გავჯანჯ-
ლდები და ვაჭრობას დავიწყებ, — და-
ვემუქრე მე.

ჩვენ კიდევ დიდხანს ვუსხედით მაგი-
დას და ესაუბრობდით, როგორც კეთი-
ლი მეგობრები, ან ახლო ნათესავეები.
ვუამბე სიმონს ჩემს მუშაობაზე,
მძიმე, შემაწუხებელ შეკვეთებზე და
სერიოზულ გეგმებზე, სახელგანთქმულ
გამრეველზე და ბევრ სხვა რამეზე, რაც
გამახსენდა, ან სიტყვამ მოიტიანა.

სიმონმაც ზოგი რამ მიაშობო თავის
ცხოვრებაზე.

არ ვიცი, რა ვქნა, ბიძია სიმონ, რო-
გორ გადავეცე მკითხველს შენი ნაამბო-

ბი. შენ ხომ არამც თუ ამის დაწერა,
თქმაც კი ამიკრძალე. ვთქვით, შენც
ლი შენს სახელს, გვარსაც გამოვეცხადე
მაგრამ ვის მოვატყუებ ამით? რომელი
ჩვენთავანი არ გამოგიცნობს შენ? მთე-
ლი საქართველო იცნობს სიმონ თორა-
ძეს. „საკვირველი კაცი ხარ, ბიძია სი-
მონ!“ — ვუთხარი მას ჩვენი შეხვედ-
რის პირველ დღესვე. და ეს სავსებით
სწორი იყო. ახლაც ის სიტყვები გავი-
მეორე.

— შენ ჯერ ყმაწვილი ხარ, ბიძია! —
შემაწყვეტინა სიმონმა და მისმა ხმამ
რალაცნაირად ისე დაიზექა, რომ მე შე-
ვიმართე, როგორც კავალერისტი შეი-
მართება ხოლმე საყვირის ხმის გაგონე-
ბაზე, — აბა, რა იცი, შენ ჩემს ცხოვ-
რებაზე. გრძელი გზა გავიარე, გრძელი
და ძნელი გზა. მაგრამ სხენაირს არც
ვინდომებდი. რაც გამაჩნდა, აღამიანე-
ბისათვის არ მშურდა, რისი უნარიც
მქონდა, რაც შემეძლო, მთელ ჩემს
უნარს და ძალღონეს აღამიანებს ვახმა-
რდი. რა ქაპან-წყვეტასა და ვაი-ვაგ-
ლაშში არ ჩავვარდნილვარ, მაგრამ სა-
კუთარი ღირსება არ შემილახავს, ძლი-
ერისა არ შემშინებია, სუსტი არ დამი-
ჩავრავს. — თქვა და მაშინვე ტონი
შეიცვალა, — კარგი, ბიძიკო, ვიკმა-
როთ, საკმაოდ ვისაუბრეთ, ვიმსჯელეთ,
გავერთეთ, როცა ყურს მიგდებდი, აღ-
ბათ, გუნებაში ფიქრობდი, ამ წი-
თურ სიმონს, დაავიწყდა ჩვენებური კა-
ნონი და წეს-აღათო, ცალიერი ლაპა-
რაკით მიმასპინძლდებო.

— როგორ გეკადრებათ, რას ამ-
ბობთ?

— ლაღო, ლაღო!... ჩემი სიდონია,
თუმცა ამ ბოლო ხანებში ავადმყო-
ფობს, მაგრამ უსადილოდ სტუმარს არ
გაუშვებს. წავიდეთ, წავიხემსოთ. დაე-
ლიოთ თითო ქიჩა ღვინო.

ჩვენ გადავედით მეზობელ ოთახში,
კეთილ სიდონიას მშვენიერი სუფრა
გაეწყო. მართლაც გემრიელად ვისადი-
ლეთ.

სიმონის ნამშობი

— ჰო, ასე იყო ეს საქმე. მიირთვი, მიირთვი, თან ყური მიგდებ. აბა მე რა მთხრობელი ვარ. ისე, უბრალოდ, სიტყვამ მოიტანა... ღვინო გასინჯე... ჰა, რას იტყვი? ცხენი მყავს ერთი, მერცხალას ვეძახი. არ გინახავს? წაბლავ. გინახავს ალბათ. შეილიშვილია ჩემი ძველი მერცხალასი, იმ მერცხალასი, რომელთანაც ერთად კოლმეურნეობას ვაყალიბებდი. ნუ იცინი, ზუსტად ასეა, ჰო, მასთან ერთად... გასაოცარი ცხენი იყო! მის სახსოვრად და მოსაგონებლად მის ჩამომავალს ვინახავ, ვუფრობილებდი და ვეფერებდი. ის კი მართლა მერცხალასა ჰგავდა. — შავრა, თეთრი მკერდით. მის ჩამომავალს ფერი გამოეცვალა, სულ ერთია, მე მიინც ახლანდელსაც მერცხალას ვეძახი. მოხდება ხოლმე, როცა საქმეებს თავს ავართმევ, მოვახტები სწორედ ამ მერცხალას, უნაგირზე, წინ, ჩემს შეილიშვილს, პაწია გოგონას შემოვიხვეამ და გავსწევ ყანების და ბალ-ვენახების შემოსავლელად. მივდივარ და გავცქერი იქაურობას, არავის ვეჩხუბები, არც რამე მითითებებს ვაძლევ... გოგონა რალაცას ჰიკიკებს, ან მღერის, მე კი სულგანაბული ვუსმენ.

სულ ახლანან ასე შემოვიარე ჩვენი მინდვრები. დარიანი დღე იდგა, კაშკაშა დღე. ვენახისათვის ასეთი ამინდი უნდა ინატრო. მეც სწორედ ვენახებისაკენ ვაფრთხივ. ყურძენი უკვე მწიფდება, ზერებამდე ერთ კილომეტრზე პაერი ისეა სიტკბოთი სავსე, რომ ყელში გიღიტინებს, თანაც მზე აცხუნებს. ერთი სიტყვით, საჩვენო ამინდია. შენ გარედან მოსული კაცი ხარ და არ იცი, ჩვენ არასოდეს უქმად არ ვატარებთ დროს და არც გულზელდაკრეფილები ვართ: ახალი ნაკვეთები ავითვისეთ. თითქმის ორმოც ჰექტარზე ზვარი ვავაშენეთ. იქ ვაზი უკვე ჩვილი როდია. ფესვი გაიდგა. დგას როგორც ყმაწვილი, ნორჩი, წვრილკანჭებიანი. ფოთლე-

ბიდან მტევენები შავად იყურებიან. ცხენიდან ჩამოვბტი, ჩემს გოგონა ვენახში შევეშვი, ყურძენით პირის ჩასატკბარუნებლად. თვითონაც უკან მივეყვი, გამჟვირვალე, კაშკაშა ჰაერია. ირგვლივ სრული სიჩუმეა, ჩანს, შორეული მიდამოები. ბავშვობიდანვე მიყვარს დამდეგი შემოდგომა, აპრილის თვეც მიყვარს... ვხედავ, გორაზე ჩვენი ნახირი ბალახობს, ქვემოთ ჩვენი მდინარე მოშხუის. ირგვლივ ყველგან ყურძენი მწიფდება. ვენახში ჩემი გოგონა დარბის, მწიფე მარცვლებს არჩევს და იცინის, ტიკტიკებს — სხვის ვენახში ბავშვებს ყურძენი უფრო ტუბილი ჰგონიათ... ასეთია ცხოვრება, ჩემო ბიძიკო! მეუბნები, საკვირველი კაცი ხარო! არაფერი საკვირველიც არა ვარ, რაც დავიმსახურე, სამაგიეროც მივიღე. ცხოვრება კაცს არაფერს დაუკარგავს... შენ რომ მოგიწვიეთ, გამგეობის სხდომაზე ვილაცამ წინადადება შემოიტანა, მოქანდაკემ შენ გამოგზატოსო; მე გამეცინა და რა თქმა უნდა, უარი ვუთხარი. ცხოვრებისგან მე ძველი, უფრო სწორად, ისეთი კარგი სახსოვარი მაქვს, რომ ვერც ერთი მოქანდაკე ვერ მოიგონებს. არ გინდა ნახო? თუ დაინტერესდები, მდინარეს აღმა აპყევი. ადი, სულ მალა და მალა, კილომეტრნახევარით გამორდი იმ ადგილს. დევის ნაკვალევს რომ ვეძახით. იქ ერთი დიდი ცაცხვი დგას, ხომ იცი! მიდი იმ ცაცხუთან, მდინარის მარცხენა ტოტის მხრიდან კაცის სიმაღლეზე ხეს ქერქი აპყერი.. სწორედ იქ მოხვდა ხეს ჩემზე დამიზნებული ტყვია. მეორე კი მე მომხვდა. დათვზე სასროლად იყო ჩამოსხმული. ეტყობა ძალიან არ ვუყვარდი მონადირეს. დამემბულზე მესროლა, ბინდბუნდში, მარცხენა ნაპირიდან, ვინ იყო, არ ვიცი, შეიძლება ჩემი მეზობელიცაა და ახლა კოლმეურნეობაში მუშაობს. იქნებ, კულაკიც იყო, ახლა, ალბათ, უკვე დაბერებულია.... რა ვიცი, ვინ არ დამარწო-

და მაშინ ჩვენს ტყეებში! ორნი ისროდნენ, ერთიმეორის მიყოლებით, ან ერთი — ორლულიანი თოფით. პირველი გასროლის ხმაზე შევეტრიალდი და მივეჯექი. მეორე გასროლა კარგად ვერ გავიგონე, ოღონდ ისე დამარტყა ბეჭში, წამაქცია. გულაღმა დავეცი, ხელებით პაერს ვებლაუტებდი, წამოდგომას ვცდილობ, მინდა მარცხენა ნაპირი დავინახო. — შეჩერდი! — ვყვირი, — მეჩვენე, თუ ვაქცაი ხარ! რას დაგენახებდა, ჩმაკრინტი არ ისმის.

მერე აღარაფერი მახსოვს. არ ვიცი, რამდენ ხანს ვეგდე. როდის-როდის გონს მოვედი. ცხენის ფრუტუნე ჩამესმა. მერცხალაა — ფიქრობ. ძალა კი აღარა მაქვს, ყველაფერს ვხედავ, ვგრძნობ, მაგრამ არაფრის თავი არ მაქვს. ვკვდები, გაიგე? უცნაური ფიქრები მომდის. არ მეცოდება, არც დედა, არც მამა, ერთადერთი დაც კი არ შებრალებდა. სიდონიაც კი არ მეცოდება, თუმცა მაშინ ძალიან მიყვარდა. ჩემთვის სულერთია ყველაფერი, ვკვდები. დაე, აგრე იყოს, მოხდეს, რაც მოსახდენია. ვნებდები, თუმცა სიკვდილი ჩემს თანხმობას არ საჭიროებს, უბრალოდ, გულზე შებლაუტება და მტანჯავს, მაწამებს მანამდე, ვიდრე გული არ შემოდინდება. მერე ისევ გონს მოვდივარ და ისევ თავიდან იწყება ყველაფერი. არაფრის თავი არა მაქვს. გაგონილი კი მქონდა, მაგრამ ასეთი რამ ჭერ არ მენახა: წარმოიდგინეთ, ჩემი მერცხალა, ჩემი ჰკვიანი მეგობარი, ჩემს გვერდით ქვებზე წევდა, ზურგს მიშვერს... მე კი გული არ მიმიწევს, ჩემთვის სულერთია. მაინც ვცდილობ წვალებით შევახოხნდე ზურგზე, ოღონდ უზანგებში ფეხები ვერ შევდგი. წამოდგა მერცხალა, მდინარეზე ფონით გავიდა, და მერე რანაირად წამოვიდა, ლაღო! წყლით საესე ჭიქა უნაგირზე რომ დაგედგა, წვეთი არ დაიღვრებოდა. მდინარიდან გავიდა. გორაკისკენ მაღლობს შეუდგა. გზა არც ისე მოკლეა. მაგრამ ის მშველის, რომ ახლა მიზანი მაქვს — არ გადავარდე უნაგირიდან. ცხენის კისრი-

დან მონაბერი ოფლის სუნიც ცხვირში მცემს, და საკვირველია, რომ მერცხალა ვეს მმატებს. არ ვიცი, ვმართავდი თუ არა ვმართავდი აღვირით ცხენს, ალბათ, როგორღაც ვმართავდი, რადგან მერცხალამ სწორედ საპირო ადგილს მიმიყვანა, მინადორას ქოხში. ალბათ, იცი, მინადორა-ექიმაში სწორედ იმ უბანში, სოფლის განაპირას ცხოვრობს. პოდა, ამ მინადორასთან მიმიყვანა. რა დანაშაულია, არ ვუყვარდი ამ ქალს, ახალი ხელისუფლება არ ეპიტნავებოდა, მაგრამ მომარჩინა, მკერდიდან ტყვია ამომიღო. მეორე ტყვია კი იქ დარჩა, პატარა კუნძულზე, ცაცხვის გულში. ის შემდეგ აღმოვაჩინე, როცა გამოძიებას ვაწარმოებდი. მას აქეთ იმ ცაცხვთან ისე ვარ, როგორც ძმობილი, ძმადნაფიცი, ერთი თოფიდან ნასროლი ტყვიებითა ვართ ორივენი დაჭრილი. შენ, ლაღო, მიირთვი, ბიძია! მაშინ რა არ ხდებოდა!

ასე იყო ეს საქმე. სიტყვამ მოიტანა და მოგაყვები... ერთი რამ უნდა ვითხრა მინადორაზე: თითქმის ორმოცი წელიწადი გავიდა მას მერე, მინადორა მარტოხელა მოხუცი ქალია, ქმარი არ ჰყავს, არც შვილი, არც ძირი. სანიტარულ-სამედიცინო დაწესებულებებისაგან შევიწროებულს ერთხლაც არ უთხოვნია ჩემთვის დახმარება. ხასიათია, ბიძია, ხასიათი, პიროვნება! ყოველთვის, როცა კი შემხვდება, ქულს ვუხდლი... შენც ასე მოექეცი.

დამშვილობებისას სიმონმა მაინც მკითხა.

— ეს რა დავიდარბას გადაეყარე ამ ნიორაქებთან? უნდათ ნუცა შეგრთონ?

— ჯანდაბას მაგათი თავი! ისე მომიწყვდიეს, როგორც ნადირი!

— ჩემდა თავად, აი რას გეტყვი, ლაღო: არ იქნება ურიგო, თუ შეირთავ. ისეთ ჭორწილს გადაგიხდი, რომ ამბავი მთელ იმერეთს მოედოს. შენც ძალიან გამოგვადგები, ლაღო! დაგვეხმარები გაეალამაზოთ და დავამშვენოთ ჩვენი სოფელი. რამდენადაც ვიცი, ნუცაც სანაქებო გოგოა.

— არა, ბიძია სიმონ! ახლა მე საქორწილოდ არ მცალია. ესეც არ იყო, რა დროიდან დაიწყეთ თქვენ ქალიშვილების ამ წესით გათხოვება! ნუცასა და ჩემს შორის, გეფიცები, არაფერი არ ყოფილა. ახლა, ბიძია სიმონ, შენთან ერთი სათხოვარი მაქვს. თვითონ ხედავ, რა დღეში ჩამაგდეს. თუ მე უცრად სოფლიდან წასვლა მომიხდეს, გეხვეწები, სადმე ათ ფუთამდე თაბაშირი იწოფე და ოსტატი დაიქირავე ქანდაკების ჩამოსასხმელად. კარგი? გადაუხადე ჩემი თანხიდან, რამდენიც არ უნდა გათხოვოს. უფრო მონდომებით გააკეთებს.

სიმონისგან ცოტათი უფრო დამშვიდებული ვბრუნდებოდი.

შინ რომ მივედი და ჩემი სახელოსნოს ზღურბლს გადავაბიჯე, დავინახე ტახტზე ახალგაზრდა კაცი იწვა, თავქვეშ ხელეში ამოედო და რაღაც უცნობ ნელოდისა უსტვენდა. ბუნდოვანმა ეჭვმა გამკრა.

ჩემს დანახვაზე ახალგაზრდა კაცი მკვირცხლად წამოდგა.

— სალიუტ, ძვირფასო! სად დაიკარგე.. ამდენ ხანს გიცადე, შენს თხას პატარა ინტერვიუ ჩამოვართვი, რომ არ დამძინებოდა, — ეს მან თქვა რუსულად, მსუბუქი, უფრო ბალტიისპირული, ვიდრე ქართული აქცენტით.

ბოსელში საკმაოდ ბნელოდა და ამიტომ ბუნდოვნად ვხედავდი მის სახეს.

— შენ ვერც კი მიცანი. ვაი-ვაი-ვაი, და მან კუთხისაკენ გაიწია, სადაც თხა იყო პალოზე მიბმული, ჩაცუქდა მის გვერდით, კისერზე ხელი მოხვია, მერე ადგა და გამომეჭიმა — თორნიკე ვახლავართ, ძე ბესარიონისა და ძმა ნუცასი.

მე გაეშტერდი, დავიბენი. თუმცა კაცმა რომ თქვას, რა იყო აქ მოულოდნელი. თორნიკეს დიდი ხანია ელოდნენ, შეიძლება ითქვას, გული გადაელიათ მის მოლოდინში. ორი თვის განმავლობაში მხოლოდ ეს ერთი-და მესამოდა: „თორნიკე ჩამოსვლას აპირებს, თორნიკე ჩამოვა!... თორნიკე გამოემგზავ-

რა“, და აბა, ჩამოვიდა კედელი მოულოდნელი აქ არაფერი იყო აღჩემოვებს უცებ ნათელი გახდა, რომ მთელი ჩემი თავგადასავალი შემთხვევითობათა და ანეკდოტთა უთავბოლო გადახლართვა კი არ არის, რომ იგი მოძრაობს მწყობრად და წინასწარ მოფიქრებულად, ექვემდებარება რა ჩემთვის უცნობ რაღაც ჩანაფიქრს. ეს შეგარძნება, არც თუ სასიამოვნო, ესეთი იყო, თითქოს ბანაობის დროს ჩავითრია მდინარებამ, რომლისგან თავის დაღწევა შეუძლებელი ჰქონდა. ერთი სიტყვით, როგორც ძველი რომაელები ამბობდნენ, მორჩილს ბედი წინ მიუძღვის, ურჩს კი მიათრევს.

ეს ლათინური ფორმულა ჩემს შთაბეჭდილებებს უფრო მოგვიანებით შევუფარდე. მაშინ კი, სახელოსნოში, როცა ჩემი ქანდაკებისათვის ფარდა უნდა ჩამომეფარებინა, მე ვიგრძენი, რომ როგორღაც შებოქილი ვიყავ და ვღელავდი. ბოლოს, როგორც იყო, ჩემს თავს მოვერიე და უდარდელი კილოთი ვუთხარი:

— მაშ, თორნიკეს გაუმარჯოს! აბა მეჩვენე სინათლეზე! ეს რაა, შენი სახელით ბავშვებს აშინებენ, — და ამ სიტყვებით ჭერქვეშ ნათურა ჩავრთე.

— ბავშვებს აშინებენ? — უეცრად ანთებულ შუქზე თორნიკემ თვალელები მოჭურტა და მხიარულად გაიცინა, — შენ ხომ არა ხარ ის ბავშვი, ჩემი სახელით რომ აშინებენ?

— ქართული დაგავიწყდა, თუ პრაქტიკა არ გქონია?

— ქართულად მერე გეტყვი, ორიოდ სიტყვას, თუ არ გეწყინება, — თორნიკემ თხას ყური მოუხრისა, მერე ყვირთელ თვალელებში ჩახედა, შემობრუნდა და საყვედურის კილოთი მითხრა: — რით აეხსნათ, შინ დაბრუნებას რომ არ მილოცავ! ასე აზრდაფანტული კაცი ხარ, ვინმემ უნდა გაიკარნახოს, ჩაგჩურჩულოს, გაგახსენოს? ოხ, ეს მხატვრები, ოხ, ეს ქაბუკი გენიოსები! ამ შენს თხას უკეთესი ბიუსტპალტერი ვერ უყიდე?

— როდის ჩამოხვედი? — ვკითხე მე.



ვაკვირდები სტუმრას, თორნიკე მომცრო ტანისა ყოფილა, ნუცაზე მალალი არ არის, ხმელ-ხმელი, პირველი შეხედვით სუსტი და უღონო გეგონებოდა, სამაგიეროდ რა სახე ჰქონდა — დარღიმანდული, ბოშასავით შავი, ოდნავ გადმოკარკლული, ნათელი, უტიფარი და ალერსიანი თვალები. ოდნავ ღრმად შეჭრილი თვალის უკუები მის სახეს მედიდურ და სასტიკ გამომეტყველებას აძლევდა:

„ძალიდშვილო! — გავიფიქრე შენით, — რა ძალამ მოგმადლა ასეთი სიფათი?“

ხმამალა კი ეს ვუთხარი:

— დაქეცი, თორნიკე, რა ჭკუაა ფეხზე დგომა ყველა ნათესაზე უფრო აღრე შენ მოხვედი. რაშია საქმე?

— საკითხს ნუ აჩუქებ, ხელოვანო! თვითონ კარგად იცი, რაშიცაა საქმე.

— ვასაგებია, — თავი დავუქნიე მე, — რაკი ასეა საქმე, ნითხარი რაიმე ახალი, უკვე აღარ შემიძლია სულ ერთი და იგივე ვისმინო.

თორნიკე გაჩუმდა და ინტერესით შემომხედა:

— აბა, რა გითხრა ახალი და ისიც, ასე ერთბაშად. მე ხომ სანატორიუმიდან არ დავბრუნებულვარ. ლადო, მკითხე, სად ვიყავი, კარგად გვაშიდი, თბილად და ტკბილად შეძინა თუ არა? იქნებ ჩემს ნათქვამში მანაც იყოს რაღაც ახალი!

— მაპატიე, თორნიკე, მაგრამ ეს ერთი ხანია, ზრდილობიანი მუსაიდის თავი აღარა მაქვს. რას სჭამდი და ვისთან გეძინა, ეს შენ სახლში, შენთან გეძინა მოუყევი. ახლა კი თქვი ის, რაც სათქმელი ვაქვს.

— დახედეთ ამას! როგორ დაუქოქიხართ. თითქმის ბოლომდე, — კმაყოფილებით აღნიშნა თორნიკემ იმ მესაათის კმაყოფილი კილოთი, რომელმაც მეჭანისის საიდუმლოს მიავნო, — თითქმის ბოლომდე, — გაიმეორა მან, — მერე მოულოდნელად მთხოვა:

— მაჩვენე ჭანდაკება, ხელოვანო!

— რად გინდა!

— იქნებ გინდა, ჩვენი მშობლიური ტიოსან მშრომელებს უნიკო ხალტურა შეატყუო. გამოგამკადანებ, იცოდე, არ დაგზოგავ!

— ვხედავ, სანატორიუმში დრო ტყუილად არ დაგიკარგავს, ხელოვნებათმცოდნეობაში ვაწაფულხარ, — გავიციე მე, — სჯობდა ცოტა მაინც დავსვენე ნამგზავრს. მართალ სანატორიუმიდან ხომ არ დაბრუნებულხარ, მამაშენს სრულიად არ ეცოდებია?

თორნიკემ ისევ გაიცინა. იცინოდა ბავშვივით, ამჩატებულად და მზიარულად.

— ღვთის გულისათვის, ითხოვე ნუცა, ლადო! ვნატრობ, ასე სათუთ და მოყვარულ ნათესავს.

ვიღრე ჩვენ ვლაპარაკობდით, ვაკვირდებოდი თორნიკეს სახეს და კარგად შევამჩნიე მისი თავისებურება, ამ კაცის სახეს ორნაირი გამომეტყველება ჰქონდა. ერთი იყო უცვლელი: თვალებში და ტუჩის კუთხეებში ჩასახული ღიმილი, რომელიც მზადაა იქცეს სიცილად; მეორე გამომეტყველება, რომელიც როგორღაც შეთავსებოდა პირველს, ყურადღებას, გაოცებას, დანტერესებას გამოხატავდა.

— რა საქმეს ფიქრობ მოკიდო ხელი? ისევ ცირკს დაუბრუნდები?

— არ ვიცი... ჭერ ამაზე არ მიფიქრია.

— რას აკეთებდი იქ, ამ ორი წლის განმავლობაში?

თორნიკემ მხრები აიჩეჩა და დაუსტვინა.

— არ გინდა, კინოსტუდიაში მოგაწყობ?

— ოო, ეს დიდებული იქნება, — თორნიკემ წამოიწია, — სულ ამას ვუჩიზინებდი ჩემს თავს, ლადოსთან არ დაიკარგები-მეთქი.

— შენც იტყვი, რაღა!

გვრძნობდი, რომ ამ შფოთისთავს, მოჩხუბარს, ცირკის მოჭირითეს ჰქონდა რაღაც თავისებური მომხიბვლელი-

ბა. ნეტა რისთვის ამოაყოფინეს მას თავი ციხეში?

სოფელში რამდენიმე ვერსია გავიგონე. ერთი ვერსია: თორნიკეს ღამით სავაპრო ფარდული გაეტეხა და სამი ბოთლი არაყი წაეღო. მეორე ვერსია: აყალმაყალი ატეხა ვაგზლის რესტორანში. მესამე — ცირკის თავლიდან ცხენი გაიტაცა და გასტროლოიორი მომღერალი ქალის ფანჯარასთან დააქენებდა, რასაც მთელი აურზაური მოჰყვაო. სამივე ვერსია გამორიცხავდა ერთიმეორეს, მაგრამ სამივე იმასაც ნათლად გვიჩვენებდა, თუ რა აზრის და შეხედულებებისა იყო სოფელი ამ კაცზე.

— გულწრფელად მითხარი, რისთვის დაგიკირეს? აქ, სოფელში, რას არ იგონებენ და ჭორიკანობენ!

— ვითხრა? — გაიმეორა თორნიკემ და გაიღრიალა, — არა, ლადო, არ გეტყვი. დაე, ხალხმა ილაპარაკოს, რაც უნდაო, — თქვა და ხელი მხარზე დამადო. ერთი წამით რაღაც შინაგანმა აგზნებამ დაავიწროვა მის მოციხნარ თვალთა გუბები.

— მხატვარო, ამიხსენი, შენი ჭირიმე, რას მივაწერო ის, რომ ვერც გაქცევით გაქცეულხარ აქედან და ვერც ცოლს თხოულხარ! — უცებ მას სიცილი წასკდა, — აი, ჭკუით სავსე გოგრა! თავს ვიმტვრევ. და ვერ გამოვივა, რას დამჯდარხარ ერთ ადგილზე. დაბმული ხომ არა ხარ?

— მე ჩემს სახლში ვარ, თორნიკე, მინდა წავალ, მინდა სულაც აქ დავრჩები.

— ტყუილს ამბობ, ლადო! — სიცილით თქვა თორნიკემ, — რომელ სახლზე ლაპარაკობ. ეს ბაბუაშენის სახლია და არა შენი!

— ცუდი ბიჭი არ ხარ, თორნიკე, მაგრამ სულსწრაფი კი ყოფილხარ! ჭერ არ მოსულხარ და ყველაფრის დათვალიერება მოასწარი.

— ახალი კაცი უფრო ხედავს.

— აბა, რა დაინახე ახალი თვალთ?

თორნიკემ ცხვირი შეიკუმხნა და წყენით თავი გაიქნია.

— მე ვხედავ, შენ ძაან კონტაობ და თავმომწონედ გიკირავს, თანე მამაჩემი კი უკვე დაბერებულაა! შეკლავენ ქალს ერჩის. შენ, მართალია, ახალგაზრდა ხარ, მაგრამ რად ვინდა? ვდინხარ როგორც დონდლო რუმბი და საწყალ გოგოს სისხლს უშრობ.

— კარგია, რომ ჩამოხვედი, — ახლა ყველაფერს ფიცხლად მოაწესრიგებ.

თორნიკე ჩემს წინ გაჩერდა, მომციხარი თვალებით შემომხედა და მითხრა:

— რა კარგი ვინმე ბრძანდები, რა თამამი, მშვენიერი ჰაბუკი და თან რა განებივრებული! შეგისვეს მხრებზე და დაგატარებენ. საცოლედ ქალიშვილსაც გთავაზობენ, ლამაზს, ახლადმოწველილ რძესავით უმანკოს, კარგ ოჯახიშვილს, — მდიდარი მზითვევით. ეს ვაფხატონი კი ინახება, თავპატიეს იღებს — კიდევ და კიდევ მთხოვეთო. ასეა ხომ, ლადო?

— ასეა, თორნიკე, ზედ წერტილში მოარტყი.

— ხედავ, რა ზუსტი მსროლელი ვარ. სახლში არ უნდა შეეშვიო. მაშინ შენ თვითონ დაიწყებდი ზეწუნას, მიკადრეთო.

— ეს უკეთესი იქნებოდა!

— კიდევ გეტყობი, ლადო, როგორც დაგპირდი, ორ სიტყვას კიდევ დაეხმებები, მაგრამ შემდგენისათვის გადავდოთ. დღეს მე არა მცალია, თვითონ კარგად იცი, ეს არის ახლა დაგბრუნდი პატიმრობიდან. შშობლებიც კი არ მიწახავს ზეირიანად.

— მეც ხომ გეუბნები, წადი დაისვენე, ნამგზავრზე-მეთქი.

უცვლელი ღიმილი ერთი წამით მოსცილდა მის სახეს.

— უკმეხად ნუ მელაპარაკები, მხატვარო! არ გეშინია, უცხად რომ გული მომივიდეს? უფრო მეტი გულისყურით მოუსმინე ჩემს სიტყვებს: მე არა მართო მამასთან, ნუცასთანაც მოვასწარი ლაპარაკი. შენ რომ ნაძირალი ყოფილიყავი, თორნიკე ნიორაძე შენთან ასე არ გამოცხადდებოდა. ეს შენც იცი. რაკი შენ ნაძირალა არა ხარ, მე ვადაეწ-



ყვიტე შენი შანსი შენვე დავიტოვო. ამ თამაშში მე განზე ვდგები. ყური მიგდე: სოფლის საბჭოს მდივანი თამარი ახლა აქ არ არის, თავისი მამამთილის დაკრძალვაზეა წასული. ხვალ თუ ზეგ ჩამოვა. მანამდე შენც მოიცადე, მერე კი უდავოდარაბოდ, ხელპირი დაიბანე, თბა დაივარცხნე, ჩაიცვი, დაიხურე, და ვასწი სასოფლო საბჭოში.

მე ვლუმდი და ველოდი, რას იტყოდა კიდეც.

— არადა, ძალით მოუბღებათ შენი წაყვანა, — განმარტა თორნიკემ, — თუ ფეხით წასვლას ვერ შესძლებ, საკაცით წაგიღებენ, გაიგე?

— გავიგე, რა არის აქ გაუგებარი?!

— ეჭვი არ შეგეპაროს, ეს ასე მოხდება!

— არა, ძვირფასო, რა არის აქ საეჭვო?

— კეთილი და პატიოსანი! ახლა შენი სვლაა, ოღონდ ჭერ კარგად დაუფიქრდი. ხიფათში თავი არ ჩაიგდო.

თორნიკე ჩემთან მოვიდა, მოულოდნელად ქართულზე გადავიდა და ამოოხვრით მითხრა:

— ტყუილად ელოდი, ძმაო, ჩემს ჩამოსვლას, ტყუილად. ვაი თუ ორივეს სასიანულოდ დაგვრჩეს ეს შეხვედრა!

20.

გვიან საღამოს ბებია, როგორც ყოველთვის, შემოვიდა ბოსელში, რძიანი ჭურჭელი მაგიდაზე დადგა და ერთხანს, თითქოს რაღაცას ყურს უგდებდს, დაფანტული სახით, მიყურებდა. ჩემს კითხვაზე, რა მოხდა-მეთქი, თვალები დაახამხამა და ხელით ფანჯარაზე მანინა.

— იქ ვიღაცეები არიან.

— სად იქ?

— ჩვენი ეზოს ირგვლივ სახლიდან გარეთ გამოვედით.

— ფრთხილად, ლადო! დამიცადე, ჭრაქს მაინც ავანთებ!

აღმოჩნდა, რომ ჩიკო ნიორაძეს შეუგროვებია თავის კუთხის ვიგინდარა ბიჭ-ბუჭები და ალყა შემოურტყამს ჩვენი სახლისათვის.

— ნაბრძანები გვაქვს დაეცვათ თქვენი მყუდროება, მშვიდი ძილი, — დამცინავი ღიმილით აგვიხსნა ჩიკომ, და, დინახა რა ანთებული ჭრაქით ჩვენკენ მომავალი ბებია, აჩქარებით დაუმატა: სამმა ბრიყვმა თან თოფებიც მოათრია, ასე რომ, სისულელეებს თავი დანებე.

ეტყობოდა, ახლოვდებოდა კვანძის გახსნა, მონადირეთა ალყა, თანდათან უფრო მჭიდროდ და მიჭრით ახლოვდებოდა.

როგორც კი ბებიას დაეძინა, მე ისევ გარეთ, ეზოში, გამოვედი. გამოვიხმე ჩიკო მოლაპარაკების გასამართავად და მაშინვე წინადადება მივეცა, შინ გაესტუმრებია თავისი რაზმელები.

— ხალხი აღშფოთებულია, ლადო... ასე რომ, შენი წირვა გამოყვანილია.

— ახლავე, ამ წუთშივე გარეკე შენი ბიჭ-ბუჭები, თორემ იარაღი ჩვენც მოგვეძებნება, — ავუმალლე ხმას.

— აბა, აბა, ნუ სულელობ! მადლობა მითხარი, რომ ბიჭებს დრუნჩებზე საცხვირეს არ ვხსნი.

გავიდა ორი საათი და მე ისევ გამოვედი ეზოში. სიჩუმეში ისმოდა როგორ წყდებოდა ხეებს შეყვითლებული ფოთლები და როგორ ცვიოდა მიწაზე. იმერული შემოდგომის ღამე იდგა, მაკრის, კომშის და სიმწიფისაგან დამსკდარი ლეღვის სუნით აღსავსე უვარსკვლავო ღამე. სიბნელეში ისმოდა შეძახილები:

- შეჩერდი, ლაღო!
- აქედან ვერსად ვერ წახვალ!
- დაწყნარდი, ბიჭო!
- აქედან ბიჭს ვერ გადადგამ!

სწორედ მაშინ გადავწყვიტე გაქცევა. შევადგინე ვითონ რთული, ეშმაკური, მაგრამ მიამიტური გეგმა.

დილით ადრე წამოვდექი, მთქნარებით და ზმორებით გავედი ბებიასთან.

— დილა მშვიდობისა, ბებია! ოჰ, რა საკვირველი ხალხია ეს მეთევზეები! თუნდა ბუმბულის ლეიბ-საბანი დაუგე, ლოგინში არ ჩერდებიან, გათენებამდე დგებიან, მიდიან. საღ მიდიხართო, რომ შეეკითხო, ტივტივი გვიზიდავს, ანეკისი გვეძახისო.

ბებია როგორღაც უნდობლად მიყურებდა.

— რად გინდა დღეს თევზი? — ფრთხილად მკითხა ბებია.

— მეტი აღარ შემიძლია, მომბეზრდა შენი ლობიო!

— ისე ლაპარაკობ, თითქოს ლობიოს მეტს არაფერს ვაჭმევდე. საღა ვაჭვს სინდისი?

— გინდა კაცს ცოლი შერთო, ასეი და აჭამე მაინც ხეირიანად. — ეუთხარი მე.

მისი თვალების სიღრმეში იმედის გამომეტყველი მცირეოდენი ღიმილი ჩანისა.

— მოხვედი ჭკუაზე?

— აბა რა? — ვთქვი მე, — მეყოფა ამდენ ხანს მარტოხელა ზეტიალი. უცოლო კაცია — ნახევარი კაცია, როგორც შენ ამბობ ხოლმე. უკვე დროა მეორე ნახევარიც მოეძებნო.

ბებიას შეკმუხვნილი სახე სიხარულმა გაასხივოსნა. მე ჩემი თავის შემრცხვა კიდევ, ბებია კი მგალერხებოდა და მეფერებოდა, — მაღლობა უფალს, ეს რა ბედნიერი დღე გამითენდა, აბა მალე

ხელ-პირი-დაიბანე და სუფრას მიუჯექი. ცოტა ჭაჭას დაგისხამე სიმინეებისაფვის. რა კარგი ბიჭი ხარ, ჩემო ლაღო, რომ ასე ვამახარე და ვამაბედნიერეო.

მე მრცხვენოდა, მრცხვენოდა და გული მტკიოდა, თან მეცინებოდა კიდევ, მაგრამ ნახევარ საათში, ორი ანეკისით ხელში, ქვეით, მდინარისკენ წავიდი.

მერე აი რა მოხდა...

მე ვიჯექი მდინარის პირას და ვისროდი წყალში ანეკსებს. ყოველ ხუთ თუ ათ წუთში ახალ ადგილზე გადავიდი. ასე ნაბიჯ-ნაბიჯ მივიწვედი ზევით, მდინარეების მიყოლებით. თითქოს სჯობდა სათევზაო ხელსაწყოები გადამეყარა და მომეძურწა, მაგრამ ამას ვერ ვიზამდი, არც კი მჯეროდა, რომ თავი დაეაღწიე დევნას; რაც უფრო შორს მივდიოდი, ზევითყენ, მდინარეების მიყოლებით, მით უფრო ხშირ-ხშირად და უფრო შესწოთებით ვიშორებოდი გარშემო. რამდენჯერმე მომეჩვენა, რომ მდინარის პირას, ბუჩქებსა და ხეებს შორის გაიღვავს რაღაც ლანდებმა, მაგრამ ნისლიანი დილა იყო და ნისლში ჩაძირულ ხეებს შეეძლო მოგეტყუებინე.

არ მახსოვს, რამდენ ხანს ვთამაშობდი საკუთარ თავთან დამალობანას. გადარბენები უფრო ხშირი და გრძელი ხდებოდა. ვისროდი ანეკსს და არ ვაცლიდი საძირავს წყალში ჩაშვებულყო, უმაღლე ზევით ამომქონდა... მალე, სულ მალე ყველაფერს უკან დავტოვე; ნაფლეთებად დანაქუწებული ნისლი ზევით აცოცდა, მთის კალთებს შეეფარა, ჩემ წინ ისევ გაიღო ბუნების კარი, საოცრად მშვენიერი ხეობა, ნამისა და ნისლისაგან სველი ხეები, ცისფერ კლდეებს შორის მიმჩქეტარე მდინარე, უსარმანარი ლოდები.

მდინარის მორიგ მოსახვევზე, ასიოდ მეტრის დაშორებით, ქურანა ფაშატი, ბიძია სიმონის მერცხალა შევიცანი. ანკესები გადავყარე და სული მოვიტყვი.

ის, რაც შემდეგ მოხდა, დაუჯერებელია, დაუჯერებელი და სასაცილო. ის იყო ტირიფებიდან რიყის ქვებით მოფენილ ნაპირზე გამოვედი, რომ ჩემს უკან ბუჩქები გაცოცხლდნენ, ატყაუცნდნენ, გაისმა შეძახილები:

— სდექ!

— არ გაუშვა!

— დაიჭირე!

უკან მოვიხედე, დავინახე — ხალხი ჯგროდ მომდევდა. ვინ არ იყო ამ ბრბოში — ბიჭ-ბუჭები, ნუცას ხუთივე ძმა, ბონდო წვერაეა, პარმენ ორდოქიანი, აქსენტის ბიჭი, დომნა ინაშვილი, სოფლის დედაკაცები, და თვით ბებიაჩემი თებრონეც კი.

როგორც იქნა, მივირბინე ცხენთან და შევხტი: — აბა, მერცხალა, გასწი, გაფრინდი, გადამარჩინე, მაგრამ ცხენი ადგილიდან არ იძროდა. ერთ ადგილს ტყეპნიდა. დგამდა ერთბაშად ხან წინა, ხან უკანა ფეხებს, ძლივს იკაეებდა თავს, რომ მიწაზე არ დაცემულიყო. ბოლოს მივხვდი, რომ მერცხალა დაბორკილი, დუშაყგაყრილი იყო.

ხმაურით და აურხაურით ჩამომართივს ცხენიდან, ხელები ზურგს უკან გამიკავეს და წინ გამიგდეს, სოფლისაკენ მიმავალ გზაზე. გზადაგზა სხეებიც შემოგვიერთდნენ და ახლა მე უკან მომდევდა აყაყანებული და ძალზე აუგზნებული სოფლელების ბრბო.

აგერ მივადექით ყოფილი ბობოლას—რაქდენის ეზოს. ლოყებდაქლავა ბერიაცი კაკლის ხის ქვეშ იჯდა და უშმაკური ღიმილით შემოგვცქეროდა:

— ღმერთმა გიშველოთ, ბიჭებო, ეს ვინ დაგიჭერიათ?

— ინაშვილია, ლაღო! გაქცევას აპირებდა!

— მეტი არაფერი? მე ისევ განკულაყება დაიწყო-მეთქი! რამდენი ხანია მას შემდეგ და მე ასეთი ალიაქოთი აღარ გამიგონია!

— გეყოფა, ბერიაციო! დროა, შენებურ უხეირო ოხუნჯობას თავი დაანებო!

— უკვე კაი ხანია, თავი დავანებე! გავცდით რაქდენის კარმიდამოს და მალე ბრბომ ბესარიონის ეზოში შემავლო.



ბესარიონი სავარძელში იჯდა, მაგიდის წინ, უღვაშებს იგრეხდა. ამჯერად ეცვა დარბაისლური თალხი კოსტიუმი, პალსტუეცი ეკეთა:

— გამარჯობა, ჭაბუკო! — დამცინავმა ღიმილმა გადაურბინა სახეზე, მე შეეამჩნიე ეს ღიმილი, თუმცა მან პირზე ხელი მიიფარა.

— ესენი რას დგანან, გავიდნენ, — და მე გადაუხედე ახალგაზრდა ნიორაძეებს.

— რათ უნდა გავიდნენ? ცემას ხომ არ მიპირებ?

— ნუ გეშინია, — ეთქვი მე, — დაე, გავიდნენ.

— ნუ გეშინიაო, მეუბნები? — წაიფრუტუნა ბესომ და წარბების მოძრაობით ანიშნა ვაეიშვილებს გარეთ გადითო.

ჩიკო და თამაზი სიცილ-სიცილით გავიდნენ ოთახიდან.

— ესეც მიბრძანდეს! — მიუუთითე თორნიკეზე.

— წადი, თორნიკე. — უთხრა ბესომ. — როგორც ჩანს, ყმაწვილი მაგარ ლანძლვა-გინებას აპირებს.

სანამ ოთახიდან გავიდოდა, თორნიკემ მაგიდიდან მამის პაპიროსს დაატანა ხელი და მიმავალმა მე მესროლა.

— აბა, ხელოვანო, მარჯვედ, არ შედრკე!

და აი, დავრჩით მარტონი პირისპირ, მე და ბესო—ქურციკი და მგელი.

— დაჯექო, ლაღო! — და ფეხის კერით სკამი ჩემკენ გამოსწია. მერე უფრო ყურადღებით მომამტერდა და ჭიქაში წყალი დაასხა. — აჰა, დალიე! რამდენი ხანია, შენ გელოდები და ძლივს ველირსე შენს ნახვას.

— რა გინდა ჩემგან? — ვკითხე და მე თვითონვე არ მომეწონა ჩემი დაღლილი, ჩახრინწული ხმა.

— შენი ჭანმრთელობა და ბედნიერება მინდა, ლაღო!

— მე ჭანმრთელი და ბედნიერი ვარ. გმადლობთ. კიდევ რა გინდა?

— თუ შენ აქ იმისთვის მოხვედი, რომ კითხვები დამეყარო, სჯობია, ახლავე წახვიდე. გზა ხომ იცი, — და ბესომ მკაცრად შეავლო თვალი კარებს...

— მე ფეხს არ დავძრავ, სანამ არ გავიგებ, რა გინდა ჩემგან?

— ყური დამიგდე, ჭიუტო ქაჯო! — ბესომ ცოტა ხმას აუწია, — მითხარი, შენ რამეს გართმევენ? დამპარებული ღვინის შემოტყუებას ვიპირებენ? თუ დაამპალი პამიდორი უნდათ ბითუმად მოგყიდონ?

მის კითხვებს პასუხი არ მოპყოლია.

— მე შენ ჭალიშვილს გაძლევ, — ბესომ ხმას ისევ აუწია, — ერთადერთ ჭალიშვილს, ლამაზს, განათლებულს. ასწიე თავი, ნუ ჩამოგტირის სახე. ბესარიონ ნიორაძე შენ ერთადერთ ჭალიშვილს გაძლევს, გესმის ეს შენ?

— გმადლობ, მე არ ვაპირებ ცოლის თხოვას.

— არ აპირებ. აბა, ვინ გეკითხება შენ, აპირებ თუ არ აპირებ? — ბესარიონმა თვალები მოქუტა, თითქოს ვეღარ მხედავდა, თითქოს სურდა გამოეცნო საიდან მოდის ეს უცნაური ჩახრინწული ხმა, — შენ ვინ გეკითხება? ორშაბათს თამარი ჩამოვა და შენც ქორწინების აქტზე ხელს მოაწერ.

— განა არის ასეთი კანონი, კაცს ძალით ჭალი შერთონ!

ბესარიონმა, ბოლოს კარგად შემათვალიერა და ჩემს ცხვირწინ საჩვენებელი თითი დაქნია.

— შენ მე კანონს ცხვირში ნუ მჩრი,

აქადმიკოსო! შენ პროექტში ჩასახულიც კი არ იყავი, რატომ გეკანონებენ პირში ჩალაგამოვლებულლებს? ეტოვებდი. ისიც იკითხე, პატიოსანი ჭალიშვილების მოტყუების კანონი თუ არსებობს?

— როგორ? განა მე მოვატყუე შენი ჭალიშვილი? პატივი ავყარე?

— პატივი აპყარე? — ბესარიონი დამშვიდდა, აიღო პაპიროსი, მოსრისა, მუნდშტუკით კოლოფზე დააკაუნა და გააბოლა, — ასეთ შემთხვევაში, იცი, ჩვენში რას ამბობენ — „შენ ოჯახში კოკა გატყუდა?“ „არა, არ გატყენილა, მთელია“, „ხმა კი გავარდა“... გაიგე? ხმა გავარდა, აღამიანებს პირს ვერ აუკრავ!

მე ვიქეჩი მსრებდაშვებული და იატაკს დავყურებდი.

— რა დაგემართა, ასე როგორ მოეშვი... ასწიე თავი!

მე თვალები მოვხუჭე და თავი გავაქნე. უცებ ძილი მომერია. სამი დღის დაღლილობამ თავისი გაიტანა.

— მაშ ასე, ჩემო ლაღო, როგორც თქვენთან ამბობენ ხოლმე, შევაჯამოთ ახლა ეს ჩვენი ამბავი, შევაჯამოთ შენდა სასიკეთოდ და საბედნიეროდ.

— არა, ასე არ იქნება! — და მე ისევ გავაქნე თავი.

— ჭიუტობ ისევ, — სინანულით ამოიხვნეშა ბესომ, — შემოგხედავს კაცი და თითქოს სულელი არ ჩანხარ, საკუთარ ბედნიერებას კი ვერ ხედავ. სულ განზე მიიწევ, როგორც მოზვერი უღლიდან. მაგრამ აბა უღელს სად გაეჭკვევი? ასეა, ძვირფასო, ეს ცხოვრება მოწყობილი! გვინახავს, შენზე უფრო ჭიუტი მოზვერებიც კი ვერ გაქცევიან თავის ზვედრს...

— მომისმინე, — ვთქვი მე, — მომისმინე, ბიძია ბესო! — ვუთხარი მას დაღლილი, ჩახრინწული ხმით, — შენ ფიქრობ, რომ ერთადერთი ჭალიშვილი ჩინებულად დააბინავე, — მოქანდაკეს ცოლად მიათხოვე, და ახლა დიდებულად იცხოვრებს თბილისში, ყავა და კაკაო არ მოაკლდება, ყოველ დღე-

სალამოს რუსთაველის პროსპექტზე ისე-
ირნებს, თავის სოფლელ ნათესაობას
ქალაქში მიიპატივებს და გაუმასპინძლ-
დება, ზაფხულობით კი თვითონ ეწვევა
სოფელს, ყველას საჩუქრებს ჩამოუ-
ტანს — ვის თითო კოლოფ კამფეტს,
ვის ღამის პერანგს, შენ კი — სულ უბ-
რალო წვრილმანს, თავის მოსაწონებ-
ლად, ვთქვათ იაპონურ სანთებელას,
იმიტომ, რომ მოქანდაკე ასობით და
ათასობით ხვეტავს ფულს... ასე ფიქ-
რობ შენ, ბიძია ბესო, მაგრამ გინდა
სიმართლე გაიგო, შეულამაზებელი,
გამოშვლებული სიმართლე? იცი თუ
არა, რომ მე ჯიბეში ერთი გროშიც არ
მიყავის, რომ ჩემს მშობლიურ სო-
ფელში ჩამოვედი ნასესხები ათი მანე-
თით, რომელიც ჩემმა მეგობარმა ბუ-
ხუტბი შოფრებში შეაგროვა; იცი თუ
არა, რომ მე ვცხორებ ამ ბუხუტის პა-
წაწინტელა ოთახში და მისთვის ნახე-
ვარი წლის ქირა არ გადამიხდია. როგორ
მოგწონს ეს? შენ ფიქრობ, რომ ჩემთან
ნუცა არხეინად, სულ ფუფუნებაში
იცხოვრებს, აბრეშუმით და ატლასით
მორთულ-მოკაზმული? შენ იცი თუ
არა, რომ გამოგზავრების წინ ჩემს უჭ-
რაში შექრის ნამცეცი არ დარჩენილა
და ჩაის სურნელი კაი ხანია გაქრა იქი-
დან? — მე ავწიე ქუთუთოები და ინ-
ტერესით შევხედე ბესარიონს.

— რატომ სტყუი, ლადო! — დამიყ-
ვირა ბესარიონმა, სავარძელში გაიმარ-
თა, — რატომ სტყუი?

— მე გითხარი სიმართლე და მხო-
ლოდ სიმართლე!

ბესარიონმა ჩემგან წამოიწია, თან
მძიმე სავარძელი წამოათრია.

— აბა, ის ვინ ბრძანდება, საზღვარ-
გარეთ მსახიობ ქალებთან რომ ქეი-
ფობს რესტორნებში? — ბესო ფიქრობ-
და, რომ მე დანაშაულზე წამისწრო.

— რომელ რესტორნებში?

— შენ უკეთ იცი, რომელში.

— სამწუხაროდ, მე არც ერთი ქალი
რესტორანში არ წამიყვანია!

— ვინ ასაჩუქრებს მენატურე გო-
გოებს ქურტყებით და ქათიბებით?

ამ სიტყვებზე მე მხოლოდ გამეცინა.

— ვინ უყიდა მიწა მესხის გოგონას
შელის ნუკრი? — ხმას აუმაღლა ბე-
სომ.

— როდის?

— როცა ჩვენმა ფეხბურთელებმა
ჩემპიონობა მოიპოვეს.

— მესხს ბიჭი ჰყავს და არა გოგო!

— ლადო, ახლავე, ნუცას დაეუძახებ
და მისი თანდასწრებით გაგამეორები-
ნებ, რაც მასთან თქვი.

— არაა საჭირო, ნუცას ტყუილებს
ვეუბნებოდი.

— შენ ახლა მე მატყუებ და არა ნუ-
ცას. გინდა თავი დაიჭვირო, ბებიაც
მომიგზავნე. რა არა თქვა, რა არ მოჩ-
მაბა, შენზე.

— აქ ცოტა სხვანაირად იყო საქმე,
ძია ბესო! მუშაობის საათებში ვყვებო-
დი მაგ ამბებს. ვსულელობდი, ვპაპუ-
ლობდი, გესმის? ეს იყო ფანტაზიები
და ოცნებები. ქურჭი აჩუქე მენატუ-
რესო. დიხაბა, ვაჩუქებდი, ფული რომ
მქონოდა. ერთი გენახა, რა გაცრეცილი
პალტოთი დადიოდა... მეგობრებთანაც
ვიქეიფებდი, საშუალება რომ მქონო-
და... ჩაეიდენდი და გავაკეთებდი ყვე-
ლაფერს, რაზედაც ვყვებოდი, მაგრამ...

— ძაან აურიე, გადაამლაშე, ბი-
ჭო! — ბესარიონი შეიკმუნხა და თავი
გაიქნია, — მე მატყუებ, თუ ნუცას აყ-
რიდი თვალში ნაცარს, არ იცი და არც
მინდა ვიცოდე... მე, სხვათა შორის, ეს
იცოდე, მაკლერებსა და შემფასებლებ-
ში ცნობებსა ვკრებდი შენი ხელობის
ხალხზე. შენ, როგორ ფიქრობ, რამდენს
გადავიხდის სიმონი?

— რაში უნდა გადამიხადოს?

— შენს ნამუშევარში! რად გაჩუმ-
დი? ამბობენ, არა ნაკლებ ოცდაათ
ათასს მისცემსო, — გამარჯვების ნიშ-
ნად ბესომ თვალეში მოწყურა და ულ-
ვაშების გრეხა დაიწყო.

— ოცდაათი ათასი, ძველი ფუ-
ლით? — ვკითხე მე.

— ძველით, ძველით... მე ფულს ყო-
ველთვის ძველით ვანგარიშობ.

— მე სიმონს ამის შესახებ უკვე შევუთანხმდი: ქანდაკებას საჩუქრად ვაძლევ სოფელს.

მოულოდნელობისაგან ბესომ უღვაში მოქაჩა.

— რა თქვი? საჩუქრად აძლევ? ისევ სტყუი, ლადო!

— ჰკითხე სიმონს. დაუძახე ჩიკოს და ახლავე გაგზავნე!

ბესარიონმა ყურადღებით შემომხედა, კისერიც კი წაიგრძელა, მის კატიკებზე თვალბრუნებით პირველად დაეინახე დაუფარავი ადამიანური ინტერესი, რომელსაც, როგორც მე მომეჩვენა, ჩემდამი პატივისცემის იერი გადაკრავდა. მერე ეს იერი შეცვალა რაღაც ნაღვლიანმა დაფიქრებამ.

— არა, შენ თავში ცოტა გაკლია. ნუ მიმაღავ, მითხარი... სულელს მე ქალს ვერ გვატან, თუნდაც სამი აკადემია ჰქონდეს დამთავრებული.

— ძალიან კარგს იზამ, — უმაღლეს დავეთანხმე. — ამაზე დავამთავროთ კიდევ ლაპარაკი.

— მოიცა, სწრაფად შემაჩერა ბესომ, — დაჯექი! და როცა ისევ დავეშვი სავარძელზე, მითხრა:

— იცი, რა უნდა გთხოვო, როგორც შეიღს... არა, რატომ როგორც შეიღს... როგორც სიძეს...

მომამტერა თავისი რეტრიანი თვალები, ხელის აქნევით გაფანტა პაპიროსის ბოლი, ჩვენს შორის რომ ჩამომდგარიყო, და მითხრა:

— ვინც შენ მოგახსენა ბესარიონ ნიორაძე კრიყანგი და წუწურაჭიაო, იმ ვაცს ცხვირ-პირში შეაფურთხე... არა ვტყუი. მომეწონა ის, რაც შენზე შევეიტყვე და რაც ბებიაშენმა მიაშპო. თუმცა ჩვენ სოფლები ვართ, ჩვენ ამ საქმის ყადრი ვიცით, ვიცით ამ ნიეთების ფასიც. ისიც ვიცით, რომ სასყიოელსაც კარგად გიხდინან. ახლა მომისმინე და გამიგე, ლადო: ერთადერთი ჭალიშვილი მყავს. ვაფიქვლებზე დამშვიდებული ვარ. თვითონ ვახტანგის ბედიც კი არ მაწუხებს, თუმცა ყველაზე უკერავილო ის გამოვიდა. ქალი-

შვილი? ვის მიყვება, ვისზე ვათხოვებ? უნდა ვიყოდე თქვენს შვილებზე შემშლი, ჩემს თავს გეფიქრებ. მამა ვარ, თუ არა? აჩუქე სოფელს ქანდაკება? ყოჩაღ, ბიჭო! ნამდვილი ვაჟკაცი ყოფილხარ! ჩვენს დროში ბევრი არ მოიძებნება ისეთი კაცი, რომელმაც ოცდაათი ათასად ღირებული ნივთი საჩუქრად გაიმეტოს. შენ კი გაიმეტე. ასე რომ, შენი ეს გულუხვობა დიდხანს მექნება საკვებხად და თავმოსაწონებლად. ერთს კი გეტყვი, ლადო: ახლა შენ ოჯახის პატრონი კაცი ხარ, რამდენი ფული დაგკვირდება ოჯახის მოსაწყობად! ოჯახი, ხომ იცი, უძირო ორმოა. მას ვერ აავსებ, თუნდაც ყველა მხატვრებზე მთავარი მხატვარი გახდეს. სახლს რა არ სჭირდება? კარადები, გესმის, სერვანტები, სავარძლები, საწოლები, მაგიდები. ტელევიზორი ხომ გინდა? თეთრეული, ჭურჭელი და ბევრი კიდევ სხვა რამე. მე ჩემის მხრით, რა თქმა უნდა, დაგეხმარები, მაგრამ შენც თავი უნდა დაანებო მარჯვნივ და მარცხნივ ფულების ფანტვას. ერთხელ და საბოლოოდ დაივიწყე ღიჯაკური ზნე და ჩვეულება, მაგრამ რაც იყო იყო! ღარიბი ხარ შენ, თუ მდიდარი — ახლა ამაზე ლაპარაკი უკვე გვიანია. ჩემთვის ასეთიც ხელსაყრელი და შესაფერი ხარ, მორჩა!

— მორჩა?

— მორჩა, მორჩა, ისედაც ბევრი ვილაპარაკეთ.

— სასამართლოში რომ გიჩივლო? — გადავისროლე სასინჯი ქვა.

— სასამართლოში? — განცვიფრდა ბესარიონი, — რისთვის უნდა მიჩივლო?

— ძალადობისათვის, პიროვნებაზე ძალმომრეობისათვის. სისხლის სამართლის პასუხისმგებლობაა, სხვათაშორის.

ბესარიონმა დაბნეულად მიიხედ-მოიხედა, თითქოს ეძებსო, ვის გაუზიაროს თავისი აღშფოთება.

— ერთი ამას შეხედეთ? — დაიყვი-



რა ბესომ, — შეხედეთ ამ კუთის კოლოფს, ამ ურცხეს და უტიფარს, ამ ბატის კუთს. კუთზე შემშლის ეს არამზადა! გაიგონეთ, ხალხო? მე კეთილი გულით ტკბილად ველაპარაკები... მე, მოტყუებული მამა, მას, როგორც ადამიანს, ვესაუბრები. ეს კი, — ბესარიონს არ დაუმთავრებია წინადადება, ისე ჩაიყო ჯიბეში ხელი, რაღაც ამოიღო და გამომიწოდა! — ეს თუ გინახავს?

ბესოს ხელის გულზე იდვა ჩემი საყვარელი სტეკი, ბზის სტეკი, რომელიც იმ ღამეს ნუცას ოთახში დავტოვე.

არ ვიცო, რა დამემართა. გული გამიჩერდა.

სტეკისკენ ხელი გავიწვდინე, ბესომ სტეკი ხელის გულში ჩაიჭირა.

— შენ მე მეკითხები?

— ჰო, შენ გეკითხები, როგორ მოხვდა შენს ხელში?

— შენ მე მეკითხები, შენ უნდა მამლევდეთ ამ კითხვას, ძალიშვილო? სჯობდა, თვითონ შენ აგეხსნა, როგორ მოხდა ეს სტეკი ნუცასთან? მის საწოლ ოთახში? ერთფეთიანი კელაპტარი ანთე სიონში, რომ ცოცხალი წახვედი აქედან. ახლა სასამართლოთი მემუქრები?! ასეთი აკადემიები გაიარე, არამზადავ? ღამით ჩემ ქალიშვილთან, მის საწოლ ოთახში ბრძანდებოდით და მინც ბედავ ჩემთან ლაპარაკს? პირდაპირ მიყურებთვალუბში? თაყვანი ეცი ბაბუაშენის ნეშტს, რომ აქამდე მასთან არ გაგამგზავრე!

ბესოს გულისწყრომა, ცოფიანი თვალები ჩემზე თითქოს არ მოქმედებდა. მე სხვა რამ მტანჯავდა და მაწამებდა: ნუთუ ნუცამ ჩემი სტეკი მამას გადასცა? ნუთუ გაამხილა ჩვენი პატარა საიდუმლოება, დიახ, ძალიან პაწია და უცოდველი საიდუმლოება, ნუთუ მან ეს ჩაიღინა?

— თქვენ რა ხალხი ხართ? — წავილაპარაკე მე, — თქვენ რა ხალხი ხართ, ბიძია ბესო?

— რაო? არ მოგწონვართ? არ მოგწონს, რომ ჩინში მოგამწყვდით? ახლა

უკვე თავს ვერ დაიძვრენ. იყავი ხომ ნუცასთან ღამით?

— მერე რა, რომ იყავი? შენ ხომ ახლოს არ მივკარებდივარ. ვალდებუთაც კი არ გამოიღვიძებია.

— მიეკარე თუ არ მიეკარე, ეს მე არ მაინტერესებს. ხომ იყავი? იყავი. მორჩა და გათავდა. არ არსებობს კანონი. გარყვნილებას რომ იცავდეს, ხოლო თუ კანონი შენ მაინც ვაგამართლებს, მე თვითონ ვიპოვი სამართალს.

ბესომ სული მოითქვა, თანდათან დაშოშმინდა და გადმომხედა ისე, როგორც მფრინავი აკეთებს წრეს დაბობილი ობიექტის თავზე.

— არა, თქვენ ადამიანები არა ხართ, — ჩუმი გააფრთხილებით წამოვიძახე მე, — თქვენ არა ხართ ადამიანები. თქვენა ხართ მგლები. ყველანი, გამოუკლებლივ. სადაა შენი ქალიშვილი? დაუძახე აქ მოვიდეს, მინდა შევხედო. ორი თვე ყოველდღე ვხედავდი და თურმე ვერაფერი დავინახე. დამიძახე აქ ნუცას!

— აბა, აბა, ლაღო! სისულელეს თავი დაანებე.



დაკეტო კარებზე ვილაყამ ისე მაგრად დააბრაზუნა, რომ ნიორაძებმა ერთმანეთს გაოცებით გადახედეს.

— ბესო! გამოიღე კარი, ახლავე გამოიღე. — ბებიაჩემის ხმა ვიცანი.

ჩიკო მამას მიაშტერდა.

— შემოუშვა?

— მარტო თებრონე შემოვიდეს, — უპასუხა ბესომ, — ნუცა არ შემოუშვა. ვერ მოასწრო ჩიკომ კლიტის შეტრიალება კარის კრილში, რომ ბებია ჩიკო ხელისკვრით განზე მიაგდო და ოთახში შემოიჭრა.

— კუთზე შეიშალე, ბესო? ეს რა ყვირილი ისმოდა? რა გიყვეს, ლაღო?

— თებრონე, წყალი მოსვი, ჩვენ მაგისტვის ხელი არ გვიხლია. პირიქით, თვითონ აგვაწიოკა, გვლანძღავს, გვაგინებს, როგორც მოესურვება. ჩვენ

კი ვსხედვართ და ვუსმენთ. დაბრძანდი, შენც მოუსმინე!

— ლაღო, გაგლახეს, გცემეს? მითხარია!

— აბა რისთვის, თებრონე? ნაცემი ლაღო ჩვენ არ გვესაჭიროება, ჩვენ ლამაზი ლაღო გვინდა!

— დაიცა, ბესო, შენ არ გელაპარაკები!

— ღმერთს მადლობა შესწირე, რომ უფროსი კაცი ხარ, — მამად მერგები, — მე გააფთრებით შევაცქერდი ბესარიონს.

— შეხედეთ, როგორ უელავს თვალები!

ბესარიონმა წამაქეზებლად თავი დამიქნია. ასე იწონებს თავს ასეულის უფროსი თავისი მარჯვე, ყოჩალი ჭარისკაცებით, — ძალიან ფიცხი შვილიშვილი გყავს, თებრონე ჩემო! შეხედე როგორ უელავს თვალები, ზვინს შორიდან ცეცხლს წაუქიდებს.

— ცეცხლი და ჭირი არ მოეშალა მაგის მტერს და ავის მდომს! — არ დააყოვნა ბებია მესარგებლა საბაბით წყევლა-კრულვის წარმოსათქმელად.

— ამინა... ახლა რა გქნათ? რა ვიღონოთ? — იკითხა ბესარიონმა.

ბებია მკაცრად, ავი თვალთ შემომხედა. მერე თვალი მოავლო ჩემს ირგვლივ შეჭვავულ ნიორაძეებს.

— პირდაპირ არ ვიცი, ბესო! ნუცასთან შემოვიარე, უკვე აღარც კი ტირის, საცოდავი, ცრემლი გაშრობია თვალებში, ტუჩები დასკდომია, სიბრალული საგან გული მომიკვდა. არაფერი არ მინდაო, არაფრის გზით ლაღოს არ წავყვებიო. ტყუილ-უბრალოდ იტანება მამაჩემი და თქვენც გტანჯავთო. იქნება, მართალიც არის გოგო, ალბათ, ბედად არ უწერიათ ერთად იყენენ და იცხოვრონ. ყველას თავის ბედი აქვს.

— ბედი? — გაიმეორა ბესომ და სახე ისევ მოელრუბლა, — მე არ ვიცი, რა არის ბედი... ასეთმა ცინგლიანმა ეშმაკურად გამაყუროს ამ ხნის კაცი და თვითონ გადარჩეს ისე, რომ მხოლოდ პატარა შიში ჭამოს? ეს არის ბედი?

— რა გქნათ, ბესო, როგორ მოვიქცეთ. ჩემს გარეტიანებულ თანაშემწეს ფერი აზრი არ მოდის. *შეხედი, როგორ უელავს*

ბესარიონმა საეარძლის ზურგისაკენ გადაიწია და მძიმედ, საცოდავად, ამოიკვნესა.

— ნეტავი თავიდანვე აქ ყოფილიყავი, — მიმართა ბესომ ბებიაჩემს, — გაიგონებდი, რა ამდაუბდას როტავდა შენი სანაქებო შვილიშვილი. შემთხვევით გათვალული ხომ არ არის, ნუ დამიმალავ!

— შენს შეილებსა და ნათესავეებში მოძებნე გათვალულები, — შეუღრინა ბესოს ბებიაჩემმა.

— არა, ქალო, ამას რატომ ვლაპარაკობ, იცი? ვუსმენდი, ვუსმენდი და, სულ ცოდელო, იცი, რა ვიფიქრე? იქნებ, ამ აკადემიკოსს არ შეუძლია ცოლი ითხოვოს და ამიტომ ასე ჭიუტად უარზეა.

— ესე იგი, რა თქვი, — ვერ გაიგო ბებია.

ბესარიონმა გამომცდელად შემომხედა.

— მე ვლაპარაკობ, შეიძლება, იმიტომ...

ბებიას აღშფოთებისაგან ენა ჩაუვარდა, აცახცახებული ხელები ასავესავა, მერე მოშვებული, ჩემსკენ შემომბრუნდა.

— აი, ხომ ხედავ, სადამდი მიიყვანე საქმე, ლაღო!

ბესოს რომელიღაც ვაჟმაც კი საყვედურით წამოიძახა:

— მამა...

— აბა, სხვას რას იფიქრებ ასეთ ჭიუტზე?

ბებია მუჭლუგუნე ატაკა ბესოს ქეჩოში:

— ახლავე ბოდიში მოუხადე, გამოჩერჩეტებულო, უტვინო ვირო! არადა, დღეიდან ჩემს ლაღოს ველარ ნახავ. თვითონ მე წავეყვან თბილისში.

— კარგი, კარგი, ბებია, თებრონე, გეყოფა. ნუ ცხარობ, — უკან დაიხია ბესარიონმა, — ბოდიშის მოხდა არაა

ძნელი. შენ ეს მითხარი, რა ვქნათ, რა გზას ვეწიოთ.

— არ ვიცი და არც მინდა ვიყო-დე, — მოკლედ მოჭრა თებრონემ.

— მე კი ვიცი და ასეც გადაწყვიტე-შენს გიყვარდას ჩემთან ვიყოლიებ, სანამ სოფლის საბჭოს მდივანი თამარი დაბრუნდება. იჯდეს აქ და მიიხედ-მოიხედოს, იქნებ, ერთხელ კიდევ მოვილაპარაკოთ. ჩამოვა თამარი და მასთან ერთად გადავწყვეტთ. თამარი ჩვენ გაგვიგებს.

— გაგებით კი გაგიგებს, მაგრამ ლადოს აქ არ დაგიტოვებ. არა, ეს არ იქნება! ბიჭს თავისი სახლი და კარი აქვს. მე ორი დღის სიცოცხლედა დამრჩენია. პასუხი მე უნდა ვაგო ლადოს მამის და ბაბუის წინაშე. არა, ბესო, ლადოს შენთან არ დაეტოვებ. ფიც-ხია და, ვინ იცის, რა ხანძარს გაგიჩენს!

— შენთან არ შეიძლება, ხელახლა გაიქცევა. აი რაშია საქმე!

— ვერ გაიქცევა. იმისათვის, რაც დღეს ჩაიდინა, ანგარიშს შინ გავუსწორებ... ო, როგორ მომატყუა მავ უსინ-

დისომ, როგორ გამაცურა! — ბებია ჩემკენ შემოტრიალდა, — ის იყო წახვედი, შე საძაგელო, მე სანთელი ავანთე და ხატის წინ ღმერთს შევევედრე, მოულოდნელი სიხარულისათვის მადლობა გადაეუხადე და შენი ბედნიერება შევეთხოვე. ნუთუ არა გრცხვენია, შე უნაშუსო?

მე ვღუმიღუ.

— ახლა სირცხვილისაგან ენა ჩაუვარდება და ხმას არ ამოიღებს, სანამ რამე სასაცილოს არ მოიგონებს, — ამბობდა ბებია და ჩემკენ თავს იქნევდა, — საუცხოო, ჩინებული სასიძო კი აირჩიე, უკეთესი არ შეიძლება, ბესარიონ! იპ, კიდევ ბევრ ახირებულს და გასაოცარ ამბებს შეგასწრებს.. წავიდეთ, ჩემო სულთამხუთავო. წავიდეთ! არ გინდა მელაპარაკო? აგრე სჯობია, აბა რა გაქვს სათქმელი? მე კი, დილა უთენიაზე მთელი სოფელი გავადვიძე — ჭკუაზე მოვიდა ჩემი ქარაფშუტა ბიჭი-მეთქი, გადაწყვიტა ცოლის თხოვა-მეთქი! ეხ, ლადო, ლადო, შე ცრუბენ-ტელა მებადურა!

არსენ ბაკალავრილი

ც ვ ა რ ი ს ა

მოთხრობა

1

არჯვენის მწვრვალიდან დაქანებული კლდეკარის ქედი მანგლისის გადასახედს დასჯახებია, შოლტიგორა აუქონჩრავს და მერე ორად გაყოფილა, — ერთი შტოთი ბედნის მთა აუმართავს, მეორეთი — ქილისის სერები გაუბამს და ალგეთის ხეობას ორბეთის კლდეებამდე გაჰყოლია.

იქაურობას დაბურული ტყიანი მოსავს, წიფელა და ნაძვი ერთმანეთს ენაცვლება, ზოგან მუხიანიც შრიალებს და რცხილა-ნეკერჩხლის შალდიყი ღრანტეებს ეფინება.

ვეებერთელა ფერდობები ერთმანეთის საყურებლად დაშვავებულან, გაღმით ჩრდილიანია, გამოღმით — მოსარკული მზვარე დასდევს და ალაგ-ალაგ დუზი ტაფობი ირკალება.

ერთი ტაფობის დასაწყისში, სოფელ ცვარისას ბექები მთისთვის მიუბჯენია, წინ ფართო ველი გადაშლია და მდინარე ალგეთი გვერდით ჩაუდის.

სოფელი ორი საგვარეულოსაგან შედგება, ორმოციოდე კომლი ცხოვრობს, უმეტესობა ზევხიშვილები არიან, გვერდით, სანთელაშვილები ჰყავთ; იმათი

ასული პაპა ზურაბის მეუღლეა და მეზობლები ერთმანეთს ემოყვრებიან.

ზევხიშვილები ფესვმაგარი გლეხები არიან, დღედაღამე დედამიწას ჩასჩინებენ, ველის ხასხასი უყვართ და ცის ცვარს ღეთის წყალობას ემახიან.

სანთელაშვილები კი მშრომელი კაცის სიბეჯითე აკლიათ, ხელეზზე კოჭიყების გაჩენა ძალიან სძულთ, მაშულს გულს ვერ უდებენ, საშოვარზე სიარული უყვართ და სარფის ძებნაში ქალაქამდის ფეხით ჩადიან.

პაპა ზურაბი საჭაფაოდ დაიბადა, კიპი გუთნის მანკვზე მიაჭრეს და ხელეზ-დაშაშრულმა კაცმა სანთელაშვილები იმთავითვე აითვალწუნა.

— ღმერთს მაგათთვის გლეხკაცის მირონი დაუკლია, ეშმაკი ასძლოლიათ, ქვეყნის თავბოლოსი ველარაფერი გაუგიათო, — ბერიკაცი სიმამრიანთზე ჩიოდა.

— კაცო, ზურაბ, იმათ რა დაგიშავეს, გამრჩე ხარ და შენთვის იყავი, შენ შენი ჯალაბი აცხოვრე, ლუქაზე რომელი ჩემიანი შემოგეცილა?! — ბერიკაცს მეუღლე ეჩხუბებოდა.

— დედაკაცო, — პაპა ზურაბი ცოლს ავად შეხედავდა, — ქვეყანა მარტო ჩემით ვერ იარსებებს, სხვასაც უნდა



ჰქონდეს და ლუკმას მაღლი მაშინ ექნება, — ეტყოდა და თან ამოიოხრებდა.

— ნათესაობა არა გწამს, უშენჩემო კაცი ხარ, მოყვრობისა არაფერი გაგეგება, — აყვედრიდა ღედაკაცი.

— შე დალოცვილიშვილო, მაგას რა დიდი გაგება უნდა, უხეიროს ეშმაკი ემოყვრება. კარგი კი ყველას ნათესავია, — პასუხობდა ბერიკაცი, სიმაპრიანი ამოჩემებული ჰყავდა და ურემში შებმულ კამეჩს რომ წაეფორხილა, აუცილებლად ამას ეტყოდა, — ლომავ, ერთგულად გასწი უღელსა, ჩემი სიმაპრიიშვილივით წელი ნუ გწყდებო.

ღედღუღეთელი ნათესავების აუგად ხსენება მის ვაჟებსაც არ მოსწონდათ.

— როგორც გონჯი ცხვირი სახიდან არ მოიკვეთება, ისე ჩვენ მაგათზე ვერ ვიუარებთ, ეგ უხეიროები მაინც ჩვენები არიან და უნდა გაჩუმდეო, ეუბნებოდნენ მამას.

ბერიკაცი თავისას მაინც არ იშლიდა.

— თქვენც თუ იმათ დაემსგავსებით, მამაშვილობას გეფიცებით, არც თქვენ დაგზოგავთ, — შვილების შემოტევასაც ამ სიტყვებით იგერიებდა.

პაპა ზურაბი პირხმელი კაცი იყო, ხშირი უღვაშები და მერცხლის ფრთებით ვადატყუპული წარბები ჰქონდა. ხელში ყოველთვის სახრე ეჭირა, სხარტად მოძრაობდა და დიდი ნაბიჯებით სიარული იცოდა.

ოთხი ვაჟიშვილი ჰყავდა, გაყრილები იყვნენ და სახნავ-სათესს მაინც ერთად ამუშავებდნენ; ცხოვრება ასე უფრო იოლი ჩანდა და ბიჭები სოფელში კოლექტივის ჩამოყალიბების მოთავეებად გამოვიდნენ.

კვირა დღე იყო, ცვარისაში რაიონიდან ორი კაცი ჩამოვიდა, პაპა ზურაბის ვაჟები მოინახულეს და მერე ხალხი საკრებულოდ მიიწვიეს.

რაიონიდან ჩამოსულებმა კოლექტივის სიკეთეზე ბევრი ილაპარაკეს, ორიოდვე სიტყვა პაპა ზურაბის უფროსმა ვაჟმაც დაუმატა და სოფელში კოლექტივის დაარსება გადაწყდა.

ცვარისა ერთი ღარიბი სოფელი იყო, მის მცხოვრებლებს გასაქონებელი ბევრი არაფერი ჰქონდათ და თითქმის ყველა ბალღები კოლექტივში შემსვლელი მშობლების განცხადებებს იქვე წერდნენ.

პაპა ზურაბს საუკუშანო არაფერი ჰქონდა, განცხადების დასაწერად მაგიდასთან რიგი დიკავა და ის იყო თომა სანთელაშვილი ეშმაკად წინ აეღობა.

„ფუი შენი, ეს წყეული რა წინ ამებლანდა“, გულში გაივლო ბერიკაცმა და თომას თვალი მოარიადა.

თომა გახარებული იყო, ახალი ჩოხა-ახალუხი ჩაეცვა და ხალხის წინ თითისტარივით ტრიალებდა. იგი ერთი ნათრევი კაცი იყო, ქვეყანა შემოვლილი ჰქონდა, ბევრი რამ ენახა და ახლაც რაღაცას ჰყვებოდა. მეზობლები ყურს უღებდნენ.

— ორი წელიც არის, წიფლიანში კოლექტივი შეუღგენიათ, — ამბობდა თომა, — ჩემი თვალითა ვნახე, ხალხი ფუფუნებაში ჩაეარდნია, მუხრან-ბატონებივითა ცხოვრობენ. შავ პურს ვილა კადრულობს, ყაქას ეტანებიან. უწინ, ი ოხრები წისკვილზე დასაფქველებსა ჰგავდნენ, ახლა კი წმინდა გიორგის კურატებით ჩასუქებულან. მამაცხოვრებულუბო, ჩვენ რა, გერები ხომ არა ვართ, ტრაქტორს ჩვენც მოგვცემენ და სიღარიბეს ერთბაშად ბოლოს მოვუღებთ. მაშინ რამდენიც გინდათ, იმდენი ჰამეთ, ხორაგეული თავზე საყრელად გიქნებათ.

პაპა ზურაბის კარის მეზობელი იყო თომა, ბებია მართას გარე ბიძაშვილად მოხვდებოდა და, თითქოს დიდი ზრდილობიანი ვინმე ყოფილიყოს, ბერიკაცს ერთთავად სიმე-ბატონობით იხსენიებდა. ბერიკაცი კი ამნაირ მიმართვაში რაღაცა შეურაცხყოფას ხედავდა და სწყინდა.

თომა თავისას მაინც არ იშლიდა. ბერიკაცს შემოხვდებოდა თუ არა, ხელს მკერდზე მიიდებდა, თავს დაუჯრავდა და ეტყოდა:

— ჩვენს სიძე-ბატონს დღეგრძელობა და სალამი!

აბეზარს მოსული ბერიკაცი თომას ავად შეხედავდა.

— გაგიმარჯოს, — წაუბუზღუნებდა და მაშინვე გაეცლებოდა.

— ტყიდან გამოვარდნილი ნადირია, გაუთლელი ხეპრეა, — თომა ბერიკაცს ემშურას გააყოლებდა, — რა უნდა ველაპარაკო, პატივსა ვცემ და ვერ იფერებს, — იტყოდა, ქოქოლას მიაყრიდა და თან გესლიანად ჩაიხითხითებდა.

თომა სარივით გაწრიოკებული კაცი იყო, დიდი ყურები, ვებერთელა პირი და კროლა თვალები ჰქონდა.

ზამთარსა თუ ზაფხულში, მისი კარმიდამო ნაპარტახალსა ჰგავდა, სახლს ნახევარი ყვარის აღარ ქებურა... ასეთი კაცი იყო, ზაფხულში ზამთრის სადღეივარაბო აღარ ახსოვდა, ტყე ყურისძირში ჰქონდა და სახლს მაინც მეზობლების ღობეებიდან მოპარული ფიჩხით ათბობდა.

ერთხელ, პაპა ზურაბი ამაზე ძალიან გაბრაზდა. კამეჩები დააუღლა, ხელმრუდე მეზობელს ურემი სახლწინ მიუგორა, გარეთ გამოიხმო და შემოეხვეწა:

— შენი პირიმე, ოლონდ ჩვენს ღობეებს ხელს ნუ ახლებ და აპა ურემი, წადი და თუნდ ხუთი გზობა შეშა ჩამოიტანე.

— სიძეე ბატონო, — თომამ ბერიკაცი ღიმილით შეათვალღერა, — მადლი უმარილოდ ვის გაუგონია?! შენი მეუღლე ჩვენს ოჯახში გაიზარდა, რა იქნებოდა, ბარემ შეშაც მოგეტანა. ველში არ დაგრჩები, საშოვარზე მივდივარ და წითელ საჩოხეს ჩამოგიტან. — უთხრა, მხარზე ხელი მოუთათუნა და თან გაიცინა.

— უყურე ამასა, — ბერიკაცმა შეუბღღერა, — ღმერთმა შენც შეგარცხვინა და შენი მოტანილი საჩოხეცა. წელმოწყვეტილო, ჩემს ღობეს ხელი აღარ ახლო, თორემ დედ-მამის სულს ვფიცავ, შეეღღეს დაგაწეე, — ესლა ამოიშუქარა და ურემი ციცივ გაატრიალა.

ამის შემდეგ პაპა ზურაბმა თომა უფრო აითვალწუნა, სიმამრიანთ სავგარეულოდან ყველაზე ძალიან ის ეჭვარებოდა. ახლაც, მის დანახვაზე უსიამოვნოდ შეიშმუნა, ეს უწმინდური რათვალწინ ამებლანდაო, მაშინვე ეს გაიფიქრა.

თომა კი თითქოს ჯიბრზე შედგაო, მაგიდას აღარ მოსცილდა, კოლექტივში შესასვლელი განცხადება ხელში ეჭირა და თან შეუსვენებლად ქაქანებდა:

— წიფლიანელები ვინ ოხრები არიან?! იმათზე ათასჯერ უკეთესები ვართ და ნახავთ თუ ამ საქმეშიც არ ვაჯობებთ.

— ბიჭო თომა, — პაპა ზურაბმა ველარ მოითმინა, — თუ მირონი გაცხია, ძალიანა გთხოვ, გაჩუმდი; წიფლიანელებს ნუ ლანძღე. იქ შენნაირი წელმოწყვეტილები კი არა ცხოვრობენ, გამარჯე ხალხია, შრომა უყვართ და დამკობინეს, — შეუტია თომას და მეზობლებს გადახედა.

საკრებულო არიჩქოლდა, ვილაცებმა ჩაიციინეს. თომამ კი ნირიც არ შეიცივალა, — თითქოს ბერიკაცს თავს უკრავსო, წელში ისე მოიხარა.

— სიძეე ბატონო, იქ ჩემზე უარესებიც არიან. ახალი დრო ღარბ ხალხს გვეკუთვნის და ი გასაწყვეტი წიფლიანელები შენზე უკეთესად იმიტომ ცხოვრობენ. ასეთია დალოცვილი კოლექტივი, მაშა, — უთხრა, გვერდით მდგომ გლებს თვალი ოდნავ ჩაუქრა და ჩაიხითხითა.

ზურაბი გაბრაზდა, საკრებულოს თვალი მოავლო და დაიძახა:

— ხალხო, ზეგხიანი და სანთელაანი ერთ უღელში არ შეიბმევიან, საგორავში გამოკეცილ ხარს, საყვეარში ნაგდები მოზვერი ვერ გაუტოლდება, ამიტომ სოფელში ორი კოლექტივი უნდა შეეკრათ. თიკანი თხასთანა და ბატკანი ცხვართანა, თავიანთი ზარმაცი და უქნარა, ყველამ თვითონ გამოკვებოს.

— მართალს ამბობს, — დაიძახა ვილაცამ.

— სწორეა.

— აგრე ვქნათ, — გლეხები ახმურდენენ.

— ხალხსო და ჯამათნო, — თომამ ზელენი მალა ასწია, — ერთი სიტყვა მეც მოტყუენეთ, თქვე დალოცვილი-შვილებო, ჯერ გამასამართლეთ და, თუ ვტყუივარ, თავი მერე მომჭერთ, — ომანხანად დაიძახა და თან რაიონიდან ჩამოსულ კაცებს გადახედა.

ხალხი უმაღვე გაჩუმდა. თომამ დოინჯი შემოიყარა, პაპა ზურაბი დაციინჯით შეათვალიერა და მერე ჩაიჭირჭილა:

— ერთი ამ პეწენიკ თავადიშვილს დამიხედეთ, ბუზმენტიანი ჩოხა თუ არა, ტყავძველას აღარ იცვამს და სანთელანთა იმიტომ აგვიხირდა. არ ცხონდეს ის მაჟანკალი, ვინც შენ ჩვენი მართა გაგირიგა. რა ღირსი ხარ ჩვენი სიძეობისა!

— შეალოსან, როგორც სიტყვების ხმარება გემარჯვება, ჯანსა და ზელესაც ისე რომ ამუშავებდე, რალა გვიწირდა, სოფელში სანაქებო მუშად შენ გვეყოლებოდი, — პაპა ზურაბმა მიწას ფეხი დაუტყაპუნა და განაგრძო, — რას იზამ, ყვავსა ყრანტალი ემარჯვება, არწივს კი ბოინი უყვარს, ჩვენც ასე ვართ. სანთელაშვილებს ენა გიჭრით, ზევხიანთა კი მარჯვენა უვარგათ. შე დალოცვილიშვილო, რა გული მოგდის, წადით და თქვენ თქვენი სიტყვა-პასუხებით იცხოვრეთ, ჩვენ კი ჩვენი მკლავის ანაბარად დავრჩებით.

— აგრე ვქნათ, მაგას რალა სჯობიან, — პაპა ზურაბს ბიძაშვილებიც აპყვენენ.

— ერთმანეთში საჩხუბი და გასაყოფი რა გვაქვს, ჩვენ ჩვენთვისა და ეგენი თავიანთთვისა, ყველამ თავისი საგვარეულოს ჰაბანი ზიდოს, — დაიძახა ზევხიანთ ზაქარამ და თან თავისიანებს გადახედა.

საგვარეულო ისე არ წახდება, რომ ერთი რიგიანი კაცი მიინც არ გამოერიოს, ვაეკაცი ბიჭები სანთელაანთაც

პყაეთ და ზევხიანთ წამოწყებული ამბავი არ მოეწონათ.

— რა თქვენი დასაძრახები გვენახეთ, თქვენთან საერთო ლხინიც კი არ გვინდაო, — დაიძახა სანთელაანთ რა-ზიკამ, განცხადება დახია და იქაურობას ბუზღუნ-ბუზღუნით გაეცალა.

— ავაშენათ ღმერთმა, — პაპა ზურაბმა უღვაშებზე ხელი გადაისვა, — ძალიან კარგსა შერებით, სადავიდარაბო აქ რა არის, თქვენი კოლექტივი თქვენვე შეკარით.

რაიონიდან ჩამოსულმა კაცმა პაპა ზურაბის უფროსი ვაეი იხმო, პირი ყურთან მიუტანა და ჩაუჩურჩულა:

— ეგ ბერიკაცი ახლავე გააჩუმე, თორემ საქმეს ჩაგვიშლის, — მერე ხალხს მიუბრუნდა, — ამხანაგებო, დაწყენარდით, ჯერ საქმეში კარგად გვერკვეთ და ერთმანეთს მერე გავებუტოთ.

მისი სიტყვები არავის გაუგონია, სანთელაანი ზევხიანთთან ვადაძახილში იყვნენ, ავსიტყვაობის გულისთვის პირი მოეხსნათ და ჩხუბის გამართვასაც ლამობდნენ.

— ხალხო, რა დაგემართათ, — პაპა ზურაბის ვაეები მოჩხუბრებს შუაში ჩაუღდნენ, — ჩვენო კეთილებო, ბეჭი თუ ზევხიანთი გვაქვს, წიბო მაინც თქვენი მოგვდგამს და სამოყვროდ და ტკიბილსამეზობლოდ ესეცა კმარა, ეგ წყენა ჩვენ მოგვიტევეთ, ნუ ვაგვებუტებით, — დედულეთელებს შემოეხვეწნენ.

— თავი გაანებეთ, რას ემუდარებით?! — პაპა ზურაბი შვილებს გაუწყურა.

— თავი შენ გაგვანებე, ამ დავიდარაბის ატეხვა სულ შენი ბრალია და მაინც არა ჩუმდები, — უფროსმა ვაემა მამას შეუტია.

— ჰაი, შე ძალლისლეკო, რაებს მიბედავს, ხელაგ შენ ამასა?! — წამოიძახა ბერიკაცმა და პირშმოსკენ გაიწია. უმცროსები მამას წინ აებლანდნენ.

— ეგ ბიჭი მართალს გუბუნება, რა-

ტომ აღარ გაჩუმდები, რა, მართლა უნდა წაგვაჩხუბო?! — მამას ნაბოლარა-მაც შეუტია.

ბერიკაცი შეიღს გაკვირვებით დააცქერდა,

— ხალხო, გაგივიათ, ხმას აღარ მალეზინებენ, — შეცვლილი ხმით წამოიძახა და აქეთ-იქით მიმოიხედა.

ბიძაშვილებმა ბერიკაცს თვალი მოარიდეს, ხმის ამოდებას არავინ აპირებდა...

— ეხ, შვილი რომ მამას სიტყვას შეუბრუნებს, იმ მამას მართლაც რომ ხმა აღარ ამოელება, — შვილების გასაგონად ესლა წამოიბოღმიანა, განზე გადა და დადუმდა.

დიდი ხვეწნა-მუდარის შემდეგ მისმა ვაჟებმა ზევნიშვილები შემოირიგეს და კოლმეურნეობის დაარსებამაც მშვიდობიანად ჩაიარა.

პაპა ზურაბი კი ნაწყენი დარჩა, თავმომწონე კაცი იყო, უფროს-უმცროსობისა სწამდა და შვილების უდიერად მოპყრობამ გული ძალიან ატკინა. იმ ამბის შემდეგ სახე აღარ უცინოდა, ერთთავად ჩაფიქრებული იყო, ზოგჯერ კი ცოლს ებუზღუნებოდა:

— შენც კარგი მუზმუხელა ხარ, მაგ ძაღლისლევეებს შენი ჯილაგი გამოპყვათ და აგრე იმიტომ გესარჩლებიან.

— კაცო, მაგ შენი ენაკვიმატობის წყალობით კინალამ ჩხუბი ააშენე, საგვარეულო ლამის საგვარეულოს გადაპყიდე და მამ შენ საწყალ ბიჭებს რა უნდა ექნათ, ისინიც შენს ჭკუას ზომ არ აპყვებოდნენ?! — მართა ამას ჰპასუხოდა.

— აღდგომა და ხეალო, მე ზომ ჩემი დამმართეს და მაგ ერთობიდან რა ლხინსაც გამოიტანენ, იმასაც მალე ვნახავ, ი წელმოწყვეტილის გვერდით ჩემმა მტერმა და დღეშანმა იმუშაოს, — ბერიკაცი თომაზე ამბობდა.

მას კოლექტივში შესვლა აღარ უნდოდა, თვალი კერძობისაკენ ეჭირა, მაგრამ შვილებმა არ გაუშვეს, მისი მოხუნულ-დაფარცხული სანთელაშვილების ნაწრომ-ნაღვაწს შეუერთეს, სახ-

ნის-საკვეთი, უღელ-აქეური, კვანის, ლვედი და მამაპაპური გუფანის კოლმეურნეობის გამგეობას მიუთქვალეს. სხვა გზა აღარ იყო და ძალაუხნებურად ბერიკაცი თავის ნამამაგარს უყან გაპყვა.

2

ცვარისაში ჩვეული, ძველი ადათ-წესით მავალი ცხოვრება შეიცვალა, მთელი სოფლის გამწევი პირუტყვი გააერთიანეს, საერთო ძალით სამუშაო ძალიან გაადვილდა და გლეხი, კოლექტივში შეყვანილ თავის კულა ხარს მაინც მისტიროდა, რაღაცა ენანებოდა. კოლმეურნეობის დაარსებიდან ორი თვე გავიდა.

— თქვე მკვდარძაღლებო, ჩემი მოზვეერი ძალიან გაგზღუნებიათ, თივას თქვენეულებს აპყვით და ეგ კი მშიერი გიბიათ, — კოკლი დათო მეგომურებს წაჩხუბა, ბავიდან მოზვეერი აუშვა და სახლისკენ გაიგდო.

— ბიჭო, რას შვრები?! — ბრიგადირი წამოეწია, — ეგ სატილო სად მიგყავს, შენი კი აღარ არის, ეხლა მე მაწერია, — შეუტია მესაკუთრეს, მოზვეერი წაართვა და მეგომურებს დაუბრუნა.

მიზო ყიბიტაურით გამოთვრა, კოლმეურნეობის კანტორის ეზოში მიყრილი ინვენტართან გადაცოცდა და თავისეულ ურემს ძებნა დაუწყო; მალე იპოვნა და მისი დაშლა და სახლში წაღება განიზრახა.

დარაჯმა მისი შემოსვლა შენიშნა, ცოტახანს აცადა და მერე თავზე წამოაღდა.

— რას აკეთებ?

— დმერთმა ნუ იცის შენი თავი, გარეთ რაღა ჩემი ურემი დაგიგდია, — მიზომ დარაჯს შეუბღვირა, — ხედავ, ფერსოები მთლად შემოღობია, როგორღა უნდა ვამუშაო, შენი დედ-ნამის სული აძაღლდეს, აჰა, — შეუყურთხა, ურემს კონკილა ააგლიჯა და ესროლა.

დარაჯმა კონკილა აიცილია, ცუდ ფეხზე ამღვარ შარიან კაცს მიუბტა და

ცხვირ-პირი მაგრად ჩაუყევა. მათ ხმაურზე კანტორის ეზოში ხალხმა თავი მოიყარა.

— რა დაგემართათ, ერთმანეთს რაზე დაერჩეთ? — იკითხა პაპა ზურაბის უფროსმა ვაჟმა და გასისხლიანებულ მიხოს მიაჩერდა.

— კაცო, ახლად გამართული ურემი დამიღო და თანაც ხმას ნუ ამოიღებო, მოვკლავ, მაგ ოჯახგასაცივებელსა, — წამოიყვირა მიხომ და იქაურობას ლანძღვა-გინებით გაეცალა.

— ელაპარაკე ამასა, — პაპა ზურაბის ვაჟმა მიხოს თვალი გააყოლა, — დამთვრალა და თავი და ბოლოსი აღარაფერი გაეგება.

— ეგ სიმთვრალის ბრალი არ არის, — პაპა ზურაბი შეიღს გვერდით ამოუდგა, — მაგას შენჩემობა ჰქვიან, ძალიან ტყბილი რამ არის და ეგრე ერთბაშად ვერ ამოძირკავთ... ამდროულა კაცმა მართალი ვთქვი, თქვენ მაინც თქვენი გააკეთეთ, არ დამიჯერეთ და მამ რა გეგონათ?!

— თავი გამანებე, შენს ხასიათზე არა ვარ, — შეიღმა მამას ხელი აუქნია, — ნიშნისგების მეტი არაფერი იცი, — შეტევით უთხრა და მაშინვე გაეცალა.

— ეს კიდევ არაფერი, ჭერ ისევ ყვავილობა გიდგათ, ნაყოფს მერე მოიშკით, — მამამ შეიღს მაინც დაადევნა და თან უღვაშებზე ხელი გადაისვა.

შეიღს უკან არც მოუხედავს, ავი არაფერი წამომცდესო, ფეხს უფრო აუჩქარა. „ღმერთის განაჩენს სად წაუუღენ, ამ ხალხს აწვალებენ, არაფერი გამოუვით და დაიშლებიანო“, ფიქრობდა შერიკაცი, ღამლამობით გომურში იზარებოდა და თავისეულ კამჩებს თივას ძალდაძალ აკმევდა. მაგრამ მისი გუმანი არ გამართლდა, სოფელში ვაიჟმეღეღებელი მაინც არ მოხდა, კოლმეურნეობამ წვრილმანი წაკინკლავება ადვილად გადაიტანა და შემომწყრალი მეზობლები განაფხელის სამუშაომ ერთმანეთს შეარიგა.

ცვარისაში კოლმეურნეობა შემოდგომით ჩამოყალიბდა, პირველი ზაფხუ-

ლი იყო და მინდვრად გასული გლეხები ნამკალ-ნათიბს საერთო მუშაობაზე ლებად სდგამდნენ. ეს ამბავი მალევე უჩვეულო რამ იყო, ბევრს ასეთი რამ ვერა და ვერ წარმოედგინა და რალაც გაოგნებას ეძლეოდა.

მოსაველს კარგი პირი უჩანდა, მომკელებს მძიმე ხელეუბრები მკლავებს აწყვეტდა, მუშაობა სახალისო რამ იყო და მტკაველა თავთავის ცქერით კაცის თვალი ხარობდა.

პაპა ზურაბს შარშან ამ დროს წლის სარჩო უკვე ჩაბინავებული ჰქონდა, წელს კი მოსაველი საერთო საწყობში მიდიოდა და ერთობას მიუჩვეველი გლეხკაცი გაბოროტებული დადიოდა, ჩემი მოხნულ-დათესილი სხვას რაზე ვაჩუქე, შეიღების სიტყვას რად ავეყვიო, ერთთავად ამასა ნანობდა.

ბერიკაცი ამ ბალღამს ისევ შრომაში ჰკლავდა, სამუშაოზე უთენიას გარბოდა და გვიანობამდის შინ აღარა ბრუნდებოდა. ხშირად მეზობლებზეც ბრაზობდა, ამ ქარში ვინმეს რომ ეზარამაცნა, ვაი მაშინ მისი ბრალი, ავ დღეს დააწვედა.

პაპა ზურაბი გამრჩე გლეხი იყო, სოფელში გულმართალი კაცის სახელს ჰქონდა გაეარდნილი, მამულის მოვლა კარგი იყოდა და მეზობლები მის ბუზღუნს რჩევა-დარიგებასავით ისმენდნენ. მაინც და მაინც არც თვითონ იყო იმათი მომდურავი, სიტყვის შეუბრუნებლობა ძალიან ახარებდა. „მერე რა მოხდა, ჩემი ნაღვაწი ამათ შეხვდათ, ჯაღამთიელებს ხომ არა რგებიათო“, ზოგჯერ ამასაც ფიქრობდა, მაგრამ გულიდან სინანულის გრძობა მაინც ვერა და ვერ ამოიღო, თითქოს დიდი რამ დაკარგა და ველარ უპოვნიაო, ისე წებდა, ჯავრი ვისზე უნდა ეყარა, აღარ იყოდა.

თომამ ეშმაკობა იხმარა, ბერიკაცის შრომისმოყვარეობის ამბავი კარგად იყოდა და მის სიახლოვეს დროით გაერიდა.

— სიძე ბატონთან ვერ მოვრიგდები, მაგისგან ცოტა შორს უნდა ვიყო, თო-

რემ რაღაცას მომიგონებს და ქვეყნის ყბაში ჩამადგებსო, — თქვა და უღლეულზე მუშაობის სურვილი განაცხადა. მას არავინ შესდევბია, მაშინვე მეურმედ გააშწესეს.

ნამდვილად კი იგი მძიმე სამუშაოს გაექცა, მინდვრის საჯაფაოს მეურმეობა აირჩია, პაპა ზურაბისეული კამეჩები საგორავეში ჩაყარა და ვეებერთელა საძნეური აღმართ-დაღმართებს შეუყენა.

პაპა ზურაბს თავისეულ საქონელზე მიიწვია თვალი ეჭირა, პირუტყვებთან ძალიან მიჩვეული იყო და მათ თავის კარმიდამოზე რომ ვერა ხედავდა, გული უკენსოდა, თომას ხელში მათი დამნახავი ხომ მთლად გადაირია.

— პაი, თქვე ქედდალოცვილებო, ეგვე გეწერათ განა?! — თავისეულ კამეჩებზე მალმალე ამას ამბობდა და უდიერად გარტყმულ სახრეზე მთელი ტანი ეკინებოდა.

„ცოდვა არ არის, ეგ უტყვია და შენ კი მეტყველი ხარ, მოგტყდეს მარჯვენა“, ბერიკაცი თავის გულში მეურმესა სწყევლიდა.

აღგეთის ნაპირზე ქერი გათიბეს, სამკალმა მთისკენ ამოინაცვლა, მუშახელს ფასი უფრო დაედო, ვაჟაკს თავისი მარჯვენით წლის სარჩო სწორედ ახლა უნდა ეშოვნა. კარგი ამინდიც იდგა და ცვარისელები დღე და დამე მინდორში იყვნენ.

კალოები ზევით გაივსო, ნაწვერალში ათეულები ათეულებზე ეწყო და მეძნეურები დაზვიანვას ველარ აუდიოდნენ. მეურმეს სწორედ ახლა უნდა ემარჯვნა, თომას კი გლეხკაცის მირონი აკლდა და ღმერთი ამ გაგანიაში გაუწყრა; გული გრილოსკენ მიუწევდა, საკოტრილოდ აღარ უშვებდნენ და ჯავრს უღელში შებმულ კამეჩებზედა იყრიდა.

— პაი თქვე ყორნების კერძებო, ძალა რა პირმა გამოგაცალათ?! ვითომ თქვენმა პატრონმაც საქონელი მოგვითვალა, თქვენს ყოლას, უხარობა სჯობნებია, — პაპა ზურაბის ნალოლიავებ

პირუტყვებს ამას დაჰყვიროდა თან ყოველ წუთს სახრეს უტყუაბუნადა.

შარშან, ის კამეჩები გათქვირებულები დადიოდნენ, პაპა ზურაბის მოვლილ საქონელს ცვარისაში ყველა იცნობდა, მის უღლეულს მარჯვენადლოცვილის შენახული ერქვა.

იმ დღით, სისხლისმიწებში მკიდნენ, ბერიკაცი ზღვასავით მომდგარმა ყანამ გაახალისა, ამქარი აიყოლია და პოპუნა დააგუგუნა. მომკელები გამხიარულდნენ; თომამ კი სოფლიდან საძნეური ჩამოაგორა. გამხიარულებულ ამქარს ერთი გადაუბღვირა და მერე ისევ თვლუმას მოჰყვა.

მომკელები უფრო გამხიარულდნენ, მოსავლის სიხებემ გაახალისათ და ერთერთის გაქილიკაგებასა და შექაბილებს მოჰყვენენ.

თომა სიციხეს ძალიან გაებებრებინა, ურმის კოფოზე მოთენთილი იჯდა და ღამენატებს ბალღივით ძილისთვის თავი ველარ წაერთმია. მომკელების შექაბილებმაღა გამოაფხიზლეს და საძნეურზე ზანტად წამოიმართა.

— ეს მუდრეგები ქორწილში ხომ არ არიან, რა შავი ჭირი ამხიარულებთ, — თომამ მომკელებზე ჩაიბუზღუნა, კამეჩს სალანძღავი შესძახა და თან სახრეც გადაუქირა.

მომკელებმა თომას ყურადღება არ მიაქციეს, იგი თითქოს ვერც დაინახეს, მოზღვავებულ ყანაში მზისკაბანი აგორდა და სამკალს უფრო თამამად შეუტიეს.

თომამ ჩაახველა.

— პაი, თქვე ჩემანალებო, ერთობა მართლაც კარგი რამ ყოფილა განა?! წინათ ერთმანეთს მგლებივით უყურებდით, — მეზობლებს გადმოსძახა, ურემი ზღვარზე შეაგდო და ათეულების გვერდით ჩაადრტიანა.

თომამ ახლა პაპა ზურაბს გადასძახა:

— სიძვე ბატონო, მოსავალს ძალიან კარგრ პირი უჩანს, ჯაფაც დიდი უნდა. ხომ არ მოიქანცე?

პაპა ზურაბს არაფერი უთქვამს, თომამ კი განაგრძო:

— რაც თავი მახსოვს, მამულის ასეთი გულუხეობა ჯერ არ მინახავს.

— აბა სად უნდა გენახა, სამკალში შენ არ დადიოდი და სათბობიც არ გაგიჭაჟანია, — შენიშნა ბერიკაცმა და მერე თავისეულ კამეჩს მიუძღერსა, — თხო, თხო, ჩემო ნიკორაჲ!

პირუტყვმა მისი ძახილი გაიგონა თუ არა, მაშინვე შეჩერდა და ყრუ კაცივით ყური ცალმხარეს მიუგდო.

— ჩემო ნიკორაჲ, ველარ მიცანი? — ბერიკაცი პირუტყვს უფრო დაუტკბა, — ვაი თუ გაბრაზებული ხარ და მიწყრები!

კამეჩმა მზრუნველის ხმა იცნო თუ არა. ღონიერად ამოიხვნეშა და ყოყინი ატეხა. მერე თანამედულე აიყოლია, ურემი მომკვლებსკენ მოღრჩავა, სევდამორცული თვალები ბერიკაცს მიაპყრო და თითქოს რაღაცაზე ემდურისო, ისე წამოიზმუღლა.

თომას ეს ამბავი არ ებიტნავა, „პირუტყვს პირუტყვი შორიდანვე იცნობს და ასე იმიტომ შეპყოყინებსო“, გუნებაში ჩაიცინა და კამეჩს სახრე გადასცხო:

— საით მიიწევ, ხიო, შე უპატრონო!

ნიკორამ მისი გაწყრომა არაფრად ჩააგდო, თანამედულე დაითრია და ყანისთავში გამოსულ ბერიკაცისკენ გასწია.

კამეჩის ასეთმა საქციელმა თომა მოთინებდნად გამოიყვანა. თითქოს ბნელად მოუარაო, კბილები ისე გააქრაჟუნა, ხელნებს გაჰყუა და მაშინვე ურმის თავში გაეარდა.

— სატილოვ, შენ ჩემი ხასიათი ჯერ კიდევ არა გცოდნია, ახლავე თავს გაეცენობ, — კამეჩს შესძახა და რქებშუა სახრე გადაუჭირა.

საბრალო პირუტყვმა ენა გადმოაგდო, მერე თავი რეტრიანით გააქანგამოაქნია, ჩქარ-ჩქარა ამოიხვნეშა და ამტყინებული ცხვირი ფეხებზე მოიჭაფლა.

— მაგის ქედის მაღლი გაგიწყრეს, უენო საქონლის აგრე უდიერად მოჰყ-

რობა ვის გაუგონია?! ვითომ შენც, კაცი ხარ, მოგტყდეს მარჯვენა ბერიკაცმა თომას მიაწყველა და პირუტყვის მოსაალერსებლად გაეშურა.

— სიძვე ბატონო, — თომამ კბილები ახლა ბერიკაცს გაუქრაჟუნა, — ეს ბეხრეკები თუ აგრე ძალიან გეცოდებიან, მაშინ ზურგი შენ მომიშვირე და ბარიბარში გამოხვალთ, — გაბრაზებულმა გადმოსძახა და პირუტყვს სახრე კვლავ დაუშინა.

პაპა ზურაბი ხელმარჯვე კაცი იყო, ჯერ კიდევ სიჩაუტეც მოსდევდა და თომას მერე აღარ დააცადა.

— პაი შე წელმოწყვეტილო, სიმართლე მითხარ და ცემასაც მემართლებო, განა, — შესძახა და მოქნეულ სახრეზე ხელი უტაცა.

თომა მაშინვე წაეძობილა, ბერიკაცმა სახრეს ხელი გაუშვა, ჩოხის კალთაზე ჩააფრინდა, გადმოიქნია და ძირს გადმოაგდო. თომამ ჩაიჩოქა.

— სიძვე ბატონო, ყოჩაღ, — წამოიძახა თომამ, უცბად წამოხტა და ბერიკაცს შეუბღვირა, — შენ აღმათ ისევე ძველი დრო გგონია და ღარიბ ხალხს იმიტომ გვიბრიყვებ არა?!

— მცონარაჲ, რომელი მუხრან-ბატონი მე მნახე, რომ მაგებობით მაშინებ, — შეუტია ბერიკაცმა და იქვე მოაყოლა, — კამეჩი უკვე გაგიოხრებია, საყოლად აღარ ვარგა და კიდევ მე მიწყრები?!

ბერიკაცი თომას სწყყელიდა და ნიკორას გასისხლიანებულ ტუჩებს ფეშტამლით უწმენდდა.

— მეყო ამდენი მოთმენა, მაგათი ოხრობაც არ იყოს და მაგათი კამეჩობაც! რახან ეგრეა, მიდი და შენ დაჯექი ურემზე. შენზე ნაკლებ მუშას თავი მოუკვდეს, ყანას შენზე უკეთესად მოვმიკო, — თომა ბერიკაცს უყვიროდა.

პაპა ზურაბს მისთვის ხმა აღარ გაუტია, ნამგალი და სათითურები ამქარს დაუტოვა. კამეჩები გამოუშვა, მერე მოლი მოიმარჯვა, ურემი დატვირთა და საღამომდის ორი გზობა ძნა აიტანა. დილით კი კამეჩებს ბეჭები ეტბოთ

დაუზინა, გვერდები შავად აულაპლავა და ძმისწულს კარებზე მიტრეკა.

— ამათი დევნის მუხლი როდილა აქვს, არც ი ბიჭებსა სცალიათ და ისევ შენ უნდა ჩაიბარო ურემი, — თითქოს ბრიგადირი თვითონ ყოფილიყოს, თავისიანს ისე დაუბარა და სამკალში წავიდა.

3

შრომამ თავისი ეშხი დაიდო, თავთავ-დამძიმებულ ყანაში ნამგალი ელავდა. ულო ხმაურით იბერტყებოდა და პოპუნას შეძახილი ველიდან ველზე გრი-ალით გადადიოდა.

ძალიანა ცხელოდა, მაშვრალი სიოს ნატრობდა, ცოც წყაროს თავისი ფასი ედო და მზეზე გადაფარებული ღრუბლის ფთილა იჭაურობას ღვთის წყალო-ბად ევლინებოდა.

მინდორს მუშახელი ახლა სკირდებოდა და თავს არავინ იზოგავდა. თომაც იმითთან იყო, სიცხემ თავი ძალიან მოაბეზრა, ჩრდილში კოტრიას აღარ ანებებდნენ, საშოვარზე გაქცევის ფიქრი აეკვირბა და მეორე დღით სამუშაოზე უხალისოდ მოვიდა.

— წელკავი შემეყარა. ნამგალზე მუშაობა მიჭირს და, დასაპარხი რომ არ გაგინდეთ, დროით გაგეცლებით. — ამქარში ესლა დაიჩივლა და წელზე მაშინვე ხელი იტაცა.

— ეგ მელდრეგი, — პაპა ზურაბმა ბიჭებს გადახედა, — მეძნეურად დააყენეთ, თორემ მართლა გაიქცევა და მერე ყველაფერს მე გადმომბარკლებს.

ბიჭებმა პაპა ზურაბს დაუჯერეს და თომა მეძნეურად დააყენეს. ორ დღეს ხალისიანად იმუშავა, მერე ულოს ბერტყვა, მისი გრეხვა და ძნის შეკვრა მობეზრდა და წყაროზე სირბილს უშატა. ბიჭებმა ცუდლუტ მეზობელს ეშმაკობა მალე შეუტყეს.

— ღმერთმა ავაშენოს, მორბედი არა გყავდა და ვიპოვნეთ, ბიჭებო, სანამ თომა ჩვენთან იქნება, ცივი წყალი აღარ მოგვაკლდება, — იხუმრა თედომ და მომკვლები გააციხა.

— ეგ დალოცვილიშვილი მეტრმედ რაზე სცდებოდა, თავიდანვე შეგნთან მოსულიყო და ხელობაში შემოეჭურჭნა დით, — შეაგება ზაქარამაც და ძნის-ოდენა ხელეური ულოზე მიაწვინა.

თომამ სველი კუტალი ათეულზე მიაგდო, სხვას ვერაფერი უთხრა და ისევ პაპა ზურაბს გადასწვდა:

— ქვეყანა ძალიან გაუტანელი ყოფილა, სიძე-ბატონმა ხელიდან სახრე წამართვა და ასე ჰგონია, რომ საწერკალამს მომაშორა.

— შე უშნოვ, — პაპა ზურაბმა პერანგის საკინძე გაიხსნა, — გლეხკაცისთვის სახრე საწერკალამზე მეტი რამ არის, დასანდობი არა, ხარ, ეგ აქამდისაც უნდა გცოდნოდა, — გადასძახა თომას და სამკალს ახალგაზრდული სიფიცხით გადაუხბა.

— ჰმ, დასწყევლოს ღმერთმა, ქვეყანა როგორ გაგოროზდა, კაცმა რაღა უნდა ქნას, ესეც კი ჰკუხას მასწავლის. ყვავი ისე არ მოკვდება, რომ ბუზზე მეტი რამ ვერა ნახოს, — თავისთვის ჩაიბუზღუნა და ხელეურებს მიეტანა: ხუთიოდე ძნა შეუსვენებლად შეკრა, მეტი ვეღარ შესძლო. წამოიკვნესა და წელზე ხელი იტაცა.

მისი კვნესა არავის გაუგონია, მეძნეურს თვალი განგებ აარიდეს.

— გინდა აქვე მოკვდი, ვის რაში ენალელები, — დაიჩივლა თომამ, ფეხზე დგომა აღარ შეეძლო, ჩაიჩოქა და ულოს გრეხვას ისე მოჰყვა.

მეორე დღეს კი სამუშაოდ აღარ გამოსულა, წელზე არტახი მაგრად შემოარტყა და ბრიგადირს გამოეცხადა.

— წელკავმა გამთანვა, უფრო იოლი საქმე გამომიჩინე, ღმერთის მადლს გეფიცები, აღარ შემიძლიან, ლამის მოგკვდე.

— ვითომ მეძნეურობა ეგრე სამძიმოა?! — ბრიგადირი თომას წელზე შემოკერილ არტახს დააკერდა, — რა ვქნა, ქალებთან წადი, საფოცხში, იქ წელის მოდრეკა აღარ დაგკირდება, — ესლა უთხრა და გამორდა.

თვის დაზინვაზე ვაყვაცს ორთი-

თით უნდა ეტრიალა და თომას ქალბ-
მა პირველ დღესვე აუარებელი ღვარ-
ული მიაყარეს. თომა ამდენ სამუშაოს
ველარ აუვიდა, მფოცხაობას თავი მი-
ანება და ორ დღეს სახლში იკოტრია-
ლა.

ბრიგადირმა მიაკითხა. თომამ სოფლი-
დან გაქცევა დაამირა: შეუღლემ არ გა-
უშვა. ბრიგადირი შინ შემოვიდა.

— სამუშაოზე თუ არ გამოხვალ,
იკოდე, კოლმეურნიებიდან გაგრი-
ცხავთ, — მან თომას მხოლოდ ეს უთხ-
რა და მაშინვე წავიდა.

— გამრიცხონ რა, მამა უცხოდათ,
უმაგათოდ მოვკვდები, რალა?! წავალ
და... — ცოლმა აღარ დაამთავრებინა.

— გაჩუმიდი ერთი, — ქმარს შეუტია
და განაგრაო, — თვალი ერთთავად
გაქცევაზე გიჭირავს. საღლა უნდა წახ-
ვიდე, საშოვარი კარზე გაქვს, დადექი
და იმუშავე, შენზე აუგის მოსმენა
კარგახანია მომბეზრდა.

— შენ მე დამიჭერე, თომამ მკერდ-
ზე მუშტი დაიბაგუნა, — ვილაყებს
რა ყურს უგდებ, რაც უნდათ, ისა
თქვან. მაგათ ყურმოჭრილი მონა კი
არა ვარ, წავალ და გარე სამუშაოზე
უფრო მეტს ვიშოვნი.

— არ გეყო მაგდენი სირბილი?! —
დედაკაცი ავად მოიღუშა, — რასაც
აქამდის ღებულობდი და შოულობდი,
ახლაც იმას მოიტან...

თომა სამუშაოდ ახლა კალოზე გავი-
და, იქაც ორ დღეს არნადით იტრია-
ლა, ბზის მტვერი ველარ აიტანა და
ისევ მომკვლებს დაუბრუნდა.

ბიჭებს სისხლიმიწების ყანები მოემ-
კოთ. ათეულებიც გამოეზიდათ და სა-
მუშაოზე ზრამიწყაროსთან ამოსულიყუ-
ნენ. თომა ამქარში მოშუადღევებულზე
მოვიდა. მომკვლებმა თავიანთი მეძნეუ-
რი დაანახეს თუ არა, მაშინვე კაჟინა
დასცეს:

— თომას გაუმარჯოს.

— ჩვენს მეძნეურს ვახლავართ.

— თავი დაგირჩეს, ასე აღრე რამ
ავაყენა?! — აქეთ-იქიდან მოსძი-
ხოდნენ.

— ჩემს დღეში ჩაცვივდით და აუგრ
მერე მკადრეთ, — თომამ უმცინველად
გადასძახა და იქვე დაუმატა, — რა გა-
ცინებთ, წელკავმა გამისხენა, სიღუბე-
რის გამოყოლილი ზადი მაინც არ მასვენ-
ნებს, ლოგინს თავი ძლივს წავართვი.

— ჟანდაბას მაგის თავი და ტანი, ნუ-
ღარ დასცინით, მოვიდეს, ნელნელა
იჩუქუნოს, შინაურები ვართ და ეგ
ერთი კაცი როგორმე უნდა გავიტა-
ნოთ, — ბერიკაცმა ბიჭებს გადაულაპა-
რაყა.

ბიჭები უმაღლე გაჩუმიდნენ. თომა სა-
მუშაოს კვენესა-კვენისით შეუღდა, იმ-
დლით ბევრი არაფერი გაუეყებინა, ასი-
ოდე ძნა შეკრა და შვიდიოდე გზობა
წყალი მოიტანა.

ამ ათი დღის წინ, ალგეთის ნაპირზე
ყანები ქანარობდა, მოცდის დრო აღარ
იყო, სანამგლედ კირნახულის ერთბა-
შად მოზღვაეებისა შეეშინდათ, დაბუ-
რებული ამოარჩიეს, მომკეს და ოდოში
კი აქა-იქა დატოვეს. — გუშინ, ბრიკა-
დირს იქით ამოველო, ოდოში უკვე დამ-
წიფებულებიო და მისი მომკა ბერიკაცსა
და თომას დაავალა.

— ჩემო ბატონო, — თომა ბრიკა-
დირს საცოდავად დაედრიჭა, —
მომეშვი, იქ მე ნუ გამოგზავნი, ავადმყო-
ფი კაცი ვარ და კარგად რომ ვერ ვი-
მუშაო, სიძე-ბატონი არ დამინდობს,
ბუზღუნითა და ჩხუბით ამიკვებს.

— რაც შეგაძლიან, იმუშავე და აღარ
წაგეჩხუბებმა, — ბრიგადირმა ესლა ურ-
ჩია.

პაპა ზურაბს კი იქ ხმა არ ამოუღია,
მერე ველარ მოითმინა, საღამოთი ბრი-
გადირი დაიმარტოხელა და აუხირდა:

— შე დალოცვილიშვილო, კაცი გა-
გიწყდა თუ რა არის, რალა მაინც და
მაინც იმ წელმოწყვეტილის გვერდით
მე მომაქციე?! —

— იქ ორ კაცზე მეტი ვერ მოტრიალ-
დება და იმიტომ თქვენ გითხარით.

— მაშინ სხვა კაცი გამომაყოლე.

— მერე მაგ მუდრეგეს რალა უნდა
ეუყო? — იკითხა ბრიგადირმა და იქვე
მოაყოლა, — ზომ ნახე, სადაც გავეზაუ-

ნე არსად არ ივარგა, წერილშვილი კაცია, იქნებ ისევ შენ აბეჯითო და გამოსწორდეს.

— კუჭიანს სამარელა თუ გამოასწორებს, მე რომელი მაგის გამდელი მნახე, — ბერიკაცმა ესლა ჩაილაპარაკა და შინ გაბუტულივით წავიდა.

რაც თავი ახსოვს, ბერიკაცი დილით ძალიან ადრე დგებოდა ხოლმე, მეზობლებს ისევ ეძინათ, რომ ის მუშაობით ძღებოდა. ამჯერად კი ხელაპირის დაბანაც ვერ მოასწრო, თომამ ორღობე ჩამოიარა და ომახიანად გადმოსძახა:

— სიძვე ბატონო, სამუშაოზე წამობრძანდი!

— ჰმ, ხედავ ამასა, — ბერიკაცმა გაკვირვებისგან თვალები დააჭყიტა, — იარე და მოგეწევი, — ესლა ვასძახა და პირჯვარი ჰაიპარად გამოისახა.

თომამ სამუშაოზეც ივადკაცა, ბერიკაცი გუნებაში გარჯას ძალიან უწონებდა, მართლაც, ქების ღირსი იყო, კარზე მომდგარი ჭირნახული ნახა და წელკავი ერთბაშად გადაიყარა, ნამუშევარს თავისი ხელი დაატყო და ბარაქიანი გაიტანა.

ბერიკაცი თომას გარჯას ქვეშევრუტებდა. ამ წელმოწყვეტილს ეს მაღლი და ხალისი ნეტავ დიდხანს გაპყვესო. გულში ამასლა ნატრობდა.

მზემ მაღლა აიწია, იქაურობა პაპანაქებამ გათანგა. თომასაც ძალიან დასცხა, მზღვრის ბოლოზე გასულმა შუბლიდან ოფლი მოიწურა, მერე, „ვთი დედაო“. — ერთი წამოიკენესა და მამინვე წელზე ხელი იტაცა.

— უკვე დაიწყო, — ბერიკაცს ელდა ეცა, — გაგიწყრა ჩემი გამჩენი, ცოტა ხანს კიდევ მაინც გემუშავნა, — თავისთვის ჩაიბუზღუნა და სამკალს ეკვეთა.

იქვე, ვებერთელა მუხა იდგა, ზედ ნახარტზე, სამური ჩრდილი დაეყენებინა. თომამ იქითკენ კარგა ხანს იტყირა, მერე ჩრდილს თვალი სინანულით მოსწყვიტა და ამოიოხრა.

ბერიკაცმა მის მზერას თვალი შეასწრო თუ არა, იქნებ როგორმე ავიყოლიოო, ჰოპუნა დააგუგუნა. თომა არ

აპყვა, ორიოდ ხელეური ზანტად გამოიღო, მერე ბერიკაცი მის წინაშე მიიტოვა, გრილოსთან მჩენდა და მარლზე წამოგორდა.

წელან მაღლიანად იმუშავა, ცოდვაც არის კაცმა ახლა მაგას გრილო წააყვედროსო, გაიფიქრა ბერიკაცმა და მუშაობა მარტოდ განაგრძო.

მეორე დღესაც იგივე განმეორდა, თომამ მესამე დღესაც იმასვე აპირებდა,

— თომავ, — ბერიკაცმა შეუბღვირა, — ცოლ-შვილის მარჩენალი კაცი ხარ, ოჯახის უფროსად ითვლები და ამის კვალობაზეც უნდა გაისარგო.

— რაზე ამბობ? — თომამ მხრები აიჩინა.

— ხომ ხედავ, ყანა ხელიდან მიგვდის და შენ მაინც გრილოსკენ მიიწევი, ბარემ შინ წადი, საქმისთვის ასე უფრო უყეტესი იქნება, — შენიშნა ბერიკაცმა და სამკალს დაუტრიალდა.

— შე კაი კაცო, რასა ბრახობ, ამ ოხერ ყანასაც მოველება, კოლექტივში აუარებელნი ვართ, ამას მოუშველს კი არ დაეტოვებთ?! — მიუგო თომამ და ნამგალს ფხა მოუსინჯა.

— ლახარე მოკვდა და ფაჩუჩები მერე შეუყერესო, საქმე დროით უნდა გააყეთო, რომ მაღლად წაგაღაცეს, იანვარშიც თუ აქ ჩამოხვედი, შენს ოჯახს ძალიან ბევრ რამეს წაუღებ, — უთხრა ბერიკაცმა, ვებერთელა ხელეური გამოიღო და ფეხებში მიყარა.

ამ გადაყრუებულმა ეს რალა მოიგონა, პატარა ბიჭივით ჯიბრში ჩამიდგაო, გაიფიქრა თომამ, მაგრამ ამ ამბისა თითქოს ვერაფერი გაიგოო, ხელეური ისე მშვიდად აკრიფა და უღოზე დადო.

ამასთან ამეებით ვერაფერს გავაწყობ, თავმოყვარეობის ნატამალიც კი არ გააჩნია, ესლა გაიფიქრა ბერიკაცმა და ამოიოხრა.

— სიძვე ბატონო, ძალიანა გთხოვ, ჩემი ოჯახისთვის შენ ნუ შეწუხდები და მათი სახელიც აგრერიგად აღარ ახსენო, — თომამ ბერიკაცს ძალიან

მშვიდი ტონით ურჩია და მაშინვე ჩრდილისკენ გასწია.

— წელმოწყვეტილო, შენი ოჯახისთვის კი არა ვწუხვარ, ყანა ხელიდან მიგდის, ნაოფლარი ამოდ გველულება და იმას ვჩივი, — შიშობა ბერიკაცმა და ხელში შემორჩენილი ხელეური სამკალს შეაყარა.

— ჰმ, ეს მაინც თავისებურს როშავს, — თომა ბერიკაცს უმაღვე შემოუტრიალდა, — კაცო, დრო არის მავ ქვევრიდან შენც ამოხვიდე და ქვეყანას გადახედ-გადმოხედო, აქამდის რით ვერ გაიგე, რომ ეს ყანა უკვე საერთოა და მარტოს ეგრეთი წუხილი აღარა გამართებს?!

უქნარა და ზარმაცი გლეხი, მშრომელ კაცს გამრჩელის წუხილსაც კი ეღაღებოდა და ბერიკაცმა ეს ველარ აიტანა,

— თავში ქვა გიხლია, რახან საერთოა, მისდექი და ზედ ვირი აგორავე, მერე როგორც იცხოვრებ, იმასაც ვნახავ, — გამბრაზებულმა წამოიძახა და ნამგალი ძირს დაახეთქა. გამოგვალულ მიწაზე ნამგალმა ზარივით გაიწკრიალა, მალე ახტა, გაიბზუილა და თომას კანკუზე გაეხატუნა.

— ვაიმე, — თომა პატარა ბიჭივით შეხტა, — ხალხო, მომკლა ამ უღმერთომა, — ტირილმორეული ხმით წამოიძახა და კანკუზე ხელი იტაცა.

— ე რა ღმერთი გამიწყრა, — ბერიკაცმა თომასთან მიიჩბინა და დამნაშავეის ხმით იკითხა, — რა დაგემართა?

— შინაური მაინც არ იყო, ამ გაგანია მუშაობაში ეს რა მიყავი, წვრილშვილი კაცი რაზე დამლუბე?

— კარგი ჰო, იმდენიც არაფერი გეტყობა, წუწუნს მოეშვი, — შეუტია ბერიკაცმა და ჭრილობის შესახვევად მიეტანა, — მოიტა, შეგახვიო.

— თავიდან მომწყდი, შენი თაფლიც არ მინდა, — წამოიწყრა თომამ და ჭრილობისთვის არც დაუხედავს, კანკუ ფეშტამლით ისე შეიკრა.

— ჯანდაბას შენი თავი, რაც გინდა,

ისა ქენი, — წაუბუზღუნა ბერიკაცმა და გაეცალა.

თომა მუხასთან მიკინკლა, ნამგალით ვებერთელა ტოტი ჩამოაჭრა, გასხიბა. ყვარჯენად მოიმარჯვა და სოფლისკენ კენესა-კენესით გასწია.

ამ წელმოწყვეტილმა ეს კარგი მიზეზი გამოიხატა, მორჩა, წრეულ სამუშაოდ აღარ გამოვა და ბიჭების საყვედურს ველარ აფუვალო, გაიფქრა ბერიკაცმა და დალონდა. სამკალისთვის იმასაც, თავი უნდა მიენებებინა, თავთავდახრილ ყანას გადახედა და განზრახულისა შერცხვა, კარზე მომდგარ პირნახულს ველარ უღალატა, მზღვარეულს გულდაგულ ეკეთა, დაბინდებამდის შეუსვენებლად იმუშავა და გაჯანჯლებული ნაქანარევი როგორც იქნა მომკა.

იმ ურჯულო სიძე-ბატონმა ნამგალი მესროლა, სახსრის ძარღვები გადამიჭრა და კაცი გამახეიბრაო, თომას უკვე ქვეყანა შეეყარა.

პაპა ზურაბი სამუშაოდან გვიან დაბრუნდა. ცოლი კარებშივე დაუხვდა, ჯერ თვალეები გადაუბრიალა და მერე შეუტია:

— ამ სიბერის ქამს ეგ რა ღმერთი გაგწყრომია, ი. წვრილშვილი კაცი რაზე დაგილუპავს?!

— ღმერთმა ნუ იცის უხვირო კაცის თავი და ტანი, — ბერიკაცმა ცოლს ესლა უთხრა, ტახტთან მივიდა და ტანთ გაუხდელი დაწვა.

— გევახშმა მაინცა და ისე დაწოლილიყავი.

— არ მინდა.

მართას ძალა აღარ დაუტანებია, ქალამნები ვახადა, ნაბადი დაახურა და გაეცალა.

„ამ წელმოწყვეტილმა ხედავ რა მიყო, ქვეყნის ყბაში ჩამავდო, დასაციინი რამ დამმართაო“, ბერიკაცი ერთხანს ამაზე ფიქრობდა, მაგრამ დაღლილობამ თავი მალე წაართვა და ჩაეძინა.

ხასხასა ველი ეზმანა, ყვავილნარს ბოლო აღარ უჩანდა, იქაურობა კვლივითა და სამყურით გადაქედლიყო,

ბერიკაცი ვითომ ლილინით დაიარებოდა და ნექტართან აზუზუნებულ ფუტკარს უთვალთვალებდა, აფუსფუსებულ ხარაბუზებს უგვრიებდა. ერთი ხარაბუზა მაინც ძალიან გათამამდა, ფუტკარს ჩაეღობა და ყვავილთან აღარ მიუშვა. სანამ ბერიკაცი მას ხელს აუჭნევდა, ფუტკარმა ნესტარი ჩაასო, ხარაბუზა მოკლა, თავისი ყოვლის შემძლე მახვილი ხარაბუზას გვაშიდან ვეღარ ამოაძრო და შიგ ძირში მოსწყდა.

ეპ, რაღა ამის სიცოცხლე, გაისიზმრა ბერიკაცმა, უნესტრო ფუტკარი აიყვანა და ხელივულზე დაისვა. ფუტკარს თითქოს ნესტრის დაკარგვა არც უგარძენია, ყვავილისკენ გაფრინდა. ბერიკაცმა იცოდა, რომ ის თავს ვეღარ შეაგროვებდა და მისი ასე ლაღად გაფრენა მაინც გაუხარდა. წადი და ინავარდე, თუ ვერ იმუშავებ, ქვეყნის ცქერით მაინც გაძღებოი, ფუტკარს ვითომ ეს დაადევნა და გამოვლვიძა.

უკვე გათენებულიყო, მშვენიერი დილა იდგა, საჭირნახულოს ამინდი ბრიალებდა და პაპა ზურაბი უმაღვე ტახტზე წამოჯდა, დედაცაყო, სავალი გამიმზადე, სამკალი მეძახისო, მეუღლეს ჩვეულებრივ უნდა შეხმინებოდა, გუშინდელი ამბავი უცბად გაახსენდა და მაშინვე გადაიფიქრა. ტახტიდან ჩუმით წამოდგა, ქალამნები ჩაიცვა, დაკუმუჭნილ ტანსაცმელზე ხელი ჩამოისვა, ხელ-პირი დაიბანა და თომას სანახავად გასწია.

„დაჭრილი“ დერეფანში იწვა, ეპიტაურით საესე ბოთლი გვერდით მოედგა და ნელნელა წრუბავდა. მას ბერიკაცის დანახვა არ ეპა, ფეხზე ნაბდისძველა გადაიფარა, შეკითხვისთვის არც დაუცდია:

— რაღა როგორა ვარ, წვრილშვილი კაცი დავიღუპე, კრილობა ძალიან გამიღიზიანდა, მეწინიან, ფეხიც არ მომპკრან, — მაშინვე ეს დაიჩვილა და ბერიკაცის დაქინებულ მზერას თვალი მოარჩადა.

— კმარა, ნუ აზვიადებ, — პაპა ზუ-

რაბი თომას გვერდით მიუჯდა, — აბა კრილობა მიჩვენე.

— რა უნდა გიჩვენო, შენ რომელი ბაქიაშვილი მყავხარ?! — შემოუბრუნა თომამ და ფეხი ნაბდისძველაში უფრო კარგად შეფუთა.

— არაფერიც არა გტკივა; — ბერიკაცი უმაღვე წამოდგა, — ვაჟკაცი ხარ და ტყუილის თქმას არ უნდა კადრულობდე.

— რა მოგატყუე?!

ბერიკაცს მისთვის აღარაფერი უთქვამს, მაშინვე გამოვირია. მერე, მისი ჩანმართელობის ამბით აღარც დაინტერესებულა, ან იმისთვის საღ ეცალა. კირნახული ჩასაბინავებელი იყო და სამუშაოზე უთენიას გარბოდა.

თომამ მთელი ზაფხული იავადმყოფა. შემოდგომით კი ყვარჩენს დადებჩინა, თავმჯდომარეს კაბინეტში გამოცხადდა და შესაბრალოსად დაიჩვილა:

პიროვნების გაშლა არის — თანაბარი და
ტოლფასოვანი არ არის. ცოტა სქემატურად,
აქ შეიძლება სამი სხვადასხვა რიგის ემიზონდე-
ბი გამოვყოთ.

ყველაზე ძირითადი და რომანისთვის საყრ-
დენი ემიზონდები ისაა, სადაც ავტორი გველა-
პარაკება მხოლოდ მხატვრულ, სინამდვილურ, და
ნახევარტანის ენაზე და, შესაბამისად, გველა-
პარაკება ადამიანის ბუნებისა და მისი ბედის
ისეთი სფეროს შესახებ, რომელზედაც ლამა-
ზაკი მხოლოდ ამ ენით შეიძლება. დამა-
თავშია „უღრესად პატიოსანი, სამართლიანო-
ბის მოყვარული ახალგაზრდა კაცია“ — ეს გა-
საგებია. იგი მგრძობიანება ღირსების საკითხ-
ებისადმი და ამ ნიადაგზე უხდებდა ორთაბრ-
ძოლა თავის თითქმის შეგობართან, რაც მეგობ-
რის სასიკეთოდ დაჭრითა და თუთაშვილის
გამბრაგებობით მთავრდება. ესეც საყრდენით გასა-
გებია და ბუნებრივია. მაგრამ ამ და ყველა ინე-
ვარ ძირეულ შტრიხებს თავისი ვიწრო სახეში
ავტორი აესხებს და აკონკრეტებს ისეთი ნახე-
ვანრდღაღღებითა და „ულოგიკო“ დეტალებით,
რომელნიც ვიწროს მოქმედების ამოქრავებულ
სიღრმისეულ შტრიხებს ჩვენითვის ყველა ცალ-
კეულ შემთხვევაში პირობულმარტოს ხდის და,
ამავე ღრის, მისი პიროვნების ინდივიდუალო-
ბას გვეგრძობიანებენ. მართალია, მას ორთა-
ბრძოლა მოუხდა თავის თითქმის შეგობართან,
მაგრამ ეს არ იყო არც უბრალო უნებური შე-
ტაკება, არც დღელი, თუმცა „სროლა ურთი-
ერთმეთაშინებებით, ნებაყოფლობით მოხდა“
(ოლინდ სკუენდანტების ვარსება): „მეგობარი“
მთლიან შეგობარი არ არის, არამედ, უბრა-
ლოდ, თუთაშვილის მიერ იყარით აღებულ მა-
მულური ჩამოსახლებული მხატვარია, რომელსაც
დათანთან და მის მშვენიერ დასთან საერთო
მონახა, სამივეში მოკვეთილი რაღაც გამოჩინე-
ლი სულიერი თვისებების წყალობით; თვითონ
ეს მხატვარიც რაღაცით ატიპურია — ყოფილი
ოფიცერია, რომელსაც ეს „თავისუფალი ხე-
ლობა“ არჩია და არაფრით არ ჰგავს სხვა ჩვე-
ულებზე ხებრე ოფიცერებს: „დღეღისი“ საპა-
ბიე რაგორდაც უცნაურია; დათამ თავისი დაი
და ყოფილი პორტუკი „ტახტზე წამოწოლი-
ლები“ დაინახა, თუმცა ჩვენ არ შეგვიძლია არ
ვერწმუნოთ პორტუკიის მიერ სასიკეთოდ მა-
რტულზე მოცემულ ჩვენებას, რომ მისა და და-
თის დას შორის მხოლოდ „პლატონური ურთი-
ერთობა“ იყო. ყველა ამ გადახვედრისათვის
თავად ცხადი და ლოგიკურად მოსალოდნელი
ხაზიდან მკითხველი გრძობს რაღაცეა აუხსნე-
ლი და ელოგიკო პიროვნული საწყისის გამო-
ღენას, რომელიც იუბრი მტრით აღძრავს ინტე-
რესს, ვიდრე დახარბებული სიოციტის „ფი-
ტაქორი“ მხატვრი.

ეს პიროვნული საწყისი აქტიურად მონაწი-
ლობს თუთაშვილის სახის ამპოლიტაში და
სწორედ მისი წყალობით არის ის პერსონაჟი
მკითხველისათვის მიმზიდველი. მსაგებად რი-
აღური ადამიანის სახისა, რომლის გამოგვიკა-
ველება თითქმის „ვერ დაიჭრია“ და ამიტომ
იძულებული ხარ გაუნელებელი ყურადღებით

უცხოეთით, თუთაშვიას პირიქედმა თუ უცხოელ-
ლობაზე არა, ყოველ შემთხვევაში, ატიპიურო-
ბასა და კონტრასტებზეა აფუძნელი. წარმოშო-
ბით იგი მეყოფა, მეყოფათა გავრცელება, მაგრამ
გარეგნული იერით „თავის არისტოკრატ თანა-
მემამულეთაგან თითქმის არაფრით განსხვავ-
დება“. იგი უსწავლელია, მაგრამ გონება გახს-
ნილი აქვს და შეთვისებული აქვს გარკვეული
ჩვევები და ცოდნა, რომელიც განათლებულ
წრეს ახასიათებს. მის მოქმედებაში მკითხველი
განუწყვეტლად გრძნობს რაღაცა წინააღმდე-
გობას ერთი მხრე ამ ფაქტისად ფიზიკური
ადამიანის პრაქტიკულ ადროსა და ინტერეს-
ებს. მეორე მხრე მის სულ სხვა ხასიათის
შინაგან სტიმულებს შორის, რომელიც მისთვის
ცხოვრებას სპორტად და ექსპერიმენტად აქ-
ცევს. ყოველივე ეს რომანში მოცემულია ძუნ-
წი, მაგრამ განმეორებადი ინდივიდუალური
შტრიხების ფონზე, რომელიც გვიხატავს
იმას, თუ როგორ მოძრაობს ეს გმირი, როგორ
იციინს (ხშირად, თითქმის, უადგილოდ),
როგორ შთაბეჭდილებას ახდენს ის გარეშე
ხალხზე და სხვ. ეს დეტალები ბევრი არ არის,
მაგრამ მკვეთრია და შინაგანად დაკავშირებულ-
ი. ჩვენ მათი საშუალებით ცოცხალი
ადამიანის დასრულებული და მკვეთრად ინდი-
ვიდუალური სახე გვაძლევს.

ამ ადამიანს, როგორც უკვე ვთქვით, სწვევია
ფიქრი, — უმთავრესად, იმ ძირითად საკით-
ხებზე, რომლებიც მუდამ ყოფილა და იქნება
ადამიანის ინტერესის ცენტრში. ეს ფიქრი გა-
ნუწყვეტლად და ორგანულად დაკავშირებული
თუთაშვიას მთელს ცხოვრებასთან და იმდენად
ფიქრი კი არაა (თუმცა დათა თავისი შეხედუ-
ლებების მეფით ფორმულირებასაც არ ერიდებ-
და), რამდენადღე გუმანიტი, მთელი თავისი ბე-
ნება იწვდოდა იმ ჭეშმარიტებებისა, რომელთა
განაა მისი სიცილებლის უმთავრესი მიზანია.
რომანში საკმაოდ ნათლად ხანჯალმული, რომ
სანამ გაახრებებს მოასწრებდეს, როგორი პრაქ-
ტიკული ნაბიჯი გადადგას ამა თუ იმ კრი-
ტიკულ მომენტში, თუთაშვიას „გული ეტბენ-
ბა“, თუ როგორ უნდა მოიქცეს, და ამ არჩე-
ვების ლოკუსურ დასაბუთებას იგი შემდეგ პო-
ულობს. ეს დეტალი დაამახასიათებელია მისი
პიროვნებისათვის. ის უფრო შინაგან ხმას
უსმენს და არა მტკიცედ ჩამოყალიბებულ ლო-
გიკურ ფორმულებს, და ამიტომაცაა ამ შემთხ-
ვევაში აუცილებელი, რომ ავტორმა ამ ძიების
დასაბუთებად სწორედ ის ენა იხმაროს, რომ-
ელიც მხოლოდ მხატვრულ ნაწარმივებშია შე-
საძლებელი და სხვაგან არაა.

რა არის ამ ძიების საგანი? ესაა ადამიანის
არჩევანი ამ ქვეყნად მის წინაშე გადაშლილ
„არჩევანს, სვამისა და ჩიორას“ ხედვას შორის,
ამ არჩევანის სტიმულები, შეფასება რა დახ-
ლართული, ურთიერთდასმკვეთი გზები, რა-

მელთაც ყველანი ამა თუ იმ ხედვებზე მივი-
ვართ. რომანის გმირის ძიება ეთიკური ნაყოფ-
თისაა, იღონდ მკვეთრი სიუჟეტის, სიტუაციისა
გარეგნული დრამატიზმი ავტორის საშუალებას
აძლევს ეს ძიება თვალსაჩინოდ, ნაკლები სიტ-
ყვებითა და მეტი ხელშეისახება დეტალებით
დახატოს, ხოლო გმირის ნამდვილად ოსტატურ-
ად გამოყვითილი ფსიქოლოგიური პორტრეტ-
ი საშუალებას აძლევს მას, ამ ძიებას ნამდვი-
ლი პიროვნული დრამის, პიროვნული სტლიური
თავდადასავლის სახე მისცეს.

ეს დრამა იშლება რომანის პირველ მთავარ
ეპიზოდებში და სწორედ ამ ეპიზოდებშია, ძი-
რითადად, მოცემული ეს პიროვნული აუტენი-
ლი საწყისი, რომელიც აუცილებლად მოით-
ხოვს თავის ვადამოცემად მხატვრული ლიტერ-
ატურის ენას. ასეთია ეპიზოდები, სადაც მო-
თხრობილია თუთაშვიას მუშაობა ტყის მკრე-
ლად, მისი მონაწილეობა „ექსპროპრიაციამი“
და მისი თავდადასავალი სტანიუსი, განსაკუთ-
რებით პირველი ორი. გმირი პრაქტიკულად —
თავისა გუმანიტი და თავისი ვირობებით — ეძებს
გარესამყაროსადმი მიმართების რაღაც საუკუ-
თესო ფორმას, რომელიც მას საშუალებას მის-
ცემს თავისი ეთიკური მოთხოვნისა და მას-
მალურად დაკმაყოფილების და თავის მსაჯე-
რი ამ გარესამყაროს მიქსიზალური სისრულით
მოახვიოს თავს. ეს ეპიზოდები რომანში ყვე-
ლაზე ძლიერია და, მე გჯერო, შესაძლებელია
აქ ავტორის გამარჯვების მიზნებიც კონკრეტუ-
ლად დაავსახლოთ: საქმე ერთი მხრე იხსა,
რომ გმირის პიროვნება, როგორც ზემოთ
ვთქვით, მდიდარია, მისი მოთხოვნა წუთისოფ-
ლისადმი დღითა, იგი ბევრს ეძებს როგორც
ეთიკურ პლანში, ისე თავისი უშუალო ადამი-
ანური იმპულსების დაკმაყოფილების სფეროში
(ამაყი, თავმოყარება, რისკის მოყვარული რა
სხვა ანგვარი). მეორე მხრივ, საქმე იხსა, რომ
თუთა ეს გარესამყარო, რომელშიც თუთაშვიას
თავის ეთიკურ „მე“-ს ეძებს, თვითონ მდიდარი,
მრავალმხრივი და რთული ეს არაა ის რამდენ-
იმე შტრიხით მოხატული, აწყობილი ან აუწყ-
ობელი საშუალო, რომელსაც რომანტიკული
აბრაჯე უნდა უპირისპირდებოდეს: ესაა ულ-
ტრად თავისებური სინამდვილე XIX საუკუ-
ნის და XX საუკუნის დასაწყისის საქართვე-
ლოსი და კავკასიისა, სადაც ერთ კომპლექსა-
დაა მოცემული უაღრესად სხიადსხვაგვარი
ეთიკური ირთვულები და იარაღიდან მოსო-
ლი ცილიზაციისა, სეროს შემოთავალი საზო-
გნოთმობილი წყობილობა და მის წინააღმდეგ
მიმართული პოლიტიკური ქაოტები თუ პარტი-
იბი, ანათოების სხვადასხვა ორნს, სხიად-
სხიად ხეობისა და სხიადსხიად „ახლობის წე-
სის“ ადამიანები, რასაციონალია, ყოველივე
ეს მხოლოდ იმ პირობითაა მომავლიანი გარემო
გმირის ეთიკური ძიების დრამის განაშლელად,

თუ ავტორს არსად არ აღაპრობს ფსიქოლოგიური სიმართლის ალღო და ცხოვრებისეული გამოცდილება. მაგრამ ეს პირობები რომანში სასებთათაა დაეული.

მწვლია ზედმეტად შეაქო ის, ჩემი აზრით, ბრწყინვალე ეპიზოდები, სადაც მოთხრობილია დათა თუთაშხიას სექტანტებში დამალია და მისი „ექსპროპრიაციის“ აქტში მონაწილეობის ამბები. სინამდვილის სრულებით თავისებური და უცნაური მონაკვეთი — პრიმიტიულ პირობებში მსოფრთველი პრიმიტიული ადამიანების საზოგადოება — უცნაურ გამოცხადებაშით იტრება ჩვენს გონებაში; ეს პრიმიტიული საზოგადოება საზარელია და, ამავე დროს, მკითხველსთვის რაღაცით უღრესად მიმზიდველიც: მიმზიდველია იგი თავისი, თუ შეიძლება ასე ითქვას, პირველადობით და მასში განსახიერებულ ადამიანურ საწვისთა სიყვადით, თავისი უღრესი ბუნებრიობით და გვირის — დათა თუთაშხიას იმ ძალიან ფაქიზად ნაგრძნობი და განსახიერებელი ახალგაზრდული ხალისის განცდით, რომელიც ამ მაძიებელსა და მოუსვენარ კაცს საშუალებას აძლევს ამ მარტივ არსებობას დიდი ხნით შეევედოს. აჩანალებს მკვეთრია ის გარემოც, რომელსაც ექსპროპრიაციის ეპიზოდი ხატავს, ხოლო მისი მთხრობელი — ექსპროპრიატორი ნიკოლოზ ბუნებრივად ბრწყინვალე ლიტერატურული სახეა, რომელშიც შეზავებულია ნამდვილად ღრმა ფსიქოლოგიზმი, სოციალური გააზრების სიზუსტე და საუცხოო, მაღალი დონის იუმორი.

როგორც დათა თუთაშხიას პიროვნული პორტრეტის გამოკვეთაში, ისე მისი ეთიკური დრამის მოახზებაში ამ ეპიზოდებს ძალიან დიდი წვლილი შეაქვთ: ამ მკვეთრი შტრიხებით დახატულია აბრაგის მოუსვენარი და მაძიებელი პიროვნება და ადამიანის ის პრიმიტივიზმიც, შეზღუდულობაც და უწყალო ეგოიზმიც, რომელიც პირველ ბზარს აჩენს გვირის სულში; ამ ბრწყინვალე ეპიზოდებს მეტ-ნაკლებად ეფარდება გეოდეზიკის ნაამბობი; თუთაშხიას სულიერად ტრავმირებული იმ დაკვირვებებითა და იმ განზოგადებებით ადამიანისა და საზოგადოების ბუნების შესახებ, რომელიც მან რამდენიმე წლის ხეტილის შედეგად მოახდინა, და ამიტომ, წინააღმდეგ თავისი ბუნებისა, ის პასიურია გარესამყაროსა და მის თვალწინ მომზადარი პორტრეტის მიმართ. მაგრამ წინა ეპიზოდებისაგან განსხვავებით, ამ თუთაშხიას დამოკიდებულება სინამდვილისადმი და მისი პიროვნებაც ჩვენს, თუ შეიძლება ასე ითქვას, რაციონალურის, თავიდან ბოლომდე გასაგების, ლოკურის ფარგლებში გვეძლევა. ეს ეპიზოდი და მასში დახატული სახეები მკვეთრია და დისამბსოვრებელია. მაგრამ ზემოხსენებული ეპიზოდებისგან განსხვავებით, ამ ვერ ვხე-

დათ იმ ბედნიერი შთავრებით მივხვდეთ ახსნულ პიროვნულ დეტალს, რომლებიც გვიჩინა და მისი მსოფლმეტრებების დასატყობას მთავარ როლს თამაშობს.

იმით, რაც ითქვა თუთაშხიას ეთიკური ძიების საგნისა და მიმართულების შესახებ, უკვე მინიშნებულია რომანისტიკის მიერ დასრული პირობების ბუნება და ხასიათი. ეს პირობები შემდეგ სხვა მიდგომით წარმოსახულ ეპიზოდებში იშლება, რომელთაც შეიძლება რომანის ეპიზოდთა მეორე ჯგუფი დავაჩქვათ. ამ რეალობა ვადაჯგუფულია სიმბოლიკათან. ნაწილობრივ ეს ვხედა თუთაშხიას პოსტიკალში უოფნის ეპიზოდს და მთლიანად — სარამბეის განმარტების ეპიზოდს. პირველში კაცობიანი ვირთხების აღწერა ერთგვარად მიგვანიშნებს იმ საერთოზე, რაც ადამიანისა და ცხოველს შორის არსებობს და როგორც მკითხველს, ისე გვირს თითქოსდა გზას უხსნის უდიდესი პესიმიზმისადმი. დაახლოებით ამავე მიზანს ემსახურება კერძო პოსტიკალში მწლიაჩე დავრდომილთა ურთიერთობის აღწერაც. რომანის ჩანაფიქრში ეს ეპიზოდი, ასე ვთქვათ, გვიჩინს ეთიკური ძიებისთვის ერთ-ერთი პოლუსის როლს თამაშობს, მასმ რაცა მეორე პოლუსის მისთვის უფრო კაცობიანად იქნება წარმოდგენილი უფრო მსოფლმხედველობა წარმოდგენს. მეორე ეპიზოდი (სარამბეის ჩანაფიქრის) წმინდა სიმბოლიკაა, თუმცა ამ სიმბოლიკაში გამოყენებული ფერები სასებთათ რეალურია. უსასრულოდ გახვიადებული და გამკვეთრებული ხასიათები, რომელიც ამ მოქმედებში, მანინ რეალურია ადამიანებში, რომელთაც ერთგვარი კოლორიტულობის, „სახასიათოობის“ ელემენტაც კი ახლავთ.

ამ სიმბოლიკის ადგილი რომანის ჩანაფიქრში ნათელია. ეს, როგორც ვთქვით, წინამძღვარია პერსონაჟის მსოფლმხედველობის ერთ-ერთი შესაძლო ექვივალენტისათვის — უსასრულო პესიმიზმისათვის ადამიანის და ადამიანთა ბუნების ვაგების თვალსაზრისით, რომელიც თუთაშხიას ეთიკურ ძიებაში გარკვეულ როლს ასრულებს. როდენ, გვირის პიროვნული საწყისი, რომელიც ასე გვიხილავდა პირველ ეპიზოდებში, ამ ამ სიმბოლიკის წყალობით დანრდილულია. გვირის პიროვნება თავისი ახალი კუთხეებითა და ახალი წახვავებით აღარ იხსნება და აღარ იშლება ჩვენს თვალწინ.

ეპიზოდების მესამე ჯგუფია თუთაშხიას ინტელექტუალური ურთიერთობის სოციალური. ამ რომანის თემა კიდევ უფრო განყენებულად იშლება, ვიდრე სიმბოლიკის გამოყენებით დაწერილ ეპიზოდებში. ამ ბეგრია მსჯელობა — უმთავრესად, სადღეგრძელოების სახით. ეს მსჯელობა უმრავლეს შემთხვევაში სინტრეპისა, ზუსტია და, რაც მთავარია, გამოხატავს არა მარტო ამა თუ იმ აზრის დამადასტურებ-

ბელ საბუთებს, არამედ ავრთვე თვით მოლაპარაკების ხასიათს, მის სოციალურსა და ფიქლოლოგიურ რაობას. მიუხედავად ამისა, მკითხველი როგორღაც გულწაყვლილი რჩება: ვმირის პიროვნების გაღრმავება მის თვალწინ აქ თითქმის სრულებით შეწყვეტილია და გმირის პრაქტიკულ მოქმედების მხოლოდ თავგადასავლის ხასიათი აქვს, თუმცა დათას საუბრისა და მისი ფიქრის თემა ისევ იმ ძირითადი პრობლემის გარშემო ტრიალებს, რომელიც გარკვევის ცდასაც მისი მთელი ცხოვრება წარმოადგენს.

როგორც წინა, ისე უკანასკნელ ეპიზოდებში რომანის თემის განვითარება თანმიმდევრულად ხდება. თუთაშვილი თავის ეთიკურ ძიებაში თანდათანობით იხრება იმ ევდემონისტური მორალის აღიარებისაკენ, რომელიც მას თავის აღმოჩენად მიაჩნია და რომელიც, მართლაც, მისი აღმოჩენაა გარკვეული აზრით, რადგან დათა მასთან თავისით, საკუთარი გუჟინისა და საკუთარი გამოცდილების ანალიზის შედეგად მივიდა. თუთაშვილიც და მის თანამოსაუბრეთა გარკვეული ნაწილიც, თითქმის, თანხმდებიან იმაზე, რომ აღმართის სულის მამოძრავებელ მოტივებს, — როგორც მალღს, ისე მდებარეს, ამა თუ იმ ფორმით შედამ საკუთარი სიამოვნების მიღწევა და საკუთარი ტანჯვისა და უსიამოვნების არიდება აქვს საფუძვლად. ამ კონცეფციას თავისთავად ვერც ოპტიმისტური ეწოდება და ვერც პესიმიისტური. იგი არც თუთაშვილის კაპიტულაციის მოწმობს ნივთ სინამდვილის წინაშე, სადაც ყველაფერი საბოლოო რაში სახეცვლელ ეგონიზზე დაიყვანება, და არც იმას, რომ მან ეს სინამდვილე „ვილიო“, შეიწყნარა, ყარკ და ავი სტიპულების ეს განათარბება ნორმად ჩაივალა. აქ საქმეში იჭრება სხვა მოტივი, რომელიც ისევ თუთაშვილის პიროვნებიდან გამოიღინარეობს და არა მისი ლოკიციდან და რომელსაც, მე მგონი, რომანი ამ განუყვებელი განხილვის სფეროდან კელავ გამოიყვას. თუთაშვილის, როგორც ჩანს, შინც მიაჩნია, რომ მისთვის მოავარი სახელმძღვანელო არის და იქნება უშუალო მორალური იმპულსებისა და „გუჟინის“ ხმა, რომელიც პირველადია და წინასწარმიღებული წანამძღვარების გარეშე განსაზღვრავს, თუ რას როდის ჩათულის იგი თავისთვის სასამოყვოდ და მორალური თვალსაზრისით დამაკმაყოფილებლად. ასე, იგი პირდაპირ ეუბნება თანდარმჭირის უფროსს, რომელიც მას შემორიგებებს სთავაზობს, რომ მან არ იყის, იქნება მომავალში სახელმწიფოსთვის საშიში თუ არა: არ იყის იმიტომ, რომ მისი მოავარი მამოძრავებელი სტიმული მუდამ იყო და არის უშუალო ეთიკური მოთხოვნისა, პიროვნული და აუხსნელი. რომანის კითხვისას შთაბეჭდილება რჩება, რომ ეს მიდგომა, რომელიც, განყვებულად თუ

ვიმჩნევებთ, შეიძლება მოცემული პერსონაჟის ხასიათის ერთ-ერთი შტრიხიც უთქვამდეს — მის მტერი არაფერი, ავტორს, ერთგვარად, მისთვის მისი ასევე: პიროვნული აუხსნელი სტიმულები, პიროვნული საწყისის ჩარევა უფრო არსებითი განსაზღვრელია აღმართის მოქმედებისა, ვიდრე ის პრინციპები, რომელთადაც აღმართის ერთად საუბრისას შეიძლება მივიღწენ ან ვერ მივიღწენ. თუთაშვილიც ისე იწყებს თავის ახალ, მშვიდობიან ცხოვრებას, რომ არ იყის, რასთან და როგორ მიიყვანს მას ერთი წლის შემდეგ ეს აუხსნელი პიროვნული იმპულსები. ეს, როგორც ჩანს, ავტორის ჩანაფიქრის მიხედვით გმირის შემდგომი რთული და შრავალპირიპეტუბიანი განვითარების საწყისია და გმირთან ერთად — ნაწარმოების თემისა, რომელიც ბოლოსდაბოლოს, იმაში მდგომარეობს, რომ ახალი მასალით, რომელიც გმირის თავისებური დრამატული თავგადასავალია განსაზღვრებული, ეთიკის შირად ძველი და შირად ახალი კითხვებისათვის რაღაც ახალი პასუხი ან პასუხის რაღაც ახალი ნიუანსი მოჩანს.

თუთაშვილის ურთიერთობას ინტელიგენტებთან — თუ არ ჩავთვლით პატარა რომანს, რომელიც მას აქ შეჰხვდა, — როგორც ჩანს, რომანის ჩანაფიქრში ნეგატიური როლი ეკუთვნის. როგორც თვითონ ყრუდ და გაეკრით ამბობს აბრაგი, მან ინტელიგენტთა საუბარში მხოლოდ გულსტიკილი და სწრაფეა დაინახა. მაგრამ ვერავითარი გადაწყვეტა ვერ უბოვა იმ პრობლემებს, რომლებიც მას აწუხებს. მის თვითონ, თავისი მდიდარი და ატაპური ცხოვრებისეული გამოცდილების საფუძველზე, საკუთარი, თუმცა ჭეჭ ვაუზბრებელი არგუმენტები მოგაოვება ამ პრობლემათა გადასაწყვეტად. ამ ეპიზოდის შემდეგ, როგორც ჩანს, იწყება თუთაშვილის ახალი აქტიური მოქმედებისა და ძიების ეპოქა. უნიჭო თანდარმისაგან გარბივილი და შეურაცხყოფილი, იგი კვლავ ტყეს აფარებს თავს და ავტორი ყრუდ მიგვანინიშებს, რომ მისმა თავგადასავალია ამის შემდეგ მის წინა თავგადასავალიც გადააქარბა. მაგრამ მკითხველისთვის ახლა ეს მოკლედ ნახსენები თავგადასავალი როდეს ყველაზე საინტერესო. მისთვის მოავარია ახლა თვით ამ პიროვნების განვითარების პერსპექტივა, რომელიც, ამავე დროს, ნაწარმოების თემის განვითარების პერსპექტივას ემთხვევა.

ნაწარმოების ჩანაფიქრის ერთობლებს და ამდიდრებს აბრაგი თუთაშვილისთან მისი ბიპსივილის — „იღუერი თანდარმისა“ და „ძლიერი პიროვნების“ კონსტრუქტიული დამირისპირების მოტივი, რომელიც არაა მიყვანილი კვანძის გახსნამდე, თუმცა მკითხველი დარწმუნებით მოელს, რომ ეს გახსნა საინტერესო იქნება.

არ შეიძლება არ აღინიშნოს ამ ნაწარმოების-

ერთი წმინდა მხატვრული ღირსებაც, რომელიც იმაში მდგომარეობს, რომ ავტორი ძალიან კარგად ასხვევს და ასახიოლებს მთხრობლებს, რომელთა ნაამბობშიაც ჩვენ თვითშეხას ცხოვრებას ვხედავთ. იგი ასხვევს მათ არა მარტო

მეტყველების სტილით, არამედ ახტუნებშიც და „ხედვის“ სტილითაც, რაც მათ ქულუტურ ტულ და ზოგჯერ საინტერესო ხაზითმად ხდის.

ნოდარ ნათაძე

პირველწყარობის საფუძველზე

მრავალსაუცუნოვანი ისტორიის მანძილზე ქართველ ხალხს მუდმივი და მკიდრო ურთიერთობა ჰქონდა ახლო აღმოსავლეთის ხალხებთან და მათ სახელმწიფოებთან; მათთან ხან შეგობრულ კავშირს აწყობდა, ხანაც საომარი მდგომარეობაში იყო. ამ ხალხთა ენებზე ქართული მეოთხეულისათვის ვერ კიდევ უკნობი, მრავალი და ბურჯასი წყაროა შემონახული, რომლებიც შექსა პფენენ საქართველოს ისტორიის არაერთ მკვლევარს შესწავილ პერიოდსა თუ ცალკეულ ეპოქად; ხან რიცხვითი საისტორიო მენიერებაა წინ წაიდა და მეოთხეული მკვლევარს უფრო მეტ მოთხოვნებს უყენებს, უდალესი მნიშვნელობა ენიჭება ზემოაღნიშნულ ცნობებს. რომელთა გათვალისწინების გარეშე შეუძლებელია საქართველოს ისტორია სრულად და უნაკლოდ დაიწეროს.

სწორედ ამიტომ ძალზე საჭიროა საქადა ხეცნებული წყაროების მოპოვრითული შესწავლა გარკვეული დროის მიწაკეთების მიხედვით, სადაც ეს ცნობები შეეკრებულა იქნება, როგორც სხვა უცხოურ, ისე ქართულ წყაროებთან. სწორედ ასეთი მონოგრაფიების პირველსა და სერიოზულ ნიმუშს წარმოადგენს ნოდარ შენგელიას ნაშრომი — „სელჩუქები და საქართველო XI საუკუნეში“, რომელიც ამ რამდენიმე წლის წინ გამოიცა;

როგორც ცნობილია, თურქ-სელჩუქებმა უდალესი ზიანი მიაყენეს ქართველი ხალხის ეკონომიურ ცხოვრებას, კულტურასა და სახელმწიფობობას. ნაშრომის ავტორს მკნადა დაუსაბავს ნიფელი ამ ვითარებას გაშუქება უტყუარი წყაროების საფუძველზე. იმ დროის საერთაშორისო ურთიერთობის ფონზე: ნ. შენგელიას ნაშრომის ღირებულება კიდევ უფრო იზრდება, თუ გაითვალისწინებთ, რომ აღვუვლი ჩამის, როგორც შუა და წინა აზიის, ისე ამიერკავკასიის რომელიმე ხალხის ისტორია სელჩუქთა შემოსევასთან დაკავშირებით. საბჭოურ ისტორიოგრაფიაში მონოგრაფიულად დღემდე არავის შეუღწეულია. ე. კორდლევსკის ერთადერთი წიგნი „სელჩუქების სახელმწიფო მცირე აზიაში“ (რუსულ ენაზე) არ ეხება ამ სახელმწიფოს ურთიერთობას ამიერკავკასიის ხალხებ-

თან და ამდენად ზენთვის საინტერესო საკითხებსაც ნაკლებად აშუქებს. ზოლო ცალკეული თურქი ისტორიკოსები ამ ეპოქას მეტად ცალმხრივად განიხილვენ და ხშირ შემთხვევაში მრუდე სარკეში წარმოვიდგენენ. ყოველივე ამის გამო, ნ. შენგელიას ნაშრომს არა მარტო ქართული ისტორიოგრაფიის, არამედ მეტნაკლებად ბევრი სხვა იმ ხალხის, რომელთაც სელჩუქთა თავდასხმა განიცადეს. კერძოდ, ამიერკავკასიის ხალხების ისტორიოგრაფიისათვისაც, დიდი მნიშვნელობა აქვს.

ავტორი სწორად იქვეა, როცა აღებული იქმოდან დიდ ადგილს უთმობს თურქ-სელჩუქთა სოციალ-ეკონომიური მდგომარეობისა და პოლიტიკურ ასახეზე ვამოსვლის ისტორიის საკითხებს, რომლებიც ნაკლებად ან, ზოგ შემთხვევაში, სულ ამ არის გაშუქებული ქართულ ისტორიოგრაფიაში.

როგორც ცნობილია, თავის დროზე ავად, ივ. ჯავახიშვილმა ღრმად და საფუძვლიანად შეისწავლა საქართველოში თურქ-სელჩუქთა გამანადგურებელი ღამქრობანი (იხ. მისი „ქართველი ერის ისტორია“, წიგნი II); ამავე საკითხის მკვლევარება შეიმდგომებო არაერთგზის დადბრუნდნენ. სარეცენზიო წიგნის ავტორი იზიარებს ქართულ ისტორიოგრაფიაში ადრე შემეშავებულ თვალსაზრისს: ამასთან, ამიერკავკასიისა და კერძოდ საქართველოს ურთიერთობის სელჩუქებთან იხილავს შუა და წინა აზიის ქვეყნებში შექმნილ რთულ ვითარებასთან დაკავშირებით.

ნ. შენგელიას ნაშრომი შეიღი თავისგან შედგება, წიგნის დართული აქვს მოკლე რეზიუმე რუსულ და ინგლისურ ენებზე, ქართული და უცხოური წყაროებისა და ლიტერატურის ანალიზი და ურთიერთ შეეკრება ავტორს შესაძლებლობას აძლევს მიუთხვევს მოვლენებზე სწორი წარმოდგენა მისცეს.

ნაშრომის პირველი თავი ეძღვნება წყაროებისა და ლიტერატურის მიმოხილვას. ქართულ მკვლევართან ერთად, ავტორი კარგად იცნობს საკითხის ირგვლივ არსებულ არაბულ, სპარსულ, თურქულ, სომხურსა და ბიზანტიურ წყაროებს. ბევრი აღმოსავლური წყარო, საქართველოს შესახებაც რომ შეიცავს, ცნობებს, ნ. შენგელიამ პირველად გააცნო ქართველ მეოთხეულებს და ამით მნიშვნელოვანი წვლილი

* ნ. შენგელია, სელჩუქები და საქართველო XI საუკუნეში, გამომცემლობა „მეცნიერება“.

შეიტანა ქართულ საისტორიო მეცნიერებაში. კიდევ მეტა, კვლევის პროცესში ავტორს მთლიანად გადაუთარგმნია ქართულად და გამოსაცემად მოემზადებია მნიშვნელოვანი ძეგლი — ალ-პუსეინის „სელჩუქთა სახელმწიფოს ისტორია“, სპასულიდან თურქულად ნათარგმნი ანონიმი ავტორის „ანატოლიის სელჩუქთა სახელმწიფოს ისტორია“, თურქული ისტორიული კალენდრები, რომლებშიც „შეტანილა ცნობები დიდი სელჩუქი სულთანებისა — ალფ-არსლანისა და მეღიქ-შაჰის მიერ საქართველოს დაპყრობის შესახებ“.

როგორც წიგნის ავტორი მოგვითხრობს, ეს თურქი ისტორიკოსები, რომლებიც ტანდემურად ამუშავენ ამ ეპოქას, ცდილობენ გამართონ სელჩუქთა მმართველური და დაპყრობითი ბრძოლები. უფრო მეტიც: მათ თავიანთ გამოკვლევებშიათვის დარჩათ მეღიქ-შაჰის დროინდელი სელჩუქთა სახელმწიფოს რუკები და საქართველოს მთელი ტერიტორია ამ სახელმწიფოს შემადგენლობაში მოქცევათ. მართალია, თურქ-სელჩუქებში დიდი ზიანი მიყენეს ქართველ ხალხს და აიძულეს ვარკვეული დროის განმავლობაში ხარკიც გადაეხდა სულთანის სასარგებლოდ. მაგრამ „საქართველო არადროს არ ყოფილა სელჩუქთა სახელმწიფოს შემადგენლობაში“ (გვ. 61). ნაშრომის ავტორი სწორად ბეჭითობს, ცალკეულ უცხოური წყაროების ტენდენციურობაზე და მავალითათვის მოაქვს რავენდის ცნობები, რომელიც „ადიდებს სელჩუქთა დაპყრობით პოლიტიკას და ზილით იხსენებს ფართო მასების განმათავისუფლებელ ბრძოლებს, ეწოდებს მათ მოგაყვებს, მმართველებს და ყარაღებს“ (გვ. 26). სწორედ ასეთ წყაროებს ვერდნი იმ პანთურქისტულად განწყობილი უცხოელი ისტორიკოსები. ისინი კიდევ უფრო შორს მიდიან, ცდილობენ სელჩუქთა მიერ სხვა ხალხთა მიწების მიტაცებას რაღაც ეთნიკური საფუძვლები მოუძებნონ, ქმნიან ყაბ თეორიებს, თითქოს მთელი წინა აზიისა და ამიერკავკასიის უძველესი მოსახლეობა თურქულად წარმოშობის იყო; ასე, მაგალითად, ფ. კიზილილდ უოველგვარ საფუძვლის გარეშე აცხადებს, თითქოს მან დამტკიცა აზერბაიჯანის, სომხეთისა და საქართველოს ტერიტორიაზე თურქთა არსებობა ისლამის გავრცელებამდე!; იცადობს ზელოვნურად დაუკავშიროს ქართული გეოგრაფიული სახელები თურქთა ეთნარქ-გეონიმების სახელებს და სხვ. ამ გამოკონილი და ყაბი „თეორიების“ საფუძველზე ისინი საქართველოს ათავსებენ ალფ-არს-

ლანისა და მეღიქ-შაჰის თურქ-სელჩუქთა სახელმწიფოს ფარგლებში, რასაც ნინამდევსკისთან არაფერი საერთო არა აქვს.

სარეცენზიო ნაშრომში განვითარებულია აზრი, რომ ნომადურა ცხოვრების საფეხურზე მყოფ თურქ-სელჩუქებს წგრევისა და განადგურების მეტი არაფერი შეეძლოთ მოეტანათ XI სუელენის საქართველოსათვის, რომელიც აღდროს, მათთან შედარებით, განვითარების უფრო მაღალ საფეხურზე იყო. თურქ-სელჩუქთა მიერ სხვა ხალხების დაპყრობისა თუ ამ ხალხებზე სარჩევად თვდასმების შედეგები არ იქნებოდა გასაყები მკითხველისათვის, თუ ავტორი თვალწინ არ გადაგვიშლიდა დიდ სელჩუქთა სახელმწიფოს წარმოშობისა და განვითარების სურათს. ნაშრომის მეორე თავი (გვ. 62-122) სწორედ ამ საკითხისადმი მიძღვნილი. აქ მოცემულია თურქ-სელჩუქთა სახელმწიფოს ეკონომიური ცხოვრებისა და საზოგადოებრივი განვითარების პროცესი, რაც მკითხველს წარმოადგენს აძლევს იმაზე, თუ რაოდენ გამანადგურებელი უნდა ყოფილიყო იმ დროის განვითარებული ქვეყნებისათვის ასეთი ჩამორჩენილი, მომთაბერე, მაგრამ მრავალრიცხოვანი ხალხების თავდასხმა.

დიდი ადგილი აქვს დამთბილი ნაშრომში შუა აზიის პოლიტიკური ერთეულების, კერძოდ, ღაზნის სასულთანოს და სელჩუქების ურთიერთობის ბრძოლას.

ნაშრომის მესამე თავში განხილულია დიდ სელჩუქთა სახელმწიფო წყობილების ძირითადი საკითხები; აქ ავტორი, პირველ ყოვლისა, ნიზამ-ალ-მულქისა და მეღიქ-შაჰის მოღვაწეობაზე და ამ მწივე ბრძოლებზე მოგვითხრობს, რომელიც წარმოიგება დიდ სელჩუქთა მმართველ წრეებსა და ისმაილიანებს შორის; აქვეა განმარტებული, თუ რატომ ერეებოდნენ ასე დაუინებოთ დიდ სელჩუქთა მმართველი წრეები შუა ირანიდან ბაზანტიისა და საქართველოს საზღვრებისაკენ თურქმენთა ტომებს, რომლებმაც უღდიანეს საფრთხის წინაშე დააყენეს საქართველო.

სახელმწიფო წყობილების ძირითად საკითხებზე მსჯელობის დროს ავტორი დამაყრებლად ასახულებს, თუ როგორ გამოიყენა ამ საქმეში ღაზნისა და ირანის გამოცდილება დღევანდელ ნაზიმ-ალ-მულქმა, რომელიც „მთელი სიუცხლის განმავლობაში“ სათავეში ედგა დიდ დივანს.

აქვე ავტორი გვიჩვენებს სელჩუქთა ლაშქრის ორგანიზაციის სურათს; მოტანილია ცნობები, იმის თაობაზე, რომ დიდი ვეზირი ნიზამ-ალ-მულქი მოითხოვდა, სულთნის ლაშქარში ქართველებიც ყოფილიყვნენ, როგორც კარგი მეომრები. შრომის ამავე თავში ვამუშავებულია ისიც, თუ როგორ ვაზარდა სელჩუქთა ბატონობამ ირანში ფეოდალური ექსპლოატაცია და გაამწევა კლასობრივი წინააღმდეგობა, რამაც დი-

¹ იხ. М. К. Зуляян, Вопросы древней и средневековой истории Армении в освещении современной турецкой историографии; Ереван, 1970, с. 32-33. 2. იქვე, გვ. 28-29.

დად შეუწყო ხელი ისმალთანთა მოძრაობას.

ნაშრომის მეოთხე თავში აღწერილია სელჩუთის პირველ ლაშქრობებზე ანატოლიისა და ამიერკავკასიაში. მდიდარა წყაროებისა და ლიტერატურის ანალიზის საფუძველზე ავტორი ნათლად გვხატავს, თუ როგორი თანამედვერობით ვმზადდებოდა თორღელ-ბეგე ბიზანტიის ამპერიის წინააღმდეგე გადამწყვეტი შეტევითა-თვის და როგორ არბევდნენ სელჩუთთა ურდოეზი ანატოლიისა და ამიერკავკასიის ქვეყნებს. აქვე გვასძლევს ავტორი იმის სურათსაც, რომ ბიზანტიის იმპერია უძღური აღმოჩნდა მოხლევაებელი მტრის წინააღმდეგ ბრძოლაში და საქართველო მარტო დაუბრძინებდა და ვერაგ მტერს.

თურქ-სელჩუკებისა და საქართველოს ურთიერთობა მკვიდროდაა დაკავშირებული ბევრ იმ მოვლენასთან, რაც მაშინ საერთაშორისო ასპარეზზე და ევროპა, წინა აზიაში ხდებოდა. ამიტომ, ბუნებრივია, სარეცენზიო ნაშრომის ავტორს არ შეეძლო გვერდი აეღო იმ ქვეყნების ბუღისათვის, რომლებმაც, საქართველოსთან ერთად, თურქ-სელჩუკებისაგან თავდასხმა განიცადეს. სელჩუკების მიერ საქონების დაპყრობისა და ბიზანტიის გაყდენის აღვყვის აღმოსავლეთის ქვეყნებში — დიდად უარყოფითი მნიშვნელობა ჰქონდა საქართველოსათვის. ამიტომ ავტორი სწორად იქცევა, როცა მნიშვნელოვან აღვყოფს უთმობს ამ საკითხებს და ნაშრომის მეხუთე თავში საქართველოსა და დიდ-სელჩუთთა სახელმწიფოს ურთიერთობა, განხილული აქვს ბიზანტიასთან შათი ურთიერთობის დონეზე, აქვე აღწერილია აღვ-არსლანის ჯარები ორგზის გამანადგურებელი შემოსევა საქართველოში და ბიზანტიის დამარცხება მანას-ეგრის ბრძოლაში, მოყვანილია ბევრი ახალი ცნობა და უოველივე ამას მოსდევს მართებელი დასკვნა, რომ ამ დამარცხებებს შიში შედეგი მოჰყვა „როგორც ანატოლიის მეციდრი ქრისტიანული მოსახლეობისათვის, ასევე ამიერკავკასიისა და ბალკანეთის ქვეყნების ხალხებისათვის“.

როგორც ცნობილია, ზემოაღნიშნულ ამბებს თან მოჰყვა „დიდი თურქობა“ საქართველოში, რომელსაც ავტორი ნაშრომის მეექვსე თავში იხილავს; ქართული და უცხოური წყაროებისა და ლიტერატურის ანალიზის საფუძველზე იგი მოგვითხრობს მაშინდელი საქართველოს რთულ პოლიტიკურ მდგომარეობასა და ამ ვითარებიდან გამოსვლის მიზნით გადადგმულ ნაბიჯებზე. ამ საკითხებზე მსჯელობის დროს ა. შენგელიამ პირველმა შეაფასა ახლებურად გიორგი II-ის პოლიტიკა. იგი, ვფიქრობთ სამართლიანად, არ ეთანხმება იმ მკვლევარებს, რომლებიც გიორგის პოლიტიკაში მხოლოდ უარყოფით მხარეებს ხედავდნენ; 80-იან წლებში „დიდი თურქობის“ შედეგად შექმნილი რთული საშინაო და საგარეო ვითარება, ევროპა და, რამაც

გიორგი II-ის ტახტიდან გადაყენება, თუ ვადადგომი გამოიწვია, ჯერ კიდევ უცნობია და შესწავლას საჭიროებს. ბიზანტიის

წინააღმდეგე შეტევების წინააღმდეგე რაის აგრეთვე გაშუქებული დიდ სელჩუთთა სახელმწიფოს ის შანაგანი მოვლენები, რომლებმაც სახელმწიფოს დეცენტრალიზაცია გამოიწვიეს და შემდეგ ხელი შეუწვეს საქართველოს თავის მიწაწულიდან განედგვნა თურქმანთა ურდოები. ამ საკითხისადმი აქვს მიძღვნილი ავტორს ნაშრომის მეხუთე, უკანასკნელი თავი. იგი ერთკლად მოგვითხრობს დიდი სელჩუთის სამფლობელოს ცალკეულ ფეოდალურ ერთეულებად დაშლის მიზეზებზე.

ამრიგად, ჩვენს წინაშეა მოწოდებული, რომელიც ბევრ ახალ საინტერესო ცნობას გვაწვდის ქართული ხალხის მრავალფეროვანი ისტორიის ერთ მონაკვეთზე — XI საუკუნის საგარეო ურთიერთობათა საკითხებზე. თავს წიგნში ავტორი ისე მრავალრიცხოვანსა და რთულ საკითხებს ეხება, რომ, ბუნებრივია, უოველიც არის ისე განმარტება, რომ შეთხვეულს, შიშთფერო ისტორიკოსს ამა თუ იმ საკითხზე საყუდართი მოსახრებაც არ გაუჩნდეს, შეუძლებელი იქნებოდა. ამდენად ვერცა ზოგიერთ საკითხზე ჩვენი აზრი გამოვთქვათ.

1. ნაშრომში ერთკლადაა დაპირაკი 1064-65 წლებში საქართველოში აღვ-არსლანის ლაშქრობის შესახებ. მისი შეიარის მელქ-შაჰის მოწინააღმდეგეობით, მოტიანილია ცნობები, რომ მელქ-შაჰმა თავი ასახლა ბრძოლებში, მან სერპარის „ციხე და მასთან ახლო მდებარე მუარე ციხეზე ხელთ იგდო“ (გვ. 220). „შარია-მინშად წოდებული ციხის ასაღებად“ ბრძოლის დროს „სულთან მელქ-შაჰმა ციხის კედლის ავიწისებრ ადგოლს მოაბა თოჯი და ამ თოჯით კედელზე აიკოცაო“ (გვ. 221). ამ საკითხ იყო ავტორის შენიშვნა იმის შესახებ, რომ მელქ-შაჰს, რომელსაც მაშინ დაახლოებით ათი წლის იყო, არც ბრძოლის ხელმძღვანელობა შეეძლო და არც ავტო საგარეო საქმეების ჩადენა.

2. დაზუსტებას საჭიროებს ნაშრომის ის ადგილი, სადაც დაპირაკია გრიგოლ ბაგრატიონის ძის მიერ გიორგი მეფისათვის ყარსისა და მისი მიდამოების გადაცემის შესახებ. ა. შენგელიას წინაშე ვკითხვობთ: „გრიგოლ ბაგრატიონის ძემ, რომელიც ფლობდა ოლიოსს, კარნუ-ქალაქსა და კარს, გიორგი მეფეს გადასცა კარის ციხესი-მუარე და მისი ახლომახლო მიდამოები... ამ ფაქტით დიდად ეკაყოფილა გიორგი მეფე. — განაგრძობს ავტორი და მოაქვს დავითის ისტორიკოსის ცნობა, — დაშეველებად „დაურტე-ნა კარს აზნაურნი შეგნი და წარმოვიდა შინა“ (გვ. 306-307; შდრ. დავითის ისტორიკოსი, ქართლის ცხოვრება, I, 1955, გვ. 318). ამ განმარტებისა და კარის მიღების შემდეგ, — განაგრძობს ისევე ავტორი და მოაქვს „ქართლის შარტიანის“ ცნობა, — გიორგიმ „აღიღო ქალაქი

კარისა, ციხე-ქუეყანა, და სიმაგრენი ეწინაღობა და კონიფორიასი, და იოტნა თუქნი მის ქვეყნისანი“ (გვ. 307; „ქართლის მატიაზე“, გვ. 317). თუ გიორგი მეფემ, როცა მთა ვრიგოლმა „ქარის ციხე-სიმაგრე და მისი ახლომალა დაღამოებ“ გადასცა, „ქ დამცველებად დაუბრუნა... ანაბურნი შეემინა“. შამხა როგორ ხობდა, რომ „ქარის აღების შემდეგ“ გიორგიმ ისევ „აღიღო ქალაქი კარისა?“ საქმე ისაა, რომ კარი (ვარსი) და მისი მიდამოები, როცა ვრიგოლმა გიორგის გადასცა, ვახთავისუფლებული იყო უცვე ქართველების მიერ თურქთა ურდოებისგან, ე. ი. ამ რაიონებში აღრე შემოჭრილან თურქები, მაგრამ ქართველებს გაუდევნიათ ისინი იქიდან და ამის შემდეგ გადაეცა ვრიგოლს გიორგისათვის კარი (ვარსი) და მისი მიდამოები. ამიტომაც, რომ ამ განდევნის შესახებ „ქართლის მატიაზე“ მოგვითხრობს, ხოლო ვრიგოლის მიერ: გიორგისათვის დასახლებული რაიონების გადაცემის შესახებ, როგორც შემდეგ ამახსოვრებულა, „ქართლის მატიაში“ გამარჯვლებული — დავითის ისტორიკოსი.

3. სარეცენზიო ნაშრომში ქალაქი არწი არხრუმთანაა გაიკვებულა (გვ. 184-185). როგორც ცნობილია, XI საუკუნის 40-იანი წლების დასასრულს თურქ-სელჩუკებმა სომხური ქალაქი არწი მიწისთან გაასწორეს. ამ საკითხზე მსჯელობის დროს, სხვა წყაროთა ავტორებთან ერთად, ნაშრომში არისტრატე ლატიფერტელიცა დასახლებული და ნათქვამია: არისტრატეს „საგანგებოდ აქვს აღწერილი ამ პერიოდში სელჩუკთა მიერ არხრუმის აღება და აღვილობა. რიგი მონახლეობის განადგურებელი“ (გვ. 185). ღრამბეგბეგმა, სომურმა და ბიზანტიური წყაროების მიხედვით, 1049 წელს ქ. არწი დაანგრიეს სელჩუკებმა და არა არხრუმი. თუდროსიებოლმა (სომხური კარინი) სწორედ ამ ამბებთან დაკავშირებით მიიღო სახელწოდება „არხრუმი“. როცა სელჩუკებმა არწი დაანგრიეს, „Уцелевшая часть населения перенеслась в соседний город Карин, с этих пор получивший название Арзума, то есть «Арца румов» (греков)“. ქ. არწი კი სამუდამოდ მოიშალა და აღარ აღუდგენიათ.

4. XI საუკუნის 70-იან წლებში შეტევაზე გადასულ სელჩუკების წინააღმდეგ ბიზანტიელთა ბრძოლის ამბებს მოკვიობრობს ავტორი და წერს: „იმპერატორთან ერთად სელჩუკთა წინააღმდეგ ლაშქრობაში მონაწილეობას იღებდა მთა მთა — ახალგაზრდა ალექსი“ (გვ. 275). აქ ავტორი ალექსი კომნენოსს გულისხმობს. მაგრამ გაუგებრობასთან გვაქვს საქმე. ამ წლებში ვერ მიხველ VII დეკა (1071-1078), ხოლო

შემდეგ ნიციფორე III ბოტანიაცე (1078-1081) ნიციფორენ და არა ალექსის მძევლობაში.

5. „ქართლის მატიაში“ დაწვრილებული მის 238-ე ვერსიის ნათქვამია: ალფარსლანის მფორე ლაშქრობის დროს „ბაგრატის მიერ კახეთში“ ვახუშტილმა ლაშქარმა თავი ანება კახეთის დაპყრობილ ციხეებს და „შემოიქცევს მშვიდობით“. კახეთის ყველა ციხე ბაგრატის ლაშქარს მამინ არ დაუტოლია. ეს რომ ასე ყოფილიყო, ბაგრატის განჯარვლებამი აღარ აღმოჩნდებოდა უჯარმისა და ბოჭორმის ციხეები. რომლებიც, ალფარსლანის საქართველოდან გასვლის შემდეგ, აღსართანს გადასცა ბაგრატ მეფემ და სამაგვიროდ მისგან ტყვე ფაულონი მიიღო.

6. შრომის 220-ე ვერსიის ნ. შენგელიის მოქმედებს ენონიმი ავტორის ცნობა იმის თაობაზე, რომ ალფარსლანმა „456 (1064) წელს სომხეთისაკენ გაილაშქრა“ და განაგრძობს: „ამ დროს დანგრეა სომხეთში ქალაქები, ანისი, არწი, მანასრტი და სხვა“. როგორც ვავეცანიო, არწი 1049 წელს გაანადგურეს სელჩუკებმა და 1064 წელს ის უცვე აღარ არსებობდა.

7. ნაშრომში სასაბუღალანად არის მოთხოვნილი, რომ ვარდან დიდის ცნობა ლაპარაკ ბაღუაშის მიერ ბაგრატ მეფის დატყვევების შესახებ სწორი არ არის. მაგრამ არაუხსნია ავტორის განმარტებაც, როცა წერს: ლაპარაკმა აიძულა ბაგრატის „საქართველო დატოვებინა და ბიზანტიაში წასულიყო იმპერატორთან იანის შესაფარებლად“ (გვ. 196). მართალია, ლაპარაკმა აიძულა მეფე იმპერატორთან წასულიყო, მაგრამ „თავის შესაფარებლად“ კ არა. ვარკვეული პოლიტიკური მიზნით: მოლაპარაკებოდა კეისარს, რომ აღარ დაეხმაროს ლაპარაკს ბაგრატის წინააღმდეგ ბრძოლაში და უსაუვედურა კიდევაც იმპერატორს: ხელშეკრულება დაარსდეთ და ჩემი ქვეშევრდომი „ქარბო კაცი განდგომილი მონა დაიხალხოვო“.

8. ბაგრატ IV-ის მოღვაწეობაზე აქვს საუბარი ავტორს, იმომეებს შიომღვიმის მონასტრისადმი მეფის მიერ მიცემულ სიგელს. რომელშიც XI საუკუნის 20-30-იანი წლების მიწანზე ბაგრატ მეფე ერკამალატის ტიტულით არის მოხსენებული და წერს: „ახლად გაიმეფებულ სრულიად ახალგაზრდა 12-14 წლის ბაგრატს ბიზანტიის კეისარი ერკამალატობის ტიტულს არ მიცემდა“ (გვ. 173). ვფიქრობთ, სადავო არ უნდა იყოს „ქართლის მატიაში“ ცნობა იმის შესახებ, რომ XI საუკუნის 20-იანი წლების დასასრულს „წარვიდა დედოფალი მარიაჲ, დედა ბაგრატისა... საპყრობითად ძიებდა მშვიდობისა და ერთობისა, და კელად ძიებდა პატივი-

1. გიორგი კვლევზე, გეორგიკა, V, ტექსტება ქართული თარგმანითურთ ვაშოსცა და განმარტებები დაერთო ს. ყაბჯიშვილმა, თბილისი, 1963, გვ. 68.

1. История Армянского народа. I. 1951, გვ. 153, Я. А. Манандян, о торговле в городах Армении, Ереван, 1930, გვ. 161.

სა კერამალატობისა ძისათვის თავისისა“, ხოლო კვისარმა „მოსცა პატივი კერამალატობისა“ და საქართველოში დაბრუნებულმა მარიაშვილმა „მოართუა პატივი კერამალატობისა“ ბაგრატი (ქართლის ცხოვრება, I, გვ. 294-295). მცირეწლოვანება ბაგრატს ხელს არ შეუშლიდა კერამალატობის ტიტული მიეღო. ათი წლისაღო დაახლოებით ბაგრატის ნახევარძმა დემეტრე. როცა მის კვისარმა მაგისტროსის პატივი უბოძა.

9. როგორც ცნობილია, მტრის თავდასხმის შედეგად დაზარალებულ შიომღვიმის მონასტერს ბაგრატ მეოთხემ 1057 წელს ბორცვის ქუარი შესწირა. სიველში, რომელიც მეფემ მონასტერს მისცა, ნათქვამია: „გულსვიდგინეთ შესავსებლად აღობრებულისა მამულისა წმინდისა ლავრისა და დაკლებულობისა მათისა ვასაქერნებელად... შეესწირე მამისა შიოს, ლავრასა

მღვინისასა და წმიდათა მამათა მღვინელთა მანგლისის ხეცს ადგილი ბოჭორქან მღვინე“ (ქართული სამართლის ძეგლები, II, [ქართული] კანონების გამოცემა, თბ. 1965, გვ. 5). აქ ბორცვის ქუარის აღობრებაზე კი არ არის ლაპარაკი, როგორც ამას სარეცენზიო წიგნში ვკითხულობთ (გვ. 207), არამედ საუბარია მონასტრის საკრთო ზარალზე და „შესავსებლად“ ამ „დაკლებულობისა“ ბორცვის ქუარის შეწირვაზე.

როგორც ვხედავთ, ეს რამდენიმე შენიშვნა არსებითი ხასიათის არ არის და ზოგიერთი საკითხის დაზუსტებას ისახავს მხოლოდ მიზნად. მთლიანად კი წიგნი მეტად სასარგებლო ნაშრომია, რომლის ყველა დადებითი მხარის ასახვა ამ მოკლე რეცენზიაში შეუძლებელი იყო.

განრიკ კოპალიანი

ინტერვიუ

„შესავალი თამაზი“

ბოლო ხანებში დიდი გერმანელი მწერლის თამაზ მანის მოთხრობებითა და რომანებით განსაკუთრებით დაინტერესდნენ რევისორები და კომპოზიტორები. გათვალისწინებულ იქნა მისი ინტერვიუები სტრასბურგში და მისი რომანები „სიყვარული ვენეციაში“, თამაზ მანის ამავე სახელწოდების მოთხრობის მიხედვით.

ახლანდელი კი ინტერვიუებში მწერალმა ენტონი ბერკერსმა და ახალგაზრდა კომპოზიტორმა შტეფან შვარცმა გააღწვიტეს თამაზ მანის მოთხრობის „შესავალი თამაზი“ (1940 წ.) მიხედვით შექმნილი ფილმი-მედიუმი.

თამაზ მანის ამ მოთხრობას საფუძვლად ედგის ინტერი ლუგენა „გეომარტა შთამომავალ სუპანტას ასულზე, თემოსრულ ზიტასა და მის ორ მეუღლეზე...“ ეს ორი მეუღლე კი — ნანდა და შრიდამანია, რომელთაც ერთნაირი სიყვარულით უყვართ ზიტა.

ზიტას ერთ მათგანში სული მოსწონს, მეორეში კი ფიზიკური ძალა და ვაჟკაცური შემართობა. ქალის სურვილია, რომ ეს ორი თვისება — ისე როგორც სულიერი სინატიფი, ასევე ვაჟკაცური შემართობა ერთ მამაკაცში იყოს თავმოყრილი, სულიერთა იგი ნანდა იქნება თუ შრიდამანია... ბოლოს მამაკაცები თავებს შესცვლიან, მაგრამ ყველაფერი ირღვევა, ზიტას სურვილს ასრულება არ უნერია.

სწორედ ამ ნაწარმოების თემაზე და მასში მოთხრობილ დახარბულ სიტუაციებზე არის აგებული ინტერვიუ ფილმი-მედიუმი.

სამხრეთ კორეა

სტრადივიარიუსის ვიოლინი

ცნობილი იტალიელი ხელოსნის სტრადივარიუსის ვიოლინები ამ უნიკალურ ნივთებს განეკუთვნება, რომელსაც კაცობრიობა დიდი გულმოდგინებით ეძებს და თაობებს უნაზავს.

სულ ახლანდელს ცნობილი გახდა, რომ სამხრეთ კორეის ქალაქ ნავონში აღმოჩენილია სამასა წლის ვიოლინი, რომელიც იტალიელი სტრადივარიუსის ნახელავია. თავისთავად ეს სენსაციური ამბავი კიდევ უფრო ზესენსაციური გახდა მას შემდეგ, რაც ვიოლინიზე აღმოჩინეს ორი უდიდესი მუსიკოსის ინიციალები. უხუცესი არიან ანტონიო ვივალდი და ნიკოლო პაგანინი. საკუთარებელია, რომ თავის

დროზე ისინი ამ ვიოლინიზე უკრავდნენ. სხვაგვარად შეუძლებელია მათი ინიციალები ამ ვიოლინიზე აღმოჩენილყო.

ვიოლინის ახლანდელმა მფლობელმა, ოცდაშვიდი წლის გლეხმა, კორესპონდენტებთან საუბარში განაცხადა, რომ ვიოლინი უკრ კიდევ მის ბაბუას ფრანკი კათოლიკე მღვდლისაგან უყლიდა.

ექსპერტებმა სტრადივარიუსის ვიოლინი მილიონ ნახევარ დოლარად შეაფასეს.

შეხვედრა

„დასაბუთად გამოდგება“

შვეიცარიაში ამ სათარბოთ გამოქვეყნდა თითქმის 500 გვ. წიგნი-ალმანახი, რომელშიც შესულია შვეიცარიის გერმანულენოვანი ლიტერატურა 1964 წლის შემდგომი ხანისა. ალმანახის შემდგენელია დიეტერ ფრინგელი.

დრო და დრო ასეთი ალმანახების შედგენა და გამოცემა შვეიცარიაში ტრადიციად კცენულია, რადგან იქ არ არის სქელტამიანი ტერმინები, რომლებიც სისტემატრად გამოაკვეყნებდნენ ახალ მსატრად თუ კრიტიკულ ლიტერატურას. მრავალრიცხოვანი განხილვა, ამ ბარეუბებს ვერა და ვერ აქვებენ.

ცნობილი პოეტი და ლიტერატურათმცოდნე დიეტერ ფრინგელი თავის ალმანახში დიდ ადგილს უთმობს ახალგაზრდა მწერლებს, რომლებმაც მწერლობაში ახლანდელი უკანასკნელი წლების მანძილზე შემოგვსეს ფეხი.

ალმანახი მრავალფეროვანი და მრავალხარობრივია; აქ გამოკვეყნებულია მოთხრობები, ნაწევრები რომანებიდან, ლექსები, ლიტერატურის, კინოსა და თეატრმცოდნეთა კრიტიკული წერილები, სოციოლოგიებისა და წარმოადგენთ, ეთნოლოგიკების შრომები.

მაგრამ გაყვირებებს იწვევს ის ვარებობა, რომ დიეტერ ფრინგელიმ ალმანახში ადგილი არ დუთმო შვეიცარიის გერმანულენოვანი დრამატურგებს და თავის „ბოლოსიტუაციაში“ დამუყოილდა მხოლოდ ზოგადი ფრანხით: — სრულბოთ სიიდუმლო არაა ის, რომ შვეიცარიის გერმანულენოვანი ლიტერატურა საოცრად არადრამატურგულია.

მეტი წილი დიეტერ ფრინგელის ამ აზრს ეთანხმება. მაგრამ ბეერი იმასაც აღნიშნავს, რომ თუცა მსოთლიოში სახელგანთქმულ შვეიცარიულ გერმანულენოვან დრამატურგებს 1964 წლის შემდგ მნიშვნელოვანი არაფერა შეუქმნიათ, დრამატურგული ეანრის ამვეარი

შედასწავლულიყო ალმანახის შემდგენელს არ ეპატრებო.

საზრანგეთი

„არსთუ რთული სიუჟეტი“

მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყნის გერანი მორაა ცნობილი ფრანგი რეჟისორის კლოდ ლუიღემის ფილმმა „ქალი და მამაკაცი“. მართლაცდა, ამ რომანტიკულმა, მაგრამ ზედმიწევნით ფსიქოლოგიურმა ფილმმა თავის დროზე დიდი აღიარება პოვა.

და იმ ახლახანს გერანზე გამოვიდა კლოდ ლუიღემის ახალი ფილმი „მედიცინის წელი“. უნივერსი და ფრანგი ორგინალტრია „მედიცინის წელი“ დასაწყისა. ფილმი იწყება კინოსტრათის „ქალისა და მამაკაცის“ უკანასკნელი კადრებით. შემდეგ ირყევა, რომ ამ ფილმს უნევენებ ციხეში პატიმრებს... ამ პატიმრებს შორის არის ახალი ფილმის „მედიცინის წელი“ მომავალი გმირი.

ეტყობა პატიმარი-მამუტრებელა, რომელიც რეჟისორის ახალი ფილმის გმირი უნდა გახდეს. პატიმრობის ვადას ამთავრებს და განთავსდებულა კვლავ ძველ საკამარობას უბრუნდება... პროფესიონალი დამანავედ თავის ამფორმებთან ერთად ახალ გვეგას შეადგენს. მათი მომავალი გვეგა ასეთია: გაქურდონ საფრანგეთის რევიერის ერთერთი ფეშენებლურა ეტროტის დიდი საიუველიერო მაღაზია. რეჟისორა წმინდა ჯეტქტიური ხაზის განვითარებისას სასიუვარტლო ერთთერობისასაც არ ივიწყებს. პროფესიონალ ქტრდს თავდავიწყებით უყვარს ანტიკვარული მაღაზიის მეპატრონე ქალი. მიუხედავად დიდი სიფრთხილისა, პროფესიონალი დამანავედ ვეგმის ვანხორცილებისას შეუღამას უშვებს და კვლავ ციხეში ამოტყობს თავს.

პრესა იტყვება, რომ კლოდ ლუიღემმა არც თუ რთულ სიუჟეტზე მისთვის ჩვეული ოსტატობით სინტერესო ფილმი შექმნა, რომელსაც მამუტრებელი დამბული ადევნებს თვალსა.

ბოლღარის წარმოდება

„თანამედროვე ფრანგული პოეზიის ფექმედბლის“ შარლ ბოდლერის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ერთი შეხედვით უმნიშვნელო დეტალსაც უტრადლების ვარჯშე არ ტოვებენ პოეტის ნების თავყანისმცემლები და პირველ რიგში, ფრანგი მკვლევარები. შეიძლება, თამამად ითქვას, რომ ამ აღმოჩენების საშვიდე წინადა იქნა პაროზის გამოცემლობა „კალიმარას“ მერ გამოცემული უდიდესი ფრანგ პოეტის წერილების ორტომეული.

ორტომეულში, რომელიც ერთად 2,400 გვარდს შეიცავს, შევიდა პოეტის წერილები 1831 წლიდან მოყოლებული 1866 წლამდე.

ფრანგული კრიტიკის ერთსულოვანი აზრით,

შარლ ბოდლერის წერილების ორტომეული უნიველური გამოცემა და მისი წმინტებები ეცნობიან პოეტის 35 წლის ცხოვრებისა და მისი, რომელიც აღსავსე ყოვლა იმედგაპრუებებითა და სასოწარკვეთილებებით, ყოველივე ეს კი საშეაღებას იძლევა უფრო ღრმად ჩასწვდენ თანამედროვე ფრანგული პოეზიის ფექმედბლის, ბრწყინვალე პოეტის გონებისა და გრწმობების საშვირბოსა.

კუმ

კვლავ კანადის მკვლევრობაზე

ამ წელზე მერი ვაიდა დალასში 1963 წელს მომხდარი ტრავადის შემდეგ, როგორც ცნობილია, ამერკის პრეზიდენტის კეედის მოყვლამ ენითაწერული აგიოტატი და მოქმამოთქმა გამოიწვია.

ახლახან შეიქმნა ახალი ფილმი „დამინისტრაციული წესრიგით“ (დალტონ ტრამბოს სევენარის მიხედვით), იგი უყვე უჩვენეს ამერიკისა და ინგლისის გერანებზე. ახალი ფილმი უბრუოფს ჟონ კენედის მკვლელობის თაობაზე გავრცელებულ უთრენის კომისიის ოფიციალურ აზრს. ფიქრობენ, რომ ტრამბოს უშუალო კონსულტანტი ადვოკატი მარტ ლენინ იყო.

ფილმის ავტორები წინ წამოსწევენ პრეზიდენტის მოკვლის შემდეგ, მკვლელობის საქმის წარმოებისას, თექმსებტი მოშვის უყარი ვაქრობის ამბავს. ფილმის დედაზარი ასეთია: ჟონ კენედის მკვლელობა შედგება იყო პრეზიდენტის სიგარტო და სომინა პოლიტიკით უყარყოვლო მსხვილი მონოპოლისტებისა და მულტიმილიონერების შეთქმულებისა, რომლებიც შემარჯვენე ექსტრემისტულ წრებთან იყვენ დაეკშირებულნი.

შექმული მელიონერების ხელმძღვანელების როლებს ამერიკის კინოს ცნობილი მსახიობები ასრულებენ.

ფილმში გამოყენებულია დოკუმენტური კადრები. გერანზე ნაჩვენებია, თუ როგორ დიქირავეს პროფესიონალი მკვლელები და გახსნილია მთელი იმ ინტრიგების ქსელი, რომელიც შეიძლება სინამდვილეში არსებულყო. „ყველაფერი ეს ძალზე დააყრებელია, — წერს ინგლისური გაზეთის „ტაიმსის“ მიმოხილველი — ის, რასაც ფილმში ენახებობთ, უფრო ეტყვარი და ქვემარტივ გვეჩვენება, ვიდრე უთრენის კომისიის დასკვნები“.

ამის ვარდა, ნიუ-იორკში დასადემედად მზადდება ცნობილი ამერიკელი დამატურტის ტენსი უილიამსის ახალი პიესა. მოქმედება მიმდინარეობს დალასში, 1963 წელს, პრეზიდენტის მკვლელობის შემდეგ, „პიესაში, — ამბობს ავტორი, — ქვემარტივ დამანავეებზე ზოვიერთი ვარაუდია გამოთქმული, მაგრამ ძირითადად იგი ჩვენი საზოგადოების მანკიერ მხარეებს ააშკარავებს“.

0560 80 333.

0 /



ИНДЕКС
76128
518-11101333

„МНАТБИ“

**ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ЛИТЕРАТУРНО-ХУДОЖЕСТВЕННЫЙ
И ОБЩЕСТВЕННО-ПОЛИТИЧЕСКИЙ ЖУРНАЛ**

ИЗДАТЕЛЬСТВО ЦК КП ГРУЗИИ